

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

პაატა ცხადაია, ბეჟან ხორავა

**აფხაზეთის გეოგრაფიული
სახელწოდებანი**

თბილისი

2016

აფხაზეთში ეთნო-დემოგრაფიული ვითარების რადიკალურად შეცვლას გვიან შუა საუკუნეებში, შემდეგ რუსეთის (ცარიზმის) ბატონობისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს, თან სდევდა გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა.

ნაშრომში შესწავლილია, თუ როგორ იცვლებოდა წლების მანძილზე აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებები. აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებები მოტანილია საქართველოს სსრ 1987 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით.

რედაქტორები:

ლელია ავიძბა, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ქეთევან მარგიანი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

იგორ კეკელია, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ზაზა წურნუშია, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-461-55-2

აფხაზეთი. გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარეებს – ენგურსა და ფსოუს შორის მდებარეობს ქვეყნის ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე – აფხაზეთი. აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა საქართველოს შემადგენლობაში.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას მდ. ფსოუ და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი რუსეთის ფედერაციიდან გამოყოფს, ხოლო მდ. ენგური და კავკასიონის გვერდითი, კოდორისა და აფხაზეთ-სვანეთის ქედები – მეზობელი სვანეთისა და სამეგრელოს მხარეებიდან. აფხაზეთის ა/რ ფართობია 8700 კმ², რაც საქართველოს ფართობის 12,3% შეადგენს, დედაქალაქია სოხუმი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას ქართველებთან ერთად აფხაზები შეადგენენ. ეთნიკურად აფხაზები აფხაზურ-ადილური მოდგმის ხალხია. მათი ენა – აფხაზური, იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ჩრდილო-დასავლურ, აფხაზურ-ადილურ ენათა ჯგუფში შედის.

აფხაზეთს დასავლეთით შავი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთით – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი საზღვრავს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის იმ მონაკვეთს, რომელიც აფხაზეთის ფარგლებშია, აფხაზეთის კავკასიონი ეწოდება. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი ციცაბოდ ეშვება მდინარეების – ბზიფის, ჩხალთის, საკენის ხეობებისაკენ. აფხაზეთის მთიანი შუა ნაწილი უჭირავს კავკასიონის გვერდით – გაგრის, ბზიფის, ჩხალთის ანუ აფხაზეთის და კოდორის ქედებს, რომლებსაც თავის მხრივ, მრავალი განშტოება აქვთ.

აფხაზეთი მთაგორიანი მხარეა. მისი ტერიტორიის 74% მთა-სა და მთისწინეთს უჭირავს, დანარჩენი – ვაკე-დაბლობებს. ზოგან მთა უშუალოდ ზღვას ადგება, ხოლო ზოგან მათ შორის შედარებით დიდი მანძილია. სანაპირო ზოლი ძირითადად სწორხაზოვანია, თუმცა ცალკეული, მათ შორის, გაგრის, ბიჭვინთის, ბომბორის, სოხუმისა და სკურჩის ყურეები გვხვდება.

საქართველოს და, შესაბამისად, აფხაზეთის სასაზღვრო მდინარე ფსოუ სათავეს აიბლის ქედზე იღებს და შავ ზღვას სოფელ ლესელიძესთან ერთვის. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. მეჰადირი მოედინება, რომელსაც სათავე გაგრის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე აქვს და შავ ზღვაში დაბა განთიადთან ჩაედინება. გან-

თიადის სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ ზღვას პატარა მდინარე ბა-
ლრიფსთა, იგივე ხოლოდნაია რეჩკა ერთვის.

ფსოუს მარცხენა ნაპირზე 10-15 კმ მანძილზე, ზღვასა და
კავკასიონს შორის, ზღვის პირას მოზრდილი ვაკეა. სამხრეთ-აღმო-
სავლეთით გაგრის ქედი უშუალოდ ზღვას ადგება. გაგრის ქედის
სამხრეთ კალთაზე და გაგრის უბის ვიწრო სანაპირო ზოლში ქალა-
ქი გაგრა მდებარეობს.

გაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის მასივი თანდათან უკან
იხევს და ზღვისპირა ვიწრო ვაკე ზოლი ბიჭვინთის დაბლობში გა-
დადის. ბიჭვინთის კონცხზე დაბა ბიჭვინთა მდებარეობს.

ბიჭვინთის კონცხთან შავ ზღვას მდ. ბზიფი ერთვის. იგი სათა-
ვეს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე, უღელტეხილ ადანგესთან
იღებს. მას დიდ მანძილზე, ზოგადად დასავლეთის მიმართულება აქვს,
შემდეგ კი სამხრეთისკენ უხვევს. ბზიფის ხეობა ზემო დინებაში ვიწრო
და ღრმაა, სოფ. ფსხუსთან ხეობა განიერდება და მდინარე იტოტება.
უფრო ქვემოთ ხეობა კვლავ ვიწროვდება და ზოგან კანიონისებრია.
სოფელ ბზიფთან მდინარე დაბლობზე გამოდის და შავ ზღვას ერთვის.

ბზიფის მარჯვენა შენაკადის – იუფმარას ხეობაში, ზღვის დო-
ნიდან 884 მ-ზე უმშვენიერესი რინის ტბა მდებარეობს. იგი მთა ფშე-
გიშხის ჩამოქცევისა და მდ. ლაშიფსეს დაგუბების შედეგად განჩ-
და. რინის სანაპიროები გარშემორტყმულია ნიწვიანი და შერეული
ტყეებით დაფარული მთის ფერდობებით, რის გამოც ის კავკასიაში
ერთ-ერთ ულამაზეს ტბად ითვლება. რინიდან ორიოდე კმ-ზე, 1235 მ
სიმაღლეზე, ასევე უაღრესად მშვენიერი პატარა რინა, ხოლო საკუ-
თრივ ბზიფის მარჯვენა ნაპირზე, ზღვასთან შედარებით ახლოს, პა-
ტარა, მაგრამ უაღრესად ლამაზი ცისფერი ტბა მდებარეობს.

ბზიფის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. მჭიშთა მოედინება,
ხოლო მის სამხრეთ აღმოსავლეთით – მდ. ხიფსთა, რომელიც შავ
ზღვას ქალაქ გუდაუთასთან ერთვის. ქალაქი გუდაუთა პატარა
მდინარის – გუდოუს შესართავთან მდებარეობს.

ხიფსთას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ააფსთა მოედინება,
რომელიც სათავეს ბზიფის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში იღებს, მის
სამხრეთ კალთას მიუყვება და გუდაუთასა და ახალ ათონს შორის
შავ ზღვაში ჩაედინება.

ბიჭვინთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთა კვლავ ზღვისკენ მი-
იწვეს და ახალი ათონის მიდამოებში უშუალოდ ზღვას ადგება. აქ
შავ ზღვაში პატარა მდინარე ფსირცხა ჩაედინება. მის შესართავში
დაბა ახალი ათონი მდებარეობს.

ფსირცხას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. გუმისთა მოედინება.
იგი მდინარეების აღმოსავლეთ გუმისთისა და დასავლეთ გუმისთის
შერთებით წარმოიქმნება და შავ ზღვას სოხუმის დასავლეთით

ერთვის. შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმის ყურეში, უმთავრესად მდინარეების – გუმისთისა და კელასურის ქვემო დინებათა შორის მოქცეულ ვაკე-დაბლობზე ქალაქი სოხუმი მდებარეობს.

ქალაქ სოხუმის ფარგლებში შავ ზღვაში მდ. ბესლეთი ჩაედინება. ბესლეთი 4 კმ-იანი კარსტული გვირაბით დაკავშირებულია მდ. კელასურთან, რომელიც სოხუმის აღმოსავლეთით, სოფ. კელასურთან შავ ზღვას ერთვის.

კელასურის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. მაჭარა მოედინება, რომლის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე რაიონული ცენტრი დაბა გულრიფში მდებარეობს.

მაჭარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. კოდორი მოედინება. იგი სათავეს დალის ხეობაში, მდინარეების – გვანდრისა და საკენის შეერთების შედეგად იქმნება. კოდორი ჯერ დასავლეთით, შემდეგ კი სამხრეთ-დასავლეთით მიედინება და სოფ. აძუბუყის სამხრეთით შავ ზღვას ერთვის. კოდორის უმთავრესი შენაკადებია: ჩხალთა (აფხაზურად ანგარა), მრამბა, ჯამპალი ამტყელით. მდ. ამტყელის ხეობაში, ზღვის დონიდან 512 მ-ზე, ამტყელის ანუ აზანთის ტბა მდებარეობს, რომელიც მიწის უზარმაზარი მასის მიერ მდ. ამტყელის დაგუბების შედეგად 1891 წელს წარმოიშვა.

აფხაზეთში სამი მთიანი მხარეა: კოდორის ქედის ჩრდილოეთით, მდ. კოდორის შუა წელში ნებელი (ნებელდა), ზემო წელში – დალი; მდ. ბზიფის ზემო წელში, კავკასიონის ქედსა და ბზიფის ქედს შორის ქვაბულში – ფსხუ.

სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით ზღვისპირა ვაკე ზოლი თანდათან ფართოვდება და მდ. კოდორის მარცხენა ნაპირიდან კოლხეთის დაბლობში გადადის.

კოდორის აღმოსავლეთით პატარა მდინარე ცხენისწყალი მოედინება. აფხაზეთის მნიშვნელოვანი მდინარეა აგრეთვე მოქვი, რომელიც სათავეს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს და შავ ზღვას ქალაქ ოჩამჩირის მახლობლად ერთვის. ოჩამჩირის აღმოსავლეთით შავ ზღვას მდ. ლალიძგა ერთვის, რომელიც სათავეს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე იღებს. ლალიძგის შესართავთან, მის მარჯვენა ნაპირზე ქალაქი ოჩამჩირა მდებარეობს, ხოლო მდინარის სათავეებში – ქ. ტყვარჩელი.

კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე სათავეს იღებს მდ. ოქუში, რომელიც შავ ზღვაში სოფ. გუდავასთან ჩაედინება. მდინარე ოქუმის მარჯვენა შენაკადებია წარჩე და ოხოჯე. ოქუმის მარცხენა შენაკადია მდ. ერისწყალი, რომლის ორივე ნაპირზე, რაიონული ცენტრი ქ. გალი მდებარეობს.

ერისწყლის აღმოსავლეთით მდ. ენგური მოედინება, რომელიც სათავეს სვანეთში, შხარას მწვერვალის მყინვარ ენგურზე იღებს

და შავ ზღვას სოფ. ანაკლიასთან ერთვის. ენგურის ქვემო დინების ერთი მონაკვეთი აფხაზეთს სამეგრელოსგან გამოყოფს. მდინარე ენგურის დიდი ნაწილი ენგურჰესის მშენებლობის დროს, საგანგებო ვაკირაბით მდ. ერისწყალს შეუერთეს. ამ მდინარის ქვემო ნელში, ქ. გალის მიდამოებში, დიდი წყალსაცავია, რომელსაც გალის ზღვასაც უწოდებენ. აქედან წყალი არხით შავი ზღვისკენ მიემართება.

აფხაზეთის დღევანდელ საზღვრებში ჩამოყალიბება რთული ეთნო-პოლიტიკური პროცესების შედეგია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და მხოლოდ XX საუკუნის I მესამედში დასრულდა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (II- I ათასწლეული) მთელ დასავლეთ საქართველოში, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე კოლხური კულტურა არსებობდა. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს და ყუბანის აუზსაც მოიცავდა. დაახლ. XV საუკუნეში, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ქართული სახელმწიფო – კოლხეთის სამეფო ჩამოყალიბდა, რომელმაც ძვ. წ. II საუკუნის დასასრულამდე იარსება. კოლხეთის სამეფოში, რომლის საზღვარი თავდაპირველად ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვაში მდ. ყუბანის ძველ შესართავამდე აღწევდა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაც შედიოდა.

ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების (ჰეკატეოს მილეტელი, სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი) მონაცემებით, წინანტიკურ და ელინისტურ ხანაში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ქართული მოდგმის ტომებით – კოლხებით, კოლეებით, კორაქსებით, ჰენიოხებით – იყო დასახლებული. ამასვე ადასტურებს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ძველი ქართული საისტორიო ტრადიციაც, რომლის თანახმადაც, ლიხის მთიდან მდინარემდე „მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასიისა“, ე.ი. შავ ზღვაში მდ. ყუბანის ძველ შესართავამდე, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის – ეგროსის სამკვიდროა, რაც ირიბი გამოძახილია იმ ფაქტისა, რომ ეს მხარე ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ძვ.წ. I – ახ.წ. II სს. პლინიუს უფროსის, კლავდიოს პტოლემეაიოსის, ფლავიუს არიანეს ცნობებით ამ ტერიტორიაზე ჩანან ქართველური თემები ამჯერად სანიგების, სვანო-კოლხების, აფშილეებისა და აბაზგების სახელწოდებით. ბერძნულ-რომაული წყაროების აფსილეზა და აბაზგებს ქართულ შუასაუკუნოვან წყაროებში აფშილეები და აფხაზები შეესატყვისება.

I-IV საუკუნეებში დასავლეთ საქართველო ეგროსის (ლაზიკის) სამეფოში გაერთიანდა, რომლის საზღვრებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაც შედიოდა. ნიშანდობლივია, რომ რომაე-

ლი დიდმოხელე და ისტორიკოსი ფლავიუს არიანე (ახ.წ. II ს.) ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტს, ისტორიული ნიკოფსიის ადგილას (დღევანდელი სოფ. ნოვომინიალოვსკი ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით, რუსეთის ფედერაციაში), ძველ ლაზიკას უწოდებს; კლავდიოს პტოლემეაიოსის (ახ.წ. II ს.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ მას ტაძოს-ი, იგივე ლაზოს-ი, ეწოდება, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართული ტომების განსახლების უტყუარი მოწმობაა.

II-VIII სს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. კოდორის სათავეებში – დალის ხეობაში, მისიმიანთა სვანური ტომი ცხოვრობდა; აფშილეთი შავი ზღვის პირას, მდინარეებს კოდორსა და ანაკოფისწყალს შორის მდებარეობდა. უფრო ჩრდილო-დასავლეთით, მდ. აქეუნტამდე (ამჟამად მდ.შახე) სანიგთა მეგრულ-ჭანური ტომი ცხოვრობდა, მის დასავლეთით ჯიქეთი იყო; აბაზგთა თავდაპირველად მდ. აბასკოსის (ფსოუ, მზიმთა) ზემო წელში მდებარეობდა, შემდეგ აბაზგებმა სანიგეთის მიწა-წყალი დაიკავეს.

ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აფხაზები ეთნოკულტურული თვალსაზრისით ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც საქართველოს სხვა ისტორიული პროვინციების მოსახლეობა (ქართლები, კახელები, მეგრელები, სვანები და სხვ.) და ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

IX-X სს. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია დასავლურქართულ სამეფოში შედიოდა, რომელსაც, სამეფო დინასტიის წარმომავლობის მიხედვით და საისტორიო ტრადიციით, „აფხაზთა“ სამეფოს უწოდებენ. ნიშანდობლივია, რომ ამ დროიდან გაფართოვდა ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა. ამ დროიდან ის მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ხოლო „აფხაზი“, როგორც საკუთრივ აფხაზს, ისე ყველა დასავლელ ქართველს ეწოდებოდა.

აფხაზეთი ქრისტიანული ქვეყანა იყო. ადრე შუა საუკუნეების აფხაზეთის ქრისტიანული კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: სამნავიანი ბაზილიკები ბიჭვინთაში (IV-V სს.), განთიადში (VI ს.), ალაჰაძში (IV-VI სს.), „სამეკლესიანი ბაზილიკები“: გაგრის ეკლესია (VI ს.), ქიაჩი (VII-VIII სს.), ამბარა (VIII-IX სს.); დრანდის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (VI-VIII სს.); მჭიშთის გამოქვაბული კლდეში ნაკვეთი სენაკებით და ანუხვის მღვიმე, რომლებიც შუა საუკუნეებში სამლოცველოებად გამოიყენებოდა. საგულისხმოა, რომ ანუხვის მღვიმეში შემორჩენილია V-VIII სს. ქართული ასომთავრული წარწერები. ქრისტიანული სიძველეებიდან აღსანიშნავია აგრეთვე წებელდაში, წმ. თევდორეს ტაძრის კანკელის ქვის ფილები (VII ს.), რომლებზეც ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებია გამოსახული.

„აფხაზთა“ მეფეებმა მთელ დასავლეთ საქართველოში დიდი კულტურული მშენებლობა გააჩაღეს. საკუთრივ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ დროსაა აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორცაა: ბზიფის, წკელიკარის, ანაკოფიის, მოქვის, ლიხნის, ბედიის, ბიჭვინთის ტაძრები. მონუმენტური ფერწერის ნიმუშები შემორჩენილია ბედიის, წკელიკარის, ლიხნის ეკლესიათა მოხატულობაში. „აფხაზთა“ მეფემ გიორგი II-მ (922-957) დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობა გაავრცელა და, იმავდროულად, იქ ფართო საეკლესიო მშენებლობაც გააჩაღა. სწორედ X საუკუნის II ნახევარში აიგო მდ. ყუბანის ზემო წელში ქართული ხუროთმოძღვრული სტილის ზელენჩუკის ტაძრები ყუბანის შენაკადის – მდ. ზელენჩუკის ხეობაში, აგრეთვე შოანა და სენტი ყუბანის შენაკადის მდ. თებერდას ხეობებში.

ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები მრავლადაა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სოჩასა და მის შემოგარენში. რუსმა არქეოლოგმა ბ. რაევმა ქ. ადლერის შემოგარენში XI-XIII სს. ხუთი ქართული დარბაზული ეკლესიის ნაშთი შეისწავლა. ამ ძეგლების გეგმარება და კონსტრუქცია მან ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების (დრანდა, ნოქალაქევი) ანალოგიურად მიიჩნია. დაბა ლოოში, ზღვის მახლობლად, მთაზე, შემორჩენილია შუა საუკუნეების ტაძარი (IX ს.). ეს არის სამაფსიდიანი დარბაზული ეკლესია, რომელშიც რუსი მკვლევრების აღიარებით ქართული არქიტექტურის ელემენტები ჩანს. ეს სავესებით ბუნებრივია, რადგან შუა საუკუნეებში ეს მხარე ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში იყო მოქცეული.

შუა საუკუნეებს ეკუთვნის აფხაზეთის საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები: ანაკოფიისა და აბანთას ციხეები, ცხუმის ციტადელი, თალოვანი ხიდი მდ. ცხომზე (ამჟამად მდ. ბესლეთი), შარვაშიძეების სასახლე ლიხნში, მარშანიების სასახლე ლათაში და სხვ. „აფხაზთა“ სამეფოში მოღვაწეობდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები იოანე მინჩხი (X ს.) და სტეფანე სანანოისძე (X ს.); აქვე იქმნება „აფხაზთა მეფეთა დივანი“ (X ს.) და საისტორიო თხზულებები, რომელთა გამოჩვენება შესულია ქართულ საისტორიო თხზულებაში „მატიანე ქართლისა“ (XI ს.).

XI საუკუნის დასაწყისში „აფხაზთა“ სამეფო ერთიან ქართულ სახელმწიფოში – საქართველოს სამეფოში გაერთიანდა. იმის გამო, რომ საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“ პირველად „მეფე აფხაზთა“ მოიხსენიებოდა, XI-XIII სს. უცხოურ წყაროებში „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ ხშირად საქართველოსა და ქართველის მნიშვნელობით იხმარებოდა.

XV საუკუნის 70-90-იან წლებში საქართველოს სამეფო დაიშალა. ამ დროიდან აფხაზეთი დასავლურქართულ იმერეთის სამეფოს

ფოში გაერთიანდა. XVI საუკუნის შუა წლებში იმერეთის სამეფოს ზღვისპირა გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროები გამოეყო. აფხაზეთსა და ოდიშს შორის საზღვარი მდ. ანაკოფიისწყალზე (ამჟამად მდ. ფსირცხა) გადიოდა.

გვიან შუა საუკუნეებში, კერძოდ, XVI-XVII საუკუნეებში, აფხაზეთში რადიკალური ეთნიკური ცვლილებები მოხდა, რაც დაკავშირებულია დასავლეთ კავკასიიდან აფსუების ექსპანსიასთან. დასავლეთ კავკასიის მთიელთა აფხაზეთში ჩამოსახლებისა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად თანამედროვე აფხაური (აფსუა) ეთნოსი ჩამოყალიბდა. „აფხაზი“ უკვე არ არის ეთნოკულტურულად ქართველი, აფხაზთა ტომი ახალი ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა. ქართველები ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს მექანიკურად ისევ „აფხაზებს“ ეძახდნენ, ისინი კი თავიანთ თავს „აფსუებს“ უწოდებდნენ.

XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ კავკასიის მთიელთა და აფხაზთა ლაშქარმა მიიტაცა ოდიშის სამთავროს მიწა-წყალი ჯერ მდ. ცხომამდე, შემდეგ კი მდ. კელასურამდე ქართული ქალაქებით – ანაკოფია და ცხუმი. XVII საუკუნის 40-50-იან წლებში აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა თავდასხმების აღსაკვეთად ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.) მდ. კელასურის გასწვრივ, ზღვიდან მთამდე, სიმაგრეთა სისტემა ააგო, რომელიც „კელასურის კედლის“ სახელწოდებითაა ცნობილი. XVII საუკუნის მიწურულს აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელთა ლაშქარმა გაარღვია „კელასურის კედელი“ და აფხაზეთის საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ეგრისწყალამდე (ამჟამად მდ. ლალიძგა), მოგვიანებით კი მდ. ენგურამდე გააფართოვა. ამ დროს ჩამოყალიბდა აფხაზეთის ისტორიული პროვინციები: ბზიფი, გუმა ანუ აფხაზეთი, აბჟუა – შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ნებელი და დალი – კოდორის შუა და ზემო წელში, ფსხუ – მდ. ბზიფის შუა წელში. 1702 წელს ოდიშის მთავარმა თავისი იურისდიქცია აღადგინა მდ. ენგურიდან მდ. ლალიძგამდე ტერიტორიაზე, სადაც XVIII საუკუნეში მცირე ფეოდალური სამფლობელო – სამურზაყანო – ჩამოყალიბდა.

აფხაზთა მიერ ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცების შემდეგ, 1681 წელს გაუქმდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები, რადგან ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება ამ ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა. გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთში არ აგებულა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ორიგინალური არქიტექტურული ძეგლი, ზედმეტია ლაპარაკი მნიშვნელოვანი ძეგლების შექმნაზე.

XVI-XVIII საუკუნეების ქართული და უცხოური წყაროებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა აფხაზთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის აყრა და განდევნა თავისი სამკვიდროდან. მდინარეებს კელასურსა და ლალიძგას შორის მოსახლეობის

ნაწილი აფხაზთა მიერ აოხრებისა და აკლების დროს აქედან გადაიხვეწა; ვინც მახვილს, შიმშილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, აფხაზებმა ტყვედ მიჰყიდეს თურქებს. დაცარიელებულ ადგილებზე აფხაზები სახლდებოდნენ. ქართული მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ადგილზე დარჩა, თანდათან ახლად ჩამოსახლებულ მთიელებში გაითქვიფა და გააფხაზდა. ამიტომაც არის, რომ აფხაზთა დიდი ნაწილი დღეს ქართულ გვარსახელებს ატარებს. დღევანდელი სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებისა და ტყვარჩელის მეგრული (ქართული) გვარსახელის მატარებელი აფხაზები, მათი შთამომავლები არიან. განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა მდ. ლალიძგასა და მდ. ენგურს შორის ტერიტორიაზე, სადაც ძირძველი ქართული მოსახლეობა ძირითადად ადგილზე დარჩა და ეთნიკური სახე შეინარჩუნა.

ეთნიკურ ცვლილებებს თან სდევდა გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა. ტოპონიმია, რომელსაც ხატოვნად „მინის ენას“ უწოდებენ, ძალიან მგრძნობიარეა ეთნო-პოლიტიკური ცვლილებებისადმი.

საისტორიო წყაროები (ანტიკური ხანა - XVIII საუკუნე)

აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებები ჯერ კიდევ ძველ ბერძენ და ლათინ ავტორთა თხზულებებში გვხვდება. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში უცხოელები გეოგრაფიულ ობიექტებს სახელებს თვითონ არქმევდნენ, იშვიათ შემთხვევაში კი მათ ადგილობრივ სახელწოდებებს თარგმნიდნენ ან ელინიზირებული ფორმით გადმოგვცემდნენ. ანტიკური ხანის ავტორები შორს იყვნენ გეოგრაფიული სახელწოდებების უნიფიკაციისაგან, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, კონკრეტულად რომელ მათგანს ეწოდებოდა ესა თუ ის სახელი.

ანტიკური ხანის ავტორებიდან აღსანიშნავია: ფსევდო სკილაქს კარიანდელის (ძვ.წ. IV ს.), სტრაბონის (ძვ.წ. I - ახ.წ. I ს.), პლინიუს უფროსის (II ს.), კლავდიოს პტოლემეაიოსის (II ს.), ფლავიუს არიანეს (III ს.), V საუკუნის ანონიმის თხზულებებში დაცული ცნობები. მათთან იხსენიება: *დიოსკურია*, *სევასტოპოლი* (*ძველი დიოსკურია*), *პიტეუსი*/*პიტეუნტი*, *მდ. აბასკოსი*/*აბასკი*, *ძველი ლაზიკა ანუ ნიკოფსია*, *სიგანეონი*.

შუა საუკუნეების აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებები დაცულია ბიზანტიელ ავტორთა – პროკოპი კესარიელის (VI ს.), სტეფანე ბიზანტიელის (VI ს.), თეოდოსი განგრელის (VII ს.) ცნობებში. მათთან იხსენიება: *პიტეუნტი*, *ტრახეა*, *დანდარები* (*დრანდის მცხოვრებნი*), *დიოსკურია*/*სებასტოპოლი* (VI ს.), *სკოტორი*, *ბუკო-*

ლუსი, ფუსტა, თუსუმე//თუსავი, მოქვი, ჯიხახორა (VII ს.).

V-XVI საუკუნეების ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო წყაროებში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის გეოგრაფიული სახელწოდებები იშვიათად გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები: „დავით და კონსტანტინეს წამება“ (IX ს.), გიორგი ხუცესმონაზონის „ცხოვრება გიორგი ათონელისა“ (XI ს.), აპოკრიფული თხზულება „მიმოსლვა ანდრია მოციქულისაი“ (XI ს.), აგრეთვე ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმთავრეს წყაროში, „ქართლის ცხოვრებაში“ შესული საისტორიო თხზულებები: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (VI ს.), უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“ (XI ს.), ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ და „არჩილის წამება“ (XI ს.), უცნობი ავტორის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (XI-XII სს.), უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (XI-XII სს.), უცნობი ავტორის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (XI-XII სს.), უცნობი ავტორის „ასწლოვანი მატიანე“ (XIV ს.), სადაც იხსენიება: ნიკოფსე ქალაქი//ნიკოფსი ქალაქი//ნიკოფსია, სევასტე ქალაქი, ანაკოფია და ანაკოფიის ციხე, ბიჭვინტა, ბედია და ბედიის ეკლესია, ეგრისწყალი, კლისური, ცხუმი//ცხომი, გუდაყვა, სობლისის ციხე.

აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ XVI-XVIII საუკუნეებიდან შედარებით ვრცელი ცნობები შემოგვრჩა, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროების მეშვეობით. ამ ხანის დღემდე მოღწეულ ქართულ დოკუმენტურ წყაროებს შორის, აღსანიშნავია „ბიჭვინთის იადგარი“ (XVI ს.) და „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“ (XVII ს.).

„ბიჭვინთის იადგარი“ (1525-1550 წწ.) დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო საყდრისათვის (ბიჭვინთა) სხვადასხვა პირთა მიერ განეული ღვანლისა და შეწირულებათა აღმწესხველი ძეგლია, ხოლო „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ყმებისა და მათი გადასახადების ნუსხას წარმოადგენს სოფლების მიხედვით. „ბიჭვინთის იადგარში“ ჩამოთვლილია ამ მხარის სოფლები: ენგურისპირა ნაჟანეო („ენგურისპირს ნაჟანეო“), ხოირი, ნამხარი, სუბეში, მუხური, ტყაურუ, მარმარისკარი, აგრეთვე საკუთრივ აფხაზეთის სოფლები: „ბიჭვინთის გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბინა“.

ბედიის გულანის (XVI ს.) მინაწერში მოხსენიებულია სოფელი გუდაყვა; „ბიჭვინთის იადგარი“-ს ძირითადი ტექსტის მინაწერში (დაახლ. 1611-1614 წწ.), შეწირულობის წიგნში მალაქია კათალიკოზისა ბიჭვინთისადმი (1616-1639 წწ.), ნაჟანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგარის ნუსხაში (XVI ს.), „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების

დიდ დავთარში“ (1621 წ.), ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) ბიჭვინტის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელში (1628 წ.) სოფლები: *ნაჟანელი, ჭალა, ხოირი, მუხური, თილითი, ხაუყელი, გუფუ, ტყაურუ, ღალიძგა, რეკა, კამულეთი, მარცხელი (მარცხული), ფშა, ღალიძგა, სუბეში, ხოირი, ზეგანი, ილორი, ანაკლია.*

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან აღსანიშნავია XVII საუკუნის 30-40-იანი წლების ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, სადაც მოხსენიებულია: *ზუფუ, მუნუს წყალი, კაპოეტის წყალი. ზუფუ ლიხნის მეგრული სახელწოდებაა, მუნუს წყალი იგივე მინის წყალი, დღევანდელი მდ. მჭიმთაა, კაპოეტის წყალი – მდ. ბზიფი; წმ. ონოფრეს ხატის წარწერაში – სოფელი ღალიძგა; ქიანის მიქაელ მთავარანგელოზის ხატის წარწერაში – სოფელი კვიტაული.*

ყველა სოფლის სახელწოდება ქართულია, ქართულია მათი მოსახლეობაც. რაც შეეხება „ბიჭვინთის გარემო სოფლებს“ – *აითარნე, არუბა, რაბინა* – ისინი იხსენიება ოდიშის ერისთავის მამია III დადიანის (1512-1533 წწ.) შეწირულობის სიგელში ბიჭვინტისადმი. სახელწოდების მიხედვით, სამივე აფხაზური დასახლება ჩანს. სახელწოდება *აითარნე* მომდინარეობს მეცხოველეობის მფარველი აფხაზური წარმართული ღვთაების აითარის სახელიდან. *არუბა*, იგივეა, რაც ქართული რუხი, რომელსაც დართული აქვს აფხაზურ სახელთა ზოგადი ფორმის მანარმოებელი ა- პრეფიქსი და უფუნქციო -ა სუფიქსი. ამ სახელწოდების სოფელი არსებობს სამეგრელოში, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე. *რაბინას* ეტიმოლოგია უცნობია. ბიჭვინთის მახლობლად დღესაც არსებობს სოფელი სახელწოდებით *რაფინა*.

აფხაზეთის ტოპონიმის შესწავლისათვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს ე. წ. საზღვაო რუკები, რომლებსაც XII-XIII საუკუნეებიდან ადგენდნენ. საქართველოს შავიზღვისპირეთი ამ რუკებზე XIV საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. ამ რუკებიდან უძველესი, ე. წ. „ვენეციური რუკა“, 1310 წლით თარიღდება. შემდეგ მოდის პეტრუს ვესკონტეს (1318 წ.), ბიანკოს (1436 წ.), სოლერის (1385 წ.), ანდრეუს ბენინკაზის (1518 წ.) რუკები. მათზე XIV-XV საუკუნეების საქართველოს ზღვისპირეთიც არის დატანილი. როგორც ირკვევა, დასავლეთევეროპელები კარგად იცნობდნენ თანამედროვე აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროს მოხაზულობას, რაც ამ საზღვაო რუკებზე აისახა.

ამ რუკებზე დღევანდელი სოჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით დატანილი პირველი პუნქტია *Costo//Gusto//Costa//Chasto* (დღევანდელი *ხოსთა*), შემდეგ კი *Laiazo//Aiaco//Layazo//Laiaco...* (*ლიაუში*). XIII საუკუნის ვენეციურ, პეტრუს ვესკონტეს (1318 წ.), ბიანკოს (1436 წ.) რუკებზე აღნიშნულია *Abcazia//Auogazia//Abazachia* (აფხაზეთი), რომელსაც მხარის ან დასახლებული პუნქტის მნიშვნელობა აქვს. სოლერის (1385 წ.) და ანდრეუს ბენინკაზის (1518 წ.) რუკებზე ეს

მხარე თუ ზღვისპირა პუნქტი ბევრად უფრო ჩრდილო-დასავლეთით, დღევანდელ სოჩასა და ტუაფსეს შორისაა დატანილი. ნიშანდობლივია, რომ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ამჟამინდელ ქ. ყუბასთან, შუა საუკუნეებში არსებობდა ქალაქი აბხაზი, კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე – ქალაქი დერბენტი. ასეთივე სახელწოდების ქალაქები არსებობდა შავი ზღვის სანაპიროზეც აბხაზი (Abcazia) და დერბენდი (დღევანდელი გაგრის ადგილას). ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ აბხაზი და დერბენტი//დერბენდი შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებზე ქალაქებს მსგავსი რელიეფიდან გამომდინარე ეწოდათ. მართლაც, დერბენტი (დარუბანდი) ძველსპარსულად „ჩაკეტე კარ“ ნიშნავს („დარ“ – კარი, „ბენდ“ – შეკვრა, დახშვა) და ვიწრო გასასვლელს კეტავდა ზღვასა და მთას შორის; აბხაზი-ს მნიშვნელობა კი ჯერაც დასადგენია.

დღევანდელი საქართველოს ზღვისპირეთში ჩრდილო-დასავლეთიდან ერთმანეთის მიყოლებით, დატანილია Cacary//Chachari//Cacar//Chatari (გაგარი, იგივე გაგრა), Sun Soffia//Sancta Sofia//s.Soffia (ბიჭვინთის ტაძარი), Giro (ბიჭვინთის კონცხი), Cavo de Giro (ბიჭვინთის ყურე), Pecunda//Pezonda (საკუთრივ ბიჭვინთა, იგივე პეცონდა), Cavo deBuxo//Cavo deBux//Cavo Buxio//Cavo deBussi („ზუბის ყურე“ მდ. ბზივის შესართავში). მის სამხრეთ-აღმოსავლეთით Nisoffia, Flum Nisoffia და Flume Nicola//Flum Nicola//Flume de cofia (ანაკოფიის ციხე-ქალაქი და „ანაკოფიის მდინარე“), შემდეგ Savastopoli//Scanastopoli (სავასტოპოლი, იგივე სოხუმი), მის მიდამოებში p. Mengrello//Porto Mengrello (სამეგრელოს ნავსადგური), Cicaba//Cichaba//Cicaba//Zicaba (წყაბა//წყუბუნი, სოფელი შაუმიანოვკა), Gotto//Goto (კოდორის კონცხი) და Tamamxa//Tamassa//Tama//Tamasa (სათამაშა, ციხე-დარბაზი სოფ. ტამიშის მიდამოებში), Murkula (სოფ. მერკულა), Laxopotamo („ფართო მდინარე“, მდ. ლალიძგა), Castro Corenbedia (სოფ. ილორი), Corenbedia//Corebendia//Corbondia//Corbeudiua (გული//შუა ბედია, სოფ. აგუბედია), Megapotamo// Negapotamo// Negapotimo//Megapotemo („დიდი მდინარე“, მდ. ენგური).

აღსანიშნავია იტალიელი კარტოგრაფის ჯაკოპო გასტალდის რუკა (1561 წ.), სადაც ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუბანის მარცხენა შენაკადზე აღნიშნულია დასახლებული პუნქტი „აყვა“ (Acua), რომელიც მოგვიანებით აფხაზებმა ქალაქ ცხუმს (სოხუმს) უწოდეს. გეოგრაფიული სახელწოდებების გადატანა მიგრანტთა პრაქტიკაში გავრცელებული მოვლენაა. ქალაქი ცხუმი ამ რუკაზე სანატოპოლის (Sanatopoli) სახელწოდებით არის აღნიშნული.

XVII-XVIII საუკუნეების ოდიშის (სამეგრელოს) ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული

რუსი დიპლომატების, კათოლიკე მისიონერების, ევროპელი მოგზაურების ჩანაწერებში.

1639-1640 წლებში ოდიშის სამთავროში რუსეთის დესპანები – ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი იმყოფებოდნენ. ოდიშში მოგზაურობის აღწერა, რომელიც მათ მიერ მოსკოვში წარდგენილ ანგარიშებშია დაცული, ძვირფასი წყაროა XVII საუკუნის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური რუკისათვის, რომელშიც იმ დროისათვის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ენგურამდე შედიოდა. რუსმა ელჩებმა მოიარეს სოფლები *ფუნყური (ამჟამინდელი სოფ. წარჩეს უბანი)*, *ლალიძგა*, *მერკულა*, *დრანდა*, *ფშაფი*, *კვიტოული*, *მოქვი*, *ილორი*, *ბეღია (ამჟამინდელი სოფ. აგუბედია)* დაათვალიერეს და აღწერეს იქ არსებული ეკლესიები.

აღსანიშნავია კათოლიკე მისიონერების არქანჯელო ლამბერტისა და კრისტოფორო კასტელის ცნობები, რომლებიც საქართველოში ერთდროულად, XVII საუკუნის მეორე მეოთხედში იმყოფებოდნენ. აგრეთვე კათოლიკე მისიონერების ლუი გრანჟეს, ჯოვანი ჯულიანო და ლუკას, ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის და მისი შვილის, მთავარდიაკვან პავლე ალეპოელის, ფრანგი ვაჭრისა და მოგზაურის ჟან შარდენის, XVIII ს. მეორე ნახევრის გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის და სხვათა ჩანაწერები.

არქანჯელო ლამბერტმა ოდიშს (სამეგრელოს) ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა, რომელიც პირველად 1654 წელს ნეაპოლში გამოიცა სახელწოდებით *Relazione della Colchide hoggi detta Mengrellia nella quale si iralta dell origine, costume e cose naturali di quci paesi. Del P. D. Archangelo Lamberti* (ქართულ თარგმანში „სამეგრელოს აღწერა“). მას ერთვის ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს რუკა ლათინური სათაურით: „*Totivs Colchidis, hodie Mengrelliae a Corace amne ad Phasimvsqve descriptio*“ („მთელი კოლხიდის, დღევანდელი სამეგრელოს აღწერა მდინარე კორაქსიდან მდინარე ფასისამდე“). სამეგრელოს სამთავროს თითქმის იდენტური რუკა მოცემულია კრისტოფორო კასტელის ალბომშიც.

ლამბერტის წიგნს დართულ რუკაზე წარწერები იტალიზებული ვულგარული ლათინურითაა დატანილი იტალიელი ავტორის მიერ. საფიქრებელია, რომ ამ რუკის ორიგინალი, საიდანაც ის წიგნისთვის არის გადმოღებული, მოცულობით უფრო დიდი და მდიდრულად შემკული იყო. ამაში გვარწმუნებს მდიდრულად გაფორმებული 1654 წლის სამეგრელოს კიდევ ერთი რუკა „*Tabula Colhidis hodie Mengrellie*“ („კოლხიდის, თანამედროვე სამეგრელოს, რუკა“), რომელიც პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის რუკების განყოფილებაშია დაცული. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ლამბერტის რუკის ფრანგი ავტორის მიერ გადმოღებულ ასლს წარმოადგენს. ეს რუკები თითქმის იდენტურია, მხოლოდ მეორე რუკაზე ზოგიერთი წარწერა ლათინურ-იტალიურ-

რის ნაცვლად ფრანგულ ენაზეა მოცემული. არსებობს მოსაზრება, რომ პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული რუკა XVII საუკუნის 30-40-იან წლებში ლამბერტისთან ერთად სამეგრელოში მყოფი იტალიელი კათოლიკე მისიონერის, კრისტოფორო კასტელის მიერ იყოს შედგენილი, რადგან მისი პირი დაცულია კასტელის ნახატებში.

XVII საუკუნეში იტალიელ მისიონერებს არ ჰქონდათ ქართული ბგერების იტალიურად და ლათინურად გადმოცემის ერთიანი სისტემა. ამიტომ რუკებზე ცალკეული ქართული ფონემები სხვადასხვანაირად არის გადმოცემული. XVII საუკუნეში ცნობილი არ იყო საქართველოს გრადუსთა ბადე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რუკის შემდგენლებს შეცდომები მოსდით დასახლებული პუნქტების რუკაზე დატანისას. ყოველივე ეს აძნელებს 1654 წლის სამეგრელოს რუკების მონაცემების ლოკალიზებას.

1654 წლის სამეგრელოს რუკებზე უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით დატანილია წარწერა Abbaschi hodie Abbassa (აბაშები, ამჟამად აბაზა). ლათინურენოვან რუკაზე კი მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირიდან ცოტა მოშორებით დატანილია წარწერა: Pays des Abassas au Abcasses (აბაზების ანუ აფხაზების, ქვეყნები). Abassas-ში კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მცხოვრები აბაზები იგულისხმება, ხოლო Abcasses-ში – მდ. კოდორიდან დასავლეთით საკუთრივ აფხაზები.

ორივე რუკაზე, ჩრდილო-დასავლეთით, მდინარეების სათავეებთან სიმაგრეთა სისტემაა დატანილი. ლამბერტის რუკაზე მის გასწვრივ ლათინური წარწერაა: Murus sexaginta millibus passum ad coerecndos Abascoru incurus (60 ათასი ნაბიჯის სიგრძის კედელი აბასკების შემოსევების შესაჩერებლად); პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ რუკაზე წარწერა ფრანგულ ენაზეა: Muraille de soisante milles pour arrester les incursions des abbassas (60 მილი სიგრძის კედელი, აგებული აბაზების შემოსევების შესაჩერებლად).

ორივე რუკაზე ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს აღმოსავლეთიდან მდ. Fasso (რიონი) და დასავლეთიდან მდ. Coddars//Corax (კოდორი) საზღვრავს. ამავე საზღვრებშია მოცემული ეს სამთავრო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაშიც“, თუმცა როგორც ამ წიგნში, ისე რუკებზეც მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე დრანდა და დრანდის საეპისკოპოსო ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს საზღვრებშია მოქცეული. უფრო მეტიც, ლათინურენოვან რუკაზე წარწერა „Pays des Abassas au Abcasses“ („აბაზების ანუ აფხაზების ქვეყნები“), რომელიც აფხაზების ტერიტორიის აღმოსავლეთ საზღვარს აღნიშნავს, მდ. კოდორის მოშორებით, დაახლოებით მდ. კელასურის მიდამოებშია დატანილი. მართლაც, XVII საუკუნის I ნახევრის ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. კელასურზე გადიოდა.

ჩვენ ამ რუკების მხოლოდ იმ მონაკვეთს განვიხილავთ, რომელიც დღეს აფხაზეთის ა/რ საზღვრებშია. ნიშანდობლივია, რომ რუკებზე წარწერები მეგრული ფორმით არის დატანილი.

მდინარეებს – კოდორსა და ენგურს (Engur//Astelfus fl.) შორის 1654 წლის რუკებზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ შემდეგი მდინარეები დატანილი: Marmar-sqari (მარმარისწყალი, იგივე მარმარა, სკურჩა), რომელიც აღმოსავლეთიდან ჩაუდის მარმარისკარის ეკლესიას და იმავე სახელწოდების სოფელს. დღეს, ეს სოფელი „მარმალ-აბაას“ სახელწოდებით სოფელ აძუბუჟას ერთ-ერთი უბანია. აფხაზები დღეს მარმარისკარის ეკლესიასაც მარმალ-აბაას (მარმარილოს კოშკი, ციხე, ციხესიმაგრე) ეძახიან, რადგანაც მისი ფასადი მარმარილოს ქვით იყო მოპირკეთებული; Moquis-schari fl. (მდ. მოქვისწყალი), Echalis fl. (მდ. ლალიძგა), Gioba-schari (ჯოჯობანწყარი, მდ. ოქუშის მარჯვენა შენაკადი); მდ. ოქუში ორი სახელითაა დატანილი: Ochumi flolim Tarsura. ამ მდინარის მეორე სახელი ტარსურა ა. ლამბერტის წიგნის მიხედვით სოფელ Tarchen-ის (წარჩე) სახელიდან მოდის. სინამდვილეში ტარსურა, ანტიკური წყაროების „ტარშენ“, მდ. ოქუშის მარჯვენა შენაკადი წარჩესწყალია. მდ. ენგურის დასავლეთით რუკებზე პირველი მდინარეა Heti-schari fl. (ერთისწყალი, ერისწყალი).

მდინარეების ქსელი 1654 წლის სამეგრელოს რუკების ყველა სექტორში, სახელდობრ ენგურსა და კოდორს შორის, ზუსტად არ არის გამოხაზული, რაც ამ რუკებზე მოცემული პუნქტების ლოკალიზებას აძნელებს.

ყველაზე დასავლეთით, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე დრანდა და დრანდის საეპისკოპოსო კათედრალია დატანილი. მდინარეებს კოდორსა და მარმარისწყალს შორის ორივე რუკაზე ექვსი პუნქტია აღნიშნული: Marmarischari (მარმარისკარი), Sgurghili (წყურგილი, დღეს სოფ. აძიუბუჟას ერთ-ერთი უბანი); ზღვისპირას – ციხე-დარბაზი Satamascia (სათამაშია). თანამედროვე სოფ. ტამიშის მიდამოებში, ზღვისპირას, სადაც დღესაც დგას ამ ციხესიმაგრის კარგად შემონახული ნანგრევები. სოფლის ამჟამინდელი სახელწოდება ტამიშიც სათამაშიადან მოდის. ზღვიდან მოშორებით, მარმარისწყლის სათავესთან ეკლესიითურთ დატანილია Tqugia (ტყვარჩელი), რომლის თავზე, მთაზე, დღესაც არის შემორჩენილი ძველი ეკლესიის ნანგრევები; Pseias (ფშია) და Aga//Agu ეკლესიებით. Pseias (ფშია) არის სოფელ ათარას ძველი სახელწოდება, ხოლო Aga//Agu-ს სახელის აღდგენა და ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.

მარმარისწყალსა და მოქვისწყალს შორის ზღვის პირას დატანილია ნავსადგური სავაჭრო გემებით – Turcharu Emporium (თურქების სავაჭრო ადგილი). ლათინურენოვან სამეგრელოს რუკაზე ამ ადგილას წარწერა ფრანგულ ენაზეა: Port ou les Turcs trafiquent (ნა-

ვსადგური, სადაც თურქები ვაჭრობენ). ეს არის XVI-XVII სს. ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული „ტყაურუ“, ევროპელი მოგზაურების „ისგაური“//„ისკურია“, რომელიც XVI-XVII სს. ოდიშის სამთავროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შავიზღვისპირა სავაჭრო ნავსადგურს წარმოადგენდა. ტყაურუს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზღვიდან მოშორებით დატანილია Tguanas (დღევანა). დღეს ასეთი სახელწოდების სოფელი არ არსებობს, შემორჩენილია როგორც ადგილის სახელწოდება მდ. მერკულას მარჯვენა ნაპირზე, ზღვისპირას. კიდევ უფრო ჩრდილოეთით, ამ მდინარეებს შორის რუკებზე აღნიშნულია Pitauro (კვიტაური//კვიტაული) და Giorirde (ჯგერდა).

მდინარეებს – მოქვისწყალსა და ღალიძგას შორის რუკებზე ეკლესიებითურთ აღნიშნულია: Ilori (ილორი), Mergullas (მერკულა), Echalisgas (ღალიძგა, დღევანდელი ბესლახუბა), Moquis E. (სოფ. მოქვი და მოქვის საეპისკოპოსო კათედრალი). სოფელი Tilith (თილითი) დღეს უკვე არ არსებობს. სოფელ თხინას უბანში, აბააჟვახუში, გორაკზე შემორჩენილია ნაგებობათა კომპლექსი – ეკლესიისა და საცხოვრებელი ნაგებობების ნანგრევები, რომელსაც გალავანი შემოუყვება. ამ ადგილს თლუთ-აბაა (თილითის კომპი, ციხე, ციხესიმაგრე) ეწოდება. თხინას ამ უბნის სახელწოდება აფხაზურად „აბააჟვახუ“ სიტყვასიტყვით ძველი ციხესიმაგრის გორას ნიშნავს. საგულისხმოა, რომ აფხაზები (აფსუები) ეკლესიის ნანგრევებს კომპს, ციხეს, ციხესიმაგრეს ეძახიან, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ამ ადგილებში გვიან დამკვიდრდნენ, როდესაც ეკლესია მიტოვებული და გაპარტახებულ-დანგრეული იყო.

მდინარეებს – ღალიძგასა და ოქუშისწყალს შორის ორივე რუკაზე აღნიშნულია: Legioni, Subeis (სუბეიში, დღევანდელი აჩიგვარა), Apersoli, Pozcur (ფუნყური, დღეს სოფ. წარჩეს ერთ-ერთი უბანი), Marzchuli, Oluse (ოლუშე, მეგრ. სავალი, გადასასვლელი. ასე ეწოდება დღეს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე ძველი ეკლესიის ნანგრევებს). ლამბერტის რუკისაგან განსხვავებით, ლათინურენოვან რუკაზე აღნიშნულია Naugilers და Limors, რომელთა სახელის აღდგენა და ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.

მდინარეებს – ოქუშის წყალსა და ერთისწყალს შორის დატანილია: Cudas (გუდა, დღევანდელი გუდავა), Ciamuri, Gaghida (გაგიდა), Papatis (პაპათი), Armeni (არმენი), Tartce (წარჩე), Archama (არკამა, დღევანდელი აკარმარა), Scorotoli (ჩხორთოლი), Bedias Ep. (ბედია, დღევანდელი აგუბედია და ბედიის საეპისკოპოსო ტაძარი), Saccino (საჩინო), Sanaar (სანარდო). Armeni (არმენი) რუკების ავტორთა აშკარა შეცდომაა. ეს სახელწოდება უკავშირდება ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) მიერ მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, სოფ. რუხის ტერიტორიაზე არმენების (სომხების) ჩასახლებას და,

ამდენად, არასწორადაა დატანილი. Papatis (პაპათი) ლოკალიზაცია, ხოლო Ciamuris სახელის აღდგენა და ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.

მდინარეებს – ერთისწყალსა და ენგურს შორის რუკებზე დატანილი სოფლების ერთი ნაწილი დღესაც არსებობს: Barghebs (ბარგები), Naabbachia (ნაბაკევი), Suddas (სიდა), Sciascaleti (შეშელეთი), Tcheis (კეიში, დღეს ადგილის სახელწოდება სოფ. ლუმურიშში, როგორც ჩანს ადრე სოფელი იყო), Gogieli (გოგიელი, დღევანდელი ქალაქი გალი). Lethais (ლეთაიში)-ის ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელი დღეს ცალკეულ უბნებს თუ ადგილებს ეწოდება: Zamchar (ნამხარი, სოფ. თაგილონის უბანი), Cippurias (წიფურია, ფართობი მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე სოფ. თაგილონში), Quiti (ხვითი, დღეს მდ. ხუმუშქურის შენაკად ღელეს ეწოდება სოფლებს შეშელეთსა და სიდას შორის), Satangi (სათანჯო, სოფ. ჭუბურხინჯის მიდამოებში), იქვეა Gemiat (გემიათი, იგივე გენათი), Sugiona (სუჯონა, სოფ. საბერიოს უბანი); მხოლოდ ლამბერტის რუკაზე, მდ. ერთისწყლის სათავეებში აღნიშნულია Girpigi (ჟირპიჯი, დღევანდელი ჟირღალიშქა, სოფელი ლეკუხონას თემში).

სამეგრელოს ორივე რუკაზე მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე დატანილია Cadars (კადარი). ასეთი ტოპონიმი მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე დამონშებული არ არის, მაშინ როდესაც მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, სოფ. კოკში, გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიას და მის მიდამოებს კადარი ეწოდება. ამ შემთხვევაში, შეიძლება რუკების შემდგენელმა თუ შემდგენლებმა შეცდომა დაუშვეს, ან კიდევ ბოლო სამი საუკუნის მანძილზე მდინარემ კალაპოტი შეიცვალა.

XVII საუკუნის 40-იანი წლების სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა თურქმა მოგზაურმა და გეოგრაფმა ევლია ჩელებიმ (1611-1680 წწ.). იგი აფხაზებს აბაზების სახელით მოიხსენიებს და ამ სახელწოდების ქვეშ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ აბაზურ და ადიღურ (ჩერქეზულ) ეთნოგრაფიულ ჯგუფებს აერთიანებს. საკუთრივ აფხაზებს, რომლებიც „ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ“, ჩაჩების ანუ შარვაშიძეების ტომის სახელით მოიხსენიებს და მათ ტერიტორიას შავი ზღვის პირას დაახლოებით ბზიფის მიდამოებში ათავსებს.

1732 წელს სტამბოლში პირველად დაიბეჭდა თურქი მწიგნობრის ქათბი ჩელების (1609-1957 წწ.) გეოგრაფიული ნაშრომი „ჯიჰან-ნუმა“ („სამყაროს მეგზური“). ამ ნაშრომში ჩართულია XVII საუკუნის თურქი გეოგრაფის აბუ-ბექრის ცნობები აფხაზეთის შესახებ, რომლის თანახმადაც „აბხაზი“ ტომი, რომელსაც „ისლამის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ“ შავი ზღვის პირას დაახლოებით მდ. კოდორსა და სოჩას შორის ცხოვრობდა. ამ ცნობებისგან განსხვავებით, „ჯიჰან-ნუმას“ 1732 წლის

გამოცემას დართულ კავკასიის რუკაზე, აბაზასა და ოდიშს (სამეგრელო) შორის საზღვარი მდ. კელასურზე გადის. ისევე როგორც ევლია ჩელები, აბუ-ბექრი და 1732 წელს გამოქვეყნებული კავკასიის რუკის შემდგენელი, „აბზაზს“ აბაზების ერთ-ერთ შემადგენელ ტომად მიიჩნევს. ამ დროს საკუთრივ აფხაზების ჩრდილო-დასავლეთით მოსახლე ჯიქების ენა აფხაზურისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა, ამიტომ XVII საუკუნის თურქი გეოგრაფი მათ აფხაზთა შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს და მათი განსახლების ტერიტორია მდ. ბზიფიდან სოჩამდე „აბზაზი“ ტომის განსახლების არეალში შეჰყავს.

ნიგნში ჩართულია სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის ოცდახუთი რუკა. მათ შორისაა კავკასიის რუკა. რუკაზე მისი შედგენის დრო და ავტორის ვინაობა აღნიშნული არ არის, თუმცა, როგორც ირკვევა, ის XVII საუკუნის 60-70-იან წლებშია გამოხაზული.

კავკასიის რუკაზე აფხაზეთი („აბაზა“) შავიზღვისპირას მდ. ბზიფის აუზიდან მდ. კელასურამდე არის გამოხაზული, რომელიც მას ოდიშის („მეგრია“) სამთავროდან გამოყოფს. რუკაზე ამ მდინარის გასწვრივ სიმაგრეთა სისტემაა დატანილი. ეს არის ე.წ. „კელასურის კედლის“ ერთი ნაწილი, რომელიც ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა XVII ს. 40-50-იან წლებში აფხაზთა თავდასხმების აღსაკვეთად ააგო.

აფხაზეთის („აბაზას“) ტერიტორიაზე ყველაზე ჩრდილო-დასავლეთით დატანილია დერბენდი („დრბნდ“), რომელიც გვიანშუასაუკუნეებში გაგრის თურქული სახელწოდებაა. მის მახლობლად ბიჭვინთაა („ბუჯინდუ“). იქვე ახლოს, ზღვისპირას – სოუკსუ („სლუკსუ“, ბომბორის ნავსადგური). ბიჭვინთის მიდამოებშივე, ზღვიდან მოშორებით დატანილია ლიხნი („ნხლ“), რომელიც გვიან შუასაუკუნეებში შარვაშიძეთა საგვარეულოს მთავარი რეზიდენციის – ზუფუს სინონიმია. უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით დატანილია უსახელო მდინარე (მდ. ალაცონწყალი, დღევანდელი ააფსთა) და მის მარჯვენა ნაპირზე „ალჩა“ (ალაყო). ამ მდინარის სამხრეთ-აღმოსავლეთით – ანაკოფია („არსლანლარ“) და სოხუმი („სხუმ“).

მდ. კელასურის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგურამდე რუკაზე ოთხი მდინარეა გამოხაზული. მათ შორის წარწერა მხოლოდ მდ. კოდორს („კოდორ“) გააჩნია. მდ. კოდორის ნაპირზე დატანილია დრანდა („თრნთე“), ხოლო მდ. კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვისპირას, ილორი („ილეურ“) და ისკურიის კონცხი („ისკურჯე-ბურნი“).

მდ. კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უსახელო მდინარის ნაპირზე დატანილია მოქვი („მოკვ“). წარწერა არც მდ. ენგურს გააჩნია. მის მარცხენა ნაპირზე, შესართავთან ანაკლია//ანაკრია („ანკრა“) არის დატანილი. მდ. ენგურის ნაპირზე დატანილია ასევე XVII საუკუნის კათოლიკური მისიონერული ცენტრი ნიფურია („სპია“).

შუა საუკუნეების ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისა და

აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენის საშუალებას იძლევა 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკა; ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის – ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758 წწ.) რუკათა ატლასები და მისი საისტორიო თხზულება.

დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკა მისმა შემდგენელმა ტიმოთე გაბაშვილმა, როგორც იმერეთის სამეფოს ელჩმა, 1738 წელს რუსეთის იმპერატორს მიართვა. რუკაზე დასავლეთ საქართველოს ყველა მხარის, მათ შორის, ოდიშისა და აფხაზეთის უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტები, მდინარეები, ეკლესია-მონასტრები და ციხე-სიმაგრეებია დატანილი. რუკაზე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორია მკვეთრად გამოიჯნული არ არის. სასაზღვრო ხაზის როლს, ჩვეულებრივ, მხარის აღმნიშვნელი წარწერა ასრულებს. რუკაზე აფხაზეთი ანაკოფიიდან კაპოეტის წყლამდე შავიზღვისპირეთს მოიცავს: ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც ანაკოფიის მდინარე (ფსირცხა) უნდა იყოს, დაბა „ზუფუფუს“ (ზუფუ) თავზე საგანგებო წარწერაა – „აფხაზეთი“, ხოლო მდ. „კაპოეტის წყლის“ (ბზიფის) მარჯვენა ნაპირზე – „აქეთ ჯიქეთი“.

ზუფუში მთავრის ციხე-დარბაზია დატანილი. აქვე აღნიშნულია „ლიხინის მონასტერი“. ლიხინი დამახინჯებული ლიხნია, ზუფუს მეორე სახელწოდება. ეს გეოგრაფიული სახელი საისტორიო წყაროებში პირველად ამ რუკაზეა დამოწმებული. ზუფუს დასავლეთით, ბიჭვინთაა დატანილი. რუკაზე „კაპოეტის წყლის“ და მდ. ფსირცხასთან ერთად მდინარე „ალაცუ“ (მდ. ააფსთა) არის აღნიშნული. ტ. გაბაშვილს, როგორც ჩანს, ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მდ. ფსირცხის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოდიშის (სამეგრელოს) შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. აქ ყველაზე ჩრდილო-დასავლეთით ანაკოფიაა დატანილი ციხესიმაგრითა და ეკლესიით.

მდინარეებს – ფსირცხასა და „ეგურს“ (ენგური) შორის ტერიტორიაზე დატანილია მდინარეები – „გუმუსტა“ (გუმისთა), „კოდორი“ და „ლალიცკა“ (ლალიძგა). გუმისთა ქართულად გუმის//გუმას მდინარეს ნიშნავს. ამ წარწერით ირკვევა, რომ გუმა, როგორც მხარე, 1737 წელს უკვე არსებობდა. მდინარეებს, ფსირცხასა და ენგურს შორის სამი საეპისკოპოსო კათედრალია დატანილი: ბედიის, მოქვისა და დრანდის. აქვე აგრეთვე გამოხატულია ქიაჩის, ილორის, კამანის ეკლესიები.

რუკაზე ცალ-ცალკეა აღნიშნული „ცხომის ციხე“ და „სოხუმის ციხე“. „ცხომის ციხე“ არის შუა საუკუნეების ციხესიმაგრე – ბაგრატიონის ციხე, რომლის ნანგრევებმა დღემდე მოაღწია მდ. ბესლეთის, ძველი ცხომისწყლის მარცხენა ნაპირზე. ტ. გაბაშვილი სოხუმის ციხეში მის დროს თურქ-ოსმალების მიერ ახლად აშენებულ ციხე-

სიმაგრეს გულისხმობს, რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი ქ. სოხუმში ზღვის სანაპიროზე. წარწერაში აღნიშნულია: „სოხუმის ციხე. ქართულად აყუ ქვიან“. აყუ სოხუმის აფხაზური სახელიდან – აყვა, მოდის. ეს სახელწოდება ქართული საისტორიო წყაროებიდან პირველად სწორედ აქ არის დამოწმებული.

ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის – ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და რუკათა ატლასები ძალიან საინტერესოა აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების შესწავლის თვალსაზრისით. ვახუშტი ბაგრატიონი XV-XVI საუკუნეების აფხაზეთის საზღვრებს იძლევა თავისი საისტორიო თხზულების ქვეთავში „აფხაზეთისათვის“. ამ ქვეთავში საქართველოს ეს მხარე მხოლოდ დღევანდელ გუდაუთის რაიონს მოიცავს. თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი „ანაკოფიის მდინარიდან“ მდ. ეგურამდე (ენგურამდე) ვახუშტი ბაგრატიონს ოდიშის (სამეგრელოს) საზღვრებში შეჰყავს, თუმცა არც იმის აღნიშვნა ავინწყდება, რომ თხზულების შედგენის ხანისთვის, ანუ XVIII საუკუნის 40-იან წლებში, აფხაზეთსა და ოდიშს (სამეგრელოს) შორის სასაზღვრო ხაზი ბევრად უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, „ეგრისის მდინარეზე“ (მდ. ლალიძგაზე) გადიოდა.

ვახუშტი ბაგრატიონის 1745 წლის ატლასში, ყველაზე სრულად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გამოხაზულია რუკაზე – „ქარტა ანუ რუკა ოდიშისა ეგურისწყლის დასავლეთის კერძოსი ზღვამდე, და შავი ზღვა აზავამდე. მისი შემდინარე მდინარენი ყუბანი და სხვანი და ქვეყანა ოდიში, აფხაზეთი და ჯიქეთი და კავკას იქითი ძველად ოსეთი და აწ ჩერქეზი და ყუბანი და ზღვის კიდე ძველად პაჭანიკი აწ სხვისა სახელის მქონებელი“, რომელზედაც შავი ზღვისპირეთი მდ. ენგურის შესართავიდან მდ. ყუბანის შავ ზღვაში ძველ შესართავამდე არის გამოხაზული.

მდ. ეგურის (ენგურის) ჩრდილო-დასავლეთით ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს მდინარეებს „დადისწყალს“ (მდ. ოქუმი), „ეგრისის წყალს“ (მდ. ლალიძგა). ზღვის პირას, გეოგრაფიულ აღწერილობაში მოხსენიებულია და რუკებზე დატანილია ილორის წმ. გიორგის ეკლესია, ბედი და მისი საეპისკოპოსო კათედრალი, მოქვის საეპისკოპოსო ტაძარი, დრანდის საეპისკოპოსო ეკლესია, დაბა კოდორი. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში, მდ. კოდორის ჩრდილო-დასავლეთით მოხსენიებულია და რუკებზე დატანილია „მდინარე ცხომისა“ (მდ. ბესლეთი) და ქალაქი „ცხომი“. ოდიშის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ პუნქტად ვახუშტი ბაგრატიონი „ქალაქ ანაკოფიას“ (ახალი ათონი) და მის დასავლეთით „ანაკოფიის მდინარეს“ (მდ. ფსირცხა) ასახელებს. „ანაკოფია“ და „ანაკოფიის მდინარე“ მართლაც წარმოადგენდა ოდიშისა და აფხაზეთა საერისთავოებს შორის საზღვარს XIV-XVI საუკუნეებში.

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებასა და რუკებზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დასახელებულია: „ალაცოს წყალი“ (დღევანდელი მდ. ააცი, იგივე ბაკლანოვკა), „ზუფუს მდინარე“ (დღევანდელი მდ. ხიფსთა), „მუნის წყალი“ (დღევანდელი მდ. მჭიშთა) და „კაპეტის მდინარე“ (დღევანდელი მდ. ბზიფი). მდ. ზუფუსწყლის მარცხენა ნაპირზე დატანილია „ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა“ (დღევანდელი ლიხნი), ხოლო ბიჭვინთის ყურის პირას „კაპეტის წყალის“ მარცხენა ნაპირზე „ბიჭვინტას ეკლესია ... საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა“. თანამედროვე აფხაზეთის ის ნაწილი, რომელიც მდ. ბზიფის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, ვახუშტი ბაგრატიონს ჯიქეთის შემადგენლობაში შეჰყავს.

აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობა შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში ჯიქების, ხოლო მათი განსახლების ტერიტორია ჯიქეთის სახელით მოიხსენიება. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ჯიქები ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში იყვნენ მოქცეული – ჯიქეთი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია იყო. საფიქრებელია, რომ ჯიქები მათ ქართველებმა შეარქვეს, კატისებრთა ოჯახის, ვეფხვის მსგავსი მტაცებელი ცხოველის, ჯიქის სახელის მიხედვით. ტომის სახელი ჯიქი და ასევე ქართული -ეთ სუფიქსით გაფორმებული ქვეყნის სახელი ჯიქეთი (ისევე, როგორც: ოსეთი, ინგუშეთი) ქართულიდანაა შესული რუსულ ენაში.

VIII საუკუნის მიწურულს დასავლურქართული სახელმწიფოს „აფხაზთა“ სამეფოს შექმნის დროიდან მაინც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ნიკოფსიამდე მის შემადგენლობაში შედიოდა. მდ. ნიკოფსია თანამედროვე მდ. ნეჩეფსუხოა, რომელიც ამჟამინდელ ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით ერთვის შავ ზღვას. ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით, ზღვით დაახლოებით 20 კმ-ზე, დღევანდელ სოფელ ნოვომისხაილოვსკისთან მდებარეობდა ქ. ნიკოფსია, ქვეყნის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პუნქტი. ჯიქეთი უშუალოდ „აფხაზთა“ სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოს ერთიანი მონარქია შეიქმნა, ჯიქეთი ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს საზღვრისპირა რეგიონია. ერთიანი ქართული სამეფოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ქ. ნიკოფსიასთან, მდ. ნიკოფსიაზე გადიოდა და ასე იყო საუკუნეების განმავლობაში. დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში დოკუმენტურადაა დაფიქსირებული, რომ XI ს. შუა ხანებში ნიკოფსია უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შემოდიოდა. ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობისას გიორგი მთაწმინდელი აღნიშ-

ნავდა: „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მეფობის პერიოდში შემუშავდა ფორმულა, რომლის მიხედვით ერთიანი ქართული სახელმწიფოს ტერიტორია „ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღვამდე“ (კასპიის ზღვა) ვრცელდებოდა. უკანასკნელად ნიკოფსია ქართულ წყაროებში XIV საუკუნის შუა ხანებში, დავით IX-ის (1346-1360 წწ.) მეფედ კურთხევისას იხსენიება. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, XV საუკუნის II ნახევრიდან ჯიქეთი საქართველოს ჩამოშორდა, თუმცა XVI-XVIII საუკუნეებში შედგენილ (მათ შორის რუსეთში) რუკებზე საქართველოს საზღვარი ქ. ნიკოფსიასთან თუ მდ. ყუბანის შესართავთან გადის. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში იყო მოქცეული ასევე მდ. ყუბანის აუზიც. ნიშანდობლივია, რომ ისტორიული ჯიქეთის ტერიტორიაზე და ყუბანის აუზში დღემდე არის შემორჩენილი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები.

ფლავიუს არიანე (ახ.წ. II ს.) ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იხსენიებს ძველ ლაზიკას, რაც ამ მხარეში ქართული ტომების განსახლების უტყუარი მონაწილეა. ქართული წყაროების „ეგრისი“ რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში ლაზიკის, ხოლო მისი მოსახლეობა ლაზი-ს სახელით იყო ცნობილი. V საუკუნის ანონიმი ამ პუნქტს უკვე ნიკოფსიის სახელით მოიხსენიებს. შუა საუკუნეების საზღვაო რუკებზე დღევანდელი სოჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. მზიმთას შესართავთან, დღევანდელი ადღერის ადგილას დატანილია *Laiazo//Layazo//Laiaco* (ლაიაჟი). მას XIX საუკუნის პირველ მესამედში იხსენიებენ აფხაზი ეთნოგრაფი სოლომონ ზვანბა, ალექსანდრე ნორდმანი. სახელწოდება ქართულია. მისი ფუძეა ლია (მეგრ. საფლობი, ტალახი), რომელსაც ქართული ტოპონიმების მანარმოებელი -ში სუფიქსი ანარმოებს.

ყუბანის აუზში მდ. ქურჯიფსის, მდ. ბელაიას მარცხენა შენაკადის სახელწოდება ადიღეურად „ქართველის წყალს“ (ადიღ. ქურჯ – ქართველი, ფსი – მდინარე) ნიშნავს. ადიღელების წარმოდგენით ის საქართველოდან მოედინება. ადიღური თქმულება ქართულ სამყაროს უკავშირებს მდ. ბელაიას (ყუბანის მარცხენა შენაკადი) სახელსაც. მდ. ლაბას (ყუბანის მარცხენა შენაკადი) სახელწოდებაც ქართულად იხსენება (სვან. ლაბნა – „წყარო“). მდ. ლაბას ქვემო წელზე არის ადგილი „სონე იმეზ“, რაც ადიღეურად „სვანების ტყეს“ ნიშნავს.

სოჩის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. შახეს აუზში, ერთ-ერთ ქედს ჰქვია სონჩთხ, რაც ადიღეურად სიტყვა-სიტყვით სვანების ქედს (ადიღ. სონჩ – „სვანი“, თხ – „ქედი“) ნიშნავს. ამ ქედზე არის ადგილი, რომელსაც ჰქვია სონჩ (ადიღ. სვანებისა). ქ. ტუაფსეს მახლობლად არის ქედი, რომელსაც „გუჯეურიუ“ ჰქვია. ამ ქედზე არის ადგილი,

სახელწოდებით „ნაბლის ტევრი“. გუჯეურიუ ადილეურად ვერ იხსნება, მაგრამ სვანურად (გვიჯეურიუ) ნაბლიანს (სვან. გვიჯ, გვიჯრა – „ნაბლი“) ნიშნავს. ტუაფსეს დასავლეთით, გელენჯიკის მიდამოებში არის ქედი, რომელსაც ეწოდება კოცეხურ. სახელწოდება ადილეურად ვერ იხსნება, მაგრამ სვანურად მწვერვალთან ქედს (სვან. კაცხ – თხემი, მწვერვალი, მთის წვერი) ნიშნავს. ანაპის დასავლეთით, ზღვის სანაპიროზე, მარილიანი ტბის ნაპირზე არის ორი დასახლება – ნიჟნე ჯემეტე და ვერხნეე ჯემეტე. ადილეურად ვერც ეს ტოპონიმები იხსნება. სვანურად ჯიმ//მეგრულად ჯიმუ – მარილს ნიშნავს. მართლაც, ნიჟნე ჯემეტე მლაშე ტბის, ლიმანის ნაპირზე მდებარეობს და, როგორც ჩანს, ადრე ამ დასახლების მკვიდრნი აქ მარილს მოიპოვებდნენ. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ქ. გელენჯიკის სახელსაც ქართულად ხსნიან – მეგრ. „გალენ ჯიხა“, გარეთა, განაპირა ციხე.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდება ანაპა, რომელიც ადილეურად არ იხსნება, შეიძლება ქართული ენის მეშვეობით აიხსნას. საფიქრებელია, რომ ის თავდაპირველად ჟღერდა როგორც სანაპ, რაც ადილეურად „სვანების მხარეს“ ნიშნავს. საგულისხმოა, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსი (ახ. წ. II ს.) სწორედ ამ მხარეში მოიხსენიებს სვანო-კოლხებს, ხოლო სომეხი მემატინე ფავსტოს ბუზანდაცი (V ს.) ეგეროსვანებს იხსენიებს. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია ბუდბერგი (1806-1807), 1806 წლის 25 სექტემბერს კავკასიის ხაზის უფროსს და საქართველოს მთავარსარდალს ივან გუდოვიჩს (1806-1809) შავი ზღვის სანაპიროს ანაპიდან აფხაზეთის ჩათვლით დაუფლების აუცილებლობის შესახებ წერდა: „ეს ციხეები უძველესი დროიდან საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ამიტომ არ შეიძლება არ გვსურდეს ყველა ამ ადგილის რუსეთთან შეერთება და მთის ხალხების, ყუბანს იქით მცხოვრები ტომების დამორჩილება, რომლებიც ანაპასა და სხვა თურქულ ციხეებში პოულობენ თავშესაფარს“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოჩა, მდინარე და ქალაქი მის შესართავში, რომლის ეტიმოლოგიას უბიხების ერთ-ერთ თემს შვარჩეს უკავშირებენ, შესაძლოა მომდინარეობდეს სიტყვიდან სონჩ, რაც ადილეურად ნიშნავს „სვანებისა“.

ქართული და უცხოური საისტორიო წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ XVII საუკუნის 80-იან წლებამდე მდ. კელასურსა და მდ. ენგურს შორის მოსახლეობა მთლიანად ქართულია. ქართულია ამ მხარის ტოპონიმაც.

აფხაზთა ექსპანსიის შედეგად ისტორიული ტოპონიმების ნაწილი გაქრა, ნაწილს კი სახელწოდება შეეცვალა. ასე, მაგალითად: კაპოეტის წყალს//კაპოეტის მდინარეს ბზიფი ეწოდა, ალაცოს წყალს – ააფსთა, ზუფუს მდინარეს – ხიფსთა, მუნის წყალს – მჭიმთა, ციხე-ქალაქ ანაკოფიას და ანაკოფიის მდინარეს – ფსირცხა, ცხომის წყალს

– ბესლეთი, სოფ. მარმარისკარს – მარმალ აბაა (აბაა, აფხ. კოშკი, ციხე, ციხესიმაგრე), სოფ. კელასურს – აბგიძირა (აფხ. შინდი), სოფ. ჭალას – ჭლოუ, სოფ. ღალიძგას – ბესლახუბა, სოფ. თილითს – აბაა-ჟვახუ (აფხ. ძველი ციხესიმაგრის ბორცვი), სოფ. შქა წყარს (მეგრ. შუა წყალი, მდ. კოდორის დელტაზე) – აძუბუა, რაც ქართული სახელწოდების პირდაპირი თარგმანია აფხაზურად.

აფხაზეთსა და ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩამოსახლებული მთიელები გვაროვნულ თემებად (აფხაზურად აქითა) სახლდებოდნენ. ცალკეულ გვარებს ეკავათ მთელი სოფლები: სოფ. ბაზარქით დასახლებული იყო გვარით ბაზბა, სოფ. ბალარქით – გვარით ბაღბა, სოფ. ყულანურხვა (აფხ. ყულანების მალლობი, – გვარით ყულანბა („ხვა“ აღნიშნავს როგორც გვაროვნულ-თემობრივ დასახლებას, ასევე ბორცვს), ჩაბალურხვა – გვარით ჩაბაღ, ზვანდრიფში – გვარით ზვანბა, თარკილაარჰაბლა (თარკილების უბანი) – გვარით თარკილ, ეშქით (სოფ. ბედიას ერთი ნაწილი) – გვარით ეშბა.

აფხაზეთი, XIX საუკუნის ქრონიკა

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო-სამთავროები ნაწილ-ნაწილ შეიერთა. 1810 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა აფხაზეთი როგორც საქართველოს ერთ-ერთი მხარე. ამ დროისათვის, აფხაზეთის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად მდ. ბზიფი ითვლებოდა, რადგან მდ. ბზიფის დასავლეთით მიწა-წყალი ჯიქებს ჰქონდათ მიტაცებული. სამხრეთ-დასავლეთით მისი საზღვარი მდ. ღალიძგაზე გადიოდა, სადაც მას ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო ესაზღვრებოდა.

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ აფხაზეთის საბოლოოდ დამორჩილების მიზნით 1830 წელს „აფხაზეთის ექსპედიცია“ მოაწყო და შავი ზღვის სანაპირო პუნქტები – გაგრა, ბიჭვინთა, ბომბორა დაიკავა. რუსებმა აქ ციხესიმაგრეები ააგეს და მეციხოვნეები ჩააყენეს. იმავე ხანებში, 1834-1835 წლებში, კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ რედუტ-კალედან (ყულევი), რომელიც მაშინ საქართველოს შავიზღვისპირეთში მნიშვნელოვანი საზღვაო პუნქტი იყო, სოხუმამდე და სოხუმიდან ბომბორისა და ბიჭვინთის გავლით გაგრამდე გზა გაიყვანა. გზის გაყვანის შემდეგ მდ. ბზიფსა და მდ. ბაღრიფსტას შორის ტერიტორია აფხაზეთის მთავრის და, შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლების იურისდიქციაში მოექცა.

იმპერიის ხალისუფლებას სურდა კავკასია „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრა რუსეთთან და მის განუყოფელ ნაწილად ექცია“, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა „ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“. ამ გეგმის

განხორციელებას რუსეთის ხელისუფლება კოლონიზაციის საშუალებით ცდილობდა, რადგან მხარის ათვისების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ეს ღონისძიება მიაჩნდა.

რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა პოზიციების განმტკიცებას აფხაზეთში. 1837 წლის მაისში კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ კოდორის შუა და ზემო წელის აუზში ნებელი და დალი იარაღის ძალით დაიმორჩილა და აქ უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. ამ დროიდან თემის ქართული სახელი „ნებელი“ რუსულმა „ნებელდამ“ შეცვალა, რომელიც ნებელსა და დალს აერთიანებდა. შეიქმნა ნებელდის საბოქაულო ადმინისტრაციული ცენტრით სოფ. მრამბაში. იმავედროულად სამურზაყანო, ტერიტორია მდ. ენგურსა და მდ. ლალიძგას შორის, რომელიც ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში შედიოდა, 1840 წელს ჩამოერთვა სამეგრელოს მთავარს და აქ რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამურზაყანოს საბოქაულო შეიქმნა.

1864 წლის ივლისში ცარიზმმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. იმავედროულად, რუსეთის ჯარის ნაწილებმა აფხაზეთის მთის თემი ფსხუ, მდ. ბზიფის შუა წელში, დაიკავეს. ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი (3600 კაცზე მეტი), ვისთვისაც მიუღებელი იყო რუსეთის იმპერიაში ცხოვრება, ოსმალეთში, ხოლო მცირე ნაწილი (900-მდე კაცი) ყუბანის ოლქში გადასახლდა. ამის შედეგად მდ. ბზიფის შუა წელი მთლიანად დაცარიელდა.

1866 წელს რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზები აჯანყდნენ, რომელიც იმპერიის ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო. აფხაზთა ანტირუსული, ანტიკოლონიური აჯანყების შემდეგ, 1866 წლის აგვისტოში, აფხაზეთში ახალი ადმინისტრაციული რეფორმა გატარდა. „აფხაზეთის, ქ. სოხუმთან ერთად, ნებელდისა და სამურზაყანოს მიწებისაგან“ შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც ბიჭვინთის, დრანდის, ნებელდის, ოქუშის ოკრუგებად დაიყო. ამდენად, ნებელდის ოლქი (ისტორიული ქართული თემები ნებელი და დალი კოდორის ხეობის შუა და ზემო წელში) და სამურზაყანო (ტერიტორია მდ. ენგურსა და მდ. ლალიძგას შორის) აფხაზეთს შეუერთეს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ოსმალეთში გაესახლებინა მის მიმართ განსაკუთრებით მტრულად განწყობილი მუსლიმანი და წარმართი აფხაზები, პირველ რიგში, კოდორის ხეობიდან და შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან. 1867 წლის გაზაფხულზე რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზები ოსმალეთის იმპერიაში მასობრივად გადაასახლა, რაც ისტორიაში აფხაზთა მუჰაჯირობის სახელით შევიდა. აფხაზეთიდან ოსმალეთში იძულებით გაასახლეს 3358 ოჯახი, 19342 სული. თითქმის მთლიანად დაიცალა კოდორის შუა და ზემო წელი – ნებელი და დალი. ამ თემების 15 ათასიანი მოსახლეობა სამკვიდროდან აყარეს და უცხოეთში გადაა-

სახლეს. 1868 წლის მონაცემებით, ნებელში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დალში – არცერთი.

მუჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთის კოლონიზაცია დაიწყო. კოდორის ხეობის კოლონიზაციის მიზნით, 1867 წელს აქ 6 პუნქტი გამოიყო რუსეთიდან გადმოსული მოსახლეობის დასახლებლად: მიხაილოვსკოე (მდ. ამტყელის სანაპიროზე), ოლგინსკოე (აღმოსავლეთ მაჭარის სათავესთან), ალექსანდროვსკოე (მდ. კელასურზე), ანასტასიევსკოე და ნიკოლაევსკოე (მდ. ნაუშზე, ყოფილი სოფლის ნაუშის ტერიტორიაზე), გეორგიევსკოე (სოფ. ჯამპალის ტერიტორიაზე). ხელისუფლებას სურდა ნებელში აუცილებლად რუსები ჩაესახლებინა, მაგრამ ისინი პირველ ხანებში ხალისით არ მოდიოდნენ: უჭირდათ ადგილიდან დაძვრა, ამინებდათ გადასახლების სირთულე, ჰავის საკითხი და სხვ. ამასთან, მიწის სიმწირე-სივიწროვით სულმეხუთული ქართველები დასავლეთ საქართველოდან აქ დასახლებლად მოიწვედნენ. ქართველების დამკვიდრება აფხაზეთში ხელისუფლების შემფოთებას იწვევდა, ამიტომ, რაკი რუსები ნაკლებად მოდიოდნენ, ცარიზმმა არჩევანი უცხოელებზე (სლავები, სომხები, ბერძნები და სხვ.) შეაჩერა. ოსმალეთიდან გადმოსახლებული პირველი ბერძენი კოლონისტები 1869 წლის თებერვალ-მაისში ჩაასახლეს სამ სოფელში – ალექსანდროვსკოეში, გეორგიევსკოეში და ოლგინსკოეში; 1869 წლის ივნისში ანასტასიევსკოესა და ნიკოლაევსკოეში ჩაასახლეს ტირასპოლის გუბერნიიდან გადმოსახლებულ ბულგარელთა 62 ოჯახი. იმავდროულად ხელისუფლებამ ვრცელი მიწა-წყალი უბოძა რუს ჩინოვიეებს – სამხედრო და სამოქალაქო პირებს. 70-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიამ აფხაზეთში სამონასტრო კოლონიზაციაც დაიწყო. 1872 წელს დაფუძნდა ბიჭვინთის რუსული მონასტერი, 1875 წელს ფსირცხაში – ათონის მთის წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ფილიალი, რომელთაც დიდი ტერიტორიები გამოეყო.

1877 წელს აფხაზთა ანტირუსული, ანტიკოლონიური აჯანყება მოეწყო, რომელიც ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო. აფხაზთა აჯანყებას მუჰაჯირობის ახალი ტალღა მოჰყვა. აფხაზთა ერთი ნაწილი, აგრეთვე მცირე რაოდენობით ქრისტიანი ქართველები და ბერძნები იძულებით ოსმალეთში განდევნეს. სულ მუჰაჯირობაში ამ დროს დაახლოებით 32 ათასი კაცი წავიდა. თუკი ადრე აფხაზეთის მთის თემები – ფსხუ, ნებელი, დალი, – დაიცალა, ახლა თითქმის მთლიანად დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი. გაუკაცრიელებული აფხაზეთი დამთრგუნველი სანახავი იყო. როგორც ნიკო მარი წერდა, „აფხაზეთის ცენტრალური ეთნოგრაფიული ნაწილიც კი გაუკაცურდა... დარჩა მხოლოდ გაველურებული ეზოები ხეხილით, არ იყო არცერთი აფხაზი და არც აფხაზური სიტყვა ისმოდა“ („ни души абхазской, ни звука абхазского“).

რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში მიმართული იყო აფხაზთა და

ქართველთა წინააღმდეგ. იგი ცდილობდა, არ დაეშვა აფხაზეთის ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში დაბრუნება. 1877 წლის ანტირუსული აჯანყების გამო, იმპერატორ ალექსანდრე II-ის 1880 წლის 31 მაისის ბრძანებულებით, გუდაუთის, გუმისთისა და კოდორის უბნების აფხაზურ მოსახლეობას ჩამოერთვა მიწაზე საკუთრების უფლება და მათი მიწები სასაპრო უწყებას გადაეცა; აფხაზებს აეკრძალათ სოხუმიდან 20 ვერსზე და სანაპირო ზოლში მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შორის ცხოვრება და „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი მიენიჭათ. ეს სტატუსი აფხაზებს მხოლოდ 1907 წელს მოეხსნათ.

იმპერიის ხელისუფლების უმთავრეს საზრუნავს აფხაზეთის დასახლება შეადგენდა, მაგრამ ხელისუფლების დიდი მონდომების მიუხედავად, აფხაზეთის კოლონიზაცია გაჭიანურდა. რუსები ვერ ეგუებოდნენ აფხაზეთის პირობებს – ნოტიო ჰავა, ტყიანი, მთიანი ქვეყანა, ჭაობიანი სანაპირო ზოლი; პური აქ არ მოდიოდა, მარცვლეული კულტურებიდან მხოლოდ სიმინდი მოდიოდა, რაც შეუჩვეველი იყო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხებისათვის; სანაპირო ზოლში ციებიანი ჰავა მუსრს ავლებდა კოლონიზატებს.

ასეთ ვითარებაში, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა გადმოდოდა და მკვიდრდებოდა აფხაზეთში, აშრობდა ჭაობებს, კავავდა ბუჩქნარებს და მეურნეობას მისდევდა. ქართველი საზოგადოებრიობა თვლიდა, რომ დაცარიელებული აფხაზეთისთვის საუკეთესო კონტინგენტს დასავლეთ საქართველოს მხარეების სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრნი შეადგენდნენ. ამასთან, ეს იქნებოდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენაც – ქართველების დაბრუნება თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე.

XIX საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთში კოლონიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო. 60-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლებში აფხაზეთში შეიქმნა: ესტონელების სოფლები *ესტონკა, სალმე* და *სულევო*, გერმანელების – *გნადენბერგი, ნაიდორფი, ლინდაუ*; ბერძნების – *ანდრეევკა, კონსტანტინოვკა, ხრისტოფოროვო*; სომხების – *კავაქლუქი, გომენდაკ-დერეკეი, კირქლუქი, ოტლუქი* და სხვ. აფხაზეთში მრავლად გაჩნდა ახალი გეოგრაფიული სახელები: *ალექსეევკა, ბარანოვო, ვერხნაია და ნიჟნაია ბებუთოვკა, ზახაროვკა, ივანოვო-ალექსეევკა, პეტროვკა, პეტროპავლოვსკოე, პილენკოვო, პოლტავო-ალექსანდროვსკოე, ჩერნიგოვკა, ხოლოდნაია რეჩკა* და სხვ. შეიცვალა ძველი ადგილობრივი სახელწოდებები: სოფ. *კოდორს ვლადიმროვკა* ეწოდა, *ნაას – ნიკოლაევი-ანასტასიევკა, აკაფას – კონსტანტინოვკა, გუმას – მიხაილოვკა, ფარნაუთს – ივანოვო-ალექსეევკა, დოპუაქითს – ესტონკა, ალანს – პეტროვსკოე, აბგიძირას – ეკატერინოვკა, ააცს – ბაკლანოვკა* და ა.შ. ქართულ ისტორიულ სოფლებს სახელები შეეცვალა: *ხოფს ხვაფი* ეწოდა, *წყუბუნს – შაუმიანოვკა, დაღს – მიასნიკოვკა*

და ა.შ. მიუხედავად ხელისუფლების წინააღმდეგობისა, ქართველები მაინც დამკვიდრდნენ აფხაზეთში: სანაპირო ზოლში – მეგრელები, გორაკ-ბორცვიან ადგილებში – რაჭველები და ლეჩხუმელები, მთიან ნაწილში, – კოდორის ზემო წელში – სვანები.

უცხოელთაგან, ვინც აფხაზეთის ბუნებასა და კლიმატურ პირობებს შეეგუა, ბერძნები და სომხები იყვნენ. გარდა იმისა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბერძნული და სომხური თემები მრავლად დამკვიდრდა აფხაზეთში, I მსოფლიო ომის წლებში (1914-1918) მრავალმა ათასმა დევნილმა სომეხმა და ბერძენმა აფხაზეთში ჰპოვა თავშესაფარი.

1883 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილება სოხუმის ოკრუგად გარდაიქმნა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში დარჩა. თავდაპირველად, სოხუმის ოკრუგს, ისევე როგორც სოხუმის სამხედრო განყოფილებას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგური, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მდ. ბალრიფსთა (Бегерпста) საზღვრავდა. იმავდროულად, სამურზაყანოს კუთვნილი სოფელი ილორი, მდ. ლალიძგის მარცხენა ნაპირზე, კოდორის უბანს გადაეცა და საზღვარმა კოდორისა და სამურზაყანოს უბნებს შორის მდ. ლალიძგიდან მდ. ოხურეიზე გადაინაცვლა. 1906 წელს სამურზაყანოს უბნის ადმინისტრაციული ცენტრი ოქუმიდან სოფელ მეორე გალში გადაიტანეს, რომელსაც ამ დროიდან გალი ეწოდა.

რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოსაცილებლად ყველა ზომას მიმართავდა. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის (1894-1917 წწ.) 1901 წლის 9 ივლისის ბრძანებულებით, პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგს გაგრის კლიმატური სადგურის (კურორტის) აშენება დაევალა. იმავე წლის ოქტომბერში შესაბამისი სამუშაოები დაიწყო, რომელიც მალევე დასრულდა. 1903 წლის 9 იანვარს გაგრის კლიმატური სადგური გაიხსნა. იმავე წელს ქუთაისის გუბერნიას ჩამოაშორეს სოხუმის ოკრუგი, რომელიც კავკასიის სამთავარმართებლოში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად შევიდა. 1904 წლის 25 დეკემბერს გაგრის კლიმატური სადგური მიმდებარე ტერიტორიით შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს გადაეცა. ამის შედეგად, სოხუმის ოკრუგის საზღვარმა მდ. ბზიფზე გადმოინაცვლა.

საისტორიო წყაროები (XVIII-XIX სს.)

XVIII საუკუნის მიწურულიდან და XIX საუკუნის დასაწყისიდან მრავალი დოკუმენტი, საისტორიო თხზულება და რუკა შემორჩა, რომლებიც მნიშვნელოვანია აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების შესწავლის თვალსაზრისით.

უაღრესად საინტერესოა ნიკო დადიანის (1780-1834 წწ.) თხზულება „ქართველთ ცხოვრება“. ნიკო დადიანი, ოდიშის (სამეგრელოს) სამთა-

ვროს სარდალი და მსაჯულთუხუცესი (მდივანბეგთუხუცესი) უაღრესად განსწავლული პიროვნება, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამთავროს მართვაში. ნ. დადიანმა „ქართველთ ცხოვრება“ შეადგინა როგორც მშობლიური ისტორიის სახელმძღვანელო. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ორი – უძველესი დროიდან 1740 წლამდე, წარმოადგენს წინამორბედ ავტორთა, უმთავრესად „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების შემოკლებულ რედაქციას, მესამე ნაწილი კი ორიგინალურია და მოიცავს 1740-1823 წწ. დასავლეთ საქართველოს ისტორიას, სადაც ავტორი აღწერილი მრავალი მოვლენის თანამედროვე და ზოგჯერ უშუალო მონაწილე, მრავალ ფასეულ ცნობას გვანჯდის.

ძალიან საინტერესოა XVIII-XIX სს. მოგზაურების ცნობები.

გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა (1771) იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745-1781) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით 1768-1774 წწ. მონაწილეობა მიიღო ექსპედიციაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა. 1771-1772 წწ. მან საქართველოში იმოგზაურა. საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად გიულდენშტედტმა აფხაზეთიც მოიარა. ის იხსენიებს ისეთ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, როგორიცაა: გაგრა, ბიჭვინთა, კაპეტის წყალი, ზუფუ, ანაკოფია, ცხომი, ილორი, ყოფილ საეპისკოპოსო ცენტრებს – დრანდას, მოქვს, ბედიას.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე (1798-1850), შვეიცარიელი მეცნიერი და მოგზაური, რომელმაც 1833 წელს იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე; 1831-1834 წწ. იმოგზაურა ყირიმსა და კავკასიაში, რომლის შედეგებიც მან გადმოსცა ექვსტომიან ნაშრომში „მოგზაურობა კავკასიის გარშემო, ჩერქეზებთან და აფხაზებთან, კოლხიდაში, საქართველოში, სომხეთსა და ყირიმში“, რომელსაც დართული აქვს ატლასი მრავალი ჩანახატით, ნახაზით და სქემით, რომელიც გაკეთებულია ავტორის მიერ.

ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833), ფრანგი დიპლომატი, მოგზაური და მენარმე, საფრანგეთის კონსული თბილისში 1819-1824 წწ. რომელმაც XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში იმოგზაურა საქართველოს შავი ზღვისპირეთში.

1831 წელს გამოქვეყნდა აბრიუცკის მიერ შეგროვილი ტოპონიმიკური მასალები, სადაც დასახელებულია: აფხაზეთის ოლქში – 15, აბჟუის ოლქში – 18, ბზიფის ოლქში – 33, ნებელდის ოლქში – 30 სოფელი. თითქმის იდენტური მასალა აქვს მოცემული პლატონ ზუბოვს 1835 წელს გამოქვეყნებულ ნიგნში. XIX საუკუნის ავტორთაგან აღსანიშნავია: ს. ბრონევსკი, ბარონი ფ. ტორნაუ, ოდესის რიმელიეს ლიცეუმის პედაგოგი ალექსანდრე ნორდმანი (1803-1866), რომელმაც სამხრეთ რუსეთის ფლორისა და ფაუნის კვლე-

ვის მიზნით 1836 წელს აფხაზეთში იმოგზაურა. აგრეთვე გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის მამულების მმართველის, ა. პახომოვის, რუსი ოფიცრის, პოლკოვნიკ ფ.ზავადსკის მასალები.

აფხაზეთის ტოპონიმის, რელიგიური და ეთნიკური მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აფხაზეთის სამთავროს თემებში შედგენილ ახალმონათლულთა სია (1834-1836 წწ.), სადაც იხსენიება სოფლები – კვიტეული//კვიტაული, ტამუში, კინდლი, ლიხინი, ეშქითი, ათარა, ფოქევი, შქანყალი, თხინა, მოქვი.

აფხაზ მუჰაჯირთა 1867 წლის სიაში ბიჭვინთისა და დრანდის ოლქებში დასახლებულია 32 სოფელი: ფსირცხა, დაბა გუდაუთა, აფცხვა, ააცი, ხოფი, თასრაყვა, ეშერა, გუმა, იაშთხვა, აბჟაყვა, კელასური, ანუხვა, აბგარდვინი, ოჩამჩირე, გუფი, ფოქევი, მერკულა, ბესლახუბა, აკვასკა, მოქვი, ჭლოუ, ტყვარჩელი, ჯგერდა, თხინა, ათარა, დღამიში, მერხეული, აიბახუნა, ფშაფი, ბაგაჟიშთა, გულრიფში; ნებელდის ოლქში (დალის თემთან ერთად) 30 სოფელი: აქითარნუხვ, სხოცაა ჰაბლა (შვხუაცაა ჰაბლა), ამტყელი (მდ. ამტყელისა და მდ. ჯამპალის შესართავთან, ამტყელის ტბის ნაპირზე), აუშთა, ფშაური, გერზაული, უნთფირ, ნაუშ, ნაა (ამჟ. სოფ. განახლება), ბეშ-იკვარა, ბარანბა (მრამბა, ამჟამად სოფ. ნებელდის ნაწილი), შვაკვარან (შემდეგდროინდელი მიხაილოვსკოე ორი ამტყელის შესართავთან), აბგარა, ჯამპალი (ამჟამად სოფ. ამტყელის ნაწილი), პიფტა (ფიშვთა), აზანთა (ამტყელის ტბის ნაპირზე, ამჟამად სოფ. ნებელდის ნაწილი), აბგალახვარა (აბლუხვარა, ამჟამად სოფ. აზანთის ნაწილი), ყადა (მდ. აზანთის ნაპირზე, ამჟამად სოფ. ამტყელის ნაწილი), აბგიძირა (აფხ. შინდი, ამჟამად სოფ. ზემო კელასური), ჯიხაშკარ (მეგრ. „ციხის კარი“, ამჟამად სოფ. ნებელდის ნაწილი). საკუთრივ დალის თემში: დალი, აჟარა, ყამგარა, ზიმა (ამჟამად სოფ. აჟარის ნაწილი), შვაქე, ვარდა (ამჟამად სოფ. ლათის ნაწილი), თაფშ-იფა-იჰაბლა, ამჭარა, ლათა, გენწვიში.

ამ სოფლების ერთი ნაწილის ლოკალიზაცია ჭირს, რადგან ისინი სხვა წყაროებში არ გვხვდება და, ამდენად, უცნობია. მათ შორის: აქითარნუხვ, შვხუაცაა ჰაბლა (შვხუაცებების უბანი), ბეშ-იკვარა (აფხ. ბეშის მდინარე), შვაქე, თაფშ-იფა-იჰაბლა. ნაწილი ცნობილია XIX ს. 30-იანი წლებიდან, ან შემდგომი პერიოდის მასალებიდან. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კოდორის ხეობის შუა და ზემო წელში ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი.

ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ამიერკავკასიის მხარეში 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის მასალები, რომელიც 1893 წელს დაიბეჭდა თბილისში; აგრეთვე უსლარის, ჰანის, ლიულიეს, კონსტანტინე მაჭავარიანის, დიმიტრი გულიას მიერ შეკრებილი ტოპონიმის მასალები; ხატოვის 1826 წლის, სამეგრელოს 1861 წლის და სხვა რუკები; საქართველოს რუკები გა-

მოცემული აღ. ჯავახიშვილის რედაქციით (1928, 1932), საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მასალები და სხვ.

აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1918-1991 წწ.

1918 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც სოხუმის ოლქი (აფხაზეთი) ავტონომიის უფლებით შევიდა. სოხუმის ოლქი გუდაუთის, გუმისთის, კოდორის, სამურზაყანოს უბნებისაგან შედგებოდა. 1919 წლის მაისში, ოფიციალურად აღდგა რუსეთის ხელისუფლების მიერ გაუქმებული სახელი „აფხაზეთი“. სოხუმის ოლქს აფხაზეთი ეწოდა, უბნებს – მაზრები.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც 1922 წლის დეკემბერში ახლადშექმნილ სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა. საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შედიოდა აფხაზეთი. აფხაზეთის ავტონომია დღევანდელ საზღვრებში საბოლოოდ XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) პრეზიდიუმის დადგენილებით, 1929 წელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მდ. მეჰადირსა და მდ. ფსოუს შორის მდებარე ტერიტორია დაუბრუნა. ამ ტერიტორიაზე იყო სოფლები *ერმოლოვსკი* და *პილენკოვო*, რომლებიც გაგრის მაზრაში შევიდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1930 წწ. საქართველოში ძირითადი ადმინისტრაციულ ერთეულს მაზრა წარმოადგენდა. აფხაზეთში ხუთი მაზრა იყო: გაგრის, გუდაუთის, გუმისთის (1929 წლიდან სოხუმის), კოდორის, სამურზაყანოს (1925 წლიდან გალის). 1923 წელს აფხაზეთში 66 თემი იყო 350 სოფლით, ხოლო 1930 წელს 88 თემი. 1930 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში მაზრებად დაყოფა რაიონებად დაყოფით შეიცვალა. აფხაზეთის მაზრები, როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, გაუქმდა და შეიქმნა გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, კოდორის, გალის რაიონები. ქ. სოხუმი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად გამოიყო.

მაზრების რაიონებად გარდაქმნასთან დაკავშირებით, 1930 წელს აფხაზეთის მთავრობის ინიციატივით სოფ. ბეღია გაყვეს. მისი სამხრეთი ნაწილი – *მეორე ბეღია* გალის რაიონში დატოვეს, ხოლო

ჩრდილოეთი ნაწილი – აგუბედია (აფხაზურად შუა ბედია, მეგრ. გურბედიას აფხაზური თარგმანია) და პირველი ბედია – ოჩამჩირის რაიონს შეუერთეს. იმავედროულად, სოფ. რეკა გალის რაიონიდან გამოყვეს და ოჩამჩირის რაიონს შეუერთეს. 1939 წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 115 თემი იყო.

1942 წლის 9 აპრილს ტყვარჩელისა და აკარმარის მუშათა დასახლებები ოჩამჩირის რაიონის შემადგენლობიდან გამოყვეს და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ტყვარჩელი შეიქმნა.

ამავე ხანებში, 40-იან წლებში, ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლაც განხორციელდა: მიხაილოვკას ეწოდა შრომა, ოლგინსკოეს – ოქტომბერი, მარინსკოეს – ლეკუხონა, ვლადიმროვკას – კოდორი, ეკატერინოვკას – კელასური, ანდრეევკას – ახალშენი, ანასტასიევკას – განახლება, ესტონკას – ბაღნაშენი, კონსტანტინოვკას – ოდიში, ნაიდორფს – ახალსოფელი, ცუგუროვკას – გორანა, ბოგაზს – ველი, დერეკეის – მთისკალთა, ასტეროვკას – ამზარა, ფსირცხას – ახალი ათონი, მეჰადირს – ნაკადული, ლადარიანჰაბლს – აბლარხუკი, კავაქლუქს – აგარაკი, კალმუთს – ბამბუკოვანი, პილენკოვოს – განთიადი; ხრისტოფოროვოს – ბაღნარი, ერმოლოვსკს – ლესელიძე და ა. შ.

ამდენად, აფხაზეთში 1940-1944 წწ. უცხოური (რუსული, სომხური, გერმანული, თურქული, ბერძნული) გეოგრაფიული სახელწოდებები შეიცვალა და არა აფხაზური. ეს ტოპონიმები არ იყო ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებები და აფხაზეთის კოლონიზაციისა და ეთნოდემოგრაფიული ინფილტრაციის შედეგს წარმოადგენდა. 1948 წელს ავტონომიური რესპუბლიკის 63 დასახლებული პუნქტის სახელწოდებაში ნაწილობრივი ან სრული ცვლილება მოხდა. ეს ცვლილებები უმრავლეს შემთხვევაში XIX საუკუნეში შერქმეულ რუსულ და სომხურ დასახლებებს შეეხო, რომლებიც ქართული ან აფხაზური ტოპონიმებით შეიცვალა.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1935 წლის 16 აგვისტოს მიიღო საგანგებო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ“. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ ცაკის 1930 წლის დადგენილების თანახმად აფხაზეთში ყოველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გადაჯგუფების მოხდენა, სასოფლო საბჭოების დაარსება-გაუქმება, საზღვრების შეცვლა ან მათი სახელწოდების შეცვლა ცხოვრებაში უნდა ტარდებოდეს საქართველოს სსრ ცაკის დამტკიცების შემდეგ. აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სანქციის გარეშე მოხდენილია მრავალი ასეთი ცვლილება.

აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელი ორგანოები არა სათანადო ყურადღებით ეპყრობიან აღნიშნულ საკითხებს, რისი შედეგი არის

ის, რომ მთელი რიგი სასოფლო საბჭოების დადგენილებანი ამა თუ იმ ორგანოებში გაუფორმებლად ტარდება, რაც ინვევს არევ-დარევას აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში და სერიოზულ გაუგებრობებს.

წინადადება მიეცა აფხაზეთის ასსრ ცაკს, რომ შემდეგში არ განახორციელოს ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ან რომელიმე დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლა საქართველოს ცაკის სანქციის გარეშე.

იმავე დადგენილებით დამტკიცდა აფხაზეთის ცაკის დადგენილება აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ. იმავედროულად ცაკის პრეზიდიუმმა უარყო შემდეგი დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შეცვლა: ამჟავერას – III ინტერნაციონალად, ფშართლუკის – კარლ-მარქსად, ზემო ჭილოუს – რევოლუციონად, ქვემო სერთის – კომინტერნად.

წინადადება მიეცა აფხაზეთის ცაკს განიხილოს საკითხი და წარმოუდგინოს საქართველოს ცაკს დასამტკიცებლად იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შეცვლის შესახებ, რომელნიც წარმომდგარნი არიან თავად-აზნაურების, კაპიტალისტების და ფეოდალების გვარებიდან, როგორც მაგალითად: პილენკოვო, ბარანოვო, შაფრანოვო, ერმოლოვსკოე, ხრისტოფოროვო, ევდოკიმოვკა, როგოჟინო, კოვალევსკოე, ცერკოვინო-კოვალევსკოე, შურინოვო, ტროიცკოე, ზვანდრიფში და სხვ. აღნიშნული სახელწოდებების შეცვლა უნდა მოხდეს ძირითადად ადგილობრივ ამჟამად არსებული გეოგრაფიული სახელწოდებებით (სეა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, №1, საქმე 2894, ფურც. 11).

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება წინააღმდეგი იყო ხელალებით გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლის და მოითხოვდა ადგილობრივი გეოგრაფიული სახელწოდებებით მომხდარიყო შეცვლა.

50-იანი წლებიდან აფხაზეთში ფართო ანტიქართული კამპანია გაიშალა, რაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის გაყალბებას, ქართველები დამნაშავედ ცხადდებოდნენ ყველა იმ უბედურებაში, რაც აფხაზებს კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში თავს დაატყდათ. ტოტალიტარული განუკითხაობით დატანჯულ, პოლიტიკური პროცესების კულისებში ჩაუხნედავ, გაუთვითცნობიერებელ აფხაზებს ადვილად ჩაუნერგეს, რომ მათი ყველა უბედურების მიზეზი ქართველები არიან.

ასეთ ვითარებაში, 1955 და 1967 წლებში, ქართული ტოპონიმები აფხაზური და რუსული სახელწოდებებით შეიცვალა. ასე, მაგალითად: დ. ბიჭვინთას რუსული სახელი *პიცუნდა* ეწოდა, დ. ახალ ათონს – *ნოვი აფონი* (და რატომღაც არ აღადგინეს მისი ისტორიული სახელი *ანაკოფია*), *ბამბუკოვანს* – *აკალამრა*, *ბზისხევეს* – *არმიანსკოე უშჩელიე*,

ალპურს – ალპიისკოე, კოდორს – ვლადიმეროვკა, ნაკადულს – მეხადირი, ცივწყაროს – ხოლოდნაია რეჩკა, გოგირდწყალს – არსაული, კვიტოულს – კუტოლი, მეორე ათარას – ატარა არმიანსკოე, თხილოვანს – არასარა, ნეძონას – ხიზარუხა, ყირწყალს – აძიბჟარა, გუდავას – პრიმორსკი და ა.შ. ამდენად, ქართული სახელწოდებები აფხაზური, რუსული და სომხური სახელებით მიზანმიმართულად შეცვალეს.

1991 წლის აპრილში საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა. 1991 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედიოდა 5 ადმინისტრაციული რაიონი – გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის; 1 – გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია, 6 ქალაქი – გალი, ოჩამჩირა, ტყვარჩელი, სოხუმი, გუდაუთა, გაგრა; 4 დაბა – ახალი ათონი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში. ამ დროისათვის, აფხაზეთში იყო 514 სოფელი, 105 სასოფლო საბჭო. 1992 წლის ივლისში აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ეწოდა.

1991 წლის დეკემბერში სსრ კავშირი დაიშალა და მის ნაცვლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) შეიქმნა. საქართველოს რესპუბლიკამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შესვლაზე უარი განაცხადა, ამიტომ რუსეთმა მის წინააღმდეგ მთელი რიგი ბერკეტები ამოუქმედა და ხელისუფლების შეცვლაზეც იზრუნა. 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების ნაქეზებით, აფხაზი სეპარატისტები ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან გამოყოფას შეეცადნენ, რასაც 1992-1993 წწ. „აფხაზეთის ომი“, სინამდვილეში, რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომი მოჰყვა.

აფხაზეთში ომის შედეგები ძალზე მძიმე აღმოჩნდა: ოფიციალური მონაცემებით, 10 ათასამდე ქართველი და 5 ათასამდე აფხაზი დაიღუპა; აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველი მოსახლეობის გენოციდი მოაწყვეს; აფხაზეთის 300 ათასამდე მცხოვრები, მათ შორის, 200 ათასამდე ქართველი, 30 ათასამდე აფხაზი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი, იძულებული გახდა მშობლიური კერა დაეტოვებინა და დევნილად ქცეულიყო. ქართველთა გენოციდი ომის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. ოფიციალური მონაცემებით, სეპარატისტებმა ომის დასრულებიდან დღემდე ეროვნული ნიშნით 5 ათასამდე ქართველი დახოცეს. მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება აფხაზეთში ეთნონმენდად შეფასდა. 1999 წელს აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, თუმცა არცერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და სახელმწიფომ არ აღიარა.

1990-1991 წწ. სახელწოდებების შეცვლის ახალი კამპანია დაიწყო: *შეშელეთ ეწოდა რიაპი, მზიურს – შაშკვარა, რეჩხს – პატრახუნა და ა.შ.* 1992-1993 წლების ომის შემდეგ ქართული გეოგრაფიული სახელები აფხაზური სახელწოდებებით მასიურად შეიცვალა, ან ტრანსკრიფციული ცვლილებები განხორციელდა, რაც „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენით აიხსნა. ასე, მაგალითად, გაგრის რაიონში: *განთიადს ეწოდა ცანდრიფშ, ლესელიძეს – გეჩრიფშ, ხეივანს – ამზარა, ხოლოდნაია რეჩკას – ბალრიფსთა; გუდაუთის რაიონში: აბლარხუკს – აბლარხიკუ, ანუხვას – ანხუა, ბლაბურხვას – ბლაბირხუა, მიუსერას – მისრა; სოხუმის რაიონში: კელასურს – კილასურ, ახალსოფელს – ძიგუთა, ბესლეთს – ბასლათა. ძველი აფხაზური სახელები დაუბრუნდა სოფლებს შრომას – გუმა და ოდიშს – აკაფა; გულრიფშის რაიონში: ესტონკას – დოპუაქით, კელასურს – აიბუხცა, მერხეულს – მარხიაულ, მიასნიკოვკას – დაღ; ოჩამჩირის რაიონში: ბესლახუბას – ბასლახუ, ცხენისწყალს – ჩბირხუა; გალის რაიონში: ქ. გალს – გალ, სოფ. აგვავერას – აგუაიუარა, აჩიგვარას – აჩგუარა, გუდავას – გუდაა, ბარლებს (ზემო, ქვემო) – ბიარგაბა, ლუმურიშს – ლუმრიშ, წარჩეს – წარჩა, ნოჯჩხევს – წარდუხოუ, ჩხორთოლს – ჩხუართალ და ა. შ.*

1992-1993 წლების ომის შემდეგ სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ადრინდელი ადმინისტრაციული დაყოფა ძირითადად შეინარჩუნა. დამატებით მხოლოდ 1995 წელს ტყვარჩელის რაიონი შეიქმნა, რომელიც გალისა და ოჩამჩირის რაიონებიდან გამოყოფილი სოფლებისაგან შედგა. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ გალის რაიონის ქართული მოსახლეობა რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში გადაენაწილებინათ. დღეისათვის ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკაში შედის: გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გალის რაიონები.

2008 წლის 8-12 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს მიმართ მორიგი აგრესია განახორციელა. აგვისტოს ომის დროს რუსეთის ჯარის ნაწილებმა დალის ხეობა – ზემო აფხაზეთი დაიკავეს და ფორმალურად ამ ტერიტორიაზე აფხაზი სეპარატისტების იურისდიქცია გაავრცელეს. ამის შედეგად აფხაზეთიდან გამოდევნილ მოსახლეობას კიდევ 2500 დევნილი დაემატა. აგრესიის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთში დამატებითი ძალები შეიყვანა და მისი სრული ოკუპაცია მოახდინა

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, რასაც მსოფლიო საზოგადოება უარყოფითად შეხვდა. ამის საპასუხოდ, 2008 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადა, ხოლო 23 ოქტომბერს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“


საგანგებო კანონი მიიღო. ამ კანონმა დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა: ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ 2012 წლის 8 ივლისს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ოკუპირებული ტერიტორიები უწოდა; გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 2012 წლის ივლისში მიიღო რეზოლუცია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილების მშობლიურ მხარეში დაბრუნების შესახებ. მსგავსი რეზოლუციები გაერო-ში ყოველწლიურად მიიღება და მათი მხარდამჭერთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აშშ და ევროპის მრავალი ქვეყანა აფხაზეთს, ისევე როგორც ე. წ. სამხრეთ ოსეთს, რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლის.

აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით სახელები შეიცვალა შემდეგ სოფლებს: *პირველ ოტობაიას ხაშტა* დაერქვა, *მეორე ოტობაიას – ბგოურა*, *ფიჩორს – ბჩარა*, *ჭუბურხინჯს – ხიაცხა*, *ნაბაკევს – ბათაიგუარა*, *დიხაზურგას – აბააქით*, *ოკვინორეს – ციგტვარა*. როგორც „აფსნიპრესი“ იუწყება, სახელწოდებები „ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით“ შეიცვალა, თუმცა ასეთი ისტორიული წყაროები ბუნებაში არ არსებობს.

ამრიგად, აფხაზეთში ეთნო-დემოგრაფიული ვითარების რადიკალური შეცვლა მოხდა გვიან შუა საუკუნეებში, შემდეგ რუსეთის (ცარიზმის) ბატონობისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს. იმავდროულად იცვლებოდა გეოგრაფიული სახელწოდებებიც. XVI-XVII სს. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან ქართული მოსახლეობის გამოდევნისა და აფხაზური (აფსუა) მოსახლეობის დამკვიდრების შემდეგ, ჯერ მდ. კელასურამდე, შემდეგ მდ. ლალიძგამდე, აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებები დამკვიდრდა. XVIII საუკუნეში აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებები ჩნდება აგრეთვე მდ. ლალიძგასა და მდ. ენგურს შორის ტერიტორიაზე. XIX საუკუნეში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ მკვიდრდება რუსული და სხვა უცხოური გეოგრაფიული სახელწოდებები. XX ს. 20-იანი წლებიდან საბჭოთა იდეოლოგიზირებული გეოგრაფიული სახელწოდებები მკვიდრდება. 1992-1993 წწ. აფხაზეთის ომისა და ომის შემდგომ პერიოდში ქართული მოსახლეობის გამოდევნის შემდეგ აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები კიდევ ერთხელ შეცვალა, რითაც შეეცადა აფხაზეთში ქართველთა ცხოვრების კვალი საბოლოოდ წაეშალა.

ნაშრომში შესწავლილია, თუ როგორ იცვლებოდა წლების მანძილზე აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებები. აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებები მოტანილია საქართველოს სსრ 1987 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით.

გაგრის საქალაქო თემი



გაგრის საქალაქო თემი

XX საუკუნის დასაწყისში გაგრის კლიმატური სადგური მიმდებარე ტერიტორიით შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგის შემადგენლობაში შედიოდა. 1917 წლის დეკემბერში გაგრისა და ბზიფის რაიონები სოხუმის ოლქს გადაეცა. 1918 წლიდან გაგრის მაზრა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის, ხოლო შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის ადმინისტრაციული ერთეულია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან, გაგრის მაზრა საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის შემადგენლობაშია. 1923 წელს გაგრის მაზრაში 4 თემი – ახალ-გაგრის, კალდახვარ-სომხეთის, ცივი-წყაროს, კოლხიდა-ალახაძის, – შედიოდა 7 სოფლით. 1925 წელს გაგრის მაზრაში 5 თემი შედიოდა: ახალ-გაგრის, აფხაზ-კალდახვარის, მინგრელის-კალდახვარის, ალახაძე-კოლხიდის, ხოლოდნაია-რეჩკის (იგივე ცივი-წყაროს). 1930 წელს გაგრის მაზრაში შედიოდა 9 თემი 47 სოფლით და ერთი ქალაქი. 1930 წლის ოქტომბერში გაგრის მაზრას გაგრის რაიონი ეწოდა. 1963 წელს გაგრის რაიონი გუდაუთის რაიონს შეუერთეს. 1964 წლის დეკემბერში გუდაუთის რაიონიდან გამოყვეს გაგრის რაიონი. 1973 წელს გაგრის რაიონი გაგრის საქალაქო საბჭოდ გარდაიქმნა. გაგრის საქალაქო საბჭოში შედიოდა 1 საქალაქო (გაგრა), 2 სადაზო (ბიჭვინთა, განთიადი) და 11 სასოფლო საბჭო: ალახაძი, ბაღნარი, ბზიფი, კოლხიდა, ლესელიძე, ლიძავა, მებადირი, მიქელრიფში (ცენტრი სალხინო), საშუფსე, ხეივანი, ხოლოდნორეჩინსკი (ცენტრი ორეხოვო); 1 ქალაქი, 2 დაბა და 46 სოფელი. გაგრის საქალაქო თემის მოსახლეობა 77079 (1989 წ.).

ქალაქი გაგრა

გაგრა – გაგრის საქალაქო თემის ცენტრი, ზღვისპირა კლიმატური კურორტი. მდებარეობს გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე, გაგრის უბის ვიწრო სანაპირო ზოლში. შუა საუკუნეებში მას „გაგარი“ ეწოდებოდა, რაც ძველ ქართულში „ხეობაში ვიწრო გასასვლელს“ ნიშნავდა. ქართულ წყაროში პირველად მოხსენიებულია XIV საუკუნეში. ძველად აქ, ზღვის პირას, გზა გადიოდა, რომელიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს საქართველოსთან და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიასთან აკავშირებდა. XIV-XV სს. იტალიურ და კატალონიურ რუკებზე აღნიშნულია Cacary//Chachari//Cacar//Chatari ფორმით. გაგრას ჩრდილო-დასავლეთით მდ. გაგრიფში (აფხ. გაგრის წყალი) საზღვრავს. ამ მდინარის შესართავში გვიანდელ ანტიკურ ხანაში ციხე-სიმაგრე აუგიათ, რომელიც შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა. 1830 წელს რუსეთის ჯარის ნაწილე-

ბის მიერ გაგრის დაკავების შემდეგ ციხე-სიმაგრე განაახლეს და მეციხოვნეები ჩააყენეს. ყირიმის ომის (1853-1856) დროს, 1854 წელს, რუსმა მეციხოვნეებმა გაგრის ციხე დატოვეს და ააფეთქეს. ომის დასრულების შემდეგ რუსეთის სარდლობამ გაგრის ციხე-სიმაგრე აღადგინა და მეციხოვნეები ჩააყენა. ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე დგას V-VI სს. სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში აღადგინეს. 1901 წელს საფუძველი ჩაეყარა გაგრის კლიმატურ სადგურს (კურორტს). ამ დროიდან იწყება გაგრის როგორც კურორტის ისტორია. 1918 წლიდან გაგრის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან – გაგრის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. ქალაქის სტატუსი 1932 წელს მიიღო. მისი ამჟამინდელი სახელია გაგრა (Гагра).

დაბა ბიჭვინთა

ბიჭვინთა – კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე, დაბა (1963 წლიდან) გაგრის საქალაქო თემის ტერიტორიაზე. მისი ქართული სახელწოდებაა *ბიჭვინთა*. მდებარეობს მდ. *ბიჭვინთის* მარცხენა ნაპირზე, *ბიჭვინთის კონცხზე*. კონცხზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულების განძი და ე. წ. ქსოვილიანი კერამიკა ადასტურებს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ბიჭვინთის კონცხზე კოლხური დასახლებანი არსებობდა. კონცხზე რელიქტური ფიჭვის კორომია. ამ ხე-მცენარის ქართულმა სახელმა დასაბამი მისცა დასახლების სახელწოდებას. ძველმა ბერძენებმა ქართული ბიჭვი//ფიჭვი (ბერძნ. *Pitios*) *პიტეიუნტად* გადაიღეს. ამ სახელწოდებით ელინისტური ქალაქი ძვ. წ. II საუკუნიდან ჩანს. ძველი ქალაქი *ინკითის ტბის* ნაპირზე მდებარეობდა, რომელიც იმ დროს *შავი ზღვის* ყურეს წარმოადგენდა. ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 64 – ახ. წ. 24), რომელიც ძველი ბერძენი გეოგრაფის არტემიდორე ეფესელის (ძვ.წ. II ს.) ცნობას ემყარებოდა, მას „დიდი პიტეიუნტის“ სახელით მოიხსენიებს. II-III საუკუნეებიდან ბიჭვინთის ციხეში იდგა რომაული გარნიზონი, რომელიც რომის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მისადგომებს მთიელთა შემოსევებისაგან იცავდა. IV საუკუნიდან ბიჭვინთა ქრისტიანობის ცენტრს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში. აქ საეპისკოპოსო კათედრა იყო. *ბიჭვინთის* ეპისკოპოსი სტრატოფილე, როგორც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, 325 წელს *ნიკეაში* გამართულ I მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა. *ბიჭვინთა* შუა საუკუნეებშიც დიდ საეკლესიო ცენტრად დარჩა. VIII საუკუნიდან აქ აფხაზეთის კათალიკოსის (დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის) რეზიდენცია იყო. აქ დღესაც დგას X-XI სს. ეკლესია, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს)

კათალიკოსის მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ კავკასიის მთიელთა ექსპანსიის შედეგად აფხაზეთის კათალიკოსი იძულებული გახდა ბიჭვინთა დაეტოვებინა და ქუთაისის მახლობლად, გელათში გადასულიყო, თუმცა ერთხანს, კათალიკოსი თითქმის ყოველ წელს ჩადიოდა ბიჭვინთაში მირონის საკურთხეზლად. *ბიჭვინთა* ფორმა ახ. წ. IV საუკუნეში უკვე არსებობდა, რასაც ადასტურებს ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილეთა სირიულ სიაში *ბუჯუნდე* ვარიანტის არსებობა. იგივე ფორმა დასტურდება XVII საუკუნის „ჯიჰან ნუმას“ თურქულ რუკაზე. შუა საუკუნეების ქართულ საბუთებში „ბიჭვინტის“ სახელით იხსენიება. „ბიჭვინტის ღვთის მშობლის დიდი კათოლიკე ეკლესია, საკათალიკოზო“ აღნიშნულია დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე, „ბიჭვინტის ეკლესიას“ იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც. XIV-XV სს. იტალიურ საზღვაო რუკებზე „პეცონდას“ ფორმით არის დატანილი. აქედან მოდის *ბიჭვინთის* რუსული და აფხაზური სახელწოდება „პიცუნდა“. 1955 წლიდან, ოფიციალურად, *პიცუნდა* (Пицунда) ჰქვია.

დაბა განთიადი

განთიადი – საკურორტო დაბა (1966 წლიდან) გაგრის საქალაქო თემის ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. *ცანდრიფშის* (ნოშუფსე) ნაპირზე. აქ არსებობდა სოფელი *ცანდრიფშ*, რომელიც დასტურდება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. სახელწოდებას საფუძვლად უდევს ჯიქების თავადური საგვარეულოს ცანბა ფუძე და „ცანბების მხარეს, საცხოვრისს“ ნიშნავს. ცანბები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად 1864 წელს ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდნენ. XIX ს. 70-იან წლებში აქ რუსების, მოლდაველების, სომხების დასახლების შემდეგ მას *პილენკოვო* ეწოდა 1867-1876 წწ. შავი ზღვის ოკრუგის უფროსის, გენერალ დ. პილენკოს პატივსაცემად. XX ს. 20-იან წლებამდე ტერიტორია მდ. *ბაღრიფსთასა* და მდ. *ფსოუს* შორის შეადგენდა *პილენკოვოს თემს*, რომელიც *სოჭის რაიონში* შედიოდა. 1929 წელს ეს ტერიტორია საქართველოს სსრ გადაეცა. 1948 წელს *პილენკოვოს* ქართული სახელი **განთიადი** ეწოდა. მაშინ სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა, მათ შორის, აფხაზურიც, მაგრამ არჩევანი „განთიადზე“ შეჩერდა იმ მოტივით, რომ ეს იყო ლამაზი, კეთილზმოვანი სახელწოდება, კარგად ტრანსკრიბირდება სხვა ენებზე, აქვს გამოკვეთილი ჟღერადობა და ადვილი დასამახსოვრებელია. განთიადში შემორჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის (VI ს.) სამნავიანი ბაზილიკა, შეკეთებულია დაახლ. IX-X სს. აქვე აღმოჩნდა ბერძნული წარწერა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზეთმა განთიადს დაარქვეს *ცანდრიფშ* (Цандрыпшъ).

ალახადის თემი

ალახადი – სოფელი და თემი შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება (ალაჰად) აფხაზურია და ქართულად „ლელვის წყაროს“ (ალაჰა – ლელი, აძიხ – წყარო) ნიშნავს. 1923 წელს გაგრის მაზრაში შედიოდა *კოლხიდა-ალახადის*, 1925 წელს კი – *ალახადე-კოლხიდის* თემის სახელწოდებით (2 სოფლით). 1930 წელს ალახადის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: *ალახადი, შავროვი, III ინტერნაციონალი*. 1949 წელს ალახადის ს/საბჭოში მხოლოდ *ალახადი* შედიოდა. სოფელში შემორჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის ორი ეკლესიის (IV-VI სს.) და განვითარებული ფეოდალური ხანის სასახლის ნანგრევები. მისი ამჟამინდელი სახელია *ალაჰადი* (Алахадзы).

ბაღნარის თემი

ბაღნარი – სოფელი ბაღნარის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდინარეების ცანდრიფშის და ჟეოფსის (მდ. ხაშუფსის სათავეები) შესართავის ახლოს. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნის 30-იან წლებში იხსენიება როგორც *ხისხორიფშ*. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 70-იან წლებში, ეს მიწები მემამულე ხრისტოფოროვს ებოძა და *ხრისტოფოროვო* ეწოდა. 1944 წელს გადაერქვა სახელი და *ბაღნარი* დაერქვა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ხიშეჰარიფშ//ხიშეჰა* (Хышәхарыфшә, Хышәха) დაარქვეს.

აჩმარდა – სოფელი ბაღნარის თემში, მდ. ცანდრიფშის (მდ. ხაშუფსის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, გაგრის ქედის დასავლეთ კალთაზე. 1949 წელს ბაღნარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აჩმარდა* (Ачмарда).

ველი – სოფელი ბაღნარის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ცანდრიფშის ნაპირზე. XIX საუკუნის მიწურულს აქ იყო სოფელი *ვერხნე კოვალევსკოე*. 1948 წელს მას ქართული სახელი *ველი* დაერქვა. 1949 წელს ბაღნარის ს/საბჭოში შედიოდა.

კლდეკარი – სოფელი ბაღნარის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ცანდრიფშის ხეობაში. XX საუკუნის 20-30-იან წლებში აქ იყო სომხური სოფელი *მანაქლუქ*, სადაც ოსმალებიდან გადმოსახლებული სომხები ცხოვრობდნენ. ლუქ, ლუკ თურქული კრებითობის სუფიქსია, თუმცა ფუძე-სიტყვის (მანა) მნიშვნელობა გაურკვეველია. 1948 წელს მას ქართული სახელი *კლდეკარი* დაერქვა. 1949 წელს ბაღნარის ს/საბჭოში შედიოდა.

მენდელეევო – სოფელი ბაღნარის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ცანდრიფშის მარცხენა ნაპირზე. 1949 წელს ბაღნარის ს/საბჭოში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *აგხუა* (Агхуа) დაარქვეს.

ბზიფის თემი

ბზიფი – სოფელი ბზიფის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირას. ვ. კვარჭიას ცნობით, XX ს. 30-იან წლებში აბგაბორთა ერქვა. 1930 წ. შედიოდა გაგრის რაიონის კოლდახვარის თემში. სახელწოდება აბგაბორთა აფხაზურია და „მგლის, მელიის სანახავ ადგილს“ ნიშნავს. 1948 წ. ბზიფი ეწოდა. 1949 წ. გაგრის რაიონში არსებობდა ბზიფის ს/საბჭო. სოფელში შემორჩენილია IX-X სს. ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელშიც შედის გალავნით შემოზღუდული ტაძარი და სასახლე. გალავანს დატანებული აქვს კოშკები, კონტროფორსები და კარიბჭე. მისი ამჟამინდელი სახელია ბზიფ (БЗИФ).

ათიძთა – სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე. 1949 წელს ბზიფის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ათიძთა (АТІДЗТА).

არასაძიხი – სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება (არასაძიხ) აფხაზურია და „თხილის წყაროს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია არასაძიხ (АРАСАДІХ).

აყვარა – სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე. 1949 წელს ბზიფის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ახიუარა (АХІУАРА).

ბზიბტა – სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს. XX საუკუნის 40-იან წლებში ქართული სახელი ბზისხევი ერქვა. 1930 წელს კოლდახვარის ს/საბჭოში შედიოდა ბზიბის-ხევის, ხოლო 1949 წელს ბზიფის ს/საბჭოში – ბზიფისხევის სახელწოდებით. 1955 წელს ბზიბტა ეწოდა, რაც ქართული სახელის აფხაზურ თარგმანს წარმოადგენს. მისი ამჟამინდელი სახელია ბზიფთა (БЗИФТА).

იფნარი – სოფელი ბზიფის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს. XX საუკუნეში აქ იყო სოფელი სომხური ხეობა, რომელსაც 1948 წელს იფნარი ეწოდა. მისი ამოსავალი ხე-მცენარის ქართული სახელწოდება იფანი. 1949 წელს ბზიფის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ასფა (АСФА).

ძიხჩა – სოფელი ბზიფის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება აფხაზურია (ახჩა – მცველი, მწყემსი, აძი – წყალი), შეიძლება იყოს „წყლის მცველი“. 1949 წელს ბზიფის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ძიხჩა (ДІХЧА).

კოლხიდის თემი

კოლხიდა – სოფელი კოლხიდის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს გაგრის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე. XX საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება წყაროებში. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია პალეოლითური ღია ტიპის ძეგლი, პალეოლითის ხანის

მასალა და ნეოლითური იარაღი. XIX საუკუნეში აქ იყო რუსული სიმაგრე კოლხიდა და დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძე რომანოვის მამული „კოლხიდა“. შემდეგ შეიქმნა დასახლებული პუნქტი. 1923 წელს გაგრის მაზრაში შედიოდა *კოლხიდა-ალახადის*, ხოლო 1925 წელს – *ალახადე-კოლხიდის* თემის სახელწოდებით (2 სოფლით). 1930 წელს *კოლხიდის თემში* შედიოდა სოფლები: *კოლხიდა ზემო*, *კოლხიდა ქვემო*, *შადრევანი (ფონტანი)*, *ხევი (უშჩელიე)*. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აქ იყო სოფლები *აძაფშ* და *ფსახარა*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ფსახარა (Псахара)* დაარქვეს.

ალპიისკოე – სოფელი კოლხიდის თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე. ცნობილია XX საუკუნის დასაწყისიდან როგორც *ალპიისკოე*. 1948 წელს ეწოდა *ალპური*, ხოლო 1955 წელს დაუბრუნდა სახელი *ალპიისკოე*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა უწოდეს *აჩიფსტა (Ачыпста)*, რაც „ირმის ხეობას“ ნიშნავს.

გაგრაფსტა – სოფელი კოლხიდის თემში, გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე. XX საუკუნის პირველ ნახევარში *გაგრისხეობა* ეწოდებოდა. 1955 წელს *გაგრაფსტა* დაერქვა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა უწოდეს *გაგრაფსტა (Гаграпста)*, რაც „გაგრის ხეობას“ ნიშნავს.

გრუზინსკოე-უშჩელიე – სოფელი კოლხიდის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ოლგინსკის ნაპირას. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX ს. აქ იყო სოფელი *ახუხშარა*. XX საუკუნის 30-იან წლებში ეწოდა *გრუზინსკოე-უშჩელიე*, ხოლო 40-იან წლებში – *საქართველოს ხეობა*. 1955 წელს დაუბრუნდა სახელი *გრუზინსკოე-უშჩელიე*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ახიხშარა (*Ахыхшара*) დაარქვეს.

ზემო ხევი – სოფელი კოლხიდის თემში, გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე. XX საუკუნის პირველ მესამედში აქ იყო სოფელი *არმიანსკოე უშჩელიე (სომხური ხეობა)*, რომელსაც 1948 წელს ქართული სახელი *ზემო ხევი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ცანგვარა (Цангвара)*, რაც „ცანების ლობეს“ ნიშნავს.

ოტრადნოე – სოფელი კოლხიდის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში. ეს იყო სოფელ კოლხიდის ნაწილი, სადაც XX საუკუნის დასაწყისში იყო პრინც ოლდენბურგის მამული „ოტრადნოე“. შემდეგ აქ შექმნილ სოფელსაც *ოტრადნოე* შეერქვა. 1948 წელს მას ქართული სახელი *სიხარული* ეწოდა. 1955 წელს დაუბრუნდა სახელი *ოტრადნოე*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა უწოდეს *აძაფშ (Азапш)*. სახელწოდება აფხაზურია (აძ – წყალი, იფშოუ-ფშ – წმინდა), შიიძლება იყოს „წმინდა წყალი“.

ლესელიძის თემი

ლესელიძე – სოფელი ლესელიძის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე, მის

შესართავთან. ეს სახელწოდება შედარებით ახალია. XIX საუკუნის 60-იან წლებამდე აქ არსებობდა სოფელი *გერრიფშ*. სახელწოდებას საფუძვლად უდევს ჯიქების თავადური საგვარეულოს გერ, გერბა ფუძე, რომელიც 1864 წელს ოსმალეთში გადაასახლეს. სახელწოდება „გერბების მხარეს, საცხოვრისს“ ნიშნავს. XIX საუკუნის მიწურულს *ერმოლოვსკი* ეწოდა რუსეთის მიწათმოქმედებისა და ქონების მინისტრის ა. ს. ერმოლოვის პატივსაცემად, რომელმაც ეს ადგილები 1894 წელს შემოიარა. 1944 წელს *ლესელიძე* ეწოდა 1941-1945 წწ. ომის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის (1903-1944) პატივსაცემად, რომელიც კავკასიის მისადგომებს იცავდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *გერრიფშ* (Гьэрыфш/Гьэчырш).

სალმე – სოფელი ლესელიძის თემში, მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე. დააარსა 1884 წელს ესტონეთიდან გადმოსახლებულმა ათმა ოჯახმა. მანამდე აქ იყო გაუვალი ტყე. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ფსოუ* (Псоу).

სულევო – სოფელი ლესელიძის თემში, მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე. ესტონელების დამკვიდრების შემდეგ, 1884 წელს, *სულევო* ეწოდა. 1948 წელს *ფსოუსპირი* დაერქვა, მოგვიანებით დაუბრუნდა სახელი *სულევო*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ფსოუხა* (Псоуха).

ლიძავის თემი

ლიძავა – სოფელი ლიძავის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს ბიჭვინთის კონცხზე. XX საუკუნის პირველ ნახევარში სოფელს ერქვა *აჯრა*, რაც აფხაზურად „მუხნარს“ ნიშნავს, ხოლო თემს – *ლიძავა*. 1925 წელს ლიძავის თემი ერთი სოფლით შედიოდა გუდაუთის მაზრაში. 1930 წელს ლიძავას ს/საბჭო 4 სოფლით გუდაუთის მაზრაში შედიოდა. 1938 წელს ლიძავის ს/საბჭო გუდაუთის რაიონიდან გაგრის რაიონს გადაეცა. 1952 წელს *ლიძავას ღძაანი*, ხოლო 1955 წელს – *ლიძავა* ეწოდა. ლიძავაში აღმოჩნდა ძვ. წ. XV-XIV სს. ბრინჯაოს ცულების განძი (ცნობილია ბიჭვინთის განძის სახელით), რომელიც შეიცავს ორი სახეობის კოლხურ ცულებს, აგრეთვე ადრეული ტიპის ბრინჯაოს ცულს, რომელიც კოლხური ცულის პროტოტიპადაა მიჩნეული. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ღძაა* (Лжаа).

აციჯქვა – სოფელი ლიძავის თემში, შავიზღვისპირა ვაკე-დაბლობზე. 1949 წელს ლიძავის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აციჯქვა* (Ащыкха).

რაფინა – სოფელი ლიძავის თემში, შავიზღვისპირა ვაკე-დაბლობზე, მდ. ადიღუს ნაპირას. ეს არის ისტორიული სოფელი, რომელიც *რაბინა*-ს სახელით ბიჭვინთის შემოგარენში იხსენიება „ბი-

ჭვინტის იადგარში“ (XVI ს.) ოდიშის ერისთავის მამია III დადიანის (1512-1533) შეწირულობის სიგელში ბიჭვინტისადმი. სახელწოდების მიხედვით აფხაზური დასახლება ჩანს, თუმცა ეტიმოლოგია უცნობია. 1949 წელს სოფელი რაფინა ლძაანის ს/საბჭოს ცენტრი იყო. მისი ამჟამინდელი სახელია რაფინა (Рафина).

მეჰადირის თემი

მეჰადირი – სოფელი მეჰადირის თემში, თემის ცენტრი (სწორი ფორმაა *მაჰადირი*). მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. მეჰადირის ზემოთში. XIX საუკუნიდან ფიქსირდება წყაროებში. 1935 წელს გაგრის რაიონის პილენკოვოს ს/საბჭოდან სოფლების ზემო მაჰადირის, ქვემო მაჰადირის, ოტლუკის (თურქ. საბალახო, 1948 წლიდან სოფ. კლდია-ნი), ვოსემსოტსკოეს, ევდოკიმოვკას, როგოჟინოს გამოყოფით შეიქმნა *მაჰადირის ს/საბჭო* ცენტრით *ქვემო მაჰადირში*. 1948 წელს *მაჰადირს* ქართული სახელი *ნაკადული* ეწოდა. 1967 წელს ეწოდა *მეჰადირი*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *მაჰადირ* (Махадыр).

ვაშლოვანი – სოფელი მეჰადირის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. მეჰადირის ხეობაში. XX საუკუნის დასაწყისში *როგოჟინო* ერქვა. 1948 წელს ქართული სახელი *ვაშლოვანი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *მფაადრიფსთა* (Мфаадрыпста).

ზეგანი – სოფელი მეჰადირის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ჟეოფსის (ხაშუფსის ერთ-ერთი სათავე) მარჯვენა მხარეს. XX საუკუნის დასაწყისში აქ შეიქმნა რუს კოლონისტთა სოფელი *ევდოკიმოვკა*. 1948 წელს ქართული სახელი *ზეგანი* ეწოდა. „ზეგანი“ ქართულად ვრცელ და ამალღებულ ადგილს ნიშნავს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ფშაშხა* (Пшашха).

მუხნარი – სოფელი მეჰადირის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ჟეოფსის მარჯვენა ნაპირზე. სომხების დასახლების შემდეგ, XIX საუკუნის ბოლოდან, *ვოსემსოტკოე* ერქვა. 1948 წ. ქართული სახელი *მუხნარი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *კაცირხა* (Кацyrxa).

მიქელრიფშის თემი

მიქელრიფშ – სოფელი მიქელრიფშის თემში, მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირას. ტოპონიმი „მიქელის (მიქელ – პირსახელი, რიფშ – სიმაღლე, სათავე, წვერი) გორას“ ნიშნავს. საფიქრებელია, რომ აქ გორაზე მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია იდგა. 1930 წელს გაგრის მაზრაში არსებობდა *მიქელრიფშის ს/საბჭო*. მისი ამჟამინდელი სახელია *მიქალრიფშ* (Мкьалрыпшш).

სალხინო – სოფელი მიქელრიფშის თემში, თემის ცენტრი მდ.

ფსოუს ხეობაში. XX საუკუნეში ერქვა *ყაზარმა*. 1948 წელს ქართული სახელი *სალხინო* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ლაკირხა* (Лақырха).

დემერჩენცი – სოფელი მიქელრიფშის თემში, მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს. XIX საუკუნეში ერქვა *ხუშკარიფშ*. 1864 წელს აქედან ჯიქების ოსმალეთში გადასახლების შემდეგ, XX ს. დასაწყისში, სომხების სოფელი *დემერჩენც* შეიქმნა. 1930 წ. მიქელრიფშის თემში შედიოდა სოფელი *დემერჩე-კიუხი-ს* სახელით. 1948 წ. ქართული სახელი *ფსოუსხევი* ეწოდა. 1955 წ. დაუბრუნდა სახელი *დემერჩენც*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ხიშჰჰა* (Хышха).

ჩანჩქერი – სოფელი მიქელრიფშის თემში, მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირას. ადრე, ამ ადგილას იყო სოფელი *ფხისტა*. XIX ს. ბოლოს აქ შეიქმნა სოფელი *ტროიცკოე*. 1930 წ. *ტროიცკოე* მიქელრიფშის თემში შედიოდა. 1948 წელს მას ქართული სახელი *ჩანჩქერი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ბენჩახა* (Бенчыха).

ცოდნისკარი – სოფელი მიქელრიფშის თემში, მდ. ფხისტის (მდ. ფსოუს მარცხენა შენაკადი) ნაპირას. XIX ს. ბოლოს აქ შეიქმნა სოფელი *შურიხოვკა*. ვ. კვარჭიას ცნობით, ადრე, ამ ადგილას იყო სოფელი *ფხისტა*. 1930 წელს *შურიხოვო* მიქელრიფშის თემში შედიოდა. 1948 წელს *შურიხოვკა-ს* ქართული სახელი *ცოდნისკარი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ფხისტა* (Пхыста).

ნაბლიანი – სოფელი მიქელრიფშის თემში, მდ. ფხისტის ზემოთში. ვ. კვარჭიას ცნობით, ესაა ძველი *ბალრიფში*. სახელწოდება მომდინარეობს აბაზური თემის სახელიდან ბალ (მდრ. აფხაზური გვარსახელი ბალბა) და „ბალების გორას“ ნიშნავს. XIX საუკუნის ბოლოს აქ შეიქმნა სომხური დასახლება *გომენდაკ-დერეკეი* (*დერეკეი*), რომელსაც 1948 წელს ქართული სახელი *ნაბლიანი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ბაგრიფშ* (Багрырш).

ხაშუფსის თემი

ხაშუფსე – სოფელი ხაშუფსის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ხაშუფსის ხეობაში. 1935 წელს გაგრის რაიონის პილენკოვოს ს/საბჭოდან სოფლების ხოშუფსე, კოვალევსკოე შუა და ცერკოვნი კოვალევსკოე გამოყოფით შეიქმნა *ხოშუფსეს ს/საბჭო* ცენტრით სოფ. *ხოშუფსეში*. მისი ამჟამინდელი სახელია *ჰაშუფსი* (Хашуфсы).

ვაკე – სოფელი ხაშუფსის თემში. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ხაშუფსის მარცხენა მხარეს. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX ს. მეორე ნახევარში ამ ადგილას იყო სოფელი *არასაძიხ* (აფხ. „თხილის

წყაროს“ ნიშნავს). XIX ს. მეორე ნახევარში აქ შეიქმნა სოფელი *კოვალევსკოე*. 1948 წელს მას ქართული სახელი *ვაკე* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *არასაძხა* (Арасаџха).

იმერხევი – სოფელი ხაშუფსას თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ხაშუფსის მარცხენა მხარეს. XX საუკუნის პირველ მესამედში აქ იყო რუსული სოფლები *სრედნე კოვალევსკოე №1* და *სრედნე კოვალევსკოე №2*. 40-იან წლებში ქართული სახელი *იმერხევი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ახურაშქვა* (Ахурашџва).

ხეივანის თემი

ხეივანი – სოფელი ხეივანის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში ერქვა *ამზარა*, რაც აფხაზურად „ფიჭვნარს“ ნიშნავს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში *ერმოლოვკა*, ხოლო 1948 წელს ქართული სახელი *ხეივანი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ამზარა* (Амзара) დაარქვეს.

კულტუბანი – სოფელი ხეივანის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდინარეების ფსოუსა და ლაფსთის შუამდინარეთში. XIX საუკუნეში აქ იყო აფხაზური სოფელი *ასაბულეი*. სახელწოდების ფუძეა ქართველური (მეგრული) გვარსახელი *ბულია*, რომელსაც ანარმოებს დანიშნულების სახელთა მანარმოებელი სა-პრეფიქსი. მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო საბულიო, რაც ბულიების (ქართული გვარი) სამკვიდროს ნიშნავს. მას ანარმოებს აფხაზური ა-პრეფიქსი და აფხაზურ ყაიდაზე გაფორმდა როგორც *ასაბულეი*. 1935 წელს რუსული იდეოლოგიზებული სახელი *Культурчасток* (Культурныйучасток) დაერქვა, ხოლო 1948 წელს – *კულტუბანი*, რაც რუსული სახელის კალკირებული თარგმანია (შემოკლებული ფორმაა *კულტუბანი*, გაშლილად – *კულტურული უბანი*). 1952 წელს გაგრის რაიონის *ლესელიძის ს/საბჭოს* გამოეყო სოფ. *კულტუბანი* და ამავე რაიონის *განთიადის ს/საბჭოს* მიეკუთვნა. მოგვიანებით, ის ხეივანის ს/საბჭოს შეუერთეს. ერთხანს ერქვა *ზარია ვოსტოკა*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ასაბულეი* (Асабулеи) დაარქვეს.

შაფრანოვო – სოფელი ხეივანის თემში, მდინარეებს ლაფსთასა და მეჰადირს შორის. XIX საუკუნის მიწურულს შეიქმნა რუს კოლონიტთა სოფელი *შაფრანოვო*. 1930 წელს შედიოდა პილენკოვოს თემში. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ხსირხუ/ხსირხუი-თვარა* (Хсырхә//Хсырхәитәара) დაარქვეს.

წალკოტი – სოფელი ხეივანის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ლაფსთის ნაპირას. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აქ იყო სოფელი *ლაფსთაარხა*. XIX საუკუნის ბოლოს აქ შეიქმნა

სოფელი *ბარანოვო*. 1930 წელს შედიოდა პილენკოვოს თემში. 1948 წელს ქართული სახელი *ნალკოტი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ლაფსთარხა* (Лапстарха) დაარქვეს.

ხოლოდნაია-რეჩკას თემი


ხოლოდნაია-რეჩკა – სოფელი ხოლოდნაია რეჩკას თემში, შავი ზღვის ნაპირას. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დასტურდება წყაროებში *ბალრიფსთას* (ბალრიფში) სახელწოდებით. სოფელზე გაედინება მდ. ბალრიფსთა (ხოლოდნაია რეჩკა). XX საუკუნის დასაწყისში, 1917-1918 წწ. მდ. ბალრიფსთის, იგივე ხოლოდნაია რეჩკას, სანაპიროზე შეიქმნა სოფ. *ხოლოდნაია რეჩკა*. 1923 წელს *ცივი-წყაროს* (იგივე *ხოლოდნაია-რეჩკას*) თემი 2 სოფლით გაგრის მაზრაში შედიოდა. XX საუკუნის 40-იან წლებში ოფიციალურად შეერქვა ქართული სახელი *ცივწყარო*. 1955 წელს დაუბრუნდა რუსული სახელი *ხოლოდნაია რეჩკა*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ბალრიფსთა* (Балрифста) დაარქვეს.

ორეხოვო – სოფელი, ხოლოდნაია რეჩკას თემის ცენტრი. მდებარეობს გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში *არასახუ* (აფხ. არასახუ) ერქვა, რაც „კაკლიან ბორცვს“ ნიშნავს. 1930 წელს *ორეხოვკა*-ს სახელწოდებით შედიოდა ხოლოდნაია-რეჩკას თემში. სახელწოდება რუსულია და კაკლიანს ნიშნავს. XX საუკუნის 40-იან წლებში *კაკლიანი* ეწოდა. 1955 წელს დაუბრუნდა სახელი *ორეხოვო*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *არასახუ* (Арасахы) დაარქვეს.

გრებეშოკი – სოფელი ხოლოდნაია-რეჩკას თემში, გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XX საუკუნის დასაწყისში აქ იყო დოლბიშევის აგარაკი სახელწოდებით „გრებეშოკ“. მოგვიანებით, ეს სახელი სოფელსაც ეწოდა. 1930 წელს შედიოდა ხოლოდნაია-რეჩკას თემში. მისი ამჟამინდელი სახელია *გრებეშოკ* (Гребешок).

ჩიგრიფში – სოფელი ხოლოდნაია-რეჩკას თემში, გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე. სახელწოდება (ჩიგრიფში) აფხაზურია და „ჩრიგების (ჩრიგბა – აფხაზური გვარსახელი) გორას“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია *ჩიგრიფში* (Чыгырыфшы).

გუდაუთის რაიონი



გულაუთის რაიონი

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში შედიოდა გულაუთის უბანი. 1918 წლიდან გულაუთის უბანს გულაუთის მაზრა ეწოდა, რომელიც სოხუმის ოლქის, ხოლო შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის ადმინისტრაციული ერთეულია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან, გულაუთის მაზრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის შემადგენლობაშია. 1923 წელს გულაუთის მაზრაში შედიოდა 17 თემი 109 სოფლით, ხოლო 1925 წელს მაზრაში 21 თემი შედიოდა. 1930 წლის ოქტომბერში გულაუთის მაზრას გულაუთის რაიონი ეწოდა. 1963 წელს გულაუთის რაიონს შეუერთდა გაგრის რაიონი. 1964 წლის დეკემბერში გულაუთის რაიონიდან გამოყვეს გაგრის რაიონი.

გულაუთის რაიონში შედის 1 საქალაქო (გულაუთა), 1 სადაბო (ახალი ათონი) და 20 სასოფლო საბჭო: ააცი, აბლარხუქი, აგარაკი, ანუხვა, აჭანდარა, ახალსოფელი (ორჯონიკიძე), ბარმიში, ბლაბურხვა, დურიფში, ზვანდრიფში, კალდახვარა, ლიხნი, მწარა, მგუძირხვა, ოთხარა, პრიმორსკოე, ფსირცხა, ყულანურხვა, ხოფი, ჯირხვა; 1 ქალაქი, 1 დაბა და 110 სოფელი. მოსახლეობა 57 534 (1989 წ.).

ქალაქი გულაუთა

გულაუთა – კლიმატური კურორტი, გულაუთის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუდოუს შესართავთან. XIX საუკუნის შუა ხანებში აღმოცენდა მდ. გუდოუს შესართავთან: 1842 წლიდან დასტურდება ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე. ის თანდათან გამოეყო ლიხნს. ყოველ შემთხვევაში, ხატოვის 1826 წლის რუკაზე და პ. ზუბოვთან აღნიშნული არ არის. თავდაპირველად მას და მდინარე გუდოუს გულავა ეწოდებოდა. გუდოუ მდ. გულავას აფხაზური ფორმაა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სწრაფად გაიზარდა და დაწინაურდა. სახელწოდება, როგორც ჩანს, მდინარის სახელისაგან მომდინარეობს, რომლის სანაპიროზეც იგი გაშენდა -თა ადგილის სუფიქსის დართვით. XIX საუკუნის შუა ხანებში პატარა სავაჭრო დაბა იყო ასი მცხოვრებით. 1874 წელს აქ დაფუძნდა სადაბო მმართველობა. მისი მნიშვნელობა გაიზარდა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც გულაუთაზე გავლით გაიყვანეს გზატკეცილი, რომელმაც სოხუმი ნოვოროსიისკთან დააკავშირა. XX საუკუნის დასაწყისში დაწინაურდა და ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელო-

ვან ცენტრად გადაიქცა. 1917 წლამდე ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგში შედიოდა. 1918 წლიდან გუდაუთის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან გუდაუთის რაიონის ცენტრია. 1926 წელს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. მისი ამჟამინდელი სახელია *გუდოუთა* (Гудоута).

დაბა ახალი ათონი

ახალი ათონი – კლიმატური კურორტი, ქალაქი (1987 წლიდან) აფხაზეთში, შავი ზღვის ნაპირას, მდ. ფსირცხას, ძველი „ანაკოფიის მდინარის“, შესართავში. სახელი წარმოდგება ახალი ათონის მონასტრის სახელწოდებიდან. VI საუკუნის ბიზანტიელ ავტორთა ცნობით, ამ ადგილას ციხე-ქალაქი *ტრაქეა* მდებარეობდა. მისი სახელწოდება ძველი ქართული „ულალის“ (გაუვალი, ძნელად სავალი ადგილი) ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს. შუა საუკუნეებში მას *ანაკოფია* ეწოდებოდა. ეს სახელწოდება საისტორიო წყაროებში პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ VIII საუკუნის 30-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით იხსენიება. იმავე ამბებთან დაკავშირებით იხსენიება ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლში „დავით და კონსტანტინეს წამება“ (IX ს.). შუა საუკუნეების *ანაკოფიის ციხე-ქალაქის* ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. XIX საუკუნის დასაწყისიდან მას *ფსირცხა* ეწოდება, თუმცა ზოგიერთ რუკაზე კვლავ არის აღნიშნული *ანაკოფია*. 1875 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აქ ათონის მთის (საბერძნეთი) წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ფილიალი დააარსა და მონასტერს „ნოვი აფონი“ ეწოდა. 1948 წ. ფსირცხას *ახალი ათონი* დაერქვა, რაც „ნოვი აფონის“ ქართული თარგმანია. 1967 წლიდან მას *ნოვი აფონი* ჰქვია. 1923 წ. ახალი ათონის თემი შედიოდა გუდაუთის მაზრაში. 1952 წლის დეკემბერში შეიქმნა ახალი ათონის რაიონი, რომელიც 1953 წელს ისევ გუდაუთის რაიონს შეუერთდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აფონ ჭიცი* (Афон Чыци).

ახალ ათონში აღმოჩენილია ნეოლითის, ბრინჯაოს, ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები. შემონახულია ანაკოფიის გამაგრებათა მთელი სისტემა – ციტადელი კოშკებით ივერიის მთაზე, ციტადელის შუაში ბაზილიკა (VIII-IX სს.), აქვეა სიმონ კანანელის ეკლესია (IX-X სს.), აგრეთვე სიმონ კანანელის სამონასტრო კომპლექსი, რომლის მთავარი ტაძარია წმ. პანტელეიმონის ეკლესია. ახალი ათონის ტერიტორიაზე, ივერიის მთის ჩრდილოეთ კალთაზე არის კარსტული მღვიმე.

ააცის თემი

ააცი – სოფელი ააცის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ააფსთის (ბაკლანოვკის) მარცხენა ნაპირზე. ესაა ისტორიული სოფელი ალაცო. ალაცო აღნიშნულია XVII საუკუნის II ნახევრის „ჯიჰან-ნუმას“ თურქულ რუკაზე სახელწოდებით „ალჩა“. 1737 წლის დასავლეთ სა-

ქართველოს რუკაზე გვხვდება მდინარე სახელწოდებით „ალაცო“, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი „ალაცოს წყლის“ სახელით მოიხსენიებს. მდინარის სახელწოდება მომდინარეობს სოფლის სახელისაგან. როდესაც აქ აფხაზები დამკვიდრდნენ, მას ააცი უწოდეს. ეს სახელწოდება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან არის დამოწმებული. იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. XIX საუკუნის 30-იან წლებში აცის ქვემო ნაწილში დამკვიდრდა რუსული გარნიზონი. მაშინ ეწოდა ამ ტერიტორიასაც და მდინარესაც ბაკლანკა, როგორც ჩანს, რუსი ოფიცრის, შემდეგში გენერლის ბაკლანოვის პატივსაცემად. ბაკლანკას იხსენიებს ფ. დიუბუა დე მონპერე. 1878 წელს ბაკლანკა//ბაკლანოვკა დამოუკიდებელი რუსული სოფელი გახდა, რომელიც XX ს. 50-იან წლებში ააცს შეერწყა და სოფლის სახელი ბაკლანოვკა გახდა, ხოლო თემის – ააცი. 1923 წელს აცის თემი 5 სოფლით გუდაუთის მაზრაში შედიოდა. 1925 წელს აცის და ბაკლანოვკის ს/საბჭოები ცალ-ცალკე შედიოდა გუდაუთის მაზრაში. 1951 წელს ბაკლანოვკის ს/საბჭო გაუქმდა, ხოლო სოფ. ბაკლანოვკა აცის ს/საბჭოს შეუერთდა. 1952 წელს სოფ. ბაკლანოვკას დაუბრუნდა სახელი ააცი. მისი ამჟამინდელი სახელია ააცი (Аащи).

ალრა – სოფელი აცის თემში, მდ. აფსთის (ბაკლანოვკის) მარცხენა ნაპირზე. XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. სახელწოდება აფხაზურია და „თხმელნარს“ ნიშნავს (ალ – აფხ. „თხმელა“, -რა – მრ. რიცხვის სუფიქსი). მისი ამჟამინდელი სახელია ალრა (Алра).

ალძიხი – სოფელი აცის თემში, მდ. მწარის (მდ. აფსთის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება (ალძიხ) აფხაზურია და „თხმელის წყარო“-ს ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია ალძიხ (Алцых).

ბინთხა – სოფელი აცის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. აფსთის მარცხენა ნაპირას. 1930 წელს შედიოდა აცის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია ბინთხა (Бинтха).

კუტიძრა – სოფელი აცის თემში, მდ. აფსთის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია (აკუტი – ქათამი, ძძრა – დაკარგვა), ე. ი. „ადგილი სადაც ქათამები იკარგებოდნენ“. XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება (Кутцра) სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. 1930 წელს კუტიძრას სახელწოდებით აცის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია კუტიძრა (Кэтыцра).

აბლარხუქის თემი

აბლარხუქი – სოფელი აბლარხუქის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. აფსთის (ბაკლანოვკის) მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება (აბლარხუქე) აფხაზურია და „მგლის ბორცვს“ ნიშნავს. მისი ადრინდელი სახელია ლადარიარჰაბლა, რაც აფხაზურად „ლადარიების

უბანს“ ნიშნავს. 1923 წელს აბლარხუქის თემი 11 სოფლით გუდაუთის მაზრაში შედიოდა. 1948 წელს სოფ. ლადარია-რჰაბლას აბლარხუქი ეწოდა. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე. მისი ამჟამინდელი სახელია აბგარხუქე (Абгархыкә//Абгархыкә).

აბახვამცა – სოფელი აბლარხუქის თემში, მდ. ააფსთის (ბაკლანოვკის) მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და ნიშნავს „მთის ცეცხლი“, ან „ცეცხლი მთაზე“. 1966 წელს აბლარხუქის ს/საბჭოში შედიოდა. სოფელში შემორჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე. მისი ამჟამინდელი სახელია აბახვამცა (Абахамца).

ბაზიქითა – სოფელი აბლარხუქის თემში, მდინარეების ააფსთისა და ჭბაართის ბორცვიან ვაკე შუამდინარეთში. სახელწოდება აფხაზურია და ბაზბას გვარის სოფელს ნიშნავს. 1966 წელს აბლარხუქის ს/საბჭოში შედიოდა.

ბალიქითა – სოფელი აბლარხუქის თემში, მდინარეების ააფსთისა და ჭბაართის შუამდინარეთში, ჭბაართის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და ბაზბას გვარის სოფელს ნიშნავს. ფიქსირდება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. 1966 წელს აბლარხუქის ს/საბჭოში შედიოდა.

თასრაყვა – სოფელი აბლარხუქის თემში, მდ. დოხვართის (ააფსთის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. წყაროებში ფიქსირდება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (ა. ნორდმანი), აგრეთვე აფხაზ მუჰაჯირთა 1867 წლის სიაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლის ერთი ნახევარი აბლარხუქის, მეორე ნახევარი – ყულანურხვის თემში შევიდა. ასე რომ, ერთი ნაწილი 1949 წელს შედიოდა ყულანურხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია თასრაყვა (Тасрақа).

ცოუხვა – სოფელი აბლარხუქის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდინარეების დოხვართისა და ჭბაართის შუამდინარეთში. 1966 წელს აბლარხუქის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ცოუხვა (Цохва).

აგარაკის თემი

აგარაკი – სოფელი აგარაკის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა მუჰაჯირობამდე, ამ ტერიტორიაზე იყო ორი სოფელი აჯაფხუნი და რიაფში. XIX საუკუნის მიწურულს აქ სომხები დასახლდნენ და სოფელს კავაქლუქი უწოდეს, რაც თურქულად „აღვის ქალას“ ნიშნავს. 1925 წელს კავაქლუქის ს/საბჭო გუდაუთის მაზრაში შედიოდა. 1948 წელს სოფ. კავაქლუქს ქართული სახელი აგარაკი (ქართ. დასასვენებელი ადგილი) ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ამჟვეიქუხუა (АМЖЫКХУА) დაარქვეს.

რიაფში – სოფელი აგარაკის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. რიაფშის ნაპირას. 1949 წელს შედიოდა აგარაკის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია რიაფშ (Риафшъ).

ნანიგვართა – სოფელი აგარაკის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. სახელწოდება აფხაზურია. სავარაუდოდ, ცანი საკუთარი სახელია, აგუართა – ფარა, ე. ი. „ცანის ფარა“. 1949 წელს შედიოდა ზემო ანუხვის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია ცანიგვართა (Цанигвартა).

ანუხვის თემი

ანუხვა – სოფელი ანუხვის თემში, თემის ცენტრი. არქიმანდრიტ ლეონიდის (კაველინი) ცნობით, XIX საუკუნის მიწურულს მას ქართული სახელი ანუხარეთი ეწოდებოდა. სოფელში არის მღვიმე, რომელიც შუა საუკუნეებში სამლოცველოს წარმოადგენდა. მღვიმეში შემორჩენილია V-VIII სს. ქართული ასომთავრული წარწერები. სოფელში არის ეკლესიის ნანგრევები, სადაც აღმოჩნდა XI ს. ქართული წარწერები. აფხაზებმა სოფელს ანუხვა უწოდეს. 1923 წელს გუდაუთის მაზრაში არსებობდა ანუხვის თემი, სადაც 15 სოფელი შედიოდა. 1925 წელს სომხური ანუხვის და აფხაზური ანუხვის ს/საბჭოები ცალ-ცალკე შედიოდა გუდაუთის მაზრაში. 1926 წ. სომხური ანუხვის და აფხაზური ანუხვის ს/საბჭოები გააერთიანეს ანუხვის ს/საბჭოდ. 1930 წელს გუდაუთის მაზრაში შედიოდა ანუხვა-აფხაზების და ანუხვა-სომხების, ხოლო 1949 წელს ზემო ანუხვის და მეორე ანუხვის თემები. მისი ამჟამინდელი სახელია ანჰვა (Анхаа), რაც აფხაზურად „დედამთილს“ (!) ნიშნავს.

აბაახუდა – სოფელი ანუხვის თემში, შავი ზღვის ნაპირზე. 1949 წ. შედიოდა ზემო ანუხვის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია აბაახუდა (Абаахуда//Качука Стампул). მას ასევე ქუჩუკ სტამპულსაც (თურქ. „პატარა სტამბული“) ეძახიან.

აკალამრა – სოფელი ანუხვის თემში, შავი ზღვის ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია: აკალამ – „ბამბუკი“, აკალამრა – ბამბუკოვანი. XX საუკუნის I ნახევარში ეწოდებოდა კალმუთ, 1948 წელს ბამბუკოვანი ეწოდა. 1967 წელს დაუბრუნდა სახელი აკალამრა. 1930 წელს კალმუთი სომხური ანუხვის (ანუხვა-არმიანსკაიას) ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია აკალამრა//გალამუთ (Акаламра/Галамут).

ანუხვა-არმიანსკაია – სოფელი ანუხვის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აწირხა ერქვა. XIX-XX სს. მიჯნაზე აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები დამკვიდრდნენ. 1930 წელს არსებობდა სომხური ანუხვის (ანუხვა-არმიანსკაიას) ს/საბჭო. 1948 წელს სომხური ანუხვას მეორე ანუხვა ეწოდა,

ხოლო 1955 წელს დაუბრუნდა სახელი *ანუხვა-არმიანსკაია*. მისი ამჟამინდელი სახელია *აძჰაფშ/ანჰკვერმანქვა* (Азхაфш/Анхәа-ерманкәа).

არმიანსკოე-უშჩელიე – სოფელი ანუხვის თემში, აფხაზეთის ბორცვიან ზღვისპირა დაბლობზე. წარმოიქმნა XX საუკუნის 40-იან წლებში. 1948 წელს *პზისხევი* ეწოდა, ხოლო 1955 წელს დაუბრუნდა სახელი *არმიანსკოე-უშჩელიე*. მისი ამჟამინდელი სახელია *მსირთა* (Мсырта).

აუძხა – სოფელი ანუხვის თემში, მდ. ფსირცხის მარცხენა ნაპირზე. 1949 წელს შედიოდა ზემო ანუხვის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია *აუძხა* (Ауџа).

აქვაჩა – სოფელი ანუხვის თემში, მდ. ფსირცხის მარცხენა ნაპირზე. 1949 წელს შედიოდა ზემო ანუხვის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია *აქვაჩა* (Ақача).

აქუი – სოფელი ანუხვის თემში, მდ. ნკვარას ხეობაში. 1966 წელს შედიოდა ანუხვის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია *აქუი* (Ақәи/Ақәды).

აჩირხა – სოფელი ანუხვის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ფსირცხის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება ქართულია, სვანურად ჩირხვა „თეთრ ქვას“ ნიშნავს, რომელსაც აფხაზური -ა სუფიქსი ერთვის. ამ ადგილებში მართლაც თეთრი ქვებია, საიდანაც მომდინარეობს სოფლის სახელწოდებაც. აფხაზური ეტიმოლოგიით, აჩი – ცხენია, არხა – ველი, შესაბამისად – „ცხენის ველი“. 1949 წელს შედიოდა მეორე ანუხვის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია *აჩირხა* (Ачырха).

აჯმატვარა – სოფელი ანუხვის თემში, შავი ზღვის ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „თხის სადგომს“ ნიშნავს. 1949 წელს შედიოდა ზემო ანუხვის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია *აჯმატვარა* (Аџматџара).

ვესიოლოვკა – სოფელი ანუხვის თემში, ივერიის მთის ჩრდილოეთ კალთაზე. 1930 წელს ვესიოლოეს სახელით შედიოდა აფხაზური ანუხვის ს/საბჭოში. 40-იან წლებში ქართული სახელი *სალხინო*, ხოლო 1954 წელს *ვესიოლოვკა* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ბუილვია/ვესიოლოვკა* (Бжыльџа/Веселовкә).

ლაშფსარდი – სოფელი ანუხვის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში. 1949 წელს შედიოდა ზემო ანუხვის ს/საბჭოში, მანამდე არ იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია *ლაშფსარდი* (Лашџсард).

აჭანდარის თემი

აჭანდარა – სოფელი აჭანდარის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ჭბაართასა და მდ. დოხვართას შორის. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დასტურდება წყაროებში (Аџиндара). „აჭანდარა“

აფხაზური სახელწოდებაა. „ჭანდარი“ იგივე ჭადარია ქართველურ ენებში, რომელსაც აწარმოებს აფხაზური -ა სუფიქს-პრეფიქსი. სახელწოდება მომდინარეობს სოფლის ცენტრში მდგარი ასწლოვანი უზარმაზარი ჭადრებიდან. 1886 წელს აჭანდარის თემი გუდაუთის უბანში იხსენიება. 1923 წელს გუდაუთის მაზრის აჭანდარის თემში 7 სოფელი შედიოდა. სოფელში შემორჩენილია რამდენიმე დოლმენი და ადრეფეოდალური ხანის ციხის ნანგრევები. მისი ამჟამინდელი სახელია აჭანდარა (Ачандара).

აოსირხვა – სოფელი აჭანდარის თემში, მდ. ბაკლანოვკის ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და ოსიების (ოსია – გააფხაზებული გვარი) ბორცვს ნიშნავს. 1949 წელს შედიოდა აჭანდარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია აუასირხვა (Ауасырхәа).

აულიცა – სოფელი აჭანდარის თემში. 1930 წელს შედიოდა აჭანდარის თემში. სახელწოდების ფუძეა რუსული სიტყვა ულიცა (ქართ. ქუჩა), რომელსაც აფხაზური -ა პრეფიქსი ერთვის. მისი ამჟამინდელი სახელია აულიცა//ბარასხუ (Ауалица/Барасху).

ქვაბრუთა – სოფელი აჭანდარის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ჭბაართის (აფსთის სისტემა) ნაპირას. 1949 წელს შედიოდა აჭანდარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია ქვაბრუთა (Қабрыѳта).

ძიბზირი – სოფელი აჭანდარის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ძიბზირის (აფსთის აუზი) ნაპირას. 1949 წელს შედიოდა აჭანდარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია ძიბზირ (Зыбзыр).

წვინდირთა – სოფელი აჭანდარის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. წვინდირთას (აფსთის მარჯვენა შენაკადი) ნაპირას. 1930 წელს შედიოდა აჭანდარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია ცვინდირთა (Цындырѳта).

ხაბიუ – სოფელი აჭანდარის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. აფსთის მარჯვენა ნაპირას. მისი ამჟამინდელი სახელია ჰაბვი (Хабѳы).

ჯგიდირხვა – სოფელი აჭანდარის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, ჭბაართისა და დოხვართის (აფსთის აუზი) შუამდინარეთში. სახელწოდება აფხაზურია. -ხვა აფხ. ბორცვს აღნიშნავს, თუმცა ტოპონიმის პირველი ნაწილი გამჭვირვალე არ არის. 1949 წელს შედიოდა აჭანდარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია ჯგიდირხუა (Джыдырхәа).

ახალსოფლის თემი

ახალსოფელი – სოფელი ახალსოფლის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ხიფსთის შესართავის ახლოს. XIX საუკუნეში აქ იყო აფხაზური სოფელი აშიცრა.

სახელწოდება აფხაზურ ენაზე „ბზის კორომს“ ნიშნავს. XIX საუკუნეში, აფხაზთა გასახლების შემდეგ, 1944 წელს აქ დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი ჩამოასახლეს და სოფელს *ახალსოფელი* ეწოდა. აქ შეიქმნა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, ამიტომ სოფელს ორჯონიკიძესაც უწოდებდნენ. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *აშიცრა (Ашыцра)* დაარქვეს.

ბარმიშის თემი

ბარმიში – სოფელი ბარმიშის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მიუსერის ბორცვიან დაბლობზე, მდ. მჭიმთის მარჯვენა ნაპირას. დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. 1886 წელს ბარმიშის თემი გუდაუთის უბანში შედიოდა. 1923 წელს არსებობდა ბლაბურხვა-ბარმიშის თემი, რომელშიც ცხრა სოფელი შედიოდა. 1925 წელს არსებობდა ბარმიშის ს/საბჭო. 1926 წლის ივლისში ბლაბურხვისა და ბარმიშის ს/საბჭოები კვლავ გააერთიანეს ბლაბურხვა-ბარმიშის ს/საბჭოდ. 1930 წელს კვლავ ცალკე არსებობდა ბარმიშის ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფლები: აჟხახარა, ბარმიში, მაზიხუა, პაპცა. მისი ამჟამინდელი სახელია *ბარმიშ (Бармышь)*.

აჯხახარა – სოფელი ბარმიშის თემში, მიუსერის დაბლობის ჩრდილოეთ მხარეს, მდ. მჭიმთის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება (აჯხახარა) აფხაზურია და „ბორჯალა მუხა“-ს ნიშნავს. 1930 წელს შედიოდა ბარმიშის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *აჯხახარა (Аджхара)*.

მაზიხვა – სოფელი ბარმიშის თემში, ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. მჭიმთის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება აფხაზურია. მაზი ჩრდილო-დასდავლეთ კავკასიაში გავრცელებული პირსახელია, რომელსაც ერთვის -ხვა (კერძი, წილი) და „მაზის წილ მიწას“ ნიშნავს. 1930 წელს შედიოდა ბარმიშის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *მაზიხუა (Мазиха)*.

ბლაბურხვის თემი

ბლაბურხვა – სოფელი ბლაბურხვის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. მიუსერის ზემოთში. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩანს წყაროებში. 1923 წელს არსებობდა ბლაბურხვა-ბარმიშის თემი, რომელშიც ცხრა სოფელი შედიოდა. 1925 წელს არსებობდა ბლაბურხვის ს/საბჭო. 1926 წლის ივლისში ბლაბურხვისა და ბარმიშის ს/საბჭოები კვლავ გააერთიანეს ბლაბურხვა-ბარმიშის ს/საბჭოდ. 1930 წელს კვლავ ცალკე არსებობდა ბლაბურხვის ს/საბჭო. 1952 წლამდე სოფელ ბლაბურხვას *აგვავერა* ეწოდებოდა. ბლაბურხვა აფხაზურად ბლაბებების (ბლაბა – აფხაზური გვარსახელი) ბორცვს ნიშნავს. აქ არის უბანი *ქანთრიფშ*, რაც ქართული გვარის „ქანთარიების გორას“

ნიშნავს. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ბლაბირხუა* (Блабырхуа).

ანჰაშთიქი – სოფელი ბლაბურხვის თემში, მდ. მჭიშთის ხეობაში. 1930 წელს ბლაბურხვის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ანჰაშთიქუ* (Анхаштыкә).

შლარა – სოფელი ბლაბურხვის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. მიუსერის ხეობაში. XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) დასტურდება სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. მისი ამჟამინდელი სახელია *შლარა* (Шлара).

ჩერქეზიხუ – სოფელი ბლაბურხვის თემში, აფხაზეთის გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთის ძირას, მდ. მჭიშთის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „ჩერქეზის ბორცვს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია *ჩერქეზიხუ* (Черкѣзиху).

ცუძახა – სოფელი ბლაბურხვის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. 1930 წელს ბლაბურხვის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ცუძახა* (Цуџаха).

დურიფშის თემი

დურიფში – სოფელი დურიფშის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს დურიფშის პლატოზე, მდ. ხიფსთის (ბელაია) მარცხენა ნაპირას. დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. 1886 წელს დურიფშის თემი გუდაუთის უბანში შედიოდა. 1923 წელს დურიფშის თემში რვა სოფელი შედიოდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ერთხანს, 1952 წლამდე, *თარკილარჰაბლა* ეწოდებოდა. ეს სახელწოდება აფხაზურია და „თარკილების გვარის უბანს“ ნიშნავს. *სახელწოდება დურიფშიც აფხაზურია* (ადუ – დიდი, რიფშ – სიმაღლე, სათავე, წვერი) და „დიდ გორას“ ნიშნავს. სოფელში, მდ. ხიფსთისა და მისი მარჯვენა შენაკადის, მდინარე *ეგრის* ხერთვისში მდებარეობს შუა საუკუნეების დურიფშის ციხე. სოფლის ამჟამინდელი სახელია *დურიფშ* (Дуриџшы).

აბგარა – სოფელი დურიფშის თემში, მდ. ხიფსთის (ბელაია) მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და სატურეს (აბგა, აფხ. ტურა) ნიშნავს. 1930 წელს დურიფშის თემში იყო სოფლები ზემო აბგარა და ქვემო აბგარა. მისი ამჟამინდელი სახელია *აბგარა* (Абгара).

ათარჰაბლა – სოფელი დურიფშის თემში, მდ. გუდოუს სათავესთან. სახელწოდება აფხაზურია და ათარის უბანს ნიშნავს. 1930 წელს *ათარქითას* (აფხ. ათარის სოფელი) სახელწოდებით დურიფშის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ათარ ჰაბლა* (Аттар хабла).

არუთა – სოფელი დურიფშის თემში, მდ. დოხვართის მარჯვენა მხარეს. 1930 წელს დურიფშის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *არვითა* (Арвѣта).

ტვანარხუ – სოფელი დურიფშის თემში, აფხაზეთის მთისწინ-

ნეთში, მდ. ხიფსთის მარცხენა ნაპირზე. 1955 წლამდე ტვანა ეწოდებოდა. სახელწოდება ტვანაარხუ აფხაზურია და აფხაზური გვარის „ტვანბების ბორცვს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია ტვანა რხუ//ტვანიხუა (Тванаа рхәы//Тванихәа).

ზვანდრიფშის თემი

ზვანდრიფში – სოფელი ზვანდრიფშის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. მჭიმთის მარცხენა მხარეს. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დასტურდება წყაროებში. ზვანდრეების (ზვანბა, ზვანდბა – აფხაზური საგვარეულო) გორას ნიშნავს. 1886 წელს ზვანდრიფშის თემი გუდაუთის უბანში შედიოდა. 1925 წელს უკვე არსებობდა ზვანდრიფშის ს/საბჭო. 1930 წელს ზვანდრიფშის ს/საბჭოში 11 სოფელი შედიოდა. ერთხანს, 1952 წლამდე, არაშახუ ეწოდებოდა. არაშხვ აფხაზურია და „თელების ბორცვს“ ნიშნავს. სოფლის ამჟამინდელი სახელწოდებაა ჟვანდრიფშ (Жвандрыпшә).

აკვასქემცა – სოფელი ზვანდრიფშის თემში, მდ. ხიფსთის ნაპირზე. XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. მისი ამჟამინდელი სახელია აკვასქიამნა (Ақваскъамца).

ალაჰაშხუ – სოფელი ზვანდრიფშის თემში, მდ. ხიფსთის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია (ალაჰაშხვ) და „თეთრი ლელვის გორა“-ს ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია ალაჰაშხუა (Алахашхәа).

ბაალარხვა – სოფელი ზვანდრიფშის თემში, მდ. მჭიმთის მარცხენა ნაპირზე. წყაროებში დასტურდება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. სახელწოდება აფხაზურია. -ხვა აფხ. ბორცვს აღნიშნავს, ბაალ – აფხაზური გვარსახელის ბაალოუს ნაწილს წარმოადგენს, ე. ი. „ბაალოუს ბორცვი“. მისი ამჟამინდელი სახელია ბაალა//ბაალირხუა (Баала/Баалырхәа).

კალდახვარის თემი

კალდახვარა – სოფელი კალდახვარის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე. დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. XIX საუკუნეში აქ იყო აფხაზური სოფელი აჯაფხუნი (ჯაფხუნი), რომელიც XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან დასტურდება წყაროებში. მას ეკავა ამჟამინდელი სოფ. კალდახვარის და ამჟამინდელი სოფ. აგარაკის ნაწილი. 1886 წელს კალდახვარის თემი გუდაუთის უბანში შედიოდა. 1923 წელს არსებობდა კალდახვარ-სომხეთის თემი ერთი სოფლით გაგრის მაზრაში, კალდახვარ-აფხაზეთის თემი ერთი სოფლით და კალდახვარ-კავაქლუქის თემი 8 სოფლით გუდაუთის მაზრაში. 1925 წელს კალდახვარის

ს/საბჭო გუდაუთის მაზრაში შედიოდა. 1952 წელს აჯაფხუნიის კალდახვარა ეწოდა. სოფელში ახლაც არის უბანი, რომელსაც აჯაფხუნი ჰქვია. მისი ამჟამინდელი სახელია კალდახუარა (Калдахара).

საინტერესოა სოფელში შემორჩენილი მიკროტოპონიმები: ადგილი ამფარაა რთაბგარა (ქართ. ამფარების ფლატე). აფხაზური გვარსახელი ამფარ ქართული გვარსახელის მეფორიას აფხაზური ვარიანტია. როგორც ირკვევა, აქ აფხაზების (აფსუები) დამკვიდრებამდე მეფორიები ცხოვრობდნენ, რომლებიც გააფხაზებულან; აჯახარა, სოფელი კალდახვარის თემში. სახელწოდება აფხაზურია და „ბორჯღალა მუხა“-ს ნიშნავს; არაშახვ, სოფელი კალდახვარის თემში. სახელწოდება აფხაზურია და „თეთრი კაკლის გორა“-ს ნიშნავს. ხეცრიფშ, ადგილი სოფ. კალდახვარაში. სახელწოდება აფხაზურია და „ხეციების გორას“ ნიშნავს. ხეცია ქართული ფეოდალური საგვარეულოს მხეიძეების მეგრული ფორმაა. ამ უბანში ახლაც ცხოვრობენ გააფხაზებული ხეციები. კალდახვარაში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე.

ამფარარხუ – სოფელი კალდახვარის თემში, მდ. მიუსერის სათავეში. სახელწოდება აფხაზურია და ამფარების (ამფარ – აფხაზური გვარი) გორას ნიშნავს. მისი ძველი სახელია ამფარაა, რაც ამფარებს ნიშნავს. ამფარაა წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დასტურდება. 1930 წელს ამფარცხა (ახუნა) სახელით კალდახვარის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ამფარაა რხუ (Амфарая рху).

ახვაჯა – სოფელი კალდახვარის თემში, მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე. ეს არის მეგრული „ოხოჯე“ (სახარე) სახელის გააფხაზურებული ფორმა. 1930 წელს ახუაჯა (ძირფხარა) კალდახვარის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ახვაჯა (Ахважа).

აჯახუ – სოფელი კალდახვარის თემში, მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება (აჯახვ) აფხაზურია და „მუხის გორა“-ს ნიშნავს. 1930 წელს აჯიხვა-ს ფორმით კალდახვარის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია აჯახუ (Аджаху).

ლიხნის თემი

ლიხნი – სოფელი ლიხნის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე. მისი ძველი ქართული სახელია ზუფუ. ასე იხსენიება ის ილიორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში (1651 წ.). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზთა“. გვიან შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეში აქ იყო აფხაზეთის მთავრის რეზიდენცია. დაბა „ზუფუ“ (ზუფუ) მთავრის ციხე-დარბაზით აღნიშნულია ასევე 1737 წლის რუკაზე, თუმცა იქვე აღნიშნულია „ლიხნის მონასტერი“. „ლიხნი“ დამახინჯებული ლიხნია, ზუფუს

მეორე სახელწოდება. ეს გეოგრაფიული სახელი საისტორიო წყაროებში პირველად ამ რუკაზეა დამონმებული. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „ლიხნი“ არის ფრიად მაღალი შამბი, მაღალი და მსხვილი ზალახი. „ლიხნი“ მრავლობით რიცხვშია და, შესაბამისად, შამბნარს ნიშნავს. „ზუფუ“ ლიხნის მეგრული სახელწოდებაა და „მზინვარეს, მზეზე მზრწყინავს“ ნიშნავს. თვით XIX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით, ფ. დიუბუა დე მონპერეს ცნობით, მეგრელები მას ზუფუს უწოდებდნენ. ისტორიკოსი ნიკო დადიანიც (1780-1834) მას ზუფუს უწოდებს, თუმცა ლუხუნსაც იხსენიებს. XVIII საუკუნის მიწურულიდან, როდესაც აქ თურქები დამკვიდრდნენ, მას სოუკ-სუ (თურქ. ცივი წყარო) შეარქვეს. მართლაც, აქ მრავალ ადგილას მოჩუხჩუხებს ცივი წყარო. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოუკ-სუს ნაცვლად უფრო ხშირად ლიხნი იხმარებოდა. 1893 წლის აფხაზეთის რუკაზე ლიხთას სახელწოდებითაა დატანილი. 1886 წელს ლიხნის თემი გუდაუთის უბანში შედიოდა. 1923 წელს გუდაუთის მაზრის ლიხნის თემში 6 სოფელი შედიოდა. სოფლის შუაგულში აღმართულია X-XI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ტაძრის მახლობლად არის აფხაზეთის მთავართა ორსართულიანი სასახლის ნანგრევები. სოფლის განაპირას, მდ. ხიფსთის მარცხენა ნაპირზე, აღმართულია გაღავნით შემოზღუდული ციხესიმაგრის კომპლექსი აბაანთა (VII-VIII სს.). მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. სოფელში აღმოჩენილია ძვ. წ. XVII-XIV სს. კოლხური ცულების განძი. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ლიხნი* (Лыхны).

ალგითი – სოფელი ლიხნის თემში, მდ. ხიფსთის მარცხენა ნაპირზე. XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება (Алгида) სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. 1930 წელს ლიხნის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ალგით* (Алгыт).

აძლაგარა – სოფელი ლიხნის თემში, მდინარეების აძლაგარისა და გუდოუს შუამდინარეთში. სახელწოდება აფხაზურია და „წისქვილს“ ნიშნავს. XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. 1930 წელს ლიხნის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აძლაგარა* (Азлагара).

აძლაგარხუქი – სოფელი ლიხნის თემში, მდ. გუდოუს მარცხენა ნაპირზე. 1949 წელს ლიხნის თემში შედიოდა. სახელწოდება აფხაზურია და „წისქვილის ბორცვს“ ნიშნავს (აძლაგარა – წისქვილი, ხუქვ – ბორცვი). 1930 წელს აძლაგარას სახელით ლიხნის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აძლაგარხიქუ* (Азлагархыкә).

აჯიმჩილრა – სოფელი ლიხნის თემში, მდ. ხიფსთის მარცხენა ნაპირზე. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება წყაროებში. XX საუკუნის დასაწყისში (1914 წ.) შედიოდა სოხუმის ოკრუგის გუ-

დაუთის უბანში, ხოლო 1930 წლიდან – ლიხნის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია აჯიმჩილრა (Ажымчырра).

ბამბორა – სოფელი ლიხნის თემში, შავი ზღვის ნაპირზე. სახელწოდების ამოსავალია ქართული სიტყვა ბამბა. აქ იყო სახნავი მიწები, საძოვრები, ბამბის პლანტაციები, საიდანაც მომდინარეობს სახელწოდება. სოფელში, ზღვის მახლობლად, მდ. ფშანდრას მარჯვენა ნაპირზე შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის VIII-IX სს. ეკლესიის ნანგრევები. სოფელი ამ სახელწოდებით ფიქსირდება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. 1830 წელს რუსეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს და აქ შექმნეს აფხაზეთის სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის ცენტრი. 1925 წელს არსებობდა ბამბორის ს/საბჭო. 1930 წელს ბომბორა-აგდირაა-ს სახელწოდებით ლიხნის თემში შედიოდა. 1949 წელს შექმნილი იყო ბამბორის ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფელი ბამბორა. 1954 წელს ბამბორისა და ლიხნის ს/საბჭოები გააერთიანეს ერთ ლიხნის ს/საბჭოდ. მისი ამჟამინდელი სახელია ბამბორა (Бамбора).

მზახვა – სოფელი ლიხნის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. 1949 წელს ლიხნის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია მზახუა (Мзахуа).

ხეცკვარა – სოფელი ლიხნის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. სახელწოდება აფხაზურია და „ხეციების ლელეს“ ნიშნავს. აქ ცხოვრობდა ხეციების ქართული გვარი, რომელიც შემდეგ გააფხაზდა. 1949 წელს ლიხნის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ხიაკკუარა (Хьацквара).

ჰაფშირა – სოფელი ლიხნის თემში. სახელწოდება აფხაზურია (აჰაფშა – თიხის კლდე) და „თიხის კლდეს“ ნიშნავს. 1949 წელს ლიხნის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ჰაფშირა (Хафшырра).

მგუძირხვის თემი

მგუძირხვა – სოფელი მგუძირხვის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში, მიუსერის მაღლობზე, მდ. მჭიშთის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია. -ხვა აფხაზურად ბორცვს აღნიშნავს, მგუძ კი — გვარსახელის ნაწილს წარმოადგენს და „მგუძხას ბორცვს“, „მგუძხას წილ მიწას“ ნიშნავს. 1886 წელს მგუძირხვის თემი გუდაუთის უბანში იხსენიება. 1923 წელს მგუძირხვის თემი 5 სოფლით გუდაუთის მაზრაში შედიოდა. სოფელში არის ადგილი ჩქვან ითე (ჩიქვანის, ჩიქოვანის ადგილი, მიწა). ამდენად, ტოპონიმს შემოუნახავს უცყუარი ცნობა, რომ ამ ადგილზე აფხაზთა მოსვლამდე ჩიქვანებს უცხოვრიათ. სოფელში არის უბანი ჩაბალურხვა. ეს უკანასკნელი 1930 წელს ცალკე სოფლად შედიოდა მგუძირ-

ხვის თემში. სახელწოდება აფხაზურია და ჩააბალეების (ჩაბალ, ჩაბალურხვა – აფხაზური თავადური გვარსახელი) ბორცვს ნიშნავს. სოფლის ამჟამინდელი სახელია *მგუძირხუა* (М҃у҃дирхуа).

ამბარა – სოფელი მგუძირხვის თემში, შავი ზღვის ნაპირას. 1949 წელს შედიოდა მგუძირხვის თემში. სახელწოდება აფხაზურია და „უჩინარს, უხილავს“ ნიშნავს. სოფელში შემორჩენილია VIII-IX სს. ეკლესიის ნაშთი. მისი ამჟამინდელი სახელია *ამბარა* (Амбара).

არამახუ – სოფელი მგუძირხვის თემში, მდ. მჭიშთის მარჯვენა ნაპირზე. 1949 წელს შედიოდა მგუძირხვის თემში. სახელწოდება (არა-შახვ) აფხაზურია და „თეთრი კაკლის გორა“-ს ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია *არამახუ/ჩააბალირხუა* (Араш ахы/Чаабалырхуа).

აფცხვა – სოფელი მგუძირხვის თემში, მდ. ამბარის მარჯვენა ნაპირზე. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩანს. 1930 წელს მგუძირხვის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აფცხუა* (А҃цхуа).

გუგუნირხვა – სოფელი მგუძირხვის თემში, მდ. მჭიშთის მარჯვენა ნაპირზე. 1949 წელს შედიოდა მგუძირხვის თემში. სახელწოდება აფხაზურია. -ხვა აფხ. ბორცვს აღნიშნავს, გუგუნ — გვარსახელის (ქართული გვარი გუგუნავა) ნაწილს წარმოადგენს. მისი ამჟამინდელი სახელია *გუგუნირხუა* (Гу҃гунырхуа).

მიუსერა – სოფელი მგუძირხვის თემში, ზზიფის ქედის მთისწინეთში, მიუსერის მაღლობზე. 1949 წელს *მისრას* სახელწოდებით მგუძირხვის თემში შედიოდა. სახელწოდება ქართულია, სვანურად „თოვლიანს“ (მუსერ, მუს – თოვლი, -ერ – წარმომავლობა-ვითარების აღმნიშვნელი სუფიქსი) ნიშნავს. მიუსერა გორაკზე მდებარეობს, სადაც დაბლობზე უფრო ხანგრძლივად იდო თოვლი. აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *მისრა* (Мысра) დაარქვეს.

ონდანირხვა – სოფელი მგუძირხვის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მიუსერის მაღლობზე. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან არის დამონმებული (აბრიუცკი, ნორდმანი). XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება (Однорхва) სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. სახელწოდება აფხაზურია. -ხვა აფხაზურად ბორცვს აღნიშნავს, თუმცა ტოპონიმის პირველი ნაწილი გამჭვირვალე არ არის. 1930 წელს მგუძირხვის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ონდანირხუა/ონდირხუა* (Онданырхуа/Ондырхуа).

პაპწვა – სოფელი მგუძირხვის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. მჭიშთის მარჯვენა ნაპირზე. XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება (Папча) სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. 1930 წელს მგუძირხვის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *პაპწვა* (Папца).

მწარის თემი

მწარა – სოფელი მწარის თემში, მდ. მწარის (აფსთის მარცხენა შენაკადი) ზემოთში. *ზემო მწარისა* და *ქვემო მწარის* ძველი სახელწოდება. 1886 წელს მწარის თემი გუდაუთის უბანში შედიოდა. 1925 წელს არსებობდა მწარის ს/საბჭო. მწარის თემში შედის სოფლები *ვერხნაია მწარა* და *ნიჟნაია მწარა*. *ვერხნაია მწარას* 1955 წლამდე *ზემო მწარა*, ხოლო *ქვემო მწარას* სომხური სახელი *სანაპნკიულ-ატნაპცაკიულ* ეწოდებოდა. 1948 წელს ამ უკანასკნელს *ქვემო მწარა* ეწოდა. 1955 წელს მას შეეცვალა სახელი და *ნიჟნაია მწარა* ეწოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია *მწარა* (Мцара).

აძუსთა – სოფელი მწარას თემში, მდ. აფსთის მარცხენა მხარეს. 1930 წელს მწარის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აძუსთა//ენვიშთა* (Адзуста/Енвышта).

ჭირუთა – სოფელი მწარას თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. მწარის (აფსთის მარცხენა შენაკადი) ნაპირას. XX საუკუნის 20-იან წლებში ამ ადგილას იყო სომხური სოფლები *ართინუსთა-კორაკანიანოვკა* და *პაპასცესკიული-ხაჩატური*. მათი გაერთიანების შედეგად 1948 წელს შეიქმნა სოფელი *შუამთა*. 1967 წელს მას სახელი შეეცვალა და *ჭირუთა* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ჭირვითა* (Чырвота).

ხაბიუ – სოფელი მწარას თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. აფსთის მარჯვენა ნაპირას. 1930 წელს მწარის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ჰაბიუ* (Хабыу).

ოთხარის თემი

ოთხარა – სოფელი ოთხარის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. მჭიშთის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდების აფხაზური ფორმაა *ოთჰარა*. წყაროში პირველად XIX საუკუნის 30-იან წლებში ფიქსირდება *Одхера* ფორმით (პ. ზუბოვი). 1886 წელს ოთხარის თემი გუდაუთის უბანში იხსენიება. 1923 წელს ოთხარის თემი 7 სოფლით გუდაუთის მაზრაში შედიოდა. ტოპონიმი არ იხსნება აფხაზურ ენაზე. მეგრულად სათხილეს (ოთხირე) ნიშნავს. სოფელში არის ადგილი *ქანთრიფშ*, რაც „ქანთარიების (ქანთარია – ქართული გვარსახელი) გორას“ ნიშნავს. სოფლის მახლობლად არის ბუნებრივი და კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულები, რომელიც შუა საუკუნეებში მონასტრად გამოიყენებოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ოთჰარა* (Отхара).

ბაჩა – სოფელი ოთხარის თემში, მდ. მჭიშთას მარცხენა ნაპირზე. XX საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. მისი ამჟამინდელი სახელია *ბაჩა* (Баца).

გარფი – სოფელი ოთხარის თემში, ბზიფის ქედის კალთაზე. XX

საუკუნის დასაწყისიდან (1914 წ.) ფიქსირდება სოხუმის ოკრუგის გუდაუთის უბანში. მისი ამჟამინდელი სახელია გარფ (Гарф).

მამიჯირხვა – სოფელი ოთხარის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. მჭიშთის მარცხენა მხარეს. 1930 წელს ოთხარის თემში შედიოდა. სახელწოდება აფხაზურია. -ხვა აფხ. ბორცვის აღნიშნავს, თუმცა ტოპონიმის პირველი ნაწილი გამჭვირვალე არ არის. მისი ამჟამინდელი სახელია *მამჯირხვა* (Мамышьрхаа).

ჟაბნა – სოფელი ოთხარის თემში, მდ. მჭიშთის მარცხენა ნაპირზე. 1930 წელს ოთხარის თემში შედიოდა. სახელწოდება აფხაზურია და „კურდღლის ტყეს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია *ჟაბნა* (Жъабна).

პრიმორსკოეს თემი

პრიმორსკოე – სოფელი პრიმორსკოეს თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე. 1949 წელს არსებობდა პრიმორსკის სასოფლო საბჭო გუდაუთის რაიონში. სოფლის მიდამოებში, მდ. წკვარას ხეობაში, მსიგხუას მთაზე, შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები ქართული ასომთავრული წარწერებით. ეკლესია მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის უნდა ყოფილიყო. თარიღდება IX-X სს. ამავე ხანით თარიღდება წარწერებიც. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *წკუარა* (Цкъара).

არსაული – სოფელი პრიმორსკოეს თემში, შავი ზღვის ნაპირზე, მდ. წკვარას მარჯვენა მხარეს. XX საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება რუკებზე. XIX საუკუნის მიწურულიდან ერქვა *პეტროპავლოვსკოე/პეტროპავლოვკა*. 1930 წელს არსებობდა *პეტროპავლოვსკოეს* ს/საბჭო. 1948 წელს *გოგირდწყალი* ეწოდა. 1967 წელს დაუბრუნდა სახელი *არსაული*. მისი ამჟამინდელი სახელია *არსაული* (Арсаул).

აძლაფშა – სოფელი პრიმორსკოეს თემში, შავი ზღვის ნაპირზე. 1966 წელს პრიმორსკოეს თემში შედიოდა. მანამდე არ ფიქსირდება.

აჭანვა – სოფელი პრიმორსკოეს თემში, შავი ზღვის ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია (აჭან – აფხ. ლაზი) და „ლაზების საცხოვრებელს“ ნიშნავს. 1966 წელს პრიმორსკოეს თემში შედიოდა. მანამდე არ ფიქსირდება. მისი ამჟამინდელი სახელია *აჭანუა* (Ачануа).

ფსირცხის თემი

ფსირცხა – სოფელი ფსირცხის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ფსირცხას ნაპირზე. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ჩანს წყაროებში ამ სახელწოდებით. სოფელ ფსირცხის და მდ. ფსირცხის ისტორიული სახელწოდებებია *ანაკოფია* და *ანაკოფიის მდინარე*. ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს ანაკოფიას და მის მცირე მდინარეს, რომელსაც მოგვიანებით ფსირცხა ეწოდა. სახელწოდება

მომდინარეობს მდინარის სახელიდან „ფსირცხსა“, რაც მდინარის სათავეს ნიშნავს. 1886 წელს ფსირცხის თემი გუდაუთის უბანში შედიოდა. 1923 წელს ფსირცხის თემი ერთი სოფლით გუდაუთის მაზრაში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ფსირცხა* (Псырцха).

ოქტომბერი – სოფელი ფსირცხის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში არახუ ერქვა, რაც აფხაზურად „კაკლის გორას“ ნიშნავს. XX საუკუნის 20-30-იან წლებში აქ არსებობდა სოფლები *ოქტიაბრსკოე* და *სოვეტსკოე*, რომელსაც *ოქტიაბრსკოე-სოვეტსკოე* უწოდებდნენ. 1948 წელს *ოქტიაბრსკოე* და *სოვეტსკოე* გააერთიანეს და *ოქტომბერი* უწოდეს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა არახუ (Араху) დაარქვეს.

ციტრუსოვანი – სოფელი ფსირცხის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. 1930 წელს ფსირცხის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები *ფსირცხა-ბერძნების* და *ფსირცხა-მეგრელების*. XX საუკუნის 20-იან წლებში *მინგრელსკოე-გრეჩესკოე*, ხოლო 1948 წელს – *ციტრუსოვანი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ამჟვასარა (Амжаасара) დაარქვეს. სახელწოდება აფხაზურია (ამჟვა – აფხ. თუთა, ასარა – პატარა ტყე).

ყულანურხვის თემი

ყულანურხვა – სოფელი ყულანურხვის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. დოხვართის (ააფსთის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს. სახელწოდება აფხაზურია და ყულანბების (ყულანბა – აფხაზური გვარსახელი) ბორცვს ნიშნავს. XIX საუკუნის დასაწყისიდან (1813 წ.) ფიქსირდება წყაროებში. 1935 წელს აბლარხუკის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: ცუშაა-რჰაბლა, თამკუაჩ-იგუარა, არიუთა, აბგაუერა, აჩკანა, თასრაყუა-ყაფში და დაარსდა ყულანურხვის ს/საბჭო ცენტრით სოფელ აჩკანაში. 1949 წელს უკვე არსებობდა ყულანურხვის სასოფლო საბჭო. სოფელში არის ადგილი *ოსიაა რხუეც* (ქართ. ოსიების გადასახედი). ოსია დღეს გააფხაზებული გვარია. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ყულანურხუა* (Каланырхуа).

აბგავერა – სოფელი ყულანურხვის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. 1935 წლიდან შედის ყულანურხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია *აბგავიარა/ყულანურხუა აგუ* (Абгагара/Каланырхуа агу).

ადეიგვარა – სოფელი ყულანურხვის თემში, მდ. დოხვართის ნაპირზე. 1935 წლიდან შედის ყულანურხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია *ადეიგუარა* (Адеигара).

ართუა – სოფელი ყულანურხვის თემში, მდ. დოხვართის მარჯვენა მხარეს. 1930 წელს შედიოდა აბლარხუკის თემში, ხოლო 1935 წლიდან კი – ყულანურხვის თემში შედის. მისი ამჟამინდელი

სახელია არვითა (Арвѣта).

აჩკანა – სოფელი ყულანურხვის თემში, მდ. დოხვართის მარჯვენა ნაპირზე. 1930 წელს შედიოდა აბლარხუკის თემში, ხოლო 1935 წლიდან კი ყულანურხვის თემში შედის. მისი ამჟამინდელი სახელია აჩკინა (Ачкына).

თამკვაჩ-იგვავერა – სოფელი ყულანურხვის თემში, მდ. გუდოუს მარცხენა მხარეს. 1930 წელს შედიოდა აბლარხუკის თემში, ხოლო 1935 წლიდან კი – ყულანურხვის თემში შედის. მისი ამჟამინდელი სახელია თამკუაჩ იგუაგია (Тамкаач игуагя).

თასრაყვა – სოფელი ყულანურხვის თემში, მდ. გუდოუს მარცხენა მხარეს. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (ა. ნორდმანი), იხსენიება აგრეთვე 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლის ნახევარი აბლარხუკის, მეორე ნახევარი ყულანურხვას თემში შევიდა. 1949 წელს შედიოდა ყულანურხვის თემში.

ოსიაარხუ – სოფელი ყულანურხვის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში. სახელწოდება აფხაზურია და „ოსიების გვარის გორას ნიშნავს“. 1949 წელს შედიოდა ყულანურხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია ოსიაა რხუ (Осиаа рху).

წვიშაარხუ – სოფელი ყულანურხვის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. სახელწოდება აფხაზურია და „წვიშას გვარის გორას“ ნიშნავს. 1949 წელს ყულანურხვის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია წვიშა რხუ (Цышара рху).

ხოფის თემი

ხოფი – სოფელი ხოფის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ეგრის (მდ. ხიფსთას მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. ხოფი ფართოდ გავრცელებული სახელია მთელ საქართველოში (სამეგრელოში ხობი, ხოფი; ლაზეთში – ხოფი; ქართლში, მდ. ქსნის ხეობაში – ხოფი). სოფელში აღმოჩნდა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ეკლესია. აქვე აღმოჩნდა ქვის ფილა ქართული ასომთავრული წარწერით. ეკლესიაც და წარწერაც X საუკუნით თარიღდება. XIX საუკუნის II ნახევარში სოფლის სახელწოდებად მისი აფხაზური ფორმა „ხვაფ“-ი მკვიდრდება, თუმცა ოფიციალურად კვლავ ხოფი ეწოდებოდა. 1930 წელს სოფელი ხოფი ჯირხვის ს/საბჭოში შედიოდა. 1935 წელს ჯირხვის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: კონაპა, ათვახუ, ელირთა, შკუანა და დაარსდა ახალი ს/საბჭო სოფ. ათვარხუში ხუაფის ს/საბჭოს სახელწოდებით. XX საუკუნის I ნახევარში ხოფის ს/საბჭოს ცენტრი იყო სოფ. ათვარხუ, რომელსაც 1952 წელს ხოფი ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს ხუაფ (Хуаф).

არხა (ელირთა) – სოფელი ხოფის თემში, მდ. ეგრის ხეობაში. 1949 წელს შედიოდა ხოფის თემში. სახელწოდება „არხა“ აფხაზურად „დაბლობს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია არხა (Арха).

კვანაფა – სოფელი ხოფის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. 1949 წელს შედიოდა ჯირხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია კუანაპა (Кванапа).

შკვანა – სოფელი ხოფის თემში, ბზიფის ქედის სამხრეთ მთისწინეთში. 1949 წელს შედიოდა ჯირხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია შკუანა (Шквана).

ჯირხვის თემი

ჯირხვა – სოფელი ჯირხვის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის ბორცვიანი მთისწინეთის ძირას. სახელწოდება აფხაზურად აჯბების (აჯბა – აფხაზური გვარსახელი) ბორცვს ნიშნავს. 1886 წელს ჯირხვის თემი გულაუთის უბანში იხსენიება. 1923 წელს გულაუთის მაზრის ჯირხვის თემში 9 სოფელი შედიოდა. ერთხანს, XX საუკუნის I ნახევარში, ხუდარაა ეწოდებოდა. 1952 წელს ჯირხვა დაერქვა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზეთმა ჯირხვა (Цырхаа) დაარქვეს.

აფშანხვარა – სოფელი ჯირხვის თემში, შავი ზღვის სპირა დაბლობზე. 1949 წელს შედიოდა ჯირხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია აფშანჰვარა (Апшанхваара).

აქვარჩხუ – სოფელი ჯირხვის თემში, შავი ზღვის ნაპირზე. 1949 წელს შედიოდა ჯირხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია აქვარჩხუა (Акварчхаа).


ახუნა – სოფელი ჯირხვის თემში, მდ. ხიფსთის მარჯვენა ნაპირზე. აფხაზურად ახუნა მთისძირს ნიშნავს. 1930 წელს ჯირხვა-ახუნას სახელწოდებით შედიოდა ჯირხვის თემში.

ბგარდვანი – სოფელი ჯირხვის თემში, მდ. ხიფსთის ხეობაში. ხ. ბლაჟუბა ტოპონიმს აფხაზური ენის საფუძველზე ხსნის – „მგლის მინდორი“. თ. მიბჩუანი სახელწოდებას უკავშირებს სვანურ გარდვანს – „გამაგრებული ადგილი“. 1930 წელს აბგარდვანი-ს სახელწოდებით შედიოდა ჯირხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია ბგარდვნი//ბგარდვანი (Бгарданы//Бгарданы).

კვანაფა – სოფელი ჯირხვის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. კონაპას ფორმით 1930 წელს შედიოდა ჯირხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია კუანაფა//კუანაპა (Кванафа//Кванапа).

სინირხვა – სოფელი ჯირხვის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. სახელწოდება აფხაზურია. -ხვა აფხ. ბორცვს აღნიშნავს, თუმცა ტოპონიმის პირველი ნაწილი გამჭვირვალე არ არის. 1930 წელს შედიოდა ჯირხვის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია სინირხვა (Сынырхаа).

სოხუმის რაიონი



სოხუმის რაიონი

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში არსებობდა გუმისთის უბანი, რომელიც სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში შედიოდა. 1918 წელს გუმისთის უბანს გუმისთის მაზრა დაერქვა და ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის, ხოლო შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის ადმინისტრაციული ერთეულია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან კვლავ არსებობს გუმისთის მაზრა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი ქ. სოხუმი იყო. 1923 წელს გუმისთის მაზრაში 18 თემი შედიოდა 108 სოფლით, ხოლო 1925 წელს – 20 თემი. 1929 წელს გუმისთის მაზრას სოხუმის მაზრა ეწოდა, 1930 წლის ოქტომბერში – სოხუმის რაიონი. 1943 წელს სოხუმის რაიონს გულრიფშის რაიონი გამოეყო. 1959 წელს სოხუმისა და გულრიფშის რაიონები გაერთიანდა ერთ, სოხუმის რაიონად. 1963-1964 წწ. სოხუმის რაიონი ოჩამჩირის რაიონში შედიოდა, რომელსაც 1965 წელს გამოეყო. 1966 წელს სოხუმის რაიონს გამოეყო გულრიფშის რაიონი.

სოხუმის რაიონში შედის 11 სასოფლო საბჭო: ახალსოფელი, ახალშენი, ბესლეთი (ცენტრი აბჟაყვა), გუმისთა (ცენტრი აჩადარა), ეშერა, ზემო ეშერა, თავისუფლება, კელასური, ოდიში, შრომა, ფსხუ; 61 სოფელი. სოხუმის რაიონის მოსახლეობა – 39 516 (1989 წ.), ქ. სოხუმის – 119 150 (1989 წ.).

ქალაქი სოხუმი

სოხუმი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი, სოხუმის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმის ყურეში. გაშენებულია უმთავრესად მდინარეების გუმისთისა და კელასურის ქვემო დინებათა შორის მოქცეულ ვაკე-დაბლობზე. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ძველ ბერძნულ წყაროებში (ფსევდო სკილაქს კარიანდელი, ძვ. წ. IV ს. და სხვ.) მას დიოსკურიის (დიოსკურია) ეწოდება. ანტიკური ტრადიციით, ეს სახელი მითიური დიოსკურებიდან მომდინარეობს. დიოსკურები (ბერძნ. Dioskuroi – ზევსის ვაჟიშვილები) იყვნენ ტყუბი ძმები კასტორი და პოლიდეკე, რომელთა მეეტლეებმა, არგონავტებმა ტელხისმა და ამფისტმა, ლეგენდის თანახმად, ქ. დიოსკურია დააარსეს. საფიქრებელია, რომ ქალაქის სახელი დიოსკურია ძველი ქართული სახელწოდების ბერძნულ გააზრებას წარმოადგენს. „დია“ მეგრულად დედას ნიშნავს, ხოლო „სკური“ – წყალს. ძვ. წ. I საუკუნეში დიოსკურიას რომის იმპერატორ გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსის

(ძვ. წ. 27 – ახ. წ. 14 წწ.) პატივსაცემად, მისი ტიტულის „ავგუსტუსის“ (ლათ. დიადი, წმინდა) ბერძნული შესატყვისის „სებასტოსის“ მიხედვით, სებასტოპოლისი უწოდეს. I საუკუნეში ეს სახელწოდება ნაკლებად იყო ცნობილი, ამიტომაც პლინიუს უფროსს (24-79 წწ.) თავის „ბუნების ისტორიაში“ დიოსკურია და სებასტოპოლისი ცალცალკე აქვს მოხსენიებული. II საუკუნეში ფლავიუს არიანემ უკვე კარგად იცის, რომ სებასტოპოლისი ძველი დიოსკურიაა. V-VI საუკუნეების ბიზანტიელი ავტორები მას სებასტოპოლს (სევასტოპოლს) უწოდებდნენ. აქედან მოდის ამ ქალაქის სახელწოდება „სევასტოპოლი“//„სავასტოპოლი“, რომელიც XIV-XVI სს. ევროპულ საზღვაო რუკებზე გვხვდება. ქალაქის უძველესი ქართული სახელწოდება ცხომი//ცხუმი იყო, რაც ძველ ქართულში რცხილას ნიშნავდა (კავკასიური რცხილა – მეგრ. ცხიმური, სვან. ცხუმ). ქართულ საისტორიო წყაროებში „ცხუმი“ პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება VIII საუკუნის 30-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით. იმავე ამბებთან დაკავშირებით იხსენიება ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლში „დავით და კონსტანტინეს წამება“ (IX ს.). ეს სახელწოდება დამონშებულია აგრეთვე თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (XIII ს.). XIV საუკუნის დასაწყისში არაბი ავტორი აბულ-ფიდა პირველად ახსენებს ქალაქ „სუხუმს“, რაც ქართული „ცხუმის“ არაბული შესატყვისია. ამ ქალაქს „სუხუმ“//„სოხუმს“ ეძახდნენ თურქ-ოსმალებიც, რომლებიც შავიზღვისპირეთში XV ს. II ნახევრიდან გამოჩნდნენ. ცნობილია, რომ არაბულში „ო“ ბგერა არაა, აღმოსავლურ ენებს (არაბული, თურქული) „ც“ ბგერაც არ გააჩნიათ, თანაც ორი თანხმოვნის ერთად გამოთქმაც უჭირთ. ასე მივიღეთ ქართული ცხომი//ცხუმიდან სუხუმ//სოხუმი. ეს სახელწოდება XIX-XX საუკუნეებში ქართულში სოხუმის, ხოლო რუსულში სუხუმის ფორმით დამკვიდრდა. ცხომი, როგორც ქალაქი, მოხსენიებულია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში; „ცხომის ციხე“ დატანილია დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზეც. საკუთრივ აფხაზები ამ ქალაქს „აყვას“ უწოდებენ. ეს აფხაზური გეოგრაფიული სახელი პირველად მდ. ყუბანის შუა წელზე იტალიელი კარტოგრაფის ჯ. გასტალდის 1561 წლის რუკაზე გვხვდება. საკუთრივ სოხუმის მნიშვნელობით „აყუს“ ფორმით ქალაქი 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზეა დაფიქსირებული. „სოხუმი“ თურქულიდან ქართულში, როგორც ჩანს, XVIII საუკუნის დასაწყისში შემოვიდა. 1737 წლის რუკაზე „ცხომის ციხის“ დასავლეთით დატანილია ციხე-სიმაგრე წარწერით: „სოხუმის ციხე. ქართულად აყუ ქვიან“. 1737 წლის რუკის „აყუ“ აფხაზური „აყვას“ ქართული გახმოვანებაა. „სოხუმი“ და „აყუ“ სინონიმებად მიაჩნია შუა საუკუნეების უკანასკნელ ქართველ ისტორიკოსს ნიკო დადიანს

(1780-1834). აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მაქსიმე აბაშიძე რუსეთის საგარეო უწყებისადმი 1779 წლის მარტში წარდგენილ ანგარიშში სოხუმს „სოხომს“ უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ამ ანგარიშის რუსეთშივე გაკეთებულ რუსულ თარგმანში ეს სახელწოდება უცვლელადაა გადატანილი. თურქულის გავლენით „სუხუმი“ რუსულ ენაში XIX საუკუნიდან დამკვიდრდა. მისი აფხაზური სახელია აყუა (Ақуа).

ახალსოფლის თემი

ახალსოფელი – სოფელი ახალსოფლის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1878 წელს აქ გერმანელი კოლონისტების დასახლება *ნაიდორფი* შეიქმნა. 1886 წელს ნაიდორფის თემი გუმისთის უბანში იხსენიება. 1930 წელს *ნაიდორფი* ვოლოდარსკის ს/საბჭოში შედიოდა. 1943 წელს მას ქართული სახელი *ახალსოფელი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ძიგუთა* (Зыгуа) დაარქვეს. სახელწოდება აფხაზურია (აძი – წყალი, აგუთა – ცენტრი, შუაგული).

ალექსეევკა – სოფელი ახალსოფლის თემში, მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აგუა ერქვა. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ შეიქმნა რუსი კოლონისტების სოფელი, რომელსაც *ალექსეევკა* ეწოდა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის (1894-1917) შვილის ალექსის დაბადების აღსანიშნავად. 1930 წელს *ალექსეევკა* ვოლოდარსკის ს/საბჭოში შედიოდა. 40-იან წლებში ეწოდა *ბაგრატისციხე*, 50-იან წლებში კი დაუბრუნდა სახელი *ალექსეევკა*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ჩაბკუარა* (Чабкәара) დაარქვეს. სახელწოდება აფხაზურია (კუარა – წყარო, ჩაბ – შეიძლება საკუთარი სახელი იყოს) „ჩაბის წყარო, მდინარე“.

ვოლოდარსკოე – სოფელი ახალსოფლის თემში, შავიზღვისპირა ბორცვიან დაბლობზე. 1923 წელს გუმისთის მაზრაში შედიოდა ვოლოდარსკის თემი 7 სოფლით. 1930 წელს ვოლოდარსკის თემში 9 სოფელი იყო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ანუარქით* (Ануаркыт) დაარქვეს. სახელწოდება აფხაზურია და „ანუების სოფელს“ ნიშნავს.

კელასური – სოფელი ახალსოფლის თემში, მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან კლისურა, რაც გასასვლელ ადგილს, ვიწრობს ნიშნავს. 1930 წელს *კელასური* ვოლოდარსკის თემში შედიოდა. სოფლის მახლობლად, მდ. კელასურის მარცხენა ნაპირას აღმოჩენილია ქვედა პალეოლითის ძეგლი. მისი ამჟამინდელი სახელია *კიალაშვირ* (Кылашыр).

ძიგუთა – სოფელი ახალსოფლის თემში, მდინარეების კელასურისა და ბესლეთის წყალგამყოფზე. სახელწოდება აფხაზურია (აძი – წყალი, აგუთა – ცენტრი, შუაგული). XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ გერმანელი კოლონისტების სოფელი *გნადენბერგი* შეიქმნა. 1886 წელს გნადენბერგის თემი გუმისთის უბანში, ხოლო 1930 წელს ვოლოდარსკის თემში შედიოდა. მოგვიანებით ძიგუთა (ძილუტა) ეწოდა. ამ სახელით დაფიქსირებულია 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში. მისი ამჟამინდელი სახელია *ძიგუთა* (Зигута). სახელწოდება აფხაზურია (აძი – წყალი, აგუთა – ცენტრი, შუაგული).

ახალშენის თემი

ახალშენი – სოფელი ახალშენის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. გუმისთის ორ ტოტს – დასავლეთ და აღმოსავლეთ გუმისთას შორის. ვ. კვარჭიას ცნობით, აფხაზთა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობამდე აქ იყო სოფელი აფრა. 1879 წელს აქ ოსმალეთის იმპერიიდან ბერძნები ჩამოსახლდნენ და შეიქმნა სოფელი, რომელსაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881) შვილიშვილის ანდრეის დაბადების აღსანიშნავად *ანდრეევკა* ეწოდა. 1886 წელს ანდრეევსკოეს თემი გუმისთის უბანში იხსენიება. 1923 წელს ანდრეევსკის თემი 5 სოფლით გუმისთის მაზრაში შედიოდა. 1926 წლის ივლისში ანდრეევსკის, ბეშკარდაშის და მიხაილოვსკის ს/საბჭოები გააერთიანეს ერთ მიხაილოვსკის ს/საბჭოში. 1930 წელს ისინი კვლავ ცალცალკე არსებობს. 1944 წელს სოფელ ანდრეევკას გადაერქვა სახელი და *ახალშენი* დაერქვა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა აფრა (Афра) დაარქვეს. სახელწოდება აფხაზურია და „იალქანს“ ნიშნავს.

აძიბჟარა – სოფელი ახალშენის თემში, მდ. დასავლეთ გუმისთის ორივე ნაპირზე. XX საუკუნის პირველ ნახევარში *ჟირწყალი* (ოფიციალურად *ორწყალი*) ერქვა, რაც მეგრულად „ორწყალს“ ნიშნავს. 1955 წელს აფხაზური სახელი *აძიბჟარა* ეწოდა, რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია. მისი ამჟამინდელი სახელია *აძიბჟარა/ავიძიბჟარა* (Азыбжара/Авибжара).

გუმა – სოფელი ახალშენის თემში, მდ. აღმოსავლეთ გუმისთის მარჯვენა ნაპირზე. 1930 წელს *გუმა-საბაშვილის* სახელწოდებით ანდრეევსკოეს ს/საბჭოში შედიოდა, ხოლო 1949 წელს უკვე *გუმას* სახელწოდებით – ახალშენის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია *გუმა* (Гума).

მთისკალთა – სოფელი ახალშენის თემში, მდ. აღმოსავლეთ გუმისთის მარცხენა მხარეს. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აქ იყო აფხაზური სოფელი *როშკვა*. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ ოსმალეთის იმპერიიდან გადმო-

სახლებული სომხები დასახლდნენ და სოფელს *დერეკეი* დაერქვა. *დერეკეი* 1930 წელს ანდრეევსკოეს თემში შედიოდა. 1948 წელს ქართული სახელი *მთისკალთა* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *რაშხუა* (Раххаа) დაარქვეს.

ოჭუბურე – სოფელი ახალშენის თემში, მდ. დასავლეთ გუმისთის მარჯვენა ნაპირზე. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხების დასახლება *კესტანელუკ* შეიქმნა. სახელწოდება თურქულია და ნაბლიანს ნიშნავს (კესტანე – ნაბლი, ლუკ – კრებიითი სუფიქსი). 1948 წელს მას ქართული სახელი *ოჭუბურე* (მეგრულად „სანაბლე“) დაერქვა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ხუაჟუქით* (Хаажакыт). სახელწოდება აფხაზურია (ახუაჟუ – როდოდენდრონი, აგრეთვე მსხლის ჯიში, ქით – სოფელი).

სათავე – სოფელი ახალშენის თემში, დასავლეთ და აღმოსავლეთ გუმისთას შორის, მათ ზემო წელში. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აქ იყო აფხაზური სოფელი *აშიცა*. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ ოსმალეთის იმპერიიდან გადმოსახლებული ბერძნები დამკვიდრდნენ და სოფელს დაერქვა *რეპერ*. 30-იან წლებში აქ სოხუმის ჰესის აშენების გამო *სოხუმჰესი* დაერქვა. 1948 წელს გადაერქვა სახელი და *სათავე* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *აცთიშვ* (Ацтышә).

შუბარა – სოფელი ახალშენის თემში, მდ. დასავლეთ გუმისთის მარცხენა მხარეს. სახელწოდება აფხაზურია და „დამპალ ნიფელს“ ნიშნავს. 1930 წელს ცხა-შუბარას სახელწოდებით ანდრეევსკოეს ს/საბჭოში შედიოდა. 1935 წელს ანდრეევსკოეს ს/საბჭოდან გამოყვეს სოფლები: *ცხარა-შუბარა* და *ფშათლუკი*, და დაარსდა ახალი ს/საბჭო ცენტრით *ცხარო-შუბარაში*. *ცხარო-შუბარას* თემში შედიოდა სოფლები: *ჩალთლუკი*, *კესტანელუკი*, *შუბარა*, *არქა-მანხლე*, *ხეტირა* და *ცხარა*. 1939 წელს ცხარო-შუბარას ს/საბჭო გაუქმდა და მასში შემავალი სოფლები შეუერთდა *ზემო ეშერის* (სოფ. *ჩალთლუკი*) და *ანდრეევსკოეს* (სოფლები: *კესტანელუკი*, *შუბარა*, *არქა-მანხლე*, *ხეტირა* და *ცხარა*) ს/საბჭოებს. XX საუკუნის 40-იან წლებში შუბარას *იმერწყალი* დაერქვა, ხოლო 1955 წელს დაუბრუნდა აფხაზური სახელი *შუბარა*. მისი ამჟამინდელი სახელია *შუბარა* (Шубара).

ცუმური – სოფელი ახალშენის თემში, მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე. 1949 წელს ახალშენის ს/საბჭოში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ცვიმყირ აჰაბლა* (Цымыр ахабла).

ბესლეთის თემი

ბესლეთი – სოფელი ბესლეთის თემში, მდ. ბესლეთის მარცხენა

ნაპირზე. სახელწოდებას საფუძვლად უდევს ქართული პირსახელი ბესელი, რომელსაც ერთვის ქართული მატოპონიმებელი -ეთ სუფიქსი და „ბესელის სამკვიდროს“ ნიშნავს. სოფელში, მდ. ბესლეთზე, შემორჩენილია ქვის თაღოვანი ხიდი (XI ს.) ქართული ასომთავრული წარწერით. XIX საუკუნის რუკებზე აღნიშნულია ბისლათა (1845), ბესლათ (1847). XIX საუკუნის დასაწყისიდან მკვიდრდება რუსული ფორმა ბესლეტკა. 1886 წელს ბესლეტსკოეს თემი გუმისთის უბანში შედიოდა. 1930 წელს სოფლები ბესლეთი და ნითელი ბესლეთი ვოლოდარსკოეს თემში შედიოდა. 1939 წელს შეიქმნა ნითელი ბესლეთის ს/საბჭო სოფლების – ნითელი ბესლეთის, ქვემო ბირცხას, ზემო ბირცხას და ბესლეტკას შემადგენლობით, ცენტრით ნითელ ბესლეთში. იმავე წელს მას ბესლეთი დაერქვა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ბასლათა (Баслата) დაარქვეს.

აბჟაყვა – სოფელი ბესლეთის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე. წყაროებში XIX საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება. დატანილია 1813 წლის რუკაზე, იხსენიებენ აბრიუცკი (1831 წ.), ა. ნორდმანი (1837 წ.), ა. პახომოვი (1868 წ.). „აბჟაყვა“ აფხაზურად „შუა აყვა“-ს ნიშნავს. აყვას აფხაზები სოხუმს ეძახიან. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში მდინარეებს ბესლეთსა და კელასურს შორის ტერიტორია ცხუმის ქვეყნის შუა ნაწილს წარმოადგენდა და აქედან მომდინარეობს ეს სახელწოდება. 1949 წელს აბჟაყვა უკვე ბესლეთის ს/საბჭოს ცენტრი იყო. სოფლის მიდამოებში აღმოჩენილია ბრინჯაოს ნივთები და ადრინდელი ანტიკური ხანის ნამოსახლარი. მისი ამჟამინდელი სახელია აბჟაყვა (Абжакава).

ზემო ბირცხა და ქვემო ბირცხა – სოფლები ბესლეთის თემში, მდ. ბესლეთის ნაპირზე. მათი ძველი სახელია ბირცხა. სოფელი ბირცხა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (Бирц, Бирцу) წყაროებში (აბრიუცკი, ა. ნორდმანი). 1923 წელს ბირცხის თემი 5 სოფლით გუმისთის მაზრაში შედიოდა. 1925 წელს უკვე არ არის ცალკე თემი. 1930 წელს უკვე ორ სოფლად გაყოფილი, ზედა ბირნის და ქვედა ბირნის სახელით, ვოლოდარსკის თემში შედიოდა. 1949 წელს ქვემო ბურსის და ზემო ბურსის სახელწოდებით ბესლეთის თემში შედიოდა. მოგვიანებით, მათ დაუბრუნდა სახელი ზემო ბირცხა და ქვემო ბირცხა. ასეთი სახელებით დაფიქსირებულია 1953 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში. ზემო ბირცხის ამჟამინდელი სახელია ბირცხუ აჰაბლა (Бирцаха ахала), ხოლო ქვემო ბირცხას ბირცე (Бирца) ჰქვია.

გუმისთის თემი

გუმისთა – სოფელი გუმისთის თემში, მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირზე. 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე დატანილია მდ.

„გუმუსტა“ (გუმისტა). როგორც ირკვევა, გუმა, როგორც მხარე, 1737 წელს უკვე არსებობდა. „გუმისტა“ აღნაგობით ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის, ფუძე სიტყვა „გუმ“ ქართულია, -თა ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელი სუფიქსია. გუმისტა გუმის//გუმას მდინარეს ნიშნავს. 1886 წელს სოფელი გუმისტა გუმისტის უბანში შედიოდა, უბნის ბოქაულის ადგილსამყოფელი კი სოხუმში იყო. 1923 წელს გუმისტის თემი გუმისტის მაზრის შემადგენლობაშია. 1930 წელს გუმისტის ს/საბჭოში 8 სოფელი შედიოდა, ხოლო 1949 წელს – 4 სოფელი. მისი ამჟამინდელი სახელია *გუმისტა* (ГѸМІСТА).

აჩადარა – სოფელი გუმისტის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. გუმისტის მარცხენა ნაპირზე. XIX-XX სს. მიჯნის რუკებზე აღნიშნულია როგორც *აჭანდარა*. აჭანდარა აფხაზური სახელწოდებაა. „ჭანდარი“ იგივე ჭადარია ქართველურ ენებში, რომელსაც ანარმოებს აფხაზური -ა სუფიქს-პრეფიქსი. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან *აჩადარა* ეწოდება. 1930 წელს გუმისტის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აჩადარა* (Ачадара).

ლეჩქოფი – სოფელი გუმისტის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუმისტის მარცხენა მხარეს. 1930 წელს გუმისტის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ლეჩქოპ* (ЛечкѸп).

ეშერის თემი

ეშერა – სოფელი ეშერის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, მდ. გუმისტის მარჯვენა მხარეს. დასტურდება XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან: დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე, 30-იან წლებში აქტიურად იხსენიება (აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი). იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში (ეშერა). 1886 წელს ეშერის თემი გუმისტის უბანში შედიოდა (Ешири). 1923 წელს ეშერის თემი ერთი სოფლით გუმისტის მაზრაში შედიოდა. 1930 წელს არსებობდა ეშერის ს/საბჭო 12 სოფლით. XX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში აქ შეიქმნა სოფლები *ეშერა აბხაზსკაია* და *ეშერა არმიანსკაია*. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან *ეშერა აბხაზსკაიას* – *ეშერა*, ხოლო *ეშერა არმიანსკაიას* – *ვერხნაია ეშერა* ეწოდა. სოფლის ტერიტორიასა და მის მიდამოებში მიკვლეულია და შესწავლილია სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლები: III-II ათასწლეულის დოლმენების ჯგუფი, რომლებშიც კოლექტიური სამარხები აღმოჩნდა. ნაპოვნია ბრინჯაოს ცულები, სატევრები, თიხის ჭურჭელი და სხვა; II ათასწლეულით დათარიღებული კრომლევები, რომლის ცენტრშიც კოლექტიური სამარხები იყო. მათში აღმოჩნდა ბრინჯაოს სატევრები, თიხის ჭურჭელი, მძივები და სხვ. გაითხარა ასევე ქვევრსამარხები. ანტიკური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია

ნაქალაქარი, რომელსაც 3 ჰა ფართობი უკავია. აქ აღმოჩნდა საფორტიფიკაციო და საცხოვრებელი ნაგებობანი, წყალსადენი, სამაროვანი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ეშირა* (Ешыра).

გვანდრა – სოფელი ეშერის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ძითას მარცხენა ნაპირას. 1930 წელს ეშერის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *გვანდრა* (Гвандра).

კუტიშხა – სოფელი ეშერის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუმისთის მარჯვენა მხარეს. 1930 წელს ეშერის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *კუტიშხა* (Кэтышыха).

შიცკვარა – სოფელი ეშერის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. შიცკვარის მარცხენა მხარეს. სახელწოდება აფხაზურია და „ბზის ღელეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეს სახელი მდინარეს ერქვა, ხოლო შემდეგ სოფლის სახელი გახდა. 1930 წელს ეშერის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *შიცკვარა* (Шыцквара).

ვერხნაია ეშერას თემი

ვერხნაია ეშერა – სოფელი ვერხნაია ეშერას თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში. XIX საუკუნეში სოფელ *ეშერის* ნაწილი იყო. XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ეშერის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: *ამჟავერა*, *ფშალთლუკი*, *ლაკობა* და დაარსდა ახალი ს/საბჭო ცენტრით სოფელ *ამჟავერაში სომხური ეშერის* (*ეშერა არმიანსკაია*) ს/საბჭოს სახელწოდებით. 40-იანი წლებიდან *ეშერა არმიანსკაიას ვერხნაია ეშერა*, ხოლო 1952 წელს – *ზემო ეშერა* ეწოდა. 1955 წელს რუსული სახელი *ვერხნი ეშერა* (მოგვიანებით, ვერხნაია ეშერა) დაერქვა. მისი ამჟამინდელი სახელია *ავიადახიტვი ეშირა* (Авидахьтви Ешыра).

ამბარიხუნა – სოფელი ზემო ეშერის თემში, მდ. შიცკვარის ხეობაში. 1949 წელს ზემო ეშერის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ამბარიხუნა* (Амбарыхуна).

აღდარა – სოფელი ზემო ეშერის თემში, მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „გვიმრიან ადგილს, მინდორს“ ნიშნავს. 1949 წელს ზემო ეშერის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აღდარა* (Аҧдара).

აძიგეჟი – სოფელი ზემო ეშერის თემში, მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე. 1930 წელს ზემო ეშერის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აძიგეჟი* (Азыҭеҭеж). სახელწოდება აფხაზურია (აძი – წყალი, გეჟ – დაბრუნება, მობრუნება, წრე) და ნიშნავს „ადგილს, სადაც მდინარე უხვევს“.

უაზაბაა – სოფელი ზემო ეშერის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. აბაა აფხაზურად ციხეს ნიშნავს. სოფლის მიდამოებში არის შუა საუკუნეების ციხე. 1949 წელს ზემო ეშერის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია (Үзабаа).

თავისუფლების თემი

თავისუფლება – სოფელი თავისუფლების თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. გუმისთის ხეობაში, აბიანდა-ჩაამის ქედის სამხრეთ მთისწინეთში. მისი უწინდელი სახელია *იაშთხვა*. ამჟამად თავისუფლების თემში შედის სოფლები: *ვერხნაია იაშთხვა* და *ნიჟნაია იაშთხვა*. სწორედ მათი ძველი სახელწოდებაა *იაშთხვა*, რომელიც 1813 წლიდან ფიქსირდება. 1930 წელს სოფლები *ზედა იაშტუხა*, *ქვედა იაშტუხა* და *წითელი იაშტუხა* გუმისთის ს/საბჭოში შედიოდა. 1925-1935 წწ. იხსენიება როგორც *სვობოდა* (რუს. თავისუფლება), ხოლო შემდეგ *თავისუფლება*. 1939 წელს გუმისთის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები *თავისუფლება*, *ზემო იაშთხვა*, *ქვემო იაშთხვა*, *წითელი იაშთხვა*, *ცუგუროვკა* და შეიქმნა *თავისუფლების ს/საბჭო* სოხუმის რაიონის შემადგენლობაში. 40-იან წლებში *ვერხნაია იაშთხვას* და *ნიჟნაია იაშთხვას* შესაბამისად *ზემო იაშთხვა* და *ქვემო იაშთხვა* დაერქვა. 1955 წელს მათ ისევ დაუბრუნდა სახელები *ვერხნაია იაშთხვა* და *ნიჟნაია იაშთხვა*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *იაშთხვა* (Иаштхаа) დაარქვეს.

გორანა – სოფელი თავისუფლების თემში, მდ. ბესლეთის ზემო დინების აუზში. XX საუკუნის დასაწყისში რუსული სახელი *ცუგუროვკა* ერქვა. 1948 წელს ქართული სახელი *გორანა* ეწოდა, რაც მთიანს ნიშნავს. 1949 წელს ზემო ეშერის ს/საბჭოში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *აბიძა* (Абџа) დაარქვეს.

კელასურის თემი

კელასური – სოფელი კელასურის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კელასურის ხეობაში. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან კლისურა, რაც „გასასვლელ ადგილს“, „ვინრობს“ ნიშნავს. XVII საუკუნეში ამ მხარის ქართული მოსახლეობის განდევნისა და აქ აფხაზების დამკვიდრების შემდეგ აბგიძირა (აფხაზურად „შინდი“) ეწოდა. ამ სახელით აღნიშნულია 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 80-იან წლებში *ეკატერინოვკა* ეწოდა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II-ის (1762-1796) პატივსაცემად. 1923 წელს ეკატერინესკოეს თემი გუმისთის მაზრაში შედიოდა. 1926 წლის ივლისში ეკატერინენსკის და კონსტანტინოვსკის ს/საბჭოები

გააერთიანეს ერთ კონსტანტინოვსკის ს/საბჭოში. 1930 წელს ეკატერინსკოეს ს/საბჭოში 8 სოფელი, მათ შორის სოფელი ეკატერინოვკა შედიოდა. 1943 წელს ეკატერინოვკას დაუბრუნდა სახელი *კელასური*. მისი ამჟამინდელი სახელია *კალაშვირ (Кылашвир)*.

აკაფა – სოფელი კელასურის თემში, მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე. 1886 წელს *აკაფის თემი* იხსენიება გუმისთის უბანში. 1930 წელს სოფელი *აკაპა-კელასურის* შედიოდა ეკატერინსკოეს ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *აკაფა (Акафа)*.

ბირჯა – სოფელი კელასურის თემში, მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე. 1930 წელს სოფელი *ბირჯა* შედიოდა ეკატერინსკოეს ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *ბირჯა (Быржа)*.

გვარდა – სოფელი კელასურის თემში, მდ. კელასურის მარჯვენა მხარეს. 1930 წელს სოფელი *გვარდა-თავისუფალი* შედიოდა ეკატერინსკოეს ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *გვარდა (Гварда)*.

ლეკუხონა – სოფელი კელასურის თემში, მდ. ბესლეთის ხეობაში. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ რუსი კოლონისტების სოფელი შეიქმნა, რომელსაც *მარინსკოე* დაერქვა. 1886 წელს *მარინსკოე* იხსენიება გუმისთის უბანში. 1930 წელს *მარინსკოე* ეკატერინსკოეს ს/საბჭოში შედიოდა. 1948 წელს მარინსკოეს *ლეკუხონა* დაერქვა. ლეკუხა მეგრულად ხე-მცენარის – ხეჭრელის სახელია, -ონა სუფიქსი კი მეგრულში კრებითობას გამოხატავს, ე. ი. ადგილი, სადაც მრავლად ხარობს ლეკუხა (ხეჭრელი). 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ალაკუმჰარა (Алакымхара)* დაარქვეს.

ლინდა, ლინდაუ – სოფელი კელასურის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ჩაღბაშის ნაპირებზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აქ იყო აფხაზური სოფელი *ჩაბლარხა*. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1884 წელს, აქ ესტონელები დამკვიდრდნენ და სოფელს *ლინდაუ* ეწოდა. 1886 წელს *ლინდაუ* იხსენიება გუმისთის უბანში. XX საუკუნის 20-იან წლებში ორ ნაწილად გაიყო. 1930 წელს *ზედა ლინდაუ* ეკატერინსკოეს, ხოლო *ქვემო ლინდაუ* – კონსტანტინოვსკოეს ს/საბჭოში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ლინდას *ჩაბლარხა (Чабларха)* დაარქვეს.

ოდისის თემი

ოდისი – სოფელი ოდიშის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ბესლეთის ზემოთში. სოფელში შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის, X-XI სს. ეკლესიის (განახლებულია XIII-XIV სს.) ნანგრევები. ეკლესიაში შემორჩენილია ქართული ასომთავრულით შესრულებული ფრესკული წარწერები.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში მკვიდრი ქართული მოსახლეობის განდევნისა და აფხაზების აქ დამკვიდრების შემდეგ აკაფა ეწოდა. ამ სახელწოდებით დასტურდება XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან. იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯიროთა სიაში. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობისა და 1881 წელს ბერძენი კოლონისტების ჩასახლების შემდეგ კონსტანტინოვკა ეწოდა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის (1855-1881) ძის, დიდი მთავრის კონსტანტინე რომანოვის პატივსაცემად. 1886 წელს კონსტანტინოვსკოეს თემი იხსენიება გუმისთის უბანში. 1923 წელს კონსტანტინოვსკოეს თემი 4 სოფლით გუმისთის მაზრაში შედიოდა. 1930 წელს კონსტანტინოვსკოეს ს/საბჭოში 4 სოფელი შედიოდა, მათ შორის სოფელი კონსტანტინოვკა. 1944 წელს კონსტანტინოვკას შეეცვალა სახელი და ოდიში ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ სოფელს აფხაზებმა დაუბრუნეს სახელი აკაფა (Акафа).

პავლოვსკოე – სოფელი ოდიშის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ბესლეთის ხეობაში. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აფხაზური სახელი გვალდა ერქვა. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1881 წელს აქ ბერძენების სოფელი პავლოვსკოე შეიქმნა. 1886 წელს პავლოვსკოეს თემი გუმისთის უბანში იხსენიება. 1930 წელს სოფელი პავლოვსკოე უკვე კონსტანტინოვსკოეს ს/საბჭოში შედიოდა. XX საუკუნის 40-იან წლებში ეწოდა ურაჯი, შემდეგ დაუბრუნდა სახელი პავლოვსკოე. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს გუალდა (Гуалда).

პეტროვსკოე – სოფელი ოდიშის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. კელასურის ხეობაში. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში ალანი ერქვა. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1881 წელს აქ ბერძენი კოლონისტები ჩასახლდნენ, სოფელს კი რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდის პატივსაცემად პეტროვსკოე (პეტროვკა) ეწოდა. 1930 წელს პეტროვსკოე კონსტანტინოვსკოეს ს/საბჭოში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს ალან (Алан).

ქვემო ლინდა – სოფელი ოდიშის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ჩალბაშის მარცხენა მხარეს. ქვემო ლინდა სოფელ ლინდას ნაწილი იყო. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1884 წელს აქ ესტონელები დამკვიდრდნენ და სოფელს ლინდაუ ეწოდა. 1886 წელს სოფელი ლინდაუ გუმისთის უბანში იხსენიება. XX საუკუნის 20-იან წლებში ლინდაუ ორ ნაწილად გაიყო. 1930 წელს ქვემო ლინდაუ (მოგვიანებით, ქვემო ლინდა) კონსტანტინოვსკოეს ს/საბჭოში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს ჩაბლარხა (Чабларха).

ფსხუს თემი

ფსხუ – სოფელი ფსხუს თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ფსხუს ქვაბულში, მდ. ბზიფის შუა წელზე. ფსხუ კომპოზიტური სახელია, რომელიც ჩერქეზული -ფს სუფიქსის (წყალი) და აფხაზური -ხუ/-ახუ (მთა, გორაკი, ბორცვი) სუფიქსისაგან შედგება. გვიან შუა საუკუნეებში ფსხუ ისტორიული მხარის სახელწოდება იყო, რომელიც მდ. ბზიფის შუა წელის აუზს მოიცავდა. 1864 წელს აქედან ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად გაასახლეს. მოგვიანებით, აქ რუსი სექტანტები ჩაასახლეს. 1930 წელს ფსხუს ს/საბჭოში მხოლოდ ერთი სოფელი ფსხუ შედიოდა, ხოლო 1949 წელს – 7 სოფელი. მისი ამჟამინდელი სახელია ფსჰვი//ფსხუ (Ғҫҫҫҫ/Ғҫҫҫ).

ალურაფსთა – სოფელი ფსხუს თემში, მდ. ბავიუს (ბზიფის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. 1949 წელს ფსხუს თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ალურაფსთა (Алурәҫтә).

ბითაგა – სოფელი ფსხუს თემში, აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფსხუს ქვაბულში, მდ. ბითაგისა და მდ. ბზიფის შესართავთან. 1949 წელს ფსხუს თემში შედიოდა. სახელწოდება აფხაზურია და ნიშნავს ღელეს, რომელსაც ძველი მატყლი, ბალანი, ბენვი მიაქვს. მისი ამჟამინდელი სახელია ბტვაგა (Бтәага).

რეშევიე – სოფელი ფსხუს თემში, დოუს უღელტეხილის მიდამოებში. 1949 წელს ფსხუს თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია რაშავია//რაშვია (Рәшәә/Рәшәә).

რიღა – სოფელი ფსხუს თემში, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს. 1949 წელს ფსხუს თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია რიღა//რიღა (Рыҫә/Рыҫә).

სანჩარა – სოფელი ფსხუს თემში, აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე. 1949 წელს ფსხუს თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია სანჩარა (Санчәрә).

სერებრიანოე – სოფელი ფსხუს თემში, მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე. დასტურდება XX საუკუნის დასაწყისიდან სახელწოდებით სერებრიანი. XX საუკუნის 40-იან წლებში ვერცხლოვანი ეწოდა. 1954 წელს დაუბრუნდა სახელი სერებრიანოე. მისი ამჟამინდელი სახელია ძიშრა (ҫышрә).

შრომის თემი

შრომა – სოფელი შრომის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. აღმოსავლეთ გუ-

მისთვის მარცხენა ნაპირას. XVII საუკუნის მეორე ნახევარში მკვიდრი ქართული მოსახლეობის განდევნისა და აფხაზების აქ დამკვიდრების შემდეგ *გუმა* ეწოდა და ამ სახელითაა ცნობილი XIX საუკუნეში. იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობისა და 1881 წელს ოსმალეთიდან გადმოსახლებული ბერძნების აქ დამკვიდრების შემდეგ, *მიხაილოვკა* ეწოდა კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის პატივსაცემად. 1886 წელს *მიხაილოვსკოეს თემი* გუმისთვის უბანში იხსენიება. 1923 წელს მიხაილოვსკოეს თემი 5 სოფლით გუმისთვის მაზრაში შედიოდა. 1926 წლის ივლისში ანდრეევსკის, ბეშკარდაშის და მიხაილოვსკის ს/საბჭოები გააერთიანეს ერთ მიხაილოვსკის ს/საბჭოში. 1930 წელს ისინი კვლავ ცალ-ცალკე არსებობს. 1943 წელს *მიხაილოვკას* შეეცვალა სახელი და *შრომა* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაუბრუნეს სახელი *გუმა* (Гумы).

ამზარა – სოფელი შრომის თემში, მდ. გუმისთვის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „ფიჭვნარს“ ნიშნავს (ამზა – აფხ. „ფიჭვი“, -რა მრავლობითი რიცხვის სუფიქსი). XIX საუკუნის 80-იან წლებში *ასტეროვკა* ეწოდა. 1948 წელს დაუბრუნდა სახელი *ამზარა*. მისი ამჟამინდელი სახელია *ამზარა* (Амзара).

აფიანდა – სოფელი შრომის თემში, აბიანდა-ჩაამის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. აღმოსავლეთ გუმისთვის მარცხენა მხარეს. 1949 წელს შრომის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აფიანდა* (Афианда).

ზეგანი – სოფელი შრომის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში. ვ. კვარჭიას ცნობით, XX საუკუნის 20-30-იან წლებში ერქვა *ხაბიუკ*, 1948 წელს კი – *ზეგანი* („ზეგანი“ – ქართულად „ვრცელი და ამაღლებული ადგილი“) ეწოდა. 1949 წელს შრომის თემში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *ჰაბვიკუ* (Хабвику) დაარქვეს.

კამანი – სოფელი შრომის თემში, მდ. გუმისთვის ხეობაში. წყაროებში XIX საუკუნის მინურულიდან ფიქსირდება. 1884 წელს ბერძენმა არქეოლოგმა ვრისისმა დაუკავშირა ანტიკური ხანის ქ. კომანს, სადაც 407 წელს ეკლესიის ერთ-ერთი მამა იოანე ოქროპირი გარდაიცვალა და დაიკრძალა. კამანში მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (დაახლ. XI ს.). მის აღმოსავლეთით, დაახლოებით ერთ კმ-ზე ეკლესიის ნანგრევებია; ჩრდილოეთით, კლდეზე – რომაული პერიოდის კოშკის, ხოლო უფრო მოშორებით – ეკლესიისა და ციხის ნანგრევები. კამანი 1930 წელს მიხაილოვსკის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *კამან* (Каман).

მთისუბანი – სოფელი შრომის თემში, ჩუმკუზბის მთის სამხრეთ კალთაზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აქ იყო აფხაზური სოფელი *აპიანდა* (აბიანდა). XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები დამკვიდრდნენ და სოფელს თურქული სახელი *ბეშკარდაში* დაარქვეს, რაც „ხუთ ძმას“ ნიშნავს. 1923 წელს *ბეშკარდაშის თემი* 6 სოფლით გუმისთის მაზრაში შედიოდა. 1926 წლის ივლისში ბეშკარდაშის, ანდრეევსკის და მიხაილოვსკის ს/საბჭოები გააერთიანეს ერთ მიხაილოვსკის ს/საბჭოში. 1930 წელს ისინი კვლავ ცალ-ცალკე არსებობს და ბეშკარდაშის თემი 6 სოფლით სოხუმის მაზრაში შედიოდა. 1943 წელს *ბეშკარდაშს* ქართული სახელი *მთისუბანი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *აპიანდა აჰაბლა* (Абианда ахабля).

ნახშირა – სოფელი შრომის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში. XIX საუკუნის მიწურულს აქ ბერძენ კოლონისტთა სოფელი *მანიია* შეიქმნა. XX საუკუნის 40-იან წლებში ქართული სახელი *ნახშირა* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *არიჩხუნა* (Арычхэна).

სტარუშკინო – სოფელი შრომის თემში, ჩუმკუზბის მთის სამხრეთ კალთაზე. XIX საუკუნის მიწურულს აქ კოლონისტთა სოფელი *სტარუშკინო* შეიქმნა. 1930 წელს ბეშკარდაშის თემში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ააბ-თრა//ჩაალიმ იააბთრა* (Аабтра/Чаалым иаабтра).


ტბეთი – სოფელი შრომის თემში, აღმ. გუმისთის ზემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები დამკვიდრდნენ და სოფელს *ჩევიზლუკ* დაერქვა, რაც თურქულად „კაკლიანს“ (ჯევიზ – კაკალი, ლუკ — კრებიტი სუფიქსი) ნიშნავს. 1948 წელს ქართული სახელი *ტბეთი* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *აჩეიძქუა* (Ачеицкэа).

ქვალონი – სოფელი შრომის თემში, აღმ. გუმისთის მარცხენა ნაპირზე. ვ. კვარჭიას ცნობით, მისი აფხაზური სახელია *შვახუ*. XIX საუკუნეში აბაზადალი ერქვა, რაც აფხაზური სახელის (შვახუ) თურქული თარგმანია. აბაზადალი თურქულად „აფხაზის მთას“ ნიშნავს. 1930 წელს აბაზადალი სოხუმის მაზრის ბეშკარდაშის ს/საბჭოში შედიოდა. 1943 წელს აბაზადალს *ქვალონი* დაერქვა. სახელწოდება „ქვალონი“ ქართულია, მეგრულად „ქვიან ადგილს“ ნიშნავს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *შვახუ* (Швахэы).

წყურგილი – სოფელი შრომის თემში. XX საუკუნის დასაწყის-

ში აქ ოსმალეთის იმპერიიდან გადმოსახლებული სომხების სოფელი *სემენდლი* (სამანლი — თურქ. თივიანი ადგილი) შეიქმნა. სოფელი *სემენლი* 1930 წელს ბეშკარდაშის თემში შედიოდა. 1948 წელს მას გადაერქვა სახელი და *წყურგილი* ეწოდა. სახელწოდება „წყურგილი“ ქართულია, მეგრულად „ცივ წყაროს“ ნიშნავს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *აძიხქუა* (АԶЫХԻԿՊԱ) დაარქვეს, რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია.

გულირიფშის რაიონი



გულრიფშის რაიონი

გულრიფშის რაიონი 1943 წლის თებერვალში გამოეყო სოხუმის რაიონს. 1959 წლის აპრილში კვლავ სოხუმის რაიონს შეუერთეს. 1966 წელს სოხუმის რაიონიდან ისევ გამოეყვას გულრიფშის რაიონი.

გულრიფშის რაიონში შედის 1 სადაბო და 12 სასოფლო საბჭო: ამტყელი, აჟარა (ცენტრი ქვემო აჟარა), ბაბუშარა, ბალმარანი, განახლება, დრანდა, ვლადიმეროვკა, ლათა, მაჭარა, მერხეული, ფშაფი, ნებელდა; 1 დაბა და 92 სოფელი. გულრიფშის რაიონის მოსახლეობა – 54962 (1989 წ.).

დაბა გულრიფში

გულრიფში – გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, დაბა 1975 წლიდან, კლიმატური კურორტი მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირზე, მის შესართავთან. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (ა. ნორდმანი). სახელწოდება „გულიების საცხოვრისს, მხარეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, აქ გულიას ქართულ გვარს უცხოვრია. 1886 წელს გულრიფშის თემი სოხუმის ოკრუგის გუმისთის უბანში შედიოდა. 1923 წელს გულრიფშის თემი 3 სოფლით გუმისთის მაზრაში, ხოლო 1930 წელს 9 სოფლით – სოხუმის მაზრაში შედიოდა. ამ დროს გულრიფშის თემში შედიოდა ზემო გულრიფში და ქვემო გულრიფში. 1975 წელს სოფელ *ქვემო გულრიფშს გულრიფში* ეწოდა და დაბის სტატუსი მიენიჭა. მისი ამჟამინდელი სახელია *გულრიფშ* (Гу́лрыфш).

ამტყელის თემი

ამტყელი – სოფელი ამტყელის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდინარეების – ამტყელისა და ჯამპალის შესართავთან. სახელწოდება „ამტყელი“ მომდინარეობს ქართული სიტყვიდან ტყემალი, რომელსაც ბგერათა გადასმით მოუცია ამჟამინდელი ფორმა. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (პ. ზუზოვი, ა. ნორდმანი). მაშინ სოფელი *ამტყელი* ნებელის თემში შედიოდა. იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. 1930 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა *ამტყილის* სახელწოდებით. 1939 წელს ნებელდის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: *ამტყელი, გეორგიევსკოე, ჩინ, ჩალ, ბალ, ამზარა, კრასნიცკოე, დიდი კრავეიჩი, ზახაროვკა, პანტა, ბუდუკი, დანძუთი* და შეიქმნა ამტყელის ს/საბჭო. მისი ამჟამინდელი სახელია *ამტყიალ* (Амткъал).

ამზარა – სოფელი ამტყელის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „ფიჭვნარს“ ნიშნავს (ამზა –

აფხ. „ფიჭვი“, -რა მრავლობითი რიცხვის სუფიქსი). წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი). იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. 1930 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა. 1939 წლიდან *ამტყელის ს/საბჭოში* შედის. მისი ამჟამინდელი სახელია *ამზარა* (Амзара).

ბუდუკი – სოფელი ამტყელის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. ამ სახელწოდებით XX საუკუნის 40-იანი წლებიდან იხსენიება. მისი ამჟამინდელი სახელია *ბიდლუ* (Быдлу).

გეორგიევსკოე – სოფელი ამტყელის თემში, მდ. ჯამპალის (ამტყელის შენაკადი) მარცხენა ნაპირზე. ამ ადგილას იყო სოფელი *გორგეული*, რომელიც XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება წყაროებში (პ. ზუბოვი). 1867 წელს აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ სოფელს გეორგიევსკოე ეწოდა. 1867 წელს ის უკვე სოფელ *ჯამპალის* ნაწილი იყო. 1869 წელს აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული ბერძენი კოლონისტები ჩაასახლეს. 1930 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა. 1939 წლიდან *ამტყელის ს/საბჭოს* შემადგენლობაშია. 40-იან წლებში, ერთხანს, *საგეორგიო* ეწოდებოდა. მოგვიანებით, დაუბრუნდა სახელი *გეორგიევსკოე*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *გიარგიაულ/გორგეულ* (Гьаргьаул/Горгеул).

პანტა – სოფელი ამტყელის თემში, ამტყელის ტბის მახლობლად. 1930 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა. 1939 წლიდან *ამტყელის ს/საბჭოში* შედის.

ყადა – სოფელი ამტყელის თემში, მდ. აზანთის ხეობაში. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი). იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. 1930 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები *დიდი კოდა*, *პატარა კოდა*. 1939 წლიდან *ამტყელის ს/საბჭოში* შედის. მისი ამჟამინდელი სახელია *ყადა* (Када).

შუამთა – სოფელი ამტყელის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. XIX საუკუნეში *ჯიხაშკარი* ერქვა. ასეთი სახელწოდებით ფიქსირდება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი), ასეთივე სახელწოდებით იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ციხის კარს“ ნიშნავს. XIX საუკუნის მიწურულს *დიდი კრავეირი* ეწოდა. 1930 წელს სოფელი *კრავეირი* ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა. 1939 წლიდან *დიდი კრავეირი* ამტყელის ს/საბჭოს შემადგენლობაშია. 1948 წელს *დიდ კრავეირს* ქართული სახელი *შუამთა* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *სამაა* (Самаа).

ჯამპალი – სოფელი ამტყელის თემში, ჩხალთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ჯამპალის (ამტყელის მარცხენა შენაკადი) ხეობაში. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (პ. ზუბო-

ვი, ა. ნორდმანი). იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. 1939 წლიდან *ამტყელის ს/საბჭოში* შედის. XIX საუკუნის მიწურულს აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები დამკვიდრდნენ და შეიქმნა სოფლები *ჩინ* (თურქ. ფაიფური, კერამიკა), *ჩალ* (თურქ. ბუჩქნარი, ქალა), და *ბალ* (თურქ. თაფლი). 1930 წელს სამივე სოფელი ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა. 1939 წლიდან ისინი *ამტყელის ს/საბჭოში* შევიდა. 1948 წელს სამივე სოფელი გააერთიანეს და *ჯამპალი* უწოდეს. მისი ამჟამინდელი სახელია *ჯამფალ* (Цѣмѣал).

აჟარის თემი

აჟარა – სოფელი აჟარის თემში, კოდორის ხეობაში. სახელწოდება აფხაზურია და „იფნარს“ ნიშნავს. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (ა. ნორდმანი). იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. 1925 წელს აჟარის ს/საბჭო გუმისთის მაზრაში შედიოდა. 1930 წელს აჟარის ს/საბჭოში 8 სოფელი შედიოდა, მათ შორის სოფელი აჟარა, ხოლო 1949 წელს – *ზემო აჟარა* და *ქვემო აჟარა*. აჟარა, *ზემო აჟარის* და *ქვემო აჟარის* ძველი სახელწოდებაა. აჟარის თემის ცენტრია *ქვემო აჟარა*. სოფლის ამჟამინდელი სახელია *აჟარა* (Ажара).

ბუტგური – სოფელი აჟარის თემში, აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. ჩხალთის მარცხენა ნაპირზე. ამ სახელწოდებით XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ეკლით დაბარდულ მალლობს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია *ბუტგურ* (БѸтѣур).

გენწვიში – სოფელი აჟარის თემში, მდ. კოდორის ხეობაში. სვანურად „ანწლიან ადგილს“ ნიშნავს. პირველად ფიქსირდება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. 1930 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა *მარცხენა გენწვიში* და *მარჯვენა გენწვიში*. სახელწოდებები მომდინარეობს მათი მდ. კოდორის ნაპირზე მდებარეობის მიხედვით. *მარცხენა გენწვიში* – მდ. კოდორის მარცხენა მხარეს, *მარჯვენა გენწვიში* – მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. მისი ამჟამინდელი სახელია *გიანწვიში* (ГѣанѣѸш).

გვანდრა – სოფელი აჟარის თემში, აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. გვანდრის მარჯვენა ნაპირას. 1930 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *გუანდრა* (Гѣандра).

ზიმა – სოფელი აჟარის თემში, მდ. კოდორის ხეობაში. სახელწოდება ქართულია, სვანურად „ზომას“ ნიშნავს. პირველად XIX საუკუნის 30-იანი წლებში ფიქსირდება წყაროებში (ა. ნორდმანი). 1930 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ზიმა* (ЗѸма).

მარცხენა პტიში – სოფელი აჟარის თემში, მდ. ჩხალთის (კოდორის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს.

მარჯვენა პტიში – სოფელი აჟარის თემში, მდ. ჩხალთის (კოდორის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს. *მარცხენა პტიშის* და *მარჯვენა პტიშის* ძველი სახელია *პტიში*. სახელწოდება ქართულია. მისი ამოსავალია სვანური ტიპი („ტყვიისა“). 1930 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა სოფელი მარცხენა პტიში. 1949 წელს უკვე არსებობს *მარცხენა პტიში* და *მარჯვენა პტიში*. სოფლის ამჟამინდელი სახელია *პტიშ* (Птышь).

მრამბა – სოფელი აჟარის თემში, მდინარეების კოდორისა და მრამბის შესაყართან. სახელწოდება აფხაზურია და „მზის უნახავს“ ნიშნავს. 1949 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *მრამბა* (Мрамба).

ნაჰარი – სოფელი აჟარის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება ქართულია, სვანურად ნაჰარი „ჩამონაყარს, ჩამონაზვავს“ ნიშნავს. 1949 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა. ნაჰარი ჰქვია ასევე აფხაზეთის კავკასიონზე მწვერვალებს და უღელტეხილს, რომელიც მდინარეების კოდორისა და ყუბანის ხეობებს აკავშირებს. მისი ამჟამინდელი სახელია *ნაჰარ* (Нахар).

ომარიშარა – სოფელი აჟარის თემში, მდ. გვანდრის (კოდორის ერთ-ერთი სათავე) ხეობაში. მისი ძველი ფორმაა *ომარიშალი*. სახელწოდება ქართულია, სვანურად „ომარანთს“ ნიშნავს. 1949 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ომარიშარა* (Омаришара).

საკენი – სოფელი აჟარის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება ქართულია, სვანურად „საკვერნეს“ ნიშნავს. 1930 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *საკიან* (Сакьян).

ქვაბჩარა – სოფელი აჟარის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე. 1949 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ქვაბჩარა* (Квабчара).

შაბათკვარა – სოფელი აჟარის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „შაბათის ლელეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს შაბათკვარა თავდაპირველად ერქვა ლელეს და შემდეგ სოფელს დაერქვა. 1949 წელს აჟარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *შაბათკვარა* (Шабатквара).

ჩხალთა – სოფელი აჟარის თემში, მდინარეების ჩხალთისა და კოდორის შესართავთან, მდ. ჩხალთის მარჯვენა ნაპირას. მდ. ჩხალთის მარჯვენა ნაპირზე აღმართულია ციხე, რომელსაც აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) იხსენიებს მისიმიელებსა და ბიზანტიელებს შორის 555 წელს გამართული ბრძოლის აღწერისას *ძახარის* სახელწოდებით. აგათიას ცნობით, *ძახარი* არის ციხე მისიმიელთა ქვეყანაში, მეტსახე-

ლად რკინისას ეძახიან მისი სიმტკიცის გამო. მიჩნეულია, რომ „დახარი“ არის ქართული „ჩახარი“-ს (სვანურად „საბრძოლო ადგილი“) ბერძნული ფორმა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან კვლავ ფიქსირდება წყაროებში (ა. ნორდმანი). 1930 წელს სოფელი ჩხალთა აჟარის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ჩხალთა (Чхалта).

ხეცკვარა – სოფელი აჟარის თემში, აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. ხეცკვარის (კოდორის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია. მისი ამოსავალია „ახაცა“ (აფხ. რცხილა) და „რცხილის ლელეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს ხეცკვარა თავდაპირველად ერქვა ლელეს და შემდეგ სოფელს დაერქვა. 1949 წელს შედიოდა აჟარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია ხიაცკვარა (Хьацквара).

ხუტია – სოფელი აჟარის თემში, აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ფიქსირდება რუკებზე. 1930 წელს აჟარის თემში შედიოდა. სახელწოდება ქართულია, მომდინარეობს სვანური სიტყვიდან „ლიხუეტ“, რაც „ამონყვეტას“ ნიშნავს. ტოპონიმი შუა საუკუნეებში ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ამონყვეტაზე მეტყველებს. ხუტია ჰქვია ასევე მთებს (დიდი და მცირე) აფხაზეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, ასევე მყინვარს აფხაზეთის კავკასიონზე. მისი ამჟამინდელი სახელია ხუტია (Хутия).

ბაბუშარის თემი

ბაბუშარა – სოფელი ბაბუშარის თემში, თემის ცენტრი. XIX-XX სს. მიჯნაზე იხსენიება როგორც ბაბიშირა (ა. პახომოვი და სხვ.), XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ბაბუშერა ეწოდა. სახელწოდება ქართულია, სვანურად „ბაბუშს სამფლობელოს“ ნიშნავს. 1923 წელს ბაბუშერის თემი 3 სოფლით გუმისთის მაზრაში, ხოლო 1930 წელს ასევე 3 სოფლით სოხუმის მაზრაში შედიოდა. 1935 წელს ბაბუშარის ს/საბჭო გაუქმდა და მასში შემავალი სოფლები: ბაბუშარა, უარჩე, ქვედა ფშაფი დრანდის ს/საბჭოში გაერთიანდა. 1939 წელს დრანდის ს/საბჭოდან გამოყვეს სოფლები ბაბუშერა, ვარჩე, ყორასი და მათი შემადგენლობით შეიქმნა ვარჩე-ბაბუშერის ს/საბჭო ცენტრით სოფელ ბაბუშერაში. 1949 წელს უკვე არსებობს ბაბუშარის ს/საბჭო. სოფლის ამჟამინდელი სახელია ბაბიშირა (Бабышира).

ვარჩა – სოფელი ბაბუშარის თემში (აფხაზურად „უარჩა“), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირას. სახელწოდებას საფუძვლად უდევს მეგრ. ოჩე – „დიდი ყანა“ სახელის ორჩე ვარიანტი, რომლისაგანაც მიღებულ იქნა აფხაზური უარჩა. 1886 წელს სოფელი ავარჩე იხსენიება გუმისთის უბანში. 1930 წელს უარჩე ბაბუშერის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია უარჩა (Уарча).

ოჯიბინა – სოფელი ბაბუშარის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება ქართულია, „ოჯიბინე“ მეგრულად „საჯინიბოს“, „ცხენთა საბალახოს, ცხენსაშენს“ ნიშნავს. ასე ერქვა აგრეთვე ძველად სამეგრელოში მეტატონის ცხენებისა და მეჯინიბეების შესანახ გადასახადს. 1930 წელს შედიოდა ოჩამჩირის რაიონის აძიუბუის თემში. 1951 წელს ოჩამჩირის რაიონის აძიუბუის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ოჯიბინე და გულრიფშის რაიონის შედიოდა ბაბუშარის ს/საბჭოს მიეკუთვნა. მისი ამჟამინდელი სახელია აჯბნა (Аџбна). სახელწოდება აფხაზურია და „მუხის ტყეს“ ნიშნავს.

ყორასი – სოფელი ბაბუშარის თემში, მდ. პატარა კოდორის მარცხენა ნაპირზე. 1949 წელს ბაბუშარის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ყვარაშ (Қвараш). სახელწოდება აფხაზურია და „თეთრქვიან ნაპირს“ ნიშნავს.

ბაღმარანის თემი

ბაღმარანი – სოფელი ბაღმარანის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კელასურსა და მდ. მაჭარას შორის, მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება წყაროებში. 1886 წელს ბაღმარანის თემი გუმისთის უბანში იხსენიება. 1930 წელს სოფელი ბაღმარანი მერხეულის თემში შედიოდა. 1949 წელს ბაღმარანის ს/საბჭო გულრიფშის რაიონის შემადგენლობაშია. სოფელში შემონახულია შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი: 2 ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობანი. კომპლექსს გარს არტყია გალავანი. სოფლის ამჟამინდელი სახელია ბაღმარან//ბაღმარან (Баҟбаран//Баҟмаран).

ალექსანდროვკა – სოფელი ბაღმარანის თემში, მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე. ვ. კვარჭიას ცნობით, მისი ძველი აფხაზური სახელია *ამხიალი*, რომელიც XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დასტურდება (ა. ნორდმანი). აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1869 წელს აქ შეიქმნა ბერძნების სოფელი *ალექსანდროვკა*. სახელი შეერქვა იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881) შვილის ალექსანდრეს დაბადების აღსანიშნავად. 1886 წელს *ალექსანდროვსკოე* გუმისთის უბანში იხსენიება. 1930 წელს *ალექსანდროვკა* ეკატერინსკოეს ს/საბჭოში შედიოდა. XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს *ზემო ახუთი* ეწოდა. 50-იან წლების დასაწყისში დაუბრუნდა სახელი *ალექსანდროვკა*. მისი ამჟამინდელი სახელია *ამხიალ* (АМХИАЛ).

პოლტავა-ალექსანდროვსკოე – სოფელი ბაღმარანის თემში, მდ. კელასურსა და მდ. მაჭარას შორის. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნის I ნახევარში მას *ავიბახუ* ეწოდებოდა. XIX საუკუნის მიწურულს აქ კოლონიტები ჩასახლდნენ. 1930 წელს არსებობდა

პოლტავა-ალექსანდროვსკოეს ს/საბჭო. XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს სოფელს გადაერქვა სახელი და *ქვემო ახუთი ენოდა*. 50-იან წლების დასაწყისში დაუბრუნდა სახელი *პოლტავა-ალექსანდროვსკოე*. მისი ამჟამინდელი სახელია *ავიბახუ (Авибаху)*.

განახლების თემი

განახლება – სოფელი განახლების თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კოდორის ქვემო წელში, პატარა კოდორსა და დიდ კოდორს შორის. XIX საუკუნეში აქ იყო სოფელი *ნაუში*, რომელიც იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1869 წელს აქ შეიქმნა ბულგარელთა სოფელი *ანასტასიევკა*. 1943 წელს მას *განახლება* ეწოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ძიდაყუარა (Зыдаквара)*. სახელწოდება აფხაზურია და „უწყლო ნაპირს“ ნიშნავს.

ნაა – სოფელი განახლების თემში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (ა. ნორდმანი). აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, XIX საუკუნის მიწურულს, აქ კოლონისტები დამკვიდრდნენ და სოფელს *ნიკოლაევო-ანასტასიევსკი* ეწოდა. XX საუკუნის პირველ მესამედში აქ იყო სოფელი *სომხური ნაა*, რომელსაც 1948 წელს *ნაა* დაერქვა. მისი ამჟამინდელი სახელია *ნაა (Нaa)*.

ტეხი – სოფელი განახლების თემში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ამ ტერიტორიაზე იყო სოფლები *ვიდე-ბარი*, *ალანოვკა*, *ტეხი*. 1948 წელს ისინი გააერთიანეს ერთ სოფელში, რომელსაც *ტეხი* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ტახუ (Тaxa)*.

ჩერნიგოვკა – სოფელი განახლების თემში, მდ. კოდორის ხეობაში. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, XIX საუკუნის 80-იან წლებში აქ შეიქმნა ჩერნიგოვის გუბერნიიდან გადმოსახლებული კოლონისტების სოფელი, რომელსაც *ჩერნიგოვკა* ეწოდა. 1886 წელს *ჩერნიგოვსკოე* იხსენიება გუმისთის უბანში. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მას *სტარო-ჩერნიგოვკა* ეწოდებოდა. 40-იან წლებში შეერქვა *ყაზბეგი*. 50-იანი წლების დასაწყისში დაუბრუნდა სახელი *ჩერნიგოვკა*. მისი ამჟამინდელი სახელია *აძინა (Аззина)*.

ჭალა – სოფელი განახლების თემში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, XIX საუკუნის მიწურულს აქ შეიქმნა უკრაინელ კოლონისტთა სოფელი *ნიკოლაევკა*, რომელსაც 1948 წელს ქართული სახელი *ჭალა* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ნაუშ (Науш)*.

ხუმუშქური – სოფელი განახლების თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ხმელი ვაშლის

ხეს“ ნიშნავს. XX საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება ამ სახელწოდებით. 1930 წელს შედიოდა ვლადიმეროვკის თემში. შემდეგ, მისი ერთი ნაწილი დარჩა ვლადიმეროვკის თემში, მეორე ნაწილი შევიდა განახლების თემში. მისი ამჟამინდელი სახელია *ნარძინ* (Нарзін).

დრანდის თემი

დრანდა – სოფელი დრანდის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კოდორის ქვემო წელში, მდ. პატარა კოდორის ნაპირას. სახელწოდება გრამატიკული გაფორმებით ქართულია, თუმცა ეტიმოლოგია გაურკვეველია. სახელწოდება „დრანდის“ ეტიმოლოგიას უკავშირებენ ჰეკატეოს მილეტელისა (ძვ. წ. VI ს.) და სტეფანე ბიზანტიელის (VI ს.) მიერ მოხსენიებულ *დანდარიებს*, რომელიც სავარაუდოდ *დანდარის* მცხოვრებთ აღნიშნავს. სოფელში დგას VI-VIII სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც X-XVII სს. საეპისკოპოსო ცენტრი იყო. 1637 წლის მაისში დრანდის ტაძარი და მისი შემოგარენი თურქების საზღვაო დესანტმა მოაოხრა. 1681 წელს აფხაზების (აფსუების) მიერ ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მდ. კელასურიდან მდ. ეგრისწყლამდე (ლალიძე) დაპყრობის შემდეგ დრანდის საეპისკოპოსო გაუქმდა. *დრანდა* დატანილია XVIII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Dandars), აგრეთვე დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე (დრანდის სამიტროპოლიტო ეკლესია), ხატოვის 1826 წლის და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე. XVIII-XIX სს. სოფელი *დრანდა* აფხაზეთის სამთავროს გუმის (აფხაზეთის) ოლქში შედიოდა. ის სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. მდ. კოდორის ხეობით, დრანდის გავლით, აფხაზეთის სანაპირო ზოლში ხშირად იჭრებოდნენ წებელისა და დალის თავისუფალი მთის თემების მკვიდრნი. 1834 წელს რუსეთის ხელისუფლებამ წებელის გზის ჩასაკეტად დრანდის ეკლესიასთან სიმაგრე ააგო. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, 1866-1868 წწ. დრანდის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 1877 წელს აფხაზთა მუჰაჯირობისას დრანდის მთელი მოსახლეობა ოსმალეთში გადასახლდა. 80-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებამ აქ რუსი, ბულგარელი, მოლდაველი კოლონისტები ჩაასახლა. 1886 წელს დრანდის თემი გუმისთის უბანში იხსენიება. 1923 წელს დრანდის თემი 6 სოფლით გუმისთის მაზრაში შედიოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია *დრანდა* (Дранда).

ათარბეკოვკა – სოფელი დრანდის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში ერქვა *კაციგიოლართა*, რაც აფხაზურად „კაცის სადგომს“ ნიშნავს. მას იხსენიებს ა. პახომოვი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, 1935 წელს *კონსო-*

ეზოზი ეწოდა, რაც რუსულად „მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობას“ ნიშნავს. 1967 წელს ათარბეკოვკა დაერქვა სომეხი რევოლუციონერის, აფხაზეთში 1918 წლის ბოლშევიკური გამოსვლის ერთ-ერთი ხელმძღვანელის გ. ათარბეგოვის (1892-1925) გვარის მიხედვით. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა უადაბაარა (Уадабаара) დაარქვეს.

ფშაფი – სოფელი დრანდის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, ზემო ფშაფის და ქვემო ფშაფის ძველი სახელწოდება. სახელწოდება ქართულია, მისი ფუძე არის „ფშა“ (ქართ. წყალი, წყარო), რომელიც მოცემულია მეგრული ფორმით მრ. რიცხვში ფშები//ფშეფი, რომელიც აფხაზურ ენაში ფშაფის ფორმით დამკვიდრდა. მას იხსენიებენ რუსი ელჩები, რომლებიც 1639-1640 წწ. ოდიშის სამთავროში იმყოფებოდნენ. 1930 წელს დრანდის ს/საბჭოში შედიოდა ზემო ფშაფი, ხოლო 1949 წელს ზემო ფშაფი და ქვემო ფშაფი. სოფლის ამჟამინდელი სახელია ფშაფ (Фшшаф).

შაუმიანოვკა – სოფელი დრანდის თემში, მდ. სკურჩის ნაპირზე. XIX საუკუნის დასაწყისში აქ იყო სოფელი წყუბუნი, რომელსაც ნ. დადიანი (წყუბუნი), ა. ნორდმანი (წყუბუნი ანუ დრანდა) და სხვები იხსენიებენ. 1842 წლის რუკაზე აღნიშნულია წყუბუნის სახელწოდებით. წყუბუნი დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1883 წელს დრანდაში რუსული მონასტრის დაფუძნების შემდეგ, წყუბუნში ანუ ზემო დრანდაში დასახლება არხიერეისკოე წარმოიშვა, რომელსაც წყუბუნ-არხიერეისკოე ეწოდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შაუმიანოვკა ეწოდა სომეხი რევოლუციონერის ს. შაუმიანის (1878-1918) პატივსაცემად. 1930 წელს შაუმიანოვკა დრანდის ს/საბჭოში შედიოდა. 40-იან წლებში ნარინჯოვანი დაერქვა, ხოლო 1967 წელს სახელწოდება შაუმიანოვკა აღადგინეს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს წყიბინ (Цкыбин).

ვლადიმროვკის თემი

ვლადიმროვკა – სოფელი ვლადიმროვკის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. ესაა ისტორიული სოფელი კოდორი. კოდორი ქართული ტოპონიმია როგორც ფუძე სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით. ერთი მოსაზრებით, კოდორი იგივეა, რაც მდინარისპირა ველი. მეორე მოსაზრებით, ის კბოდეს, მდინარის კლდოვან ნაპირს, კალაპოტს ნიშნავს. სხვა მოსაზრებით, მისი ფუძეა კად (ნა-კად-ი, ნა-კად-ული), რომლის ზანური შესატყვისია კოდ-ორ. საერთოქართველური — კად ძირი „წყალს“ აღნიშნავდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ კოდ-მე მდინარის ამალღებული ნაპირია. ამდენად, „კოდორი“ წყლის სემანტიკის შემცველია. სოფ. კოდორი სკოტორის

ფორმით ბიზანტიელ ავტორთან, თეოდოსი განგრელთან (VII ს.) იხსენიება. კოდორი მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. როდესაც აქ აფხაზები დამკვიდრდნენ, მას კაციგილართა ეწოდა, რაც აფხაზურად „კაც-ის სადგომს“ ნიშნავს. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1870 წელს აქ შეიქმნა ბულგარელთა დასახლება *დოპუაქითის (ესტონკა)* მიწების მიერთებით და მას *ვლადიმროვკა* დაერქვა. 1886 წელს *ვლადიმროვკის* ს/საბჭო გუმისთის მაზრაში, ხოლო 1930 წელს სოხუმის მაზრაში შედიოდა. 1943 წელს *სოფ. ვლადიმროვკას* დაუბრუნდა სახელი *კოდორი*. 1955 წელს გადაერქვა სახელი და *ვლადიმროვკა* ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *კაციქით (Кашикыт)*, რაც „კაცის სოფელს“ ნიშნავს.

ესტონკა – სოფელი ვლადიმროვკის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე. XIX საუკუნეში აქ იყო სოფელი *დოპუაქით*, რომელიც პირველად XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან არის დამონებული (ა. ნორდმანი). სახელწოდება „*დოპუაქით*“ აფხაზურად „დოპუების გვარის სოფელს“ (დოპუა – გააფხაზებული ქართული გვარი, აქითა – სოფელი) ნიშნავს. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1881 წელს აქ ესტონელების დასახლება შეიქმნა სახელწოდებით *ესტონკა*. 1886 წელს *ესტონსკოეს თემი* გუმისთის უბანში შედიოდა. 1930 წელს *ესტონსკოე* შედიოდა ვლადიმროვკის თემში. 1948 წელს *ესტონკას* გადაერქვა სახელი და *ბალნაშენი* ეწოდა. 1955 წელს დაუბრუნდა სახელი *ესტონკა*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *დოპუაქით (Допуакыт)*.

შმათი – სოფელი ვლადიმროვკის თემში, მდ. პარატა კოდორის ზემოთში. შმათი მამაკაცის აფხაზური სახელია. 1949 წელს ვლადიმროვკის ს/საბჭოში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ხეცრიფშ (Хьещрыпшъ)*, რაც „ხეციების საცხოვრისს, მხარეს“ ნიშნავს.

ხუმუშქური – სოფელი ვლადიმროვკის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ხმელი ვაშლის ხეს“ ნიშნავს. XX საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება სოფელი ამ სახელწოდებით. 1930 წელს შედიოდა ვლადიმროვკის თემში. შემდეგ, მისი ერთი ნაწილი დარჩა ვლადიმროვკის თემში, მეორე ნაწილი შევიდა განახლების თემში. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს მარშანიხუ (*Маршанихы*), რაც „მარშანის ბორცვს“ (მარშანია გააფხაზებული ქართული გვარია) ნიშნავს.

ლათის თემი

ლათა – სოფელი ლათის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება ქართულია, სვანურად

საზღვარს, გასაყარს, გასაყოფ ადგილს ნიშნავს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში, შედიოდა დალის თემში. 1923 წელს გუმისთის მაზრაში შედიოდა ათარო-ლათის თემი 7 სოფლით, ხოლო 1925 წელს არსებობდა ლათის ს/საბჭო. 1930 წელს ლათის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები შუა ლათა და ზემო ლათა. სოფლის ამჟამინდელი სახელია ლათა (Лата).

არლუნია – სოფელი ლათის თემში, მდ. არლუნის (კოდორის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე. წყაროებში XX საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება არლუნა//არლუნიას სახელწოდებით. 1930 წელს ლათის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია არლუნია (Арбуния).

ზენობანი – სოფელი ლათის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში აქ იყო სოფელი ხენგი. 1867 წელს, აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, ეს მიწები რუსეთის არმიის პოლკოვნიკ ბებუთოვს ებოძა და ვერხნაია ბებუთოვკა დაერქვა. 1930 წელს ლათის ს/საბჭოში შედიოდა. 1948 წელს ზენობანი ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ხინგა (Хынга).

კადარი – სოფელი ლათის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება ვარდა (უარდა) სახელწოდებით (ა. ნორდმანი). იხსენიება აფხაზ მუჰაჯირთა 1867 წლის სიაში. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ ეს ადგილი პოლკოვნიკ ჩემბერგს უბოძეს და მას ჩემბერგი დაერქვა. 1930 წელს ლათის ს/საბჭოში შედიოდა. 1948 წლიდან ჰქვია კადარი. სახელწოდება ქართულია, მეგრულად კენჭიან, წყლისპირა უნაყოფო და ქვიან ადგილს ჰქვია. მისი ამჟამინდელი სახელია უარდა დუ (Уарда ду), რაც „დიდ უარდას“ ნიშნავს.

მარდახუჭი – სოფელი ლათის თემში, მდ. კოდორის ნაპირზე. XIX საუკუნეში სოფელ ვარდას ნაწილი იყო და ვარდახუჭ ერქვა, რაც აფხაზურად „პატარა ვარდას“ ნიშნავს. აქედან მომდინარეობს სახელწოდება მარდახუჭი. ა. ნორდმანი იხსენიებს სოფლებს ვარდა და ვარდა-ხუჭი. 1930 წელს ლათის თემში შედიოდა სოფელი ვარდა, ხოლო 1949 წელს – მარდახუჭი. მისი ამჟამინდელი სახელია უარდა ხუჭი (Уарда хычы).

მიასნიკოვკა – სოფელი ლათის თემში, მდ. კოდორის ხეობაში. ესაა ისტორიული სოფელი დალი. სახელწოდება დალი ქართულია, მომდინარეობს სვანური ნადირობის ღვთაების სახელიდან და „დალის საუფლოს“ ნიშნავს. შუა საუკუნეებში დალი ისტორიული მხარის სახელწოდება იყო, რომელიც მდ. კოდორის ზემო წელის აუზს მოიცავდა. დალს იხსენიებენ გიულდენშტედტი, XIX საუკუნის 30-იან წლებში – აბრიუცკი, ა. ნორდმანი. 1867 წელს ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად გადაასახლეს ოსმალეთში. მოგვიანებით, აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები დამკვიდრდნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მიასნიკოვკა ეწოდა სომეხი რევო-

ლუციონერის, რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის ა. მიასნიკოვის (1886-1925) პატივსაცემად, რომელიც 1925 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. 1949 წელს შედიოდა ლათის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია დალ (Дал).

ქვენობანი – სოფელი ლათის თემში, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე, ბაგადის ხილსა და ლელე ხინგს//ხენგს შორის. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში ბაგადა ერქვა. ბაგადა წყაროებში XIX საუკუნის დასაწყისიდან დასტურდება. 1867 წელს აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, ეს მიწები რუსეთის არმიის პოლკოვნიკ ბებუთოვს ებოძა და *ნიჟნაია ბებუთოვკა* დაერქვა. 1948 წელს *ქვენობანი* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ბაგადა (Багада).

ხიზარუჰა – სოფელი ლათის თემში, მდ. კოდორის მარცხენა მხარეს. 1930 წელს ლათის ს/საბჭოში შედიოდა. 1948 წელს *ნეძონა* დაერქვა, რაც მეგრულად „ნიგვზიანს“ ნიშნავს. მოგვიანებით, დაუბრუნდა სახელი *ხიზარუჰა*. მისი ამჟამინდელი სახელია *ხიზდარხა* (Хызыдарха).

მაჭარის თემი

მაჭარა – სოფელი მაჭარის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის ნაპირას, მდ. მაჭარის შესართავთან. როგორც ჩანს, თავდაპირველად ასე ერქვა მდინარეს და შემდეგ დაერქვა სოფელს, რომელიც ამ მდინარის ნაპირზე მდებარეობდა. მდ. მაჭარას XIX საუკუნის 20-იანი წლების ამბების თხრობისას იხსენიებს ისტორიკოსი ნიკო დადიანი (1780-1834). სახელწოდება „მაჭარა“ ქართულია, სწრაფმდინარე და ქაფიან წყალს ნიშნავს. 1939 წელს გულრიფშის ს/საბჭოდან გამოიყო სოფელი მაჭარკა და მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობა, მერხეულის ს/საბჭოდან – სოფელი ქვემო მერხეული. მათ დაემატა სოფელი კელასური და შეიქმნა მაჭარის ს/საბჭო ცენტრით სოფ. მაჭარკაში. მისი ამჟამინდელი სახელია *მაჭარა* (Мацара).

ზემო გულრიფში – სოფელი მაჭარის თემში, შავიზღვისპირა ვაკე-დაბლობზე. 1949 წელს შედიოდა მაჭარის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *ავიადატვი გულრიფში* (Авдатови Гылырыфшы).

თხუბუნი – სოფელი მაჭარის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. ნიკო დადიანი იხსენიებს 1821 წლის ამბებთან დაკავშირებით *თუბუნი-ს* ფორმით. ა. ნორდმანი იხსენიებს სოფ. კელასურს, რომელსაც აფხაზურად *თხუბუნი* რქმევია. XX საუკუნის 40-იან წლებში *ვარდისუბანი* დაერქვა. 1967 წელს *თხუბუნი* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *თჰვუბუნ* (Тхыбын).

კელასური – სოფელი მაჭარის თემში, მდ. კელასურსა და მდ. მაჭარას შორის. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნის 40-იანი წლების რუკებზე დატანილია *აიბუხცას* სახელწოდებით. 1949 წელს მაჭარის ს/

საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *კალაშვირ* (Кьалашьыр).

ქვემო მერხეული – სოფელი მაჭარის თემში, მდ. მაჭარის ნაპირებზე. სახელწოდება „მერხეული“ მომდინარეობს სვანური სიტყვიდან „მერხელ“ (ჭინჭარი). 1930 წელს მერხეულის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ალადატი მარხაულ* (Аладатѳи Мархьаул).

მერხეულის თემი

მერხეული – სოფელი მერხეულის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. მაჭარის ორივე ნაპირზე. სახელწოდება „მერხეული“ მომდინარეობს სვანური სიტყვიდან „მერხელ“ (ჭინჭარი). სოფელში შემორჩენილია ნებელის მფლობელი მარშანიების სასახლის ნანგრევები. წყაროებში ფიქსირდება XIX საუკუნის დასაწყისიდან. დატანილია ხატოვის 1826 წლის და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე. 1923 წელს გუმისთის მაზრაში შედიოდა მერხეულის თემი 5 სოფლით. სოფლის ამჟამინდელი სახელია *მარხაულ* (Мархьаул).

ზემო მაჭარა – სოფელი მერხეულის თემში, მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირზე. ვ. კვარჭიას კვლევით, XX საუკუნის დასაწყისში მას *აჩადარა* ერქვა. სახელწოდება *აჩადარა* მომდინარეობს ქართული ჭანდარიდან (ჭადარი). XIX საუკუნის მიწურულს *აჩადარის* და მეზობელი სოფლის *ჩიყოუშის* ტერიტორია დაიკავეს უკრაინელმა კოლონისტებმა და სოფელს *პოლტავსკოე* ეწოდა. მოგვიანებით, მას *ზემო მაჭარა* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ავიადატი მაჭარა* (Аѳадатѳи Маѳара).

ღურზული – სოფელი მერხეულის თემში, მდ. მაჭარის მარცხენა მხარეს. წყაროებში ფიქსირდება XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან. მისი აფხაზური ფორმაა *ღურზაულ*. 1930 წელს მერხეულის ს/საბჭოში შედიოდა. XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ჰქვია *გერზეული*, 40-იანი წლებიდან – *ღურზული*. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მთაზე, აღმართულია VIII-IX სს. ციხის ნანგრევები. მისი ამჟამინდელი სახელია *ღურზაულ* (Զურзуаул).

ჩერნიგოვკა – სოფელი მერხეულის თემში, მდ. პატარა მაჭარის მარჯვენა მხარეს. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, XIX საუკუნის მიწურულს აქ შეიქმნა ჩერნიგოვის გუბერნიიდან გადმოსახლებულთა სოფელი *ნოვო ჩერნიგოვკა*. 1930 წელს მერხეულის ს/საბჭოში შედიოდა. XX საუკუნის 40-იან წლებში ეწოდა *ვაშლოვანი*, შემდეგ – *ჩერნიგოვკა*. მისი ამჟამინდელი სახელია *აძინა* (Аѳина).

ფშაფის თემი

ფშაფი – სოფელი ფშაფის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ფშაფის მარცხენა ნაპირას. სახელწოდება ქართულია, მისი ფუძეა „ფშა“ (ქართ. წყარო, ნაკადული), რომელიც მოცემულია მეგრული ფორმით

მრ. რიცხვში ფშები//ფშეფი (მეგრ. წყლიანი ადგილი), რომელიც აფხაზურ ენაში ფშაფის ფორმით დამკვიდრდა. მას იხსენიებენ რუსი ელჩები, რომლებიც 1639-1640 წწ. ოდიშის სამთავროში იმყოფებოდნენ. XIX საუკუნის 30-იან წლებში იხსენიება აბუყის ოლქში (ა. ნორდმანი). 1886 წელს გუმისთის უბანში, ხოლო 1930 წელს – გულრიფშის ს/საბჭოში შედიოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია ფშაფ (Пшьяф).

მეორე ბალაჟიაშთა, პირველი ბალაჟიაშთა – სოფლები ფშაფის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. მათი ძველი სახელია ბალაჟიაშთა, რომელიც XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება აფხაზეთის ოლქში (პ. ზუბოვი). სახელწოდება აფხაზურია და „ბლაჟ-ვბას (აფხაზური გვარსახელი) კარ-მიდამოს“ ნიშნავს. 1886 წელს ბოგოვეშტას სახელწოდებით გუმისთის უბანში იხსენიება. 1930 წელს ზედა და ქვედა ბალაჯიაშთა გულრიფშის ს/საბჭოში შედიოდა. მათი ამჟამინდელი სახელი პირველი ბალაჟიაშთა და მეორე ბალაჟიაშთაა აფხაზურ ენაზე (Акѡи Баѡажѡиашта, Аѡბатаи Баѡажѡиашта).

ფარნაუთი – სოფელი ფშაფის თემში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება აფხაზეთის ოლქში. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, XIX საუკუნის მიწურულიდან ამ ტერიტორიაზე არსებობდა რუსი და სომეხი კოლონისტების სოფლები ივანოვო-ალექსეევკა, ორდუ, კუჩუკსტამბული (თურქ. პატარა სტამბული) და ნახალოვკა. 1948 წელს ეს სოფლები გააერთიანეს და ფარნაუთი უწოდეს. მისი ამჟამინდელი სახელია ფარნაუთ (Пѡрнаут).

წებელის თემი

წებელა – სოფელი წებელის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კოდორის შუა წელზე, წებელის ქვაბულში. XIX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით მას წებელი ერქვა. შუა საუკუნეებში წებელი ისტორიული მხარის სახელწოდება იყო, რომელიც მდ. კოდორის შუა და ზემო წელის აუზს მოიცავდა. სახელწოდება წებელი მომდინარეობს ქართული სიტყვიდან წიფელი (წიფელთა, ქართ. წიფელი, მეგრულ-ჭანური წიფური, წიფრი, სვან. წიფრა). VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორები პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი ბიზანტია-სპარსეთის ომთან დაკავშირებით მრავალჯერ იხსენიებენ აფსილეთის მთავარ ციხეს წიბილის (პროკოპი კესარიელი), ტიბელი-ს (აგათია სქოლასტიკოსი). მიაჩნიათ, რომ მხარის სახელწოდება და ციხისა ერთიდაიგივეა. მთის მწვერვალებზე მიკვლეული ადრინდელი ფეოდალური ხანის რამდენიმე ციხე მიუთითებს რეგიონის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე; ეს ციხეები კონტროლს უწევდა სავაჭრო-სატრანზიტო გზას, რომლითაც ჯერ

რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს ახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, ხოლო კასპიის ზღვის გვერდის ავლით – შუა აზიასთან. ფეოდალურ ხანაში ისტორიული მხარე *ნებელი* მარშანიების ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. როდესაც ამ მხარეში აფხაზები დამკვიდრდნენ, მას *ნაბალი* უწოდეს, რაც ქართული ფორმიდან მომდინარეობს. 1837 წლიდან, ამ მხარეში რუსების დამკვიდრების შემდეგ, *ნებელა* ფორმა მკვიდრდება. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ რუსი და სომეხი კოლონისტები დამკვიდრდნენ. 1923 წელს *ნებელის* თემი 18 სოფლით გუმისთის მაზრაში შედიოდა, ხოლო 1930 წელს 26 სოფლით – სოხუმის მაზრაში. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ამ ტერიტორიაზე იყო სოფლები *ბაზარ-ხაჩატური* და *მეგრელოვკა*, რომელთაც 1948 წელს ერთ სოფლად გაერთიანების შემდეგ *ნებელა* ეწოდა. *მეგრელოვკა* ცნობილია XX საუკუნის დასაწყისიდან. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში ამ ადგილას იყო სოფელი *ადაგუა*. *ნებელა* მდიდარი არქეოლოგიური და სუროთმოძღვრული ძეგლებით. აქ აღმოჩნდა II-VII სს. მრავალრიცხოვანი ინვენტარიანი სამარხები, კანკელის ფილები (VII ს.). სოფელ *ნებელის* აღმოსავლეთით 4 კმ-ზე გამოვლინდა ციხის ნანგრევები, საფორტიფიკაციო სისტემა, 2 დარბაზული ეკლესია, აბანო, სამეურნეო სათავსები, წყალსაცავი აუზი, წყალსადენი, VI ს. მონეტები, X-XI სს. მონეტების განძი, რომელიც არაბული დირჰემების ქართულ მინაბადებს შეიცავს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ნაბალ* (Набал).

აბლუხვარა – სოფელი *ნებელის* თემში, მდ. სიხჩას (მდ. ამტყელის მარჯვენა შენაკადი) სათავესთან. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნის 30-იან წლებში დასტურდება სახელწოდებით *აბგალავირა*, *აბგალახვარა*. 1930 წელს აზანთხის ს/საბჭოში შედიოდა *აბლახვარას* სახელწოდებით. XX საუკუნის 40-იან წლებში მკვიდრდება მისი სახელი *აბლუხვარა*. მისი ამჟამინდელი სახელია *აბგალახვარა* (Абгалахвара).

აგიში – სოფელი *ნებელის* თემში, მდინარეებს დიდ მაჭარასა და პატარა მაჭარას შორის. სახელწოდება ქართულია, სვანურად „სამკვიდროს, ოჯახის ფუძე ადგილს“ ნიშნავს. 1949 წელს ოქტომბრის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აღშ* (Агш).

აზანთა – სოფელი *ნებელის* თემში, ამტყელის ტბის მახლობლად. სახელწოდება აქ უწინ ზანების, მეგრელ-ჭანების განსახლებაზე მიანიშნებს. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება. იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში აზანთხის სახელწოდებით. 1923 წელს აზანთის თემი 7 სოფლით გუმისთის მაზრაში შედიოდა. 1930 წელს არსებობდა აზანთხის ს/საბჭო, 1949 წელს – აზანთის ს/საბჭო. XX საუკუნის 40-იან წლებში მკვიდრდება

სახელწოდება აზანთა. სოფელში შემორჩენილია ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დოლმენები და ბრინჯაოს ხანის სამარხები, შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები. მისი ამჟამინდელი სახელია აზანთა (Азанта).

არასარა – სოფელი ნებელდის თემში, მდ. აზანთის ხეობაში. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები დამკვიდრდნენ და XIX-XX სს. მიჯნაზე შეიქმნა სომხური დასახლება ფუნდუკლუკი (თურქ. თხილოვანი). 1930 წელს აზანთის ს/საბჭოში შედიოდა სოფ. ფუნდუკლუკი. 1948 წელს ქართული სახელი თხილოვანი ეწოდა. შემდეგ სოფელი ორ ნაწილად გაიყო. 1949 წელს აზანთის ს/საბჭოში შედიოდა ქვემო თხილოვანი და ზემო თხილოვანი. 1967 წელს თხილოვანს გადაერქვა სახელი და არასარა ეწოდა. სახელწოდება აფხაზურია და „თხილნარს“ ნიშნავს (არასა – თხილი, -რა მრავლობითი რიცხვის სუფიქსი). მისი ამჟამინდელი სახელია არასარა (Арасара).

აჭანდარა – სოფელი ნებელდის თემში, მდ. ამტყელის მარჯვენა მხარეს. XIX საუკუნეში უნთფირი ერქვა. ასე იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები ჩასახლდნენ და სოფელს კავაქლუკი ეწოდა, რაც თურქულად „ვრხვნარს“ ნიშნავს (თურქ. კავაქ – ვერხვი, ლუკ — კრებითი სუფიქსი). 1930 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა სოფ. კავაქლუკი ბერძნების და კავაქლუკი სომხების. 1948 წელს აჭანდარა დაერქვა. აჭანდარა აფხაზური სახელწოდებაა. „ჭანდარი“ იგივე ჭადარია ქართველურ ენებში, რომელსაც აწარმოებს აფხაზური -ა სუფიქს-პრეფიქსი. მისი ამჟამინდელი სახელია აჭანდარა (Ачандара).

გერგემიში – სოფელი ნებელდის თემში, მდ. აზანთის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება ქართულია, სვანურად „წმ. გიორგის კუთვნილს“ (გერგე – წმ. გიორგი, -იშ – კუთვნილების სუფიქსი) ნიშნავს. 1930 წელს აზანთის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია გიარგამიშ (Гъаргъамышь).

ველი – სოფელი ნებელდის თემში, აფიანჩას მთასთან. 1867 წლის აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, აქ შეიქმნა ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხების სოფელი ბოგაზ (თურქ. ვინრო ადგილი, ყელი, გასასვლელი). 1948 წელს ეწოდა ქართული სახელი ველი. 1949 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ველი (Вели).

ვერხნაია აპიანჩა, ნიჟნაია აპიანჩა – სოფლები ნებელდის თემში, აფიანჩას მთასთან. ადრე ერქვა შესაბამისად ზემო აფიანჩი, ქვემო აფიანჩი. 1955 წელს დაერქვა ვერხნი აფიანჩი, ნიჟნი აფიანჩი. მათი ძველი სახელია აფიანჩა, რომელიც XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან

იხსენიება წყაროებში. 1960 წელს სოფლები *ვერხნი აფიანჩი* და *ნიჟნი აფიანჩი* გამოეყო ოქტომბრის ს/საბჭოს და ნებელდის ს/საბჭოს მიეკუთვნა. სოფლის ამჟამინდელი სახელია *აფიანჩა* (Афианча).

ზეგანი – სოფელი ნებელდის თემში, მდ. კოდორის შუა წელზე, მის მარჯვენა ნაპირზე. ვ. კვარციას ცნობით, XIX საუკუნის I ნახევარში ერქვა *ფაცკირ*. 1948 წელს ქართული სახელი *ზეგანი* („ზეგანი“, – ქართულად „ვრცელი და ამაღლებული ადგილი“) ეწოდა. 1960 წელს სოფელი *ზეგანი* გამოეყო ოქტომბრის ს/საბჭოს და ნებელდის ს/საბჭოს მიეკუთვნა. მისი ამჟამინდელი სახელია *ფაცკირ* (Фацкыр).

ზემო წყარო – სოფელი ნებელდის თემში, მდ. კოდორის ქვემო დინების ხეობაში. ამ ტერიტორიაზე იყო სოფლები *ზემო ლემსა* და *შუა ლემსა*. 1930 წელს *ზემო ლემსა* და *შუა ლემსა* ცალ-ცალკე შედიოდა ნებელდის ს/საბჭოში. 1948 წელს *ზემო ლემსას* და *შუა ლემსას* *ზემო წყარო* დაერქვა. მისი ამჟამინდელი სახელია *ადგილხვა* (Адгылхва). სახელწოდება აფხაზურია და „რუხ მინას“ (ადგილ – მინა, ახუა – რუხი) ნიშნავს.

კელასური – სოფელი ნებელდის თემში, აფხაზეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. კელასურის ხეობაში. XIX საუკუნის მიწურულს ამ ადგილას უკრაინელმა მოახალშენებმა შექმნეს სოფელი *პოლტავსკოე*, რომლის ქვემო ნაწილს *პოლტავო-კელასური* შეერქვა. 1948 წელს *კელასური* ეწოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *კიალაშვირ* (Кьялашвир).

კირნათი – სოფელი ნებელდის თემში, აფხაზეთის მთიოსწინეთში. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ერქვა *სული*. 1930 წელს აზანთხის ს/საბჭოში შედიოდა. 1948 წელს *კირნათი* დაერქვა. მისი ამჟამინდელი სახელია *ციხჩა* (Цыхча).

მარანი – სოფელი ნებელდის თემში, მდ. პატარა მაჭარის ხეობაში. XIX საუკუნის მიწურულს ამ ადგილას უკრაინელმა მოახალშენებმა შექმნეს სოფელი *პოლტავსკოე*, რომლის ზემო ნაწილს შეერქვა *პოლტავა ქართული/ქართული პოლტავა*. 1948 წელს ეწოდა ქართული სახელი *მარანი*. მისი ამჟამინდელი სახელია *პაპაა* (Папаа).

მეტელეევკა – სოფელი ნებელდის თემში, მდ. კელასურის ხეობაში. XIX საუკუნის მიწურულს აქ შეიქმნა სოფელი *მეტელეევკა*. სახელწოდება მომდინარეობს ამ მიწების მოიჯარის მეტელეევის გვარიდან. 1930 წელს შედიოდა პოლტავა-ოლგინსკოეს ს/საბჭოში. 1949 წელს ოქტომბრის ს/საბჭოში შედიოდა. XX საუკუნის 40-იან წლებში ქართული სახელი *კორიანტელი* ეწოდა, რაც რუსულ სახელ „მეტელის“ ქართული თარგმანია. 50-იან წლებში დაუბრუნდა სახელი *მეტელეევკა*. მისი ამჟამინდელი სახელია *ბირძხა/ბირცხა* (Бирцха/Бирцха).

მზისეული – სოფელი ნებელდის თემში, მდ. კოდორის შუა

ნელზე, მის მარჯვენა მხარეს. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში ერქვა *ახისტა*. იხსენიება XIX საუკუნის 30-იან წლებში (ა. ნორდმანი). 1867 წლის აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, XIX საუკუნის მიწურულს აქ შეიქმნა სომხური დასახლება *ქესიანოვკა*. 1930 წელს შედიოდა ნებელდის ს/საბჭოში. ორი სოფლის გაერთიანების შემდეგ *კომინტერნოვსკოე-ქესიანოვკა* ერქვა. 1948 წელს ეწოდა ქართული სახელი *მზისეული*. მისი ამჟამინდელი სახელია *ახისტა* (Ахыста).

მრამბა – სოფელი ნებელდის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. კოდორის ხეობაში. სახელწოდება აფხაზურია და „მზის უნახავს“ ნიშნავს. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იხსენიება *ბრამბას* სახელწოდებით. 1840 წელს აქ რუსებმა მრამბის სიმაგრე ააგეს. 1930 წელს შედიოდა ნებელდის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *ბრამბა* (Брамба).

ოქტომბერი – სოფელი ნებელდის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, აფიანჩის მთის ძირას. ვ. კვარჭიას ცნობით, XIX საუკუნეში *ბარიალი* ერქვა. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, 1869 წელს აქ ბერძნების სოფელი *ოლგინსკოე* შეიქმნა. სახელი ეწოდა ოლღა თევდორეს ასულ რომანოვას საბერძნეთის უფლისწულზე დაქორწინების აღსანიშნავად. 1886 წელს ოლგინსკოეს თემი გუმისთის უბანში შედიოდა. 1930 წელს პოლტავა-ალექსანდროვსკოეს ს/საბჭოში შედიოდა. 1943 წელს ოლგინსკოეს *ოქტომბერი* ეწოდა. ერთხანს არსებობდა *ოქტომბრის ს/საბჭო*. მისი ამჟამინდელი სახელია *ბარიალ* (Бариаал).

ქვემო წყარო – სოფელი ნებელდის თემში, მდ. კოდორის ხეობაში. ადრე ერქვა *ქვემო ლემსა*. 1930 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა. 1948 წელს ეწოდა *ქვემო წყარო*. მისი ამჟამინდელი სახელია *ჯმაშთა* (Цьмашта).


ნიფლოვანი – სოფელი ნებელდის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. XIX საუკუნის მიწურულს *პატარა კრაევიჩი*, ხოლო 1948 წელს *ნიფლოვანი* ეწოდა. *კრაევიჩი* 1930 წელს ნებელდის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ჯაა* (Цъаа).

ქალაქი ტყვარჩელი

ტყვარჩელი – ქალაქი მდ. ლალიძგის სათავეებში. გაშენებულია მდ. ლალიძგის ხეობაში და შედგება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული რამდენიმე დასახლებისაგან – *კვეზანი*, *აკარმარა*, *ჯანტუხა*. აღმოცენდა ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე. სახელწოდება მომდინარეობს მცენარის ქართული (მეგრული) სახელიდან „ტყვარჩელი“, რაც ყოჩივარდას ნიშნავს. ამ ადგილას დასახლება XVII საუკუნის შუა წლების იტალიურ რუკებზე „ტკ-

ვაჯას“ სახელით გვხვდება, რაც ქართული ტოპონიმის იტალიური გადმოცემაა. სოფელი ტყვარჩელი XIX საუკუნის რუკებზე დატანილია მდ. ლალიძგის ზემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე. ქალაქის წარმოშობა განაპირობა მდ. ლალიძგის ხეობაში ქვანახშირის საბადოს სამრეწველო ათვისებამ. პირველი შახტი აქ 1935 წელს ამოქმედდა. 30-იან წლებში ქვანახშირის მადნის ათვისებასთან დაკავშირებით შეიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება, რომელმაც 1942 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო. ქალაქის ტერიტორიამ შეიერთა სოფელ ტყვარჩელის ნაწილი და დასახლებული პუნქტები აკარმარა, კვეზანი და აბგილდარა, რომლებიც XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან იხსენიება წყაროებში. მოსახლეობა 21 744 (1989 წ.). 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს ტყვარჩალ (Тқварчал).

ოჩამჩირის რაიონი



ოჩამჩირის რაიონი

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორია კოდორის უბნის სახელწოდებით ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგში შედიოდა. 1918 წლიდან კოდორის უბანს კოდორის მაზრა, რომელიც სოხუმის ოლქის, ხოლო შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის ადმინისტრაციული ერთეულია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან, კოდორის მაზრა საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის შემადგენლობაშია.

1923 წელს კოდორის მაზრაში შედიოდა 14 თემი, 44 სოფელი 8 სასოფლო საბჭო. 1925 წელს კოდორის მაზრაში შედიოდა 18 სასოფლო საბჭო, მაზრის ცენტრი ქ. ოჩემჩირე იყო. 1930 წლიდან კოდორის მაზრას კოდორის რაიონი ერქვა. 1931 წლის დეკემბერში კოდორის რაიონს ოჩემჩირის რაიონი დაერქვა. 1991 წლისთვის ოჩამჩირის რაიონში შედიოდა 1 საქალაქო (ოჩამჩირე) და 27 სასოფლო თემი: აგუბედია, ათარა-არმიანსკაია, ათარა, არადუ, არაკიჩი, არასაძიხი (ცენტრი გუფაგუ), აძუბუა, ახალი კინდლი, ბესლახუბა, გუფი, თხინა, ილორი, კინდლი, კუტოლი, კოჩარა, ლაბრა, მერკულა, მოქვი, ოტაფი, ოხურეი, რეკა, ტამიში, ტყვარჩელი (ცენტრი ატიშადუ), ფოქვეში, ღვადა, ჭლოუ, ჯგერდა; 1 ქალაქი და 113 სოფელი. ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობა – 75 388 (1989 წ.).

ქალაქი ოჩამჩირა

ოჩამჩირა – ქალაქი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. გაშენებულია შავიზღვისპირა დაბლობზე, ზღვის ნაპირას, მდ. ლალიძგის შესართავთან, მის მარჯვენა მხარეს. წყაროებში XIX საუკუნის 20-იან წლებიდან ფიქსირდება (ხატოვის 1826 წლის რუკა) ოჩემჩირი-ს ფორმით. სახელწოდება „ოჩემჩირე“ ქართულია. „ოჩემჩირი“ კომპოზიტია, მეგრულად „ვრცელ ყანას“ ნიშნავს. ოჩამჩირის მიდამოებში, მდ. მოქვის შესართავთან, ანტიკურ ხანაში მდებარეობდა ძველი ბერძნული სავაჭრო ფაქტორია *გიენოსი*, რომელსაც პირველად ფსევდო სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. IV ს.) იხსენიებს. 1847 წელს *ოჩემჩირეში* გაიხსნა ნავსადგური. 1886 წელს სოფელი *ოჩემჩირე* კოდორის უბნის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, 1923 წლიდან – კოდორის მაზრის ცენტრი. ქალაქის სტატუსი 1925 წელს მიიღო. 1931 წლიდან ოჩემჩირის რაიონის ცენტრია. 1948 წელს ეწოდა *ოჩამჩირე*. 1967 წელს აფხაზთა მოთხოვნით დადგინდა ფორმა *Очамчыра* და ქართულადაც ასე იწოდება – ოჩამჩირა.

აგუბედიის თემი

აგუბედია – სოფელი აგუბედიის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ოხოჯის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია, მისი ადგილობრივი ვარიანტი და ზუსტი შესატყვისია გურბედია, რაც მეგრულად „გული ბედია“//„შუა ბედია“ ნიშნავს. ასე ერქვა მას ფეოდალურ ხანაში. აფხაზური სახელწოდება წარმოიშვა XVIII საუკუნის მიწურულიდან, როცა ამ მხარეში აფხაზური მოსახლეობა მკვიდრდება. ახალმა აფხაზურმა მოსახლეობამ სოფლის სახელის პირველი ნაწილი – „გული“, „შუა“ – აფხაზურად თარგმნა („აგუ“). სოფლის ტერიტორიაზეა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ბედის ტაძარი (X ს.) და შუა საუკუნეების ციხე „ტყაური“. ეს არის ისტორიული სოფელი ბედია. ბედია ერქვა ვრცელ ტერიტორიას, სადაც ამჟამად მდებარეობს სამი თემი – აგუბედიის, რეკის, ბედის. ბედია იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ XI საუკუნის ამბების თხრობისას. საქართველოს მეფემ ბაგრატ III-მ (978-1014) აქ ააგო ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც XI-XVII სს. ბედის საეპისკოპოსოს ცენტრი იყო. ბედია დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე. მას იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილიც (XVIII ს.). მეგრულში ბედია აღნიშნავს „საღვთოს, ხატზე შესახელებულს“, „ხატის ტყეს“, „ხატისთვის მიჩენილ ტყეს ან მიწას“. აგუბედია არ ჩანს სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე და 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში. რუკაზე დატანილია ბედია, ხოლო 1886 წლის აღწერის მასალებში იხსენიება ბედის თემი. 1923 წელს ბედის თემი 10 სოფლით სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა. 1930 წელს გალის მაზრის ბედის ს/საბჭოში შედიოდა სოფელი აგუბედია, რომელიც შემდეგ სასოფლო საბჭოს ცენტრად იქცა. იმავე 1930 წელს გალის რაიონს გამოეყო და ოჩემჩირის რაიონს შეუერთდა აგუბედის ს/საბჭო სოფლებით: აგუბედია, ამხანაგობა, ახეცარა, აჯრა, მიშველი, პატრახუნა და ქვალონი. სოფელში არის უბნები: სამახარიო, სატყებო – მახარიების, ტყებუჩავების გააფხაზებული გვარების სამკვიდრო. აფხაზები აგუბედიას უწოდებენ. სოფლის ამჟამინდელი სახელია აგუბედია (Агъы-Бедиа).

აძხიდა – სოფელი აგუბედიის თემში, ოხოჯის ზემო წელზე. სოფელი აძხიდა არის აგრეთვე ტყვარჩელის თემში. 1930 წელს აძხიდა ერთი სოფელი იყო და ტყვარჩელის ს/საბჭოში შედიოდა. შემდეგ მას გამოეყო ერთი ნაწილი და სოფლის სტატუსით აგუბედიის ს/საბჭოს შეუერთდა. სახელწოდება აფხაზურია და „უთავო წყალს“ ნიშნავს. ასე ეწოდება წყარო-ნაკადულს, რომელიც მდ. ოხოჯის ერთ-ერთი მდგენელია. მისი ამჟამინდელი სახელია აძხიდა (Азхыда).

ახეცარა – სოფელი აგუბედიის თემში, მდ. ოხოჯის მარჯვენა მხარეს. მისი მეგრული ვარიანტია ცხიბურონა. ასე ეძახიან მას სო-

ფლის მცხოვრებნი. სახელწოდება „ახეცარა“ აფხაზურია და, ისევე როგორც მისი მეგრული ვარიანტი, „რცხილნარს“ ნიშნავს. გადმოცემით, ახეცარა თავდაპირველად ერქვა სერს ოხოჯესა და მის შენაკად ლაბჟანიაძელს შუა. სოფელი არ იხსენიება 1886 წლის აღწერის და 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მასალებში. სოფელ ახეცარაში არის უბნები: საბიგვა, სამატკა, სანარმანიო – ბიგვაების, მატკაების, ნარმანიების გვარების სამკვიდრო. მისი ამჟამინდელი სახელია ახიაცარა//ბოხონა (Ахьацара/Бохона).

აჯრა – სოფელი აგუბედიის თემში, მდ. ოხოჯის მარცხენა მხარეს. 1930 წელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სოფლის სტატუსი. სახელწოდება აფხაზურია და „მუხნარს“ ნიშნავს (აჯ – აფხ. „მუხა“, -რა მრავლობითი რიცხვის სუფიქსი). სოფელ აჯრაში დამოწმებულია მიკროტოპონიმები: საბუა, საჩერქეზიო – ბუაების, ჩერქეზიების გააფხაზებული გვარების უბნები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს გეოგრაფიული სახელები ქართული -სა პრეფიქსითაა ნანარმოები. მისი ამჟამინდელი სახელია აჯრა (Ацъра).

მეორე კოპიტი – სოფელი აგუბედიის თემში, მდ. ოხოჯის ზემოთში. 1886 წელს ბედიის თემში შედიოდა სოფელი კოპიტი, რომელიც 1930 წელს უკვე ორ სოფლადაა გაყოფილი (პირველი კოპიტი და მეორე კოპიტი). სახელწოდება ქართულია, მომდინარეობს ხე-მცენარე კოპიტის სახელიდან. სოფელში არის უბნები: სასონგულიო, საშაკაიო – სონგულიების, შაკაიების გააფხაზებული გვარების სამკვიდრო. მისი ამჟამინდელი სახელია ავიბატვი კუაპიტ (Авѣтѣи Кѣапит).

მიშველი – სოფელი აგუბედიის თემში, აფხაზეთის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ოხოჯის მარცხენა მხარეს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა ბედიის თემში. 1930 წელს ორად იყო გაყოფილი – პირველი მიშველი და მეორე მიშველი. სოფელში არის უბანი საქულა – ქულაების გვარის სამკვიდრო. მისი ამჟამინდელი სახელია მიშვალ (Мшѣал).

ნარჯხეუ – სოფელი აგუბედიის თემში, მდ. ოხოჯის ზემოთში, მის მარჯვენა ნაპირას. სოფლის თავდაპირველი სახელი მეგრული ნაჯიხუ//ნოჯიხი (ნაციხარი) იყო, რომლის აფხაზური ფორმაც არის ნარჯხეუ. სოფლის მახლობლად, მთაზე რამდენიმე ნაციხარია, აქედან მოდის მისი სახელწოდებაც. სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე აღნიშნულია ნოჯიხევის ფორმით. 1886 წელს სოფ. ნაჯიხევი შედიოდა ბედიის თემში. 1930 წელს ნოჯიხევის სახელით შედიოდა პირველი ბედიის თემში. სოფელში დამოწმებულია ადგილის სახელი სანარმანიო – ყოფილი დასახლებული უბანი, ნარმანიების გვარის სამკვიდრო წყურგილიმ ღალის მარჯვენა მხარეს. მისი ამჟამინდელი სახელია ნარჯხოუ//ნარჯხეუ (Нарѣхоу/Нарѣхеу).

ოხოჯა – სოფელი აგუბედიის თემში, მდ. ოხოჯეს ნაპირზე.

მდინარის სახელწოდება მეგრულად „სახარეს“ ნიშნავს. სოფლის სახელწოდება ოხოჯა ქართული (მეგრული) ოხოჯეს აფხაზური ფორმაა. გადმოცემით, ტყეში ხარების დასამწყვდევი (ოხოჯე, ქართ. სახარე) ადგილი ჰქონიათ. სოფელში ცხოვრობენ ხოჯავეები, ამიტომ სოფელს სახოჯასაც უწოდებენ, რაც ხოჯავეების გვარის სოფელს ნიშნავს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე ოხოჯეს ფორმით, მაგრამ 1886 წლის აღწერის, 1930 და 1949 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მასალებში არ ჩანს. მისი ამჟამინდელი სახელია *ოხოჯა/ახვაჯა/ხვაჯაა რხჰაბლა* (Охо́джа/Ахва́джа/Хва́джаа рххблa).

პატრაბუნა – სოფელი აგუბედიის თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ოხოჯის (ოქუშის მარჯვენა შენაკადი) ზემოთში. 1886 წელს შედიოდა ბედიის თემში, 1930 წელს – მეორე ბედიის ს/საბჭოში. გადმოცემით, საჩინოს გორის ძირს ერქვა პატარა ახუნა. აქედან მოდის სოფლის სახელი. აფხაზურად ახუნა „მთისძირს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია *პატრაბუნა/პეტრა იხუნა* (Патрахъунa/Петра ихунa).

პირველი კოპიტი – სოფელი აგუბედიის თემში, ლელეების ჯუხუსა და ელაღირის ნაპირებზე. 1886 წელს ბედიის თემში შედიოდა სოფელი *კოპიტი*, რომელიც 1930 წელს უკვე ორ სოფლადაა გაყოფილი (*პირველი კოპიტი* და *მეორე კოპიტი*). სახელწოდება ქართულია, მომდინარეობს ხე-მცენარე კოპიტის სახელიდან. *პირველი კოპიტი* 1930 წელს პირველი ბედიის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აკტვი კუაპიტ* (Актәи Кәапит).

ქვალონი – სოფელი აგუბედიის თემში, მდ. ოხოჯის ხეობაში. XIX საუკუნეში *საღარწკიო* ერქვა. ამ სახელწოდებით დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. XX საუკუნის დასაწყისში შედიოდა ბედიის თემში. ღარწკიები აზნაურები იყვნენ, XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მათი განკულაკების შემდეგ, სოფელსაც სახელი შეუცვალეს და *ქვალონი* დაარქვეს. სახელწოდება *ქვალონი* ქართულია, მეგრულად „ქვიან ადგილს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია *ქვალონ* (Квaлoн).

ათარა-არმიანსკაიას თემი

ათარა-არმიანსკაია – სოფელი ათარა-არმიანსკაიას თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს კოდორის ქედის სამხრეთ ბორცვიან მთისწინეთში, მდ. თოუმისის ზემოთში. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, XIX საუკუნის მიწურულს აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები დამკვიდრდნენ და სოფელს სომხური ათარა (ათარა არმიანსკაია) დაერქვა. 1923 წელს *სომხური ათარა 2* სოფლით კოდორის მაზრაში შედიოდა. სომხური ათარის თემში შედიოდა სომხური სოფელი ასარ-

რიმკა, რომელსაც 1948 წელს მეორე ათარა ეწოდა. ამავე ხანებში არსებობდა მეორე ათარის თემი. 1955 წელს სოფელ მეორე ათარას და თემსაც ათარა-არმიანსკაია დაერქვა. აფხაზები ათარა-არმიანსკაიას (Атара-арманца/Атара-армантыш) უწოდებენ.

ალაფანკვარა – სოფელი სომხური ათარის თემში, მდ. თოუმიშის ზემო წელში. სახელწოდება აფხაზურია და „ლაფნის ღელეს“ ნიშნავს. 1949 წელს მეორე ათარის თემში შედიოდა.

დეპეგინძე – სოფელი სომხური ათარის თემში, კოდორის ქედის სამხრეთ ბორცვიან მთისწინეთში, მდ. თოუმიშის ნაპირას. 1930 წელს სომხური ათარის თემში შედიოდა სოფლები დეპე და გინძე, რომლებიც შემდეგ გააერთიანეს და დეპეგინძე უწოდეს. „დეპეს“ ეტიმოლოგია გამჭვირვალე არ არის, ხოლო „გინძე“ მეგრულად „გრძელს“ ნიშნავს. 1949 წელს სოფელი დეპეგინძე მეორე ათარის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია დეფეგინძა (Дефегинза).

ნაა – სოფელი სომხური ათარის თემში, მდ. კოდორის მარცხენა მხარეს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1930 წელს შედიოდა სომხური ათარის თემში. ერთხანს ერქვა სომხური ნაა, 1948 წელს ნაა დაერქვა. მისი ამჟამინდელი სახელია ნაა (Наа).

ოტორონჯია – სოფელი სომხური ათარის თემში, კოდორის ქედის სამხრეთ ბორცვიან მთისწინეთში. სახელწოდება ქართულია, „ოტორონჯია“ მეგრულად „სამტრედეს“ ნიშნავს. აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ, დაცარიელებული სოფლის ადგილას, XX საუკუნის დასაწყისში აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები დამკვიდრდნენ და სოფელს კირქლუქი (თურქ. კირქ – ორმოცი, ლუქ – კრებილობის სუფიქსი) უწოდეს. 1930 წელს შედიოდა სომხური ათარის თემში. 1948 წელს დაუბრუნდა სახელი ოტორონჯია. აფხაზები მას ატარანჯას (Атаранца) ეძახიან, რაც ქართული ოტორონჯიას აფხაზური ფორმაა.

ფსკალი – სოფელი სომხური ათარის თემში, მდ. ჭაშის ზემოთში. სახელწოდება ქართულია, „ფსკა“ მეგრულად „საფუტკრეს“ ნიშნავს. 1949 წელს შედიოდა მეორე ათარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია ფსკალ (Пскал).

ათარის თემი

ათარა – სოფელი ათარის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კოდორის ნაპირზე. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან არის დამოწმებული წყაროებში (1826 წლის რუკა) აბჟუის ოლქში. შუა საუკუნეებში აქ იყო სოფელი ფშია, რომელიც დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე, იხსენიება XVII საუკუნის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში. სახელწოდება ფშია ქართულია, მეგრულად ღელეს ნიშნავს. სოფელზე ამჟამადაც გაედინება ღელე, რომელსაც ფშია ჰქვია. როდესაც აქ

აფხაზები დამკვიდრდნენ, მას ათარა ეწოდა. ხშირად იხსენიება XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (აბრიუცკი, პლ. ზუბოვი, აფხაზეთის სამთავროს ახალმონათლულთა სია, 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სია). 1886 წელს აძუბჟის თემში შედიოდა. მოგვიანებით, ორ ნაწილად გაიყო – აფხაზური ათარა და სომხური ათარა. 1923 წელს აფხაზური ათარის თემი ორი სოფლით კოდორის მაზრაში შედიოდა. XX საუკუნის 30-იან წლებში სოფელ აფხაზურ ათარას ნაბჟოუ (მეგრ. ნამზეური, ნამზევარი) დაერქვა. ნაბჟოუ 1930 წელს შედიოდა აფხაზური ათარას ს/საბჭოში. 1948 წელს დაუბრუნდა სახელი ათარა. სოფელში დღემდე შემორჩა ქართული მიკროტოპონიმები: უბანი ანდლულოუა (ქართ. ანდლულავები). სახელწოდებას საფუძვლად უდევს ქართული გვარსახელი ანდლულავე; უბანი დოჰუაქით (ქართ. დოჰუას სოფელი, უბანი); უბანი გარგაა რხვ (ქართ. გერგიების ბორცვი), საიდანაც ჩანს, რომ ამ უბნებში ანდლულავეების, გერგიების, დოჰუების ქართულ გვარებს უცხოვრია. სოფელში შემორჩენილია გვიანდელი ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრე. აფხაზები ათარას (Атара) უწოდებენ.

ათარბა-იხუსთა – სოფელი ათარის თემში, მდ. თოუმის მარჯვენა ნაპირზე. 1930 წელს აფხაზური ათარას ს/საბჭოში შედიოდა ათარა-იხუსტას სახელით. სოფლის ამჟამინდელი სახელია ათარბა იხუსთა/თარბა იხუსთა (Атарба ихъыста/Тарба ихъыста).

ნახურზოუ – სოფელი ათარის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. ნა- — ო- სუფიქს-პრეფიქსი ადასტურებს, რომ სახელწოდება ქართულია. 1930 წელს აფხაზური ათარას ს/საბჭოში შედიოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია ნახურზოუ (Нахурзюу).

არადუს თემი

არადუ – სოფელი არადუს თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. მოქვის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „დიდი კაკლის ხეს“ ნიშნავს. 1886 წელს შედიოდა მოქვის თემში. 1930 წელს კვლავ მოქვის თემის შემადგენლობაშია. 1935 წელს მოქვის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები არადუ და მერკულა და დაარსდა ახალი ს/საბჭო ცენტრით სოფელ მერკულაში. მოგვიანებით, არადუ გამოეყო მერკულას ს/საბჭოს და მოქვის ს/საბჭოს შეუერთდა. 1954 წელს მოქვის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები არადუ და ჯუყემური და შეუერთდა ცაგერას ს/საბჭოს. ცაგერას ს/საბჭოს ეწოდა არადუს ს/საბჭო ცენტრით სოფელ არადუში. აფხაზები არადუს (Араду) უწოდებენ.

ცაგერა – სოფელი არადუს თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. XX საუკუნის 40-იან წლებში აქ ჩაასახლეს ლეჩხუმიდან გადმოსახლებული კოლმეურნეები და სოფელს ლეჩხუმის ადმინისტრაციული ცენტრის ცაგერის მიხედვით ცაგერა უწოდეს. 1949-1954 წწ.

არსებობდა ცაგერას ს/საბჭო. 1954 წელს ცაგერას ს/საბჭოს არადუს ს/საბჭო ეწოდა. 1960 წელს არადუს ს/საბჭოს გამოეყო სოფ. ცაგერა და კოჩარის ს/საბჭოს მიეკუთვნა. მოგვიანებით, სოფელი ცაგერა გამოეყო კოჩარის ს/საბჭოს და არადუს ს/საბჭოს დაუბრუნდა.

არაკიჩის თემი

არაკიჩი – სოფელი არაკიჩის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე. სახელწოდება „არაკიჩი“ აფხაზურია და „გადახრილ კაკლის ხეს“ ნიშნავს. 1930 წელს აფხაზური ათარას ს/საბჭოში შედიოდა. 30-იანი წლების დასაწყისში აფხაზური ათარას ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: არაკიჩი I, არაკიჩი II, არაკიჩი III და შეიქმნა არაკიჩის ს/საბჭო ცენტრით სოფ. არაკიჩი I-ში. 1949 წელს არსებობდა არაკიჩის ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფელი არაკიჩი. 1952 წელს არაკიჩს დიდი აგარაკი ეწოდა. 1953 წელს დაუბრუნდა სახელი არაკიჩი. აფხაზები არაკიჩს (Аракычы) უწოდებენ.

დაჩა – სოფელი არაკიჩის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე. XX საუკუნის 40-იან წლებში აგარაკი ერქვა, რომელსაც 1952 წელს პატარა აგარაკი დაერქვა. 1953 წელს – აგარაკი, ხოლო 1955 წელს რუსული სახელი დაჩა დაერქვა. მისი ამჟამინდელი სახელია დაჩა (Дача).

არასაძიხის თემი

არასაძიხი – სოფელი არასაძიხის თემში. მდებარეობს მდ. მოქვის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „თხილის წყაროს“ ნიშნავს. 1930 წელს შედიოდა გუფის თემში. 30-იანი წლების დასაწყისში გუფის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: არასაძიხი, ზურაბი, გუფ-აგუ და დაარსდა არასაძიხის ს/საბჭო ცენტრით სოფ. არასაძიხში. აფხაზები არასაძიხს (Арасадыхь) უწოდებენ.

გუფაგუ – სოფელი არასაძიხის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს კოდორის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, მდ. მოქვის მარცხენა ნაპირას. 1930 წელს შედიოდა გუფის თემში. 30-იანი წლების დასაწყისში გუფის ს/საბჭოს გამოეყო და ახლად შექმნილ არასაძიხის ს/საბჭოში გაერთიანდა. 1952 წელს გუფ-აგუს აჭანდარა ეწოდა. აჭანდარა ქართული „ჭადარის“ აფხაზური ფორმაა. 1953 წელს დაუბრუნდა სახელი გუფ-აგუ. სახელწოდება აფხაზურია და „შუა გუფს“ ნიშნავს.

მეორე არასაძიხი – სოფელი არასაძიხის თემში, მდ. მოქვის ზემოთში. 1949 წელს არასაძიხის თემში შედიოდა. 1955 წელს გტორი არასაძიხი ეწოდა. 1967 წელს დაუბრუნდა სახელი მეორე არასაძიხი. სოფელში შემორჩენილია მიკროტოპონიმი ტყაურა, რაც მეგრულად „შავ ტყეს“ ნიშნავს.

აძუბუის თემი

აძუბუა – სოფელი აძუბუის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. კოდორის ქვემო წელში, დიდ და პატარა კოდორს შორის. სახელწოდება აფხაზურად ნიშნავს „ორ წყალს შუა“. XIX საუკუნის ჩათვლით მას შუანწყალი//შქანწყარი (მეგრულად „შუა წყალი“) ეწოდებოდა, რაც ზუსტად შეესაბამება მის გეოგრაფიულ მდებარეობას. აფხაზური სახელი ქართული ვარიანტების კალკირებული თარგმანია. *აძიუბუა* პირველად XIX საუკუნის 30-იან წლებში (ა. ნორდმანი) ფიქსირდება. 1886 წელს კოდორის უბანში არსებობდა აძუბუის თემი ცენტრით სოფელ აძუბუაში. 1923 წელს კოდორის მაზრაში შედიოდა აძუბუის თემი 3 სოფლით. სოფელში მრავლად არის შემორჩენილი ქართული მიკროტოპონიმები. ადგილი *გულიაა რქაფთა*, ქართულად „გულიების პარტახს“ ნიშნავს. აქედან ჩანს, რომ აქ გულიების ქართულ გვარს უცხოვრია, რომელთა სამკვიდრო პარტახად ქცეულა. აქვე არის ადგილი *დადიანიშ ნამარანუ* – დადიანების ნამარნევი. დადიანები ოდიშის (სამეგრელოს) მთავრები იყვნენ, რომელთა სამფლობელოშიც ეს მხარე შედიოდა. ნიშანდობლივია, რომ ტოპონიმი მეგრული ფორმითაა შემორჩენილი. ადგილის სახელწოდება *ურაკ*, მომდინარეობს ქართული სიტყვიდან „ურეკი“, რომელიც გურულ დიალექტში „ბნელ, უღრან ტყეს“ აღნიშნავს, სადაც მარეკები ნადირის გამოსარეკად ვერ შედიოდნენ. „ურაკ“ ქართული სახელწოდების აფხაზური ფორმაა. სოფელში შემორჩენილია XIII საუკუნის ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც აფხაზები „მარმალ-აბაას“ (აფხ. მარმარილოს კოშკი) უწოდებენ. ესაა ეკლესია მარმარის კარი. ეკლესია მდიდრულად იყო შემკობილი მარმარილოთი და აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდება. აფხაზები *აძვიბუას* (Азвѣнжѣа) უწოდებენ.

ახალდაბა – სოფელი აძუბუის თემში, მდ. კოდორის მარცხენა მხარეს. ვ. კვარჭიას ცნობით, XX საუკუნის I მესამედში აქ იყო სოფელ აძუბუას უბანი აღდარა, რომელსაც 1945 წელს ახალდაბა ეწოდა და ცალკე სოფლად გამოიყო. 1954 წელს ახალდაბის და აძუბუის ს/საბჭოები ერთ, აძუბუის ს/საბჭოდ გაერთიანდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აღდარა/აღდარრა* (Аҟдара/Аҟдара). „აღდარა“ აფხაზურად „გვიმრიან ადგილს, მინდორს“ ნიშნავს.

ახივია – სოფელი აძუბუის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. 1949 წელს აძუბუის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ახი უაა* (Ахы уаа).

ბალანი – სოფელი აძუბუის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. 1953 წელს ახალდაბის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ბალან* (Балан).

ბალლანი – სოფელი აძიუბუის თემში, მდ. კოდორის მარცხენა

ნაპირზე. „ბალღან“ თურქულად ნიშნავს დაბმას, შეიძლება იგულისხმებოდეს „ნავების დასაბმელი ადგილი“. 1949 წელს აძუბუის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ბალღან (Бағлан).

დოჰუაქითი – სოფელი აძუბუის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და დოჰუების გვარის სოფელს ნიშნავს. პირველად ფიქსირდება XIX საუკუნის 30-იან წლებში (ა. ნორდმანი), დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა აძუბუის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია დოჰუაქით (Доуакыт).

კუდრაბუქი – სოფელი აძუბუის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „კუდრაას გვარის ბორცვს“ ნიშნავს. 1949 წელს აძუბუის ს/საბჭოში შედიოდა კუდრაბიკუს სახელწოდებით. მისი ამჟამინდელი სახელია კუდრაბიკუ (Кыдрыхыкә).

წყურგილი – სოფელი აძუბუის თემში, შავი ზღვის ნაპირზე. სახელწოდება „წყურგილი“ ქართულია, მეგრულად „ცივ წყაროს“ ნიშნავს. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Sgurghili). 1930 წელს ჯებურიას (წყურგილი) სახელწოდებით აძუბუის ს/საბჭოში შედიოდა. „ჯებური“ მეგრულად იგივე „ჯებირს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია აძიხ აგა/წყურგილი (Азыхь ага/Цкәырғыл).

ჯობრია – სოფელი აძუბუის თემში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირას. 1949 წელს აძუბუის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია აჯიბლირა/ჯობრია (Ацъныра/Цъобрия).

ახალი კინდლის თემი

ახალი კინდლი – სოფელი ახალი კინდლის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე. XX საუკუნის 30-იან წლებში სოფელ კინდლში სამეგრელოსა და ლეჩხუმის მთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებულთაგან შეიქმნა კოლმეურნეობა. 1939 წელს სოფელ კინდლს გამოეყო კოლმეურნეობის ტერიტორია და შეიქმნა ახალი სასოფლო საბჭო, რომელსაც ახალი კინდლი დაერქვა. სოფელში შემორჩენილია მიკროტოპონიმები: ადგილი ჯაბუაა რხვ – აფხ. ჯაბუების ბორცვი, ადგილი ხვარნკია რქიაფთრა – აფხ. ხვარნკიას ნასახლარი, რაც მეტყველებს, რომ აქ ჯაბუების და ხვარნკიების გვარებს უცხოვრიათ; ადგილი ფშია (მეგრ. „ლელე“-ს ნიშნავს). სოფლის ამჟამინდელი სახელია კინდლ-ჭიც (Кындыл-ҕыц), რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია.

ბესლახუბის თემი

ბესლახუბა – სოფელი ბესლახუბის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ლალიძგის მარჯვენა ნაპირზე. ეს არის XVII საუკუნიდან

კარგად ცნობილი სოფელი *ღალიძგა*, რომელიც ამ სახელწოდებით იხსენიება XVII საუკუნის I ნახევრის საბუთებში. აქ იყო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის და ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) სასახლეები. „ღალიძგა“ მეგრულად „ღელის პირს“ ნიშნავს. ღალიძგა, თავდაპირველად წარმოადგენდა ოიკონიმს, ე. ი. დასახლებული პუნქტის სახელს და შემდეგ იქცა იმ მდინარის სახელად, რომელიც მას ჩამოუდიოდა. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა აქ აფხაზები დამკვიდრდნენ, სოფელს *ბესლახუბა* უწოდეს. *ბესლახუბა* იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. 1886 წელს *ბესლახუბის* თემი ცენტრით სოფელ *ბესლახუბა*-ში კოდორის მაზრაში შედიოდა. 1923 წელს *ბესლახუბის* თემი 2 სოფლით კოდორის მაზრაში შედიოდა. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია, განახლებულია XIX საუკუნეში. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ *ბესლახუბას* აფხაზებმა *ბასლახუ* (Баслаху) დაარქვეს.

აბჟაფთორა – სოფელი *ბესლახუბის* თემში, მდ. ღალიძგის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „შუა სადგომს“, „მწყემსების გაზაფხულ-შემოდგომის შუა სადგომს“ ნიშნავს. 1949 წელს *ბესლახუბის* ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აბჟაფთორა/ბასლახუ აგუ* (Абжаафтора/Баслаху агы).

ახალი აკვასკია – სოფელი *ბესლახუბის* თემში. გაშენდა 1947 წელს. 1960 წელს გუფის ს/საბჭოს ტერიტორიაზე შეიქმნა სოფელი *ახალი აკვასკია*, რომელიც ადმინისტრაციულად *ბესლახუბის* ს/საბჭოს დაქვემდებარა. მისი ამჟამინდელი სახელია *აკვასკია ჭიც* (Акваскья чыц).

დოდღანი – სოფელი *ბესლახუბის* თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ღალიძგის მარჯვენა ნაპირას. 1930 წელს *ბესლახუბის* ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *დოდღანი* (Додлан).

გუფის თემი

გუფი – სოფელი გუფის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ღალიძგის შუა წელზე, მის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება ქართულია, მომდინარეობს სიტყვიდან „გუბი“, რაც მეგრულად შეგუბებულ წყალს, გუბეს ნიშნავს. იხსენიება „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ (1621 წ.) სახელწოდებით *გუფუ*. XIX საუკუნის 30-იანი წლებში აბჟუის ოლქში კვლავ იხსენიება სოფ. *გუფი* (პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი). დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს გუფის თემი ცენტრით სოფელ გუფში კოდორის მაზრაში შედიოდა. 1923 წელს გუფის თემი 5 სოფლით კოდორის მაზრაში შედიოდა. 1930 წელს გუფის ს/საბჭოს ცენტრი იყო სოფელი გუფი, ხოლო 1949 წელს – სოფ. ეშქითი. 1952 წელს ეშქითს გუფი

ენოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს გუფ (Гуф).

სოფელ გუფში დამონმებულია მიკროტოპონიმები: *ბაგათელიაა რიხუნა* – ბაგათელიების გვარის უბანი, *დაჩიაა რხვ* – დოჩიების ბორცვი, *კაკაა რხვ* – კაკაების ბორცვი, *ლაზარიაა რხვ* – ლაზარების ბორცვი, *ხუნტუაა რხვ* – ხუნტუების ბორცვი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზების დამკვიდრებამდე აქ ქართული გვარები ბაგათელიები, დოჩიები, კაკაები, ლაზარები, ხუნტუები ცხოვრობდნენ; ნაციხარი არანაა აბააჟვ (ქართ. არონიების ძველი ციხე). არონია ქართული გვარია, რომელსაც აფხაზების აქ დამკვიდრებამდე ეს ციხე ეკუთვნოდა; ჯიხა – ადგილი, სადაც კოშკი დგას. „ჯიხა“ მეგრულად ციხეს, კოშკს ნიშნავს; პაპანწყილი – ტბა სოფლის ტერიტორიაზე, სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ჩაძირულ მღვდელს“ ნიშნავს. არსებობს ლეგენდა ტბის წარმოშობის თაობაზე; მინდორი *აჰიაშთა* – აფხ. მეფის მინდორი, წყარო *აჰიძიხ* – აფხ. მეფის წყარო.

აგვავერა – სოფელი გუფის თემში, მდ. ლალიძგის მარჯვენა ნაპირზე. პირველად ფიქსირდება XIX საუკუნის 30-იან წლებში (ა. ნორდმანი) აგვარას ფორმით. 1930 წელს აბგევარას სახელწოდებით გუფის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აგვა-ვიარა* (Агваара).

აკვასკია – სოფელი გუფის თემში, მდ. ლალიძგის მარჯვენა ნაპირზე. ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით, მისი ძველი ქართული სახელია ქუასკური (მეგრ. ქუა – ქვა, სკური – წყალი, ე. ი. ქვასავით ცივი წყალი). XIX საუკუნის შუა ხანებიდან ფიქსირდება წყაროებში *აკვასკიას* ფორმით (ფ. ზავადსკი), იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში (*აკვასკი*). 1886 წელს *აკვასკი* ბესლახუბის თემში შედიოდა, ხოლო 1930 წელს – გუფის თემში. 30-იანი წლების დასაწყისში გუფის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები *აკუასკე* და *ზაგანი* და შეიქმნა აკუასკის ს/საბჭო ცენტრით სოფელ აკუასკეში. 1954 წელს აკვასკისა და გუფის ს/საბჭოები ერთ, გუფის ს/საბჭოში გააერთიანეს. მისი ამჟამინდელი სახელია *აკვასკია* (Ақаскья).

აჯამფაზრა – სოფელი გუფის თემში, მდ. ლალიძგის მარცხენა მხარეს. სახელწოდება აფხაზურია და „ჭიაფერნალს“ ნიშნავს (*აჯამფაზ* – აფხ. „ჭიაფერა“, -რა მრავლობითი რიცხვის სუფიქსი). 1930 წელს გუფის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აჯამფაზრა* (Аџамџазра).

ზაგანი – სოფელი გუფის თემში, მდ. ლალიძგასა და მდ. მოქვისწყალს შორის. იხსენიება ბიჭვინთის 1628 წლის სიგელში *ზეგანის* ფორმით. ზეგანი ქართულად ვრცელ და ამაღლებულ ადგილს ნიშნავს. სახელწოდება *ზაგანი* ქართული ზეგანის აფხაზური ფორმაა. 1930 წელს *ზაგანი* გუფის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ზაგან* (Заган).

ფადგუ – სოფელი გუფის თემში, მდ. ლალიძგის ხეობაში. „ფადგუ“ აფხაზური პირსახელია. პირველად ფიქსირდება XIX საუკუნის 30-იან წლებში (ა. ნორდმანი). 1886 წელს გუფის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ფადგუ (Фадгу).

ჩანვექითი – სოფელი გუფის თემში, მდ. ლალიძგის ხეობაში. სახელწოდება აფხაზურია და „ჩანვის სოფელს“ ნიშნავს. 1930 წელს ჩუცქითის ფორმით გუფის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ჩანვექით (Чанвекит).

თხინის თემი

თხინა – სოფელი თხინის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს კოდორის ქედის სამხრეთ კალთის ძირას, მდ. მოქვის მარჯვენა ნაპირას. იხსენიება ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის შეწირულობის სიგელში ბიჭვინტის ტაძრისადმი (1628 წ.). სოფლის სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან თხილნარი, რომლის ვარიანტი თხინა დღესაც გამოიყენება მეგრულში თხილნარის მნიშვნელობით. XVII საუკუნის მეორე ნახევარში აქ აფხაზები დამკვიდრდნენ. XIX საუკუნის 30-იან წლებში აბჟუის ოლქში კვლავ იხსენიება სოფელი თხინა (პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი). დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს გუფის თემში შედიოდა. 1930 წელს არსებობდა თხინის ს/საბჭო 3 სოფლით. სოფელში არის ლეღე, რომელსაც ჰქვია ბიგვაა რკვარა (აფხ. ბიგვავების ლეღე). ეს მეტყველებს, რომ აქ ბიგვაას ქართული საგვარეულო მკვიდრობდა. აფხაზები თხინას (Тхына) უწოდებენ.

აბააჟვახუ – სოფელი თხინის თემში, კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. მოქვის მარცხენა ნაპირზე. მისი ძველი ქართული სახელია თილითი. შუა საუკუნეებში აქ იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე. შემორჩენილია ნანგრევები „თლუთ-აბაას“ (აფხ. თილითის კოშკი, ციხე) სახელწოდებით. XVII საუკუნის 80-იან წლებში ქართული მოსახლეობის აფხაზურით შეცვლის შემდეგ სოფელს აბააჟვახუ დაერქვა, რაც აფხაზურად „ძველი ციხესიმაგრის ბორცვს“ ნიშნავს. 1930 წელს თხინას თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია აბააჟვახუ (Абаажва ху).

ახივაა – სოფელი თხინას თემში, მდ. ოტაფის (დვაბის მარცხენა შენაკადი) ზემოთში. 1930 წელს თხინას თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ახი უაა (Ахы уаа).

ილორის თემი

ილორი – სოფელი ილორის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ლალიძგის მარცხენა მხარეს. წყაროებში XI საუკუნიდან ფიქსირდება. შუა საუკუნეებში ოდიშის საერისთავ-

ვოს, ხოლო შემდეგ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია გვიანდელი ანტიკური-ადრინდელი ფეოდალიზმის ხანის ციხე-სიმაგრის ნაშთები. სოფლის შუაგულში აღმართულია XI საუკუნის I მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ილორის წმ. გიორგის ეკლესია, რომლის ფასადზე შემორჩენილია ტაძრის მშენებლობის პერიოდის ქართული წარწერები. 10 ნოემბერს (ახ. სტ. 23 ნოემბერი) აქ იმართებოდა წმ. გიორგის სახელობის დღესასწაული – ილორობა. დამონმებულია მალაქია კათალიკოსის მიერ 1616-1639 წწ. ბიჭვინტისადმი შეწირულობის წიგნში, დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Ilorin). 1886 წელს ილორის თემი ცენტრით სოფ. ილორში კოდორის უბანში შედიოდა, ხოლო 1923 წელს ილორის თემი 5 სოფლით – კოდორის მაზრაში. სოფლის სახელწოდება გრამატიკული აღნაგობით (ბოლოკიდური ფორმანტი „ორ-ი“), ქართული წარმოშობისაა. ილორი მეგრულში აღნიშნავს ძელს, ძელიცხოველს. *ილორიმ ნიში* „ილორის ნიში, ტყეში დადგმული ქვითკირის პატარა სვეტი, რომლის თახჩაშიც ესვენა ხატი“; *ილორიმ ოხვამე* „ილორის საყდარი; ძელის საყდარი“. ამდენად, სოფლის სახელწოდება „ილორი“ აიხსნება როგორც „ძელიცხოველი, ხატის დასასვენებელი თახჩიანი ნიში“. სოფლის სახელწოდების აფხაზური ვარიანტია ელგრ (ი და ო ბგერები აფხაზურს არ მოეპოვება). სოფელში შემორჩენილია მიკროტოპონიმი *სახოჭა* – ხოჭავების ქართული გვარის უბანი. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ილორს აფხაზებმა დაარქვეს *ელირ* (Елыр, Аилар).

ზენი – სოფელი ილორის თემში, მდ. ლალიძგის მარცხენა ნაპირას. სახელწოდება ქართულია, „ზენი“ მეგრულად „ვაკეს“ ნიშნავს. 1949 წელს ილორის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ზენი* (Зени).

ნაგვალოუ – სოფელი ილორის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას. 1930 წელს შედიოდა ილორის ს/საბჭოში. ადგილობრივი ვარიანტია *ნაგვალუ*. სახელწოდება ქართულია, მისი ფუძეა გვალა (მეგრ. მთა), რომელიც გაფორმებულია ნა- - ო- სუფიქს-პრეფიქსით. გადმოცემით ნაგვალ, ე. ი. ნამთევი (მთის ზაფხულის საძოვარზე ნამყოფი) საქონლის საზამთრო საძოვარი ყოფილა. სოფელში არის უბანი *საჯობა* – ჯობავების ქართული გვარის სამკვიდრო. მისი ამჟამინდელი სახელია *ნაგვალოუ* (Нагәалоу).

ოხურეი – სოფელი ილორის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოხურეინყარის მარჯვენა ნაპირას. ოხურეი ჰქვია ასევე სოფლებს გალის რაიონის აჩიგვარისა და გუდავის თემებში. *ოხურეი* წინათ ერქვა ვრცელ ტერიტორიას მდ. ოქუმსა და მდ. ლალიძგას შორის. აქ იყო ჭაობნარი, იცოდა ხურება და ამიტომაც დარქმევია სახელი ოხურეი (ო- მეგრ. გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი პრეფიქსია). 1930 წელს შედიოდა ილორის ს/საბჭოში. მისი

ამჟამინდელი სახელია *ოხურეი* (Охареи).

სუკი – სოფელი ილორის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. სოფლის ძირითადი ნაწილი ბორცვზე მდებარეობს და აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც. სახელწოდება ქართულია, მეგრულად სუკი „ბორცვს, სერს“ ნიშნავს. ბორცვის სახელი სოფლის სახელად რამდენიმე ათეული წლის წინ იქცა. 1949 წელს შედიოდა ილორის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *ძიდახუ/სუკი* (Зыдахә/Суки).

კინდლის თემი

კინდლი – სოფელი კინდლის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე. სახელწოდება ქართულია, მეგრულად დაბალ, სწორ ადგილს ნიშნავს. წყაროებში XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან არის დამოწმებული (აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი), დატანილია 1826 წლის და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე. 1886 წელს ტამიშის თემში შედიოდა. 1925 წელს არსებობდა კინდლის ს/საბჭო. 1926 წლის ივლისში კინდლისა და ტამიშის ს/საბჭოები გააერთიანეს ერთ ტამიშის ს/საბჭოში. 1930 წელს კვლავ ცალკე არსებობდა კინდლის ს/საბჭო, რომელშიც ერთი სოფელი შედიოდა. სოფელში დამოწმებულია მიკროტოპონიმები: ადგილი *კოლონიაა რქაფთა* (კოლონიების პარტახი); ადგილი *დაუთიაა* – დაუთიები; ადგილი *ხახულიაა* – ხახულიები; ადგილი *გვაგაა რხე* – გოგიების ბორცვი; ადგილი *ლაკვატაა რხე* – ლაკვატავეების ბორცვი, რაც მეტყველებს, რომ ამ ადგილებში აფხაზების დამკვიდრებამდე ქართველი კოლონიები, დაუთიები, ხახულიები, გოგიები, ლაკვატავეები ცხოვრობდნენ. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ კინდლს აფხაზებმა დაარქვეს *კინდილ* (Кындыл).

ახიგაა – სოფელი კინდლის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდინარეებს ქაშასა და თოუმიშს შორის. 1949 წელს კინდლის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ახი უაა* (Ахы уаа).

ლეფონა – სოფელი კინდლის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. სახელწოდება ქართულია. მეგრულად ლეფონი ხე-მცენარის ლაფანის სახელია, -ონა სუფიქსი კი მეგრულში კრებითობას გამოხატავს, ე. ი. ადგილი, სადაც მრავლად ხარობს ლეფონი (ლაფანი). 1930 წელს კინდლის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ლიფანა* (Липана).

კოჩარის თემი

კოჩარა – სოფელი კოჩარის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ცხენწყარის (ცხენისწყალი) მარჯვენა ნაპირზე. გადმოცემით, აქ ტყეში იდგა დიდი კაკლის ხე, რომლის ძირშიც ბინა დაიდო გლეხმა კოჩა ლაცუზბაიამ XIX საუკუ-

ნეში. შემდეგ, აქ სოფელი გაშენდა, რომელსაც კოჩარა (აფხაზურად – „კოჩას კაკლის ხე“) შეარქვეს. 1923 წელს არსებობდა კოჩარის თემი ერთი სოფლით. აფხაზები მას *კუაჩარას* ეძახდნენ. XX საუკუნის 40-იან წლებში კოჩარის თემის სოფელ კოჩარას *ქეთევანი* ერქვა. 1952 წელს სოფელს დაუბრუნდა სახელი *კოჩარა*. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *კუაჩარა* (Квачара).

ლაბრა – სოფელი კოჩარის თემში, მდ. თოუმისის მარცხენა ნაპირზე. 1930 წელს შედიოდა კუაჩარის თემში. სახელწოდება ქართულია, სვანურად „დაბნელების ადგილს“ ნიშნავს. გადატანითი მნიშვნელობით – უბედურების ადგილი, მზის დაბნელების ადგილი. მისი ამჟამინდელი სახელია *ლაბრა* (Лабра).

ცხენისწყალი – სოფელი კოჩარის თემში, მდ. ცხენწყარის (ცხენისწყალი) ნაპირზე. ამ მდინარის ბერძნულად თარგმნილი სახელწოდება „ჰიპოსი“ ჯერ კიდევ II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსისა და რომის იმპერიის დიდმოხელის ფლავიუს არიანეს თხზულებაში გვხვდება. სოფელსაც მეგრული სახელი ცხენწყარი ჰქვია. XIX საუკუნის დასაწყისიდან ხშირად ჩანს წყაროებში. აფხაზები *ჩაბირხუას* უწოდებენ. 1930 წელს შედიოდა კუაჩარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია *ცხენწყარ* (Цхенцкар).

ჭლოუ – სოფელი კოჩარის თემში, მდ. ნაფსის ნაპირზე. სახელწოდება ქართული ჭლას აფხაზურ ვარიანტს წარმოადგენს. 1930 წელს შედიოდა კუაჩარის თემში. მისი ამჟამინდელი სახელია *ჭლოუ* (Члоу).

კუტოლის თემი

კუტოლი – სოფელი კუტოლის თემში, თემის ცენტრი. მისი ისტორიული სახელწოდებაა *კვიტოული*. ეს სახელწოდება წყაროებში XVII საუკუნიდან ჩანს კვიტაული//კვიტოული ფორმით. იხსენიება ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის 1640 წლის სინოდიკში, აგრეთვე რუსი ელჩების ფ. ელჩინისა და პ. ზახარევის ჩანაწერებში (1639). დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე. აქ იყო ოდიშის მთავრის ერთ-ერთი სასახლე. XIX საუკუნის დასაწყისიდან ხშირად არის დამონმებული წყაროებში (1819 წლის რუკა, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი) კვიტაური//კვიტაული ფორმით. დატანილია 1861 წლის რუკაზე (კვიტაული). 1886 წელს კვიტაულის თემი კოდორის უბანში, ხოლო 1923 წელს 5 სოფლით კოდორის მაზრაში შედიოდა. სახელწოდება ქართულია და ნიშნავს კვიტას (პირსახელი) კუთვნილ მიწას (ნაწილაკი-ული მომდინარეობს -ურ სუფიქსიდან, რომელიც ქართულში ვისიმე კუთვნილებას აღნიშნავს). როდესაც აქ აფხაზები დამკვიდრდნენ, მას *კუტოლ* უწოდეს. ოფიციალურად, ეს სახელი 1967 წელს დაერქვა.

სოფელში შემორჩენილია მიკროტოპონიმები: წყარო *საბუა რძხ* – საბუების (ესებუების) წყარო; *საბუა რხვ* – საბუების (ესებუების) ბორცვი; *ჭოლოკუა რჰაბლა* – ჭოლოკუების უბანი, *ჟანა რდგუ* – ჟანას მინდორი, წყარო *ვარდანა რძიხ* – ვარდანის წყარო, რაც მოწმობს, რომ აქ ესებუების, ჭოლოკუების, ვარდანიების, ჟანავეების ქართულ გვარებს უცხოვრია. აფხაზები მას კვლავ *კუტოლს* (Кутул) ეძახიან.

აბააქითი – სოფელი *კუტოლის* თემში, მდ. ბზანას სათავეში. 1949 წელს კვიტოლის თემში შედიოდა. სახელწოდება *აბააქით* (Абаакыт) აფხაზურია და „ციხის სოფელს“ ნიშნავს.

ახივაა – სოფელი *კუტოლის* თემში, მდ. დგამიშის მარჯვენა ნაპირზე. 1949 წელს კვიტოლის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ახი უაა* (Ахи уаа)

ბზანა – სოფელი *კუტოლის* თემში, მდ. ბზანას ნაპირზე. ბზანა (სამახარო) 1949 წელს კვიტოლის თემში შედიოდა. სამახარო, მახარების ქართული გვარის სამკვიდრო, ადრე დამოუკიდებელი სოფელი იყო. წყაროებში XIX ს. 30-იანი წლებიდან არის დამოწმებული სამახაროუს ფორმით (აბრიუცკი, პ. ზუბოვი). მისი ამჟამინდელი სახელია *ბზან ქით* (Бзан кыт), „ბზანას სოფელი“.

თოუმიში – სოფელი *კუტოლის* თემში, მდ. თოუმიშის მარცხენა ნაპირზე. წყაროებში დამოწმებულია XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (ა. ნორდმანი). დატანილია 1861 წლის რუკაზე (თუმუში), 1886 წელს *თუმუშის* სახელწოდებით კვიტაულის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *თოუმიშ* (Тоумышь).

კერკენი – სოფელი *კუტოლის* თემში, მდ. დგამშის ზემოთში. 1966 წელს *კუტოლის* ს/საბჭოში შედიოდა.

ლაბრის თემი

ლაბრა – სოფელი *ლაბრის* თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვისპირა დაბლობზე, მდ. თოუმიშის ნაპირზე. სახელწოდება ქართულია, სვანურად „დაბნელების ადგილს“ ნიშნავს. გადატანითი მნიშვნელობით – უბედურების ადგილი, მზის დაბნელების ადგილი. წყაროებში დამოწმებულია XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (ა. ნორდმანი). 1925 წელს *ლაბრის* ს/საბჭო კოდორის მაზრაში შედიოდა. აფხაზები მას *ლაბრას* (Лабра) უწოდებენ.

მერკულის თემი

მერკულა – სოფელი და თემი მდ. მოქვის მარცხენა ნაპირზე. ცნობილია XIV საუკუნიდან, დატანილია პ. ვესკონტეს შავი ზღვის (1313, 1318) რუკებზე (Murkula), აგრეთვე XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Mergullas). 1639-1640 წწ. ოდიშის სამთავროში მყოფი რუსი

დესპანები ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი იხსენიებენ მდ. მერკულას და სოფ. მერკულას (მდ. მორგულე, სოფ. მარკული). აქ იყო ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) ერთ-ერთი სასახლე. 1615 წლის თებერვალში ლევან II დადიანმა *მერკულაში* ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას. სახელწოდება „მერკულა“ ქართულია, მომდინარეობს შავქლიავას მეგრული სახელიდან მარგული//მარგულა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან აბჯუის ოლქში კვლავ იხსენიება სოფ. მარკულა//მერკულა (აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი). დატანილია 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს მოქვის თემში შედიოდა. XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მოქვის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი *მერკულა* და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. მერკულაში. სოფელში შემორჩენილია ფოთდალური ხანის ციხისა და ეკლესიის ნანგრევები. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზეთმა *მარკულა* (Маркыла) დაარქვეს.

ჯუყმური – სოფელი მერკულას თემში, მდ. მოქვის ხეობაში. 1953 წელს შედიოდა მოქვის ს/საბჭოში, მანამდე არ ფიქსირდება. 1954 წელს მოქვის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები არადუ და ჯუყმური და შეუერთდა ცაგერას ს/საბჭოს. მოგვიანებით, ჯუყმური მერკულას ს/საბჭოს შეუერთდა. 1977 წელს შედიოდა მერკულის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *ჯუყმურ* (Джыкмыр).

მოქვის თემი

მოქვი – სოფელი მოქვის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. მოქვის ნაპირზე. შუა საუკუნეების ქართული და უცხოური წყაროებით კარგადაა ცნობილი. წყაროებში პირველად VII საუკუნიდან დასტურდება (თეოდოსი განგრელი). სოფელში დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც აგებულია X საუკუნეში აფხაზთა მეფის ლეონ III-ის (957-967) მიერ. X-XVII სს. მოქვის ტაძარი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრი, საეპისკოპოსო კათედრა იყო. XVII-XVIII სს. მოქვის იხსენიებენ კათოლიკე მისიონერები, რუსი ელჩები, პატრიარქი დოსითეოსი, ვახუშტი ბატონიშვილი. აფხაზთა მიერ ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაპყრობის შემდეგ, 1681 წელს, მოქვის საეპისკოპოსო გაუქმდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან წყაროებში ხშირადაა დამონმებული. დატანილია ხატოვის 1826 და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე; იხსენიებენ აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი. 1886 წელს მოქვის თემი კოდორის უბანში, ხოლო 1923 წელს 5 სოფლით კოდორის მაზრაში შედიოდა. სახელწოდება მოქვი ქართულია, სვანურად მუქვ „მინის ზვინს“ ნიშნავს. სოფელში დამონმებულია მიკროტოპონიმები: ადილი *კვაკვასკირაა რხე* – კვე-

კვესკირების ბორცვი; ადგილი *კვარტაა რხე* – კორტავეების ბორცვი; უბანი *ქვაბალ* – ქობალია; ადგილი *ადიან იქაფთა* – დადიანის პარტახი (ადიან – გვარსახელ დადიანის აფხ. ფორმა); ადგილი *ჭაკვაა რააფთრა* – „ჭაკუების საქონლის ბაკი“, რაც ადასტურებს, რომ ეს მხარე დადიანს ეკუთვნოდა და აქ ქართული გვარები კვეკვესკირები, კორტავეები, ქობალიები, ჭაკუები ცხოვრობდნენ. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ მოქვს აფხაზებმა *მიქუ* (Мыкә) დაარქვეს.

აძიბჟარა – სოფელი მოქვის თემში, მდ. ოტაფის მარცხენა ნაპირას. სახელწოდება აფხაზურია და „ორწყალს“ ნიშნავს. 1930 წელს მოქვის თემში შედიოდა *აძვიბჟარას* სახელწოდებით. მისი ამჟამინდელი სახელია *აძბჟარა* (Азбжара).

აჯაჟვი – სოფელი მოქვის თემში, მდ. მოქვის მარცხენა მხარეს. სახელწოდება აფხაზურია და „ბებერ მუხას“ ნიშნავს. 1930 წელს მოქვის თემში შედიოდა აჯას, ხოლო 1949 წელს *აჯაჟვის* სახელწოდებით. მისი ამჟამინდელი სახელია *აჯაჟვ* (Аджаж).

ჯალი – სოფელი მოქვის თემში, მდინარეების მოქვისა და ლალიძგის შუამდინარეთში. სახელწოდება ქართულია. მეგრულად „ტყეს, კორომს“ ნიშნავს. იგივეა, რაც ჯალონი (მეგრ. ჯა – ხე, ონი – სიმრავლის აღმნიშვნელი სუფიქსი). 1930-1954 წწ. არსებობდა ჯალის ს/საბჭო. 1954 წელს ჯალის ს/საბჭო მოქვის ს/საბჭოს შეუერთდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ჯალ* (Джал).

ჯალ-აფსუა – სოფელი მოქვის თემში, მდინარეების მოქვისა და ლალიძგის შუამდინარეთში. სახელწოდება „აფხაზურ ჯალს“ ნიშნავს. 1949 წელს მოქვის თემში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *ჯალ-აფსუა* (Джал-афсуа).

ოტაფის თემი

ოტაფი – სოფელი ოტაფის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს კოდორის ქედის სამხრეთ ბორცვიან მთისწინეთში. ასე ჰქვია აგრეთვე მდინარეს, ლალიძგის მარცხენა შენაკადს და მის ხეობას. სახელწოდების ამოსავალი ფუძეა ტაფა//ტაფაქუა, რაც მეგრულში ნიშნავს ბრტყელ ქვას და სალ კლდესაც (ო- დანიშნულების სუფიქსია). ოტაფის ზემო წელის ორსავე მხარეს სწორედ სალი კლდეებია. სოფელში არის უბანი *ქუთელიაა რცუთა* – ქუთელიების უბანი; ადგილი *ქუთელიაა რხე* – ქუთელიების ბორცვი; ადგილი *ჯელიაა რხე* – ჯელიების ბორცვი, რაც მეტყველებს, რომ აქ ქუთელიებისა და ჯელიების ქართულ გვარებს უცხოვრიათ. 1935 წელს ჭლოუს ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: ნყარ-ხუმული და მრამბა და დაარსდა ახალი ს/საბჭო ცენტრით სოფელ მრამბაში, ოტაფის ს/საბჭოს სახელწოდებით. მისი ამჟამინდელი სახელია *უატაფ* (Уатаф).

მრამბა – სოფელი ოტაფის თემში, კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე. სახელწოდება აფხაზურია და „მზის უნახავს“ ნიშნავს. მისი ამჟამინდელი სახელია *მრამბა* (Мрамба).

ოხურეის თემი

ოხურეი – სოფელი ოხურეის თემში. მდებარეობს მდ. ოხურეის (ოხურეინყარი, მდ. ანარიის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე. ოხურეი ერქვა ვრცელ ტერიტორიას მდ. ოქუმსა და მდ. ღალიძგას შორის. აქ იყო ჭაობნარი, იცოდა ხურება და ამიტომაც დარქმევია სახელი ოხურეი (ო- მეგრ. გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი პრეფიქსია). 1886 წელს ოხურის სახელწოდებით ბედიის თემში შედიოდა. 1925 წელს არსებობდა ოხურეის ს/საბჭო. 1926 წლის ივლისში ოხურეის თემის ნაწილი აფხაზური მოსახლეობით შეუერთეს ფოქვემის ს/საბჭოს, მეორე ნაწილი მეგრული მოსახლეობით – ილორის ს/საბჭოს, ხოლო ოხურეის ს/საბჭო გააუქმეს. მალე, ოხურეის ს/საბჭო კვლავ აღადგინეს. 1930 წელს უკვე არსებობდა ოხურეის ს/საბჭო. მისი ამჟამინდელი სახელია *ოხურეი/ოხური აჰაბლა* (Охәреи/Ахәри ахабла).

აყვარაში – სოფელი ოხურეის თემში, ოხურეინყარის მარჯვენა ნაპირას. 1930 წელს კოდორის მაზრაში ორი აყვარაში იყო. ერთი შედიოდა ოხურეის თემში, მეორე – ფოქვემის თემში. უფრო ადრე სოფელი აყვარაში არ ჩანს. სახელწოდება აფხაზურია და „თეთრი ქვებით მოფენილ რიყეს“ ნიშნავს. თავდაპირველად, ასე ეწოდებოდა მდინარეს, რომელიც ოხურეინყარის მარჯვენა შენაკადია. მის ზემო წელს სოფ. ფოქვემში ჩელალს (მეგრ. „თეთრი ღელე“), ხოლო ქვემო წელზე – აყვარაშთან ერთად ჩექუალონსაც (მეგრ. „თეთრქვიანი“) უწოდებენ. როგორც ჩანს, სწორედ ჩექუალონი იყო თავდაპირველი სახელწოდება, რომელიც აფხაზების ამ მხარეში დამკვიდრების შემდეგ აყვარაშად ითარგმნა. მისი ამჟამინდელი სახელია *აყვარაშ* (Ақараш).

ილორგანი – სოფელი ოხურეის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ღალიძგის ნაპირებზე. „განი“ მეგრულში ნიშნავს კუთხეს, მხარეს. ილორგანი ნიშნავს ილორის მხარეს, ილორისკენ მდებარე ტერიტორიას. ილორი, სადაც იყო მთელ დასავლეთ საქართველოში ცნობილი XI საუკუნის ეკლესია ნმ. გიორგის ძლიერი ხატი და სადაც დღესასწაული ილორობა იმართებოდა, მომიჯნავე სოფელია. 1930 წელს შედიოდა ოხურეის ს/საბჭოში. სოფელში არის უბნები: *სამარლანიო*, *საშამუგო* – მარლანიების, შამუგების ქართული გვარის სამკვიდრო. აფხაზებმა ილორგანს *ელირგან* (Елырган) დაარქვეს.

მეორე ოხურეი – სოფელი ოხურეის თემში, მდ. ოხურეის ხეობაში. 1949 წელს შედიოდა ოხურეის თემში. სოფელში არის უბანი *სასონგულიო* – სონგულიების გააფხაზებული გვარის სამკვიდრო.

პირველი ოხურეი – სოფელი ოხურეის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ოხურეის ხეობაში. 1939 წლამდე შედიოდა ფოქვეშის თემში. სოფელში არის უბნები: *საკოზმა*, *სანარმანიო*, *საშონიო* – კოზმავების, ნარმანიების, შონიების ქართული გვარების სამკვიდრო.

რეკის თემი

რეკა – სოფელი რეკის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობის გორაკ-ბორცვიან ზოლში, მდ. ოხურეის მარცხენა მხარეს. სახელწოდება „რეკა“ ქართულია და „მდინარისპირა ქვიან ადგილს“ ნიშნავს. იხსენიება ლევან II დადიანის (1611-1657) მიერ ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელში (1628 წ.). დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს ბედიის თემში შედიოდა. 1923 წელს სამურზაყანოს მაზრაში არსებობდა რეკის თემი, რომელშიც სამი სოფელი შედიოდა. 1930 წელს გალის რაიონიდან გამოყვეს რეკის ს/საბჭო სოფლებით: *საჩინო*, *ზემო რეკა*, *ქვემო რეკა* და *ჯგერიანი* და ოჩამჩირის რაიონს შეუერთეს. სოფელში შემორჩენილია ადრინდელი შუა საუკუნეების სამი ციხის ნაშთი. სოფლის აღმოსავლეთ განაპირა ნაწილში დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – დიდი ნაციხარი. კომპლექსში შედის XIV საუკუნის ეკლესია. სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მეორე ციხის ნანგრევებია, რომლის ეზოში მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნაშთია. მესამე ციხე ჩრდილოეთიდან მომავალ გზას დარაჯობდა. სოფელში დამონმებულია მიკროტოპონიმები: *საბჟანო*, *სანარმანიო*, *საქიმმარიო* – ბჟანიების, ნარმანიების, ქიმმარიების გააფხაზებული გვარების უბნები. მისი ამჟამინდელი სახელია *რეკა* (Река).

საჩინო – სოფელი რეკის თემში, სამურზაყანოს დაბლობის გორაკ-ბორცვიან ზოლში, მდ. ოხურეის მარცხენა ნაპირზე. საჩინო ისტორიული სოფელია. დატანილია ა. ლამბერტის რუკაზე (Saccino), აგრეთვე სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს ბედიის თემში, ხოლო 1930 წელს რეკის ს/საბჭოში შედიოდა. საჩინო ძველი ქართული სიტყვაა და აღნიშნავს ცხადს, შესამჩნევს, ჩინებულს, გამოჩენილს. როგორც ჩანს, ეს სიტყვა იქცა ერთგვარ გეოგრაფიულ ტერმინად, რომელიც აღნიშნავს ლამაზ, მშვენიერ, წარმტაც ადგილს, მხარეს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *საჩინა* (Сачина/Сачына).

ჯგერიანი – სოფელი რეკის თემში, აფხაზეთის გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ოხურეისწყლის (ოხურეინყარი) მარცხენა მხარეს. უწინ ერქვა *ლანჯონა* (მეგრ. ლანჯი – ივანი). სოფელში არის სერი *ჯგერიანიშ სუკი*, სადაც შემორჩენილია ციხისა და ეკლესიის ნაშთები. გადმოცემით, აქ ესვენა ხატი ჯგემარია//ჯგემარია. მეგრულად ჯგემარია და ჯგერიანი წმიდა მარიამის გა-

მარტივებული ფორმებია. საფიქრებელია, რომ ჯგერიანის სერზე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია იყო. 1930 წელს შედიოდა რეკის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია *ჯგერეიან* (Цъгъериан).

ტამიშის თემი

ტამიში – სოფელი ტამიშის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. დღამიშის ნაპირას. XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე სოფლის მიდამოებში, ზღვისპირას, აღნიშნულია ციხე-დარბაზი *Satamascia* (სათამაშია). სოფლის მიდამოებში, ზღვისპირას, დღესაც დგას ამ ციხესიმაგრის კარგად შემონახული ნანგრევები. სოფლის სახელწოდება ტამიშიც სათამაშიადან მომდინარეობს. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან იხსენიება ტამიში. დატანილია ხაჭოვის 1826 წლის რუკაზე, სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე *თამუში*-ს სახელწოდებით. 1886 წელს ტამიშის თემი კოდორის უბანში, ხოლო 1923 წელს კოდორის მაზრაში შედიოდა. 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში *თამიშის* ფორმით იხსენიება. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ტამშ* (Тамш).

ანუაარხუ – სოფელი ტამიშის თემში. მდ. ბზანის ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და ანუების, აფხაზური გვარის, გორას ნიშნავს. 1949 წელს ტამიშის თემში შედიოდა, მანამდე არ ფიქსირდება. მისი ამჟამინდელი სახელია *ანუაარხუ* (Ануаа рхъы).

ნაოჩი – სოფელი ტამიშის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე. სახელწოდება ქართულია, მეგრულად ნაყანევს ნიშნავს („ოჩე“ – მეგრ. „ვრცელი ყანა“). 1930 წელს შედიოდა ტამიშის თემში, მანამდე არ ფიქსირდება. მისი ამჟამინდელი სახელია *ნაუაჩ* (Науач).

ნაღბოუ – სოფელი ტამიშის თემში, შავიზღვისპირა დაბლობზე. სახელწოდება ქართულია -ნა – ოუ- სუფიქს-პრეფიქსის მიხედვით. 1930 წელს შედიოდა ტამიშის თემში, მანამდე არ ფიქსირდება. მისი ამჟამინდელი სახელია *ნაღბოუ* (Нагъоу).

ნყრიში – სოფელი ტამიშის თემში, შავი ზღვის სანაპიროზე. მისი ადგილობრივი სახელწოდებაა *წყრიში*, ასე ჰქვია პატარა მდინარესაც, რომელიც აქვე გაედინება. სახელწოდება ქართულია, მეგრულად ნიშნავს „რწყილისა“. აფხაზებმა სოფელს და მდინარესაც უწოდეს *ნყრიში*. 1886 წელს ტამიშის თემში შედიოდა *წყრიშის* სახელწოდებით. მისი ამჟამინდელი სახელია *წყრიშ* (Цкърыш).

ტყვარჩელის თემი

ტყვარჩელი – სოფელი ტყვარჩელის თემში. მდებარეობს მდ. ღალიძგის ზემოთში, ქ. ტყვარჩელის მახლობლად. სახელწოდება მომდინარეობს მცენარის ქართული (მეგრული) სახელიდან „ტყვარჩელია“, რაც

ყოჩივარდას ნიშნავს. ამ ადგილას დასახლება XVII საუკუნის შუა წლების იტალიურ რუკებზე „ტკვაჯას“ სახელით გვხვდება, რაც ქართული ტოპონიმის იტალიური გადმოცემაა. XIX საუკუნის რუკებზე დატანილია მდ. ლალიძგის ზემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე. 1886 წელს სოფელი ტყვარჩელი გუფის თემში შედიოდა. 1923 წელს არსებობდა ტყვარჩელის თემი ერთი სოფლით, ხოლო 1930 წელს – 4 სოფლით. XX საუკუნის 30-იან წლებში ქვანახშირის მადნის ათვისებასთან დაკავშირებით შეიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება, რომელმაც 1942 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო. ქალაქის ტერიტორიამ შეიერთა სოფელ ტყვარჩელის ნაწილი და დასახლებული პუნქტები აკარმარა, კვეზანი და აბგილდარა, რომლებიც XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან იხსენიება წყაროებში. სოფელ ტყვარჩელში დამონმებულია მიკროტოპონიმები: ღელე გოგიაა რკვარა – გოგების ღელე, ადგილი ნაბრიაა რქავთა – ნაბრიების პარტახი, რაც ადასტურებს, რომ აქ გოგებისა და ნაბრიების ქართული გვარები ცხოვრობდნენ. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ტყვარჩელს აფხაზებმა დაარქვეს ტყვარჩალ (Ткварчал).

ატიშადუ – სოფელი ტყვარჩელის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ლალიძგასა და მის მარცხენა შენაკად ოტაფს შუა. სახელწოდება აფხაზურია და „დიდ უფსკრულს, დიდ ხრამს“ ნიშნავს. მისი ადგილობრივი მეგრული სახელწოდებაა გარამი, რაც აფხაზური სახელწოდების ზუსტი შესატყვისია. საფიქრებელია, რომ სწორედ გარამი არის მისი თავდაპირველი სახელწოდება, ხოლო ატიშადუ მისი კალკირებული თარგმანია, აფხაზთა მიერ ამ მხარის ეთნიკურ-ენობრივი ათვისების შემდეგდროინდელი. 1930 წელს შედიოდა კოდორის მაზრის ტყვარჩელის ს/საბჭოში. 1952 წელს ქართული სახელი ვარდისუბანი ეწოდა. ერთხანს, 50-იანი წლების დასაწყისში არსებობდა ვარდისუბნის ს/საბჭო. 1955 წელს დაუბრუნდა სახელი ატიშადუ (Атышаду/Тышаду).

აყვარჩაფანი – სოფელი ტყვარჩელის თემში, მდ. ლალიძგის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია: „აყვარჩ“ არის „ადგილი მდინარეზე, სადაც ხე-ტყეა დახვრვილი“, ხოლო ა-ფან არის ქართული „ფონი“, შეთვისებული აფხაზური ენის მიერ. 1930 წელს შედიოდა ტყვარჩელის ს/საბჭოში. მისი ამჟამინდელი სახელია აყვარჩაფან (Ақварчәһәһ).

აძხიდა – სოფელი ტყვარჩელის თემში, ოხოჯის ზემო წელზე. სახელწოდება აფხაზურია და „უთავო წყალს“ ნიშნავს. ასე ეწოდება წყარო-ნაკადულს, რომელიც მდ. ოხოჯის ერთ-ერთი მდგენელია. სოფელი აძხიდა არის აგრეთვე აგუბედიის თემში. 1930 წელს აძხიდა ერთი სოფელი იყო და ტყვარჩელის ს/საბჭოში შედიოდა. შემდეგ მას გამოეყო ერთი ნაწილი და სოფლის სტატუსით აგუბედიის ს/საბჭოს შეუერთდა. მისი ამჟამინდელი სახელია აძხიდა (Аҟыда).

ფოქვეშის თემი

ფოქვეში – სოფელი ფოქვეშის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ლალიძგის მარცხენა ნაპირას. XIX საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება: დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე, შედიოდა აბჟუის ოლქში (აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი), თუმცა, როგორც ჩანს, იგი რამდენიმე საუკუნით ადრეც არსებობდა. 1886 წელს შედიოდა კოდორის უბანში როგორც სოფელი და თემი. 1923 წელს არსებობდა ფოქვეშის თემი. სახელწოდება ქართულია, მომდინარეობს სიტყვიდან „ფოქვა“ (მეგრ. „მღვიმე, მცირე გამოქვაბული“), რომელსაც ერთვის ზანურ-სვანურ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელი -ში სუფიქსი. აფხაზები ეძახდნენ *ფაქვაშ-ს*, რაც მეგრული ფორმიდან მომდინარეობს. სოფელში არის უბნები: *სათანია*, *საკოზმაა*, *საკორტა* – გააფხაზებული თანიების, კოზმავეების, კორტავეების გვარების სამოსახლო. სა- პრეფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელწოდებები მეტყველებს, რომ ისინი ნამდვილად სუბსტრატული სახელებია. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ფოქვეშს აფხაზებმა დაარქვეს *ფაქვაშ* (Ғақәашь).

აყვარაში – სოფელი ფოქვეშის თემში, ოხურეინყარისა და აყვარაშის ნაპარებზე. 1930 წელს კოდორის მაზრაში ორი აყვარაში იყო. ერთი შედიოდა ოხურეის თემში, მეორე – ფოქვეშის თემში. უფრო ადრე სოფელი აყვარაში არ ჩანს. სახელწოდება აფხაზურია და „თეთრი ქვებით მოფენილ რიყეს“ ნიშნავს. თავდაპირველად, ასე ეწოდებოდა მდინარეს, რომელიც ოხურეინყარის მარჯვენა შენაკადია. მის ზემო წელს სოფ. ფოქვეშში ჩელალს (მეგრ. „თეთრი დელე“), ხოლო ქვემო წელზე – აყვარაშთან ერთად ჩექუალონსაც (მეგრ. „თეთრქვიანი“) უწოდებენ. როგორც ჩანს, სწორედ ჩექუალონი იყო თავდაპირველი სახელწოდება, რომელიც აფხაზების ამ მხარეში დამკვიდრების შემდეგ აყვარაშად ითარგმნა. სოფელში დამონშებულია მიკროტოპონიმი საჯაიაა რხუ – საჯაიების ბორცვი (აფხ.), ბორცვი აყვარაშის მარცხენა მხარეს, სადაც უწინ საჯაიები სახლებულან. მისი ამჟამინდელი სახელია *აყვარაშ* (Ақвараш).

კაციკაბლა – სოფელი ფოქვეშის თემში, მდ. ლალიძგის მარცხენა მხარეს. სახელწოდება აფხაზურია და „კაცის სოფელს“ ნიშნავს. გადმოცემით, მთელი ეს ტერიტორია ეკუთვნოდა კაც ანჩაბაძეს და ამიტომაც ატარებს ასეთ სახელს. 1930 წელს შედიოდა კოდორის მაზრის ფოქვეშის ს/ს-ში. სოფელ კაციკაბლაში არის უბნები: *ნაჭყეობა რკაბლა//სანაჭყეობო*, *ფაჩულია რკაბლა//საფაჩულიო* – გააფხაზებული ნაჭყეობებისა და ფაჩულიების გვარების სამკვიდრო; *საკოზმა(ა)* – კოზმავეების ნასოფლარი. ადგილობრივთა ცნობით, კოზმავეები აქედან აფხაზ თავადებს აჩბებს//ანჩაბაძეებს აუყრიათ.

მისი ამჟამინდელი სახელია კაციჰაბლა (Кацихабля).

საჩაჩხალია – სოფელი ფოქვეშის თემში, ოტაფისა და ღალიძგის მარცხენა ნაპირზე. ადგილობრივი ვარიანტია *საჩაჩხალიო*. სახელწოდებისათვის ამოსავალია გვარი ჩაჩხალია, გააფხაზეული ჩაჩხალიების გვარის დასახლება. 1949 წელს ფოქვეშის თემში შემავალი სოფელია, მანამდე არ ფიქსირდება. სოფელში უბანს ჰქვია *ჩაჩხალია რჰაბლა//ჩაჩხალიაა*, რაც აფხაზურად ჩაჩხალიების უბანს//ჩაჩხალიებს ნიშნავს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ საჩაჩხალიას აფხაზებმა *ჩაჩხალია რჰაბლა* (Чачхалиаа рхабля) დაარქვეს.

ურთა – სოფელი ფოქვეშის თემში. სოფლები ასეთივე სახელწოდებით არსებობს სამეგრელოში, აგრეთვე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ჩრდილის, იგივე ჩილდირის ტბის დასავლეთით. სახელწოდება ქართულია, მეგრულად გაუყოფელს, მთლიანს ნიშნავს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1930 წელს ფოქვეშის თემში შემავალი სოფელია. მისი ამჟამინდელი სახელია *ურთა* (Урта).

ღვადის თემი

ღვადა – სოფელი ღვადის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. უჩალალის მარჯვენა ნაპირზე, მის ზემოთში. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „მსუქან, ნოყიერ მიწას“, „წყლისპირა ადგილს“ ნიშნავს. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ხშირად იხსენიება წყაროებში (ა. ნორდმანი). 1886 წელს ჯგერდის თემში შემავალი სოფელია. 1930 წელს კვლავ ჯგერდის თემში შედიოდა. 1935 წელს ჯგერდის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები აბააჟ-ახუ, ღვადა, ჯირგული და ახუნა და დაარსდა ღვადის ს/საბჭო ცენტრით სოფელ ღვადაში. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ღუადა* (Ҷаада).

აბააჟვახუ – სოფელი ღვადის თემში, მდ. უჩალალის ზემოთში. სახელწოდება აფხაზურად „ძველი ციხესიმაგრის ბორცვს“ ნიშნავს. 1949 წელს ღვადის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აბააჟვახუ* (Абаажа ахы).

მეორე ჯირღული – სოფელი ღვადის თემში, კოდორის ქედის სამხრეთ კალთის ძირას, მდ. ჯირღულის ნაპირზე. სახელწოდება მეგრულია და საფუძვლად უდევს სიტყვა „ჯერღვილი“ („დაძარღვილი, დატოტვილი“), რაც მდინარის სახელად შესაფერისია. შემდეგ მეტონიმის გზით მდინარის სახელიდან სოფლის სახელიც გახდა. 1949 და 1953 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით არსებობდა სოფელი ჯირღული ღვადის ს/საბჭოში, რომელიც შემდეგ გაიყო. მეორე ჯირღული დარჩა ღვადის ს/საბჭოში, ხოლო ჯირღული ჯგერდის ს/საბჭოში შევიდა. მისი ამჟამინდელი სახელია *Аббатәи Цырыҭәып*, რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია აფხაზურად.

ღვადა-ახუნა – სოფელი ღვადის თემში, კოდორის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, მდ. კაციკვარას ზემო წელში. სახელწოდება აფხაზურია: ახუნა მთისძირს ნიშნავს, ე. ი. მთისძირა ღვადა. 1949 და 1953 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ახუნას სახელით ღვადის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ღვადა-ახუნა (Гвада Ахуна).

ჭლოუს თემი

ჭლოუ – სოფელი ჭლოუს თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. დვაბის (მოქვის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. XVII საუკუნის საბუთებში იხსენიება როგორც თავად ჯაიანების კუთვნილი სოფელი ჭალა. როცა ამ მხარეში აფხაზები დამკვიდრდნენ, ჭალას ჭლოუ ეწოდა, თუმცა სოფლის ერთ-ერთ უბანს დღემდე შემორჩა სახელი ჭალა-აიმარა. სოფელში შემორჩა ასევე უბნის სახელწოდება ნაჯაიანუ, რაც მეგრულად წარსულში ჯაიანების კუთვნილს ნიშნავს. სოფელი ჭლოუ რუსული ფორმით „ჭლოუ“ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ხშირად იხსენიება წყაროებში (აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი), იხსენიება 1867 წლის მუჰაჯირთა სიაში. 1886 წელს ჭლოუს თემი კოდორის უბანში, ხოლო 1923 წელს კოდორის მაზრაში შედიოდა (ჭლოვის თემი). 1949 წელს ჭლოუს ს/საბჭოს ცენტრი იყო სოფელი ლაგანი-არხუ (სახელწოდება აფხაზურია და „ლაგანიების გორას“ ნიშნავს), რომელსაც 1952 წელს ჭლოუ ეწოდა. სოფლის მახლობლად დგას შუა საუკუნეების გალავანშემოვლებული ეკლესია. მის ნანგრევებში აღმოჩნდა ქართული ასომთავრული წარწერა (XV ს.), ერისთავთ-ერისთავის ოზბეგ დადიანის ეპიტაფია. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით სოფელში ორი ეკლესია ყოფილა – წმ. გიორგის და ჯვარი პატიოსნის. სოფლის ამჟამინდელი სახელია ჭლოუ (Члоу).

აიმარა – სოფელი ჭლოუს თემში, მდ. დვაბის (მოქვის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე. 1930 წელს ჭლოუს ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია აიმარა (Аимара).

ანდროუ – სოფელი ჭლოუს თემში, მდ. დვაბის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება მომდინარეობს აფხაზური საგვარეულო სახელიდან ანდროუ (ანდროუბა). წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფიქსირდება (ა. ნორდმანი). 1930 წელს ჭლოუს ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია ანდროუ (Андрю).

არაჟპარა – სოფელი ჭლოუს თემში, მდ. დვაბის ნაპირზე. სახელწოდება (არაჟუპარა) აფხაზურია და „აკკლიანს“ ნიშნავს. 1930 წელს ჭლოუს ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია არაჟუპარა (Аражапара).

აქიდრა – სოფელი ჭლოუს თემში, მდ. დვაბის მარჯვენა ნაპირ-

ზე. 1930 წელს აკდრას სახელწოდებით ქლოუს ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *აქიდრა* (Акыдра).

ჯგერდის თემი

ჯგერდა – სოფელი ჯგერდის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. დღამშის მარცხენა ნაპირზე. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Giorirde). XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ხშირად იხსენიება საბუთებში (აბრიუცკი, პ. ზუბოვი, ა. ნორდმანი). დატანილია ხატოვის 1826 წლის და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე. იხსენიება 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში. 1886 წელს ჯგერდის თემი კოდორის უბანში, ხოლო 1923 წელს 3 სოფლით კოდორის მაზრაში შედიოდა. სახელწოდება ქართულია, საფუძვლად უდევს წმ. გიორგის სახელი. სოფელში შემორჩენილია მიკროტოპონიმები: უბანი აბააჟვახუ (აფხ. „ძველი კომპის ბორცვი“) – ადრე სოფელი იყო, მდებარეობს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ცხენწყარის სათავესთან. შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე-კომპი, ეკლესია; ადგილი *ჯინჯალაა რგვაა* – ჯინჯოლიების ტაფობი; *ღელე კაციაა რკვარა* – კაციების ღელე; *უბანი კვარჭიაა რუხვნა* – კვარჭიების ბორცვის ძირი; *წყარო საბუაა რძხ* – საბუების (ესებუების) წყარო; *საბუაა რხვ* – საბუების//ესებუების ბორცვი; *ხუბუტიაა რკვარა* – ხუბუტიების ღელე; *შოუაა რუხვნა* – შოუების ბორცვის ძირი, *ყურდგალაა რხვ* – ყურდგელიების//ყურდღელიების ბორცვი. ეს მიკროტოპონიმები იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზების დამკვიდრებამდე აქ ქართველი ჯინჯოლიები, კაციები, კვარჭიები, ესებუები, ხუბუტიები, შოუები, კურდღელიები ცხოვრობდნენ. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ჯგარდა* (Джгарда).

გურჩხი – სოფელი ჯგერდის თემში, მდ. დღამშის ზემოთში. 1886 წელს ჯგერდის თემში, ხოლო 1930 წელს ჯგერდის ს/საბჭოში შედიოდა. მისი ამჟამინდელი სახელია *გურჩხი* (Гурчхы).

ღღამში – სოფელი ჯგერდის თემში, მდ. დღამშის სათავეებში. მისი ქართული სახელია *ღღამიში*. სახელწოდება წარმოებულია ზანურ-სვანური ტოპონიმების მანარმოებელი -ში სუფიქსით. 1886 წელს ჯგერდის თემში შედიოდა *ღღამიშის* სახელით. ამჟამად, სოფლის სახელი აფხაზურ ყაიდაზეა გაფორმებული და *ღღამშ* (Джамш) ეწოდება.

ჯგერდა-აბუნა – სოფელი ჯგერდის თემში, კოდორის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, მდ. დღამშის ზემოთში. მისი ძველი სახელია *ქიარჩი*. აქ შემორჩენილია VII-VIII სს. ქიარჩის ეკლესიის ნანგრევები და განვითარებული შუა საუკუნეების ციხე, რომელიც „ეკლასურის კედლის“ სისტემაში შედიოდა. სახელწოდება „ქიარჩი“ ქართულია, მეგრულად *ჯვარს*, ბორჯღალს ნიშნავს. XVII საუკუნის მიწურულს აფხაზების აქ დამკვიდრების შემდეგ, ქიარჩის ეკლესიას ქიარაბაა (აფხ. ქიარის

(ციხე, კოშკი) შეერქვა, ხოლო სოფელს – ახუნა. აფხაზურად ახუნა „მთისძირს“ ნიშნავს. 1949 წელს ჯგერდის ს/საბჭოში შედიოდა. 80-იანი წლების მიწურულს ჯგერდა-ახუნა (Цыгярда ахуна) ეწოდა.

ჯირღული – სოფელი ჯგერდის თემში, აფხაზეთის ბორცვიანი მთისწინეთის ძირას. ასე ჰქვია მდინარესაც, რომლის ნაპირზეც სოფელი მდებარეობს. სახელწოდება მეგრულია და საფუძვლად უდევს სიტყვა „ჯერღვილი“ („დაძარღვული, დატოტვილი“), რაც მდინარის სახელად შესაფერისია. შემდეგ მეტონიმის გზით მდინარის სახელიდან სოფლის სახელიც გახდა. მისი აფხაზური სახელწოდებაა ჯირგული. ჯირღული 1886 წელს ჯგერდის თემში, ხოლო 1930 წელს ჯგერდის ს/საბჭოში შედიოდა. 1949-1953 წწ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით არსებობდა სოფელი ჯირღული ღვადის ს/საბჭოში, რომელიც შემდეგ გაიყო. მეორე ჯირღული დარჩა ღვადის ს/საბჭოში, ხოლო ჯირღული ჯგერდის ს/საბჭოში შევიდა. მისი ამჟამინდელი სახელია ჯირღულ (Цыргъулы).

გალის რაიონი



გალის რაიონი

1840 წელს შეიქმნა რუსული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული სამურზაყანოს საბოქაულო ადმინისტრაციული ცენტრით სოფელ ოქუშში. 1840 წელს სამურზაყანოში 7 თემი შედიოდა: ოქუშის, ბედიის, ბარლების, გალის, ნაბაკევის, საბერიოს, ჭუბურხინჯის. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში სამურზაყანო სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში სამურზაყანოს უბნის სახელწოდებით შედიოდა. 1918 წლიდან სამურზაყანოს მაზრა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის, ხოლო შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის ადმინისტრაციული ერთეულია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან, სამურზაყანოს მაზრა საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიის შემადგენლობაშია. 1925 წლიდან მას გალის მაზრა, 1930 წლიდან კი – გალის რაიონი ჰქვია.

1923 წელს სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა 17 თემი 74 სოფლით, ხოლო 1925 წელს გალის მაზრაში – 23 თემი. 1990 წლისთვის გალის რაიონში შედიოდა 1 საქალაქო (გალი) და 24 სასოფლო საბჭო: აჩიგვარა, ბედია, განახლება, გუდავა, დიხაზურგა, ზემო ბარლები, თაგილონი, ლეკუხონა, მზიური, მუხური, ნაბაკევი, ოტობაია, ოქუში, პირველი გალი (ცენტრი სამქვარი), რეფო-შეშელეთი, რეჩხი-ცხირი, საბერიო, სიდა, ფიჩორი, ქვემო ბარლები, ლუმურიში, ჩხორთოლი, წარჩე, ჭუბურხინჯი; 1 ქალაქი და 90 სოფელი. გალის რაიონის მოსახლეობა 79 688 (1989 წ.).

ქალაქი გალი

გალი – გალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს. შუა საუკუნეებში მას „გოგიელი“ ეწოდებოდა. ამ ფორმით ეს სახელი XVII საუკუნის შუა წლების იტალიურ რუკებზე გვხვდება. სოფელი გალი აღნიშნულია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს არსებობდა გალის თემი, რომელშიც შედიოდა სოფ. გალი, თემის ცენტრი. 1909 წელს სამურზაყანოს უბნის გალის თემში შედიოდა სოფლები *პირველი გალი* და *მეორე გალი*. 1906 წელს სოფ. ოქუშიდან გალში გადმოიტანეს სამურზაყანოს უბნის ადმინისტრაციული ცენტრი. სახელწოდება „გალი“ მომდინარეობს „ღალი“-დან, რაც მეგრულად „ღელეს“ ნიშნავს. 1902 წელს გაზ. „ივერიაში“ (29 მარტი, № 68) მოხსენიებულია სოფ. „ღალი“. XX საუკუნის დასაწყისიდან, რუსული ენის მეშვეობით, რომელსაც „ლ“ ბგერა არა აქვს, სახელწოდება „გალი“ დამკვიდრდა.

1925 წელს არსებობდა გალის ს/საბჭო. 1932 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს გალ (Гал).

აჩიგვარის თემი

აჩიგვარა – სოფელი აჩიგვარის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ოქუშის ორსავე ნაპირზე. სახელწოდება აფხაზურია და „ცხენის სადგომს, თავლას“ ნიშნავს. მისი ისტორიული სახელწოდებაა *სუბეიში//სუბვი*. ეს სოფელი აღნიშნულია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Subeis) მდ. ოქუშის მარჯვენა მხარეს. იგი იხსენიება მალაქია კათალიკოსის მიერ ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულობის წიგნში: „ამას გარეთ სუბეიშს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს...“ (ქსდ, III, 50). „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ (1621 წ.) „სუბეისა“ და „სუბვის“ ფორმითაა მოხსენიებული: „მართვეს სუბეის ღუაჯაგაიას მოინალობაი, თოსკუამიას პეტრიას მეჯოგობაი“ (კაკაბაძე, 1914:3). იმავე დავთრიდან ირკვევა, რომ „სუბვის სასახლე“ სოფ. მუხურის მახლობლად მდებარეობს, მისი „მიმდგამია“. იქვე ჩამოთვლილია მუხურელ და სუბეიშელ საეკლესიო გლეხთა გვარები: კიტია, პერტია, ქორჩოლუა, ჯაკონია, ღუაჯაგაია, არტონია, ზვინგია, მიქელია, ბიგუა, ჯიშია... (იქვე: 31-33). ტოპონიმ *სუბეიში//სუბვის* ამოსავალია მეგრული *სუბე, სუბვი, სუბი*, რაც „მაღლობს, ზეგანს, შემადლებას“ ნიშნავს. XVIII საუკუნის მიწურულიდან აფხაზების აქ დამკვიდრების შემდეგ მას აფხაზური სახელი *აჩიგვარა* დაერქვა. ის არ არის დატანილი სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე და არც 1886 წლის აღწერის მასალებში იხსენიება. 1923 წელს სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა აჩიგვარის თემი 2 სოფლით. სოფელში არის უბნები: *სატორუო, საშაკაიო* – ტორუების, შაკაიების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აჩიგვარას აფხაზებმა *აჩგუარა* (Аҭҭаара) დაარქვეს.

ბულიშხინჯი – სოფელი აჩიგვარის თემში, მდ. ოხოჯის მარჯვენა ნაპირზე. 1886 წელს სოფელი „ბულისხინჯი“ მუხურის თემში შედიოდა, ხოლო 1930 წელს „ბულიშხინჯის“ ფორმით – აჩიგვარის ს/საბჭოში. სახელწოდება ქართულია, გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა და მეგრულად „ბლის ხიდს“ ნიშნავს. ხიდი გადებული ყოფილა მდ. ოხოჯისა და მდ. ნარჩესწყლის შესართავთან. სოფლის ამჟამინდელი სახელია *აფსხა იძიხ* (ქართ. „მეფის წყარო“)/*ბულიშხინჯ* (Аҭҭаха иҭыҭхь/Булишьхинџь).

გუდავა – სოფელი აჩიგვარის თემში, მდ. ოქუშის მარცხენა ნაპირას. სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტებია: გუდა, გუდაყვა, აფხაზური ვარიანტია გუდაა. ეს არის ისტორიული სოფლის, გუდავის//გუდაყვის ნაწილი. სახელწოდება ქართულია, თუმცა მისი ეტიმოლოგია გამჭვირვალე არ არის. 1949 წელს შედიოდა აჩიგვარის

თემში. მისი ამჟამინდელი სახელია გუდაა აჰაბლა (Гудаа ахабла), რაც ქართულად „გუდავის უბანს“ ნიშნავს.

ოხური – სოფელი აჩიგვარის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოხურის (ოხურიწყარი, მდ. ანარიის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს. ოხური ერქვა ვრცელ ტერიტორიას მდ. ოქუმსა და მდ. ლალიძგას შორის. აქ იყო ჭაობნარი, იცოდა ხურება და ამიტომაც დარქმევია სახელი ოხური (ო- მეგრ. გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი პრეფიქსია). მისი თავდაპირველი ფორმა *ოხური* უნდა ყოფილიყო. 1886 წელს სოფელი *ოხური* გუდავის თემში შედიოდა. სოფელში არის უბნები: *სანარმანიო* – ნარმანიების გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ოხური/ოხური აჰაბლა* (Охәрей/Ахәри ахабла), რაც ქართულად „ოხურის უბანს“ ნიშნავს.

ტოგონი – სოფელი აჩიგვარის თემში, მდ. ერისწყლის მარჯვენა ნაპირას. ტოგონი ძველი ქართული სიტყვაა, დასავლურ-ქართულ დიალექტებში შემადლებულ ადგილს, ვაკე-ბორცვს ნიშნავს. 1886 წელს ტოგონი ორ სოფლად იყო გაყოფილი, ერთი შედიოდა გუდავის თემში, მეორე – მუხურის თემში. სოფელში არის უბნები: *საბაძალყო* – ბაძალუების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ტოგონი* (Тогони).

ფუნყური – სოფელი აჩიგვარის თემში, მდ. ოქუმისა და მდ. ოხოჯის შესართავთან. სოფელი ამავე სახელწოდებით მდ. ოქუმის მარჯვენა ნაპირას, ნარჩის თემშიცაა და ესაზღვრება აჩიგვარის თემის სოფ. ფუნყურს. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Pozcuar). 1640 წლის 2 თებერვალს ფუნყურს ეწვივნენ რუსი ელჩები ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი. მათ მუხლობრივ აღწერილობაში გვხვდება Пудшкур//Путшкур და Пышкур//Пышкур ფორმები. ტოპონიმი ფუნყური ქართულია, მეგრულად („ფუქი ნწყური“) „დაქცეულ, დამწყურილ მიწას“ ნიშნავს. 1886 წელს მუხურის თემში შედიოდა. სოფელში არის უბნები: *საფაჩულიო*, *საქობალიო* – ფაჩულიების, ქობალიების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ფუნყურ* (Фунцәур).

ბედიის თემი

ბედია – სოფელი ბედიის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ოხოჯის მარჯვენა ნაპირას. ბედია ერქვა ვრცელ ტერიტორიას, სადაც ამჟამად მდებარეობს სამი თემი – აგუბედიის, რეკის, ბედიის. მეგრულ მეტყველებაში ბედია აღნიშნავს „საღვთოს, ხატზე შესახელებულს“, „ხატის ტყეს“. ადრე ეწოდებოდა *სანარდო*//*სანავარდო*. *სანარდო* დატანილია ა. ლამბერტის რუკაზე (Sanaar). 1886 წელს *სანარდო* ბედიის თემში შედიოდა შემდეგ სოფლებთან – ბედია, კოპიტი, მიშველი, ნაჯიხევი, ოხური, პატრახუნა, რეკა, საღარნკია,

საგურგულია, სამახარია, სახახუბია, საცუმბაია, საჩინო, ეშქითი – ერთად. 1925 წელს სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა სანარდოს ს/საბჭო. 1928 წელს სანავარდოს სახელით მეორე ბედიის ს/საბჭოში შევიდა. 1952 წელს ეწოდა ბედია. სოფელში არის უბნები: სანარმანიო, საქუთელიო – ნარმანიების, ქუთელიების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია ბედია (Бедиа).

სახახუბიო – სოფელი ბედიის თემში, მდ. ოხოჯის ხეობაში. სახელწოდებისათვის ამოსავალია ქართული გვარი ხახუბია, წარმოქმნილია სა-ო დანიშნულების აფიქსებით და ხახუბიას გვარის სამკვიდროს ნიშნავს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა ბედიის, ხოლო 1930 წელს – მეორე ბედიის თემში. სოფელში არის უბანი სააფშილა//სააფშილო – აფშილაეების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია ხახუბია (Хажубиа).

ფშაური – სოფელი ბედიის თემში, მდ. ოხოჯის მარცხენა ნაპირას. 1886 წელს შედიოდა მუხურის, ხოლო 1930 წელს – წარჩის თემში. შემდეგ ორ სოფლად გაიყო. ერთი შევიდა ბედიის, მეორე – წარჩის თემში. სახელწოდება ქართულია. მისი ფუძე არის „ფშა“, რაც ს.-ს. ორბელიანის განმარტებით არის „მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი“. ამ შემთხვევაში, სახელწოდება გაიგება როგორც „წყაროიანი ადგილი“. სოფლის ამჟამინდელი სახელია ფშაურ (Фшээр).

განახლების თემი

განახლება – სოფელი განახლების თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე. 1952 წელს ნაბაკევის ს/საბჭოს სოფელ მარჩხაფონს (მეგრ. „წყალმარჩხი ფონი“) გადაერქვა სახელი და განახლება ეწოდა. ის გამოეყო ნაბაკევის ს/საბჭოს, ხოლო გაგიდის ს/საბჭოს გამოეყო სოფ. ოკვინორე და მათი შეერთებით შეიქმნა განახლების ს/საბჭო ცენტრით სოფ. განახლებაში. ამჟამად, მარჩხაფონი ჰქვია უბანს ოკვინორეს საზღვარზე. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს მარჩხაპონ.

გაგიდა – სოფელი განახლების თემში, შავი ზღვის ნაპირზე, მდ. გაგიდის//გაგიდანწყარის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდება ქართულია. გაგიდა მეგრულად ნაგრძელებულ, გიდელივით გორს ნიშნავს. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Gaghida). სოფელი, ფაქტობრივად, ხელახლა შეიქმნა XIX საუკუნის დამლევს სამურზაყანოსა და სამეგრელოს მთისწინეთის სოფლებიდან გადმოსულთაგან. 1923 წელს არსებობდა გაგიდა-ნაჭკადუს თემი 4 სოფლით. თემში შედიოდა სოფელი გაგიდა. 1949-1953 წწ. არსებობდა გაგიდის ს/საბჭო. სოფელში არის უბნები: სასოსელიო, საქობალიო, საშონიო – სოსელიების, ქობალიების, შონიების ქარ-

თული გვარების სამკვიდრო, *პაპაშლალი* – გადმოცემით, ლელესთან, რომელიც შავ ზღვას უერთდება, ცხოვრობდა მღვდელი (მეგრ. პაპა). აქედან დაერქვა სახელი ლელეს – პაპაშლალი (მღვდლის ლელი), და შემდეგ უბანს. სოფლის ამჟამინდელი სახელია გაგიდა (Гагида).

დიხაგუძა – სოფელი განახლების თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას. სახელწოდება მეგრულია და ბორცვისებურ მიწაზვინულს ნიშნავს. დიხაგუძა ხელოვნურად შექმნილი ბორცვია, გორა-ნამოსახლარების უძველესი ფორმა. 1930 წელს შედიოდა გაგიდა-ნაჭკადუს თემში. სოფლის ამჟამინდელი სახელია *დიხაგუძა* (Дихагәыძа).

ოკვინორე – სოფელი განახლების თემში, სამურზაყანოს დაბლობზე. მეგრულად „საკვერნეს“ ნიშნავს (კვინორი – მეგრ. „კვერნა“, რომელსაც მეგრული -ო პრეფიქსი და -ე სუფიქსი აწარმოებს). როგორც ჩანს, ის თავდაპირველად ტყის სახელი იყო. 1930 წელს შედიოდა გაგიდა-ნაჭკადუს ს/საბჭოში, შემდეგ მას გამოეყო ოკვინორეს ს/საბჭო, რომელსაც 1952 წელს განახლება შეერქვა. ფაქტობრივად, განახლება და ოკვინორე ერთმანეთს ფარავს. სოფელზე გაედინება *ოკვინორენწყარი* (ოკვინორენწყალი), მდ. გაგიდის მარცხენა შენაკადი. სოფელში არის უბნები: *სათოლორაიო*, *საფაცაცო*, *საქობალიო* – თოლორაიების, ფაცაცოების, ქობალიების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ოკვინორეს *აცილტვარა* (Ацылтәара) დაარქვეს.

გუდავის თემი

გუდავა – სოფელი გუდავის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას. სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტებია: გუდა, გუდაყვა, აფხაზური ვარიანტია გუდაა. სახელწოდება ქართულია, თუმცა მისი ეტიმოლოგია გამჭვირვალე არ არის. *გუდავა* ისტორიული სოფელია. ისტორიულად, გუდავა მოიცავდა ვრცელ ზღვისპირა ტერიტორიას მდ. ოქუმის ორსავე მხარეს. ამჟამად, ამ ტერიტორიაზე არსებობს სოფლები: *გუდავა*, *პირველი გუდავა*, *მეორე გუდავა*, ნასოფლარი *გინძე ენერი* (1923 წელს არსებობდა გინძე ენერის ს/საბჭო). გვიანდელი ანტიკური ხანისა და ადრინდელი შუა საუკუნეების გუდავის ქალაქის ტიპის დასახლება ბერძნულ-რომაულ წყაროებში *ზიგანისის* სახელწოდებითაა ცნობილი. გვიანდელ ანტიკურ ხანაში *ზიგანისი* იმ ციხესიმაგრეთა სისტემაში შედიოდა, რომლებიც რომის იმპერიის მცირეაზიური პროვინციების მისადგომებს იცავდა. *ზიგანისის* ციხეში IV-V სს. მიჯნაზე რომაელთა კოჰორტა (400-600 კაციანი რაზმი) იდგა. VII-X სს. ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი *ზიგანისში* იყო. გუდავაში არქეოლოგიური

გათხრებისას აღმოჩნდა რომაელთა ციხის გალავნის ნაშთები, აგრეთვე რომაული კერამიკა და მონეტები. ქართულ საისტორიო წყაროებში („ქართლის ცხოვრება“), X საუკუნის ამბების თხრობისას იხსენიება *გულდაყვა*. მემატიანის ცნობით, ბაგრატ III-მ (978-1014) გულდაყვის საეპისკოპოსო კათედრა ბეღიაში გადაიტანა. ბედიის გულანის (XVI ს.) მინაწერში მოხსენიებულია სოფელი *გულდავა*. *გულდავა* დატანილია XVII საუკუნის იტალიურ (Gudas), ხატოვის 1826 წლის და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე. 1886 წელს არსებობდა გულდავის თემი. 1923 წელს გულდავის ს/საბჭოში ოთხი სოფელი შედიოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია *გულაა/გულდავა* (Гулаа/Гулада).

ანარია – სოფელი გულდავის თემში, მდ. ოქუმის მარცხენა ნაპირზე. აქ გაედინება მდ. ანარია, ანარიანწყარი. ანარია არის აფხაზური ვარიანტი სახელწოდებისა ონარია, რაც მეგრულად ნიშნავს „მსუბუქად რწევას, რყევას, რხევას“. ონარიე შეიძლება იყოს ლაქაშმოდებული ჭაობი, რომელიც ნაპირზე ფეხის დადგმისას ირწევა. ანარიაც ნაჭაობარია. სახელწოდება შემდეგ ოიკონიმად და ჰიდრონიმად იქცა. 1953 წელს შედიოდა გულდავის ს/საბჭოში, მანამდე არ ფიქსირდება. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ანაარა* (Анаара).

ოხურეი – სოფელი გულდავის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოხურეის (ოხურეინწყარი, მდ. ანარიის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს. ოხურეი ჰქვია სოფლებს გალის რაიონის აჩიგვარისა და გულდავის თემებში, თემს ოჩამჩირის რაიონში, აგრეთვე სოფელს ოჩამჩირის რაიონის ილორის თემში. როგორც ჩანს, ოხურეი წინათ ერქვა ვრცელ ტერიტორიას მდ. ოქუმსა და მდ. ლალიძგას შორის. აქ იყო ჭაობნარი, იცოდა ხურება და ამიტომაც დარქმევია სახელი ოხურეი (ო- მეგრ. გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი პრეფიქსია). მისი თავდაპირველი ფორმა *ოხური* უნდა იყო. 1886 წელს სოფელი *ოხური* გულდავის თემში შედიოდა. სოფელში არის უბნები: *სასაბეკიო*, *საქუთელიო*, *საშამათო* – საბეკიების, ქუთელიების, შამათავების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ოხურეი/ოხური აჰაბლა* (Охәреи/Ахәри ахабла).

მეორე გულდავა – სოფელი გულდავის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუმის ნაპირებზე. 20-იანი წლების დასაწყისში უკვე არსებობდა მეორე გულდავის ს/საბჭო. 1926 წლის ივლისში მეორე გულდავის და პირველი გულდავის ს/საბჭოები გააერთიანეს გულდავის ს/საბჭოდ. ამ დროიდან *მეორე გულდავა* გულდავის ს/საბჭოში შედის. სოფელში არის უბანი სააკიშბაიო – აკიშბაიების ქართული გვარის სამკვიდრო.

პირველი გულდავა – სოფელი გულდავის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუმის ნაპირას. 20-იანი წლების დასაწყისში უკვე არსებობდა პირველი გულდავის ს/საბჭო. 1926 წლის ივლისში პირველი გულდავის და მეორე გულდავის ს/საბჭოები გააერთიანეს გულდა-

ვის ს/საბჭოდ. ამ დროიდან პირველი გუდავა გუდავის ს/საბჭოში შედის. სოფელში არის უბანი სატაბალუო – ტაბალუების ქართული გვარის სამკვიდრო.

დისაზურგის თემი

დისაზურგა – სოფელი დისაზურგის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას. აღნიშნულია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა საბერიოს თემში. სახელწოდება ქართულია, გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა და მეგრულად ნიშნავს: „მინის ზურგა“, „მინა-ზურგი“ (ამობურცული მინა, მინაზვინული. მეგრ. დისა – მინა, ზურგა – ბორცვი). დისაზურგა ხელოვნურად შექმნილი ბორცვია, გორა-ნამოსახლარების უძველესი ფორმა. 1925 წელს არსებობდა დისაზურგის ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფელი დიდი ნიფური (მეგრ. „დიდი ნიფელი“), თემის ცენტრი. დიდი ნიფური 1886 წელს საბერიოს თემში შედიოდა. 1952 წელს თემის ცენტრს დიდ ნიფურს სახელი შეეცვალა იქვე მდებარე ბორცვის სახელის მიხედვით და დისაზურგა დაერქვა. სოფელში არის უბნები: სამარლანიო – მარლანიების ქართული გვარის სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ დისაზურგას აფხაზეთმა დაარქვეს აბააქით, რაც აფხაზურად „ციხის (კოშკის) სოფელს“ ნიშნავს.

ზენი – სოფელი დისაზურგის თემში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე. „ზენი“ მეგრულად ვაკეს ნიშნავს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა საბერიოს თემში, 1930 წელს კი – დისაზურგის თემში. სოფელში არის უბნები: საფიფიო, საცანო – ფიფიების, ცანავების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ზენი* (Зени).

ოცარცე – სოფელი დისაზურგის თემში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „საცარცეს“ ნიშნავს დანიშნულების ო-ე პრეფიქს-სუფიქსის დართვით. მეგრულად ცარცი ეწოდება კირის გამოსაწვავ ქვას, რომელიც იქვე, სათანჯოს მთის კალთაზე მოიპოვება. გორაკზე შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი შუა საუკუნეების სამსართულიანი კოშკი. ოცარცეს კოშკი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სათანჯოს ციხეს უწოდებს, აღმართულია მდ. ენგურის მარჯვენა კლდოვან ნაპირზე. თარიღდება XVII საუკუნით. ციხეს აქვს კოშკი და შემოვლებული აქვს გალავანი. 1930 წელს დისაზურგის თემში ორი ოცარცეა: ოცარცე და ოცარცე-სამიქაო, ხოლო 1949 წელს – მხოლოდ ოცარცე შედიოდა. ოცარცეში არის უბანი სამიქიო – მიქიების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია ოცარცე (Оцарце).

ზემო ბარლების თემი

ზემო ბარლები – სოფელი ზემო ბარლების თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე. სახელწოდება ქართულია, მეგრულად გამოითქმის როგორც „ბარლეფი“. ბარლები წყაროებში პირველად XVII საუკუნიდან არის დამოწმებული. დატანილია ა. ლამბერტის რუკაზე (XVII ს.). 1886 წელს არსებობდა ბარლების თემი, რომელშიც შედიოდა სოფლები: ბარლები, სიდა, ხიტუს-მუხური. XX საუკუნის 20-იან წლებში სოფელი ბარლები გაიყო. 1930 წელს არსებობდა ზედა ბარლების ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფლები: ზედა ბარლები და ხიტუში მუხური. 1949 წელს მას ზემო ბარლები ჰქვია. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს ვიდა ბაღრიკაძე, რაც ქართული სახელწოდების პირდაპირი თარგმანია.

საბუთბაიო – სოფელი ზემო ბარლების თემში, მდ. ხუმუშქურის (მდ. გაგიდის ერთ-ერთი მდგენელი) მარცხენა მხარეს. სახელწოდება გაფორმებულია ქართული -სა-ო პრეფიქს-სუფიქსით და ბუთბაიას გვარის სამკვიდროს ნიშნავს. პირველად ზემო ბარლების თემში დაფიქსირებულია 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში. სოფელში არის უბნები: საზარიო, საშარიო – ზარიების, შარიების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს ბუთბაქით, რაც „ბუთბების სოფელს“ ნიშნავს. სოფლის ამჟამინდელი სახელია ბუტგვაქით (Бытҭҭаҭыт), რაც „ბუთბაიების სოფელს“ ნიშნავს.

საშამუგეო – სოფელი ზემო ბარლების თემში, მდ. ხუმუშქურის ნაპირას. ასე ერქვა ქართული გვარით შამუგეებით დასახლებულ უბანს და შემდეგ იქცა სოფლის სახელად. პირველად ზემო ბარლების თემში დაფიქსირებულია 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს შამგიაა (Шамҭҭааа), რაც ქართულად „შამუგეებს“ ნიშნავს.

თაგილონის თემი

თაგილონი – სოფელი თაგილონის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე. შუა საუკუნეებში ამ ადგილას იყო სოფელი ნიფურია, რომელსაც ხშირად იხსენიებენ XVII საუკუნის იტალიელი მისიონერები. სახელწოდება ნიფურია მომდინარეობს ხე-მცენარის მეგრული სახელიდან ნიფური, ნიფურონი (ქართ. ნიფელი, ნიფლნარი). ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657) იტალიელ მისიონერებს მისცა აქ მდებარე ერთი ეკლესია. გარკვეულ პერიოდში აქ მოღვაწეობდნენ იტალიელი მისიონერები არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, კრისტოფორე დე კასტელი და სხვ. ამდენად ის დასავლეთ საქართველოში კა-

თოლიკე მისიონერთა საქმიანობის ცენტრი იყო. აღწერილობათა თანახმად *ნიფურიაში* ორი ეკლესია და სხვა ნაგებობებიც იდგა. თავილონში, ენგურისპირა ბორცვზე, შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები გალავნის და მის შიგნით ორი ეკლესიის ნანგრევები. ამ ადგილს მოსახლეობა დღესაც ნიფურიას ეძახის. *ნიფურია* დატანილია XVIII საუკუნის იტალიურ რუკებზე. ფ. დიუბუა დე მონპერეს ცნობით, სოფელში, იმ ადგილას, სადაც მდ. ენგური ორად იყოფა, XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსებმა ათანგელას ციხე ააგეს. ციხის ნაშთები შემორჩენილი არ არის, როგორც ჩანს მდ. ენგურმა წალეკა. სოფელი *ათანგელას* სახელით დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა ნაბაკევის თემში *თაგელონი*-ს სახელით. 1923 წელს არსებობდა *თაგელონის* თემი ორი სოფლით. 1930 წელს *თაგელონის* ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: *თაგელონი* და *ზედა თაგელონი*. 1949 წელს სოფელს უკვე *თაგილონი* ჰქვია. სახელწოდება ქართულია, თუმცა ეტიმოლოგია ნათელი არაა. საგულისხმოა, რომ აჭარაში არსებობს *თაგილონის* მთა. ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით, *თაგილონი* ნიშნავს „ლამაზი შესახედაობის, ლამაზი იერის“. შესაძლოა ამ სახელწოდებებს ერთი ფუძე ჰქონდეთ. სოფელ *თაგილონი*ში აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის, ძვ. წ. XI-X სს. არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც *თაგილონის* განძის სახელითაა ცნობილი. ბრინჯაოს ქვაბში აღმოჩნდა კოლხური ცულის ჩამოსასხმელი სპილენძის ყალიბი, მეორე ასეთივე ცულის ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხი, ბრინჯაოს დიდი სეგმენტური იარაღი, კოლხური ცული და ფირფიტის ნატეხი. სოფელში აღმოჩნდა ასევე I-II სს. მდიდრული სამარხის ინვენტარის ნაწილი (ჯაჭვის პერანგისა და მუზარადის ნაწილები, ცხენის აღკაზმულობა, მახვილის ვადის ოქროს გარსაკრავები, ვერცხლისა და ოქროს ნივთები). ორივე განძი დაცულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. სოფელ *თაგილონი*ში არის უბნები: *სააბლოთიო*, *საანჯაფარიო*, *სარუხაიო*, *საქილორიო*, *საშარიო* – აბლოთიების, ანჯაფარიების, რუხაიების, ქილორიების, შარიების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *თაგილან* (Тагьлан).

სალხინო – სოფელი *თაგილონის* თემში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას. 1930 წელს ამ ტერიტორიაზე იყო სოფელი *ზედა თაგელონი*, რომელიც *თაგილონის* თემში შედიოდა. აქ შექმნილ კოლმეურნეობას უწოდეს *სალხინო*, რაც 60-იან წლებში სოფლის სახელად იქცა. პირველად *თაგილონის* თემში დაფიქსირებულია 1966 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ლაშთრა* (Лашьтра).

ლეკუხონის თემი

ლეკუხონა – სოფელი ლეკუხონის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ერისწყლის მარჯვენა მხარეს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა სამურზაყანოს უბნის საბერიოს თემში. 1925 წელს არსებობდა ლეკუხონის ს/საბჭო. ტოპონიმი ქართულია. ლეკუხა მეგრულად ხე-მცენარის – ხეჭრელის სახელია, -ონა სუფიქსი კი მეგრულში კრებითობას გამოხატავს, ე. ი. ლეკუხონა ის ადგილია, სადაც მრავლად ხარობს ლეკუხა (ხეჭრელი). სოფელში არის უბნები: *საგულუო*, *საქობალიო* – გულუების, ქობალიების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ლეკუხონას აფხაზეთმა ალაკუმხარა დაარქვეს, რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია.

ლეჭარაიე – სოფელი ლეკუხონას თემში, ერისწყლის მარჯვენა ნაპირას. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს სოფელი ლეჭარაია სამურზაყანოს უბნის საბერიოს თემში, 1930 წელს კი – ლეკუხონის თემში შედიოდა. ამჟამად ლეჭარაიე ეწოდება. ტოპონიმი ქართულია. -ლე პრეფიქსი შუა საუკუნეებში გვართაგან უბნის სახელწოდების მანარმოებელი იყო, ფუძე არის გვარსახელი ჭარაია. ამდენად, ჭარაიების საგვარეულოს სამკვიდროს ნიშნავს. სოფელში არის უბანი *საშამათო* – შამათავების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ლეჭარაია* (Лещарая).

ჟირღალიშქა – სოფელი ლეკუხონას თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. რთომის ორ მდგენელს შუა. XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე დატანილია ჟირპიჯის (Girpigi) სახელწოდებით, რაც ზუსტად გადმოსცემს მის გეოგრაფიულ მდებარეობას. სახელწოდება მეგრულია („ორღელეშუა“) და აღნიშნავს ადგილს, სადაც ერთი მდინარე მეორეს შეერთვის. 1886 წელს მას რთომი ერქვა და საბერიოს თემში შედიოდა. 1930 წელს იყო ორი სოფელი – *პირველი რთომი* (საბერიოს ს/საბჭო) და *მეორე რთომი* (ლეკუხონის ს/საბჭო). შემდეგ ეს სოფლები გააერთიანეს და *ჟირღალიშქა* უწოდეს. 1949 წელს უკვე არსებობდა სოფელი *ჟირღალიშქა* ლეკუხონას თემში. სოფელში არის უბანი *სახვარო*, სადაც ადრე ხვარავები ცხოვრობდნენ. სოფლის ამჟამინდელი სახელია *აკვარაბჟარა* (Акварджьара/Жирђалишка), რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია აფხაზურად.

მზიურის თემი

მზიური – სოფელი მზიურის თემში, თემიც ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე. 1931 წელს მზიური დაერქვა სოფელ ცხირო-გალში შექმნილ კოლმეურნეობას, ხოლო 1952 წელს

სოფელ *ქვემო ცხირს*, რომელიც მანამდე ცხირო-გალის ს/საბჭოში შედიოდა. ასე შეიქმნა მზიურის ს/საბჭო. სოფელ მზიურში არის უბნები: *სააბრუმიო*, *საუბილა*, *სალურნკაიო*, *საყოლბაიო* – აბრუმიების, უბილაების, ლურნკაიების, ყოლბაიების ქართული გვარების სამკვიდროები. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ მზიურს აფხაზებმა *მახუჯრა* დაარქვეს (Махэицъра/Мзиური).

ზემო ცხირი – სოფელი მზიურის თემში, სამურზაყანოს დაბლოზე. სახელწოდება ქართულია. მეგრულად ცხირი, ცხირუა არის „ღობვა მეჩხრად – წნელის შორი-შორს მოდებით, როცა საჭიროა ვრცელი ტყის ან საძოვრის შემოსაზღვრა“. 1886 წელს ცხირი ერთი სოფელი იყო და გალის თემში შედიოდა. XX საუკუნის 80-იან წლებში გაიყო – ერთი ნაწილი შევიდა პირველი გალის თემში, მეორე ნაწილი *ზემო ცხირის* სახელწოდებით – მზიურის თემში.

სოფელში დამონმებულია ადგილი *საქარდო* – ყოფილი დასახლებული უბანი, ქარდავების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ცხირ* (Цхьир).

მახუნჯია – სოფელი მზიურის თემში, მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს. სოფელს შუაზე ყოფს მდ. მახუნჯია. სახელწოდება ქართულია. მეგრულად ხუნჯი არის „ხუნდი“, „ხაფანგი“ (მახუნჯი – „მახის დამდგმელი“, „მახუნდარი“). გადმოცემით, ძველად მონადირეებს აქ ტურა-მგლების დასაჭერად „ხუნჯი“ ჰქონიათ დადგმული. 1949 წელს შედიოდა ცხირო-გალის ს/საბჭოში. სოფელში არის უბანი *საქარდო* – ქარდავების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *მახუნჯია* (Махэицъия).

პატრახუნა – სოფელი მზიურის თემში, სამურზაყანოს დაბლოზე, მდ. ერისწყლის მარცხენა ნაპირას. 1930 წელს შედიოდა ცხირო-გალის ს/საბჭოში. გადმოცემით, სახელი გადმოუტანიათ აგუბედიის პატრახუნადან აქ გადმოსახლებულ აფხაზებს. სოფელში არის უბანი *საშენგელიო* – შენგელიების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *პატრახუნა* (Патрахэыца).

შაშიკვარა – სოფელი მზიურის თემში, მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს, მდ. შაშიკვარანყარის შუა წელზე. 1930 წელს შედიოდა ცხირო-გალის ს/საბჭოში. სახელწოდება გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა და აფხაზურად „შაშის ლელეს“ ნიშნავს. გადმოცემით, ქვრივი ქალი შაში ამ ლელის ნაპირას ესახლა. შაშიკვარა ერქვა თავდაპირველად ლელეს, ხოლო შემდეგ სოფლის სახელად იქცა. სოფელში არის უბნები: *სამიქაო*, *საქარჩო*, *საშონიო* – მიქაიების, ქარჩავეების, შონიების ქართული გვარების სამკვიდრო, *საბიბლაიო* – ყოფილი დასახლებული უბანი. სოფლის ამჟამინდელი სახელია *შაშიკვარა* (Шэшыкэара).

მუხურის თემი

მუხური – სოფელი მუხურის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუმის მარცხენა ნაპირას. საისტორიო წყაროებში ფიქსირდება XVI საუკუნიდან. იხსენიება „ბიჭვინტის იადგარში“ (1525-1550 წწ.), შემდეგ უკვე „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავლის მოსაკრებლობის დავთარში“ (1621 წ.). დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს თემის ცენტრია. 1923 წელს მუხურის თემი 3 სოფლით სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა. 1926 წელს მუხურისა და წარჩის ს/საბჭოები გააერთიანეს ერთ – მუხურის ს/საბჭოში. 1930 წელს მუხური წარჩის ს/საბჭოში შედიოდა. 30-იანი წლების დასაწყისში სოფელ წარჩეს გამოეყო სოფლები საბულისკერიო და საშარანგიო და შეიქმნა მუხურის ს/საბჭო ცენტრით სოფელ საშარანგიოში. ამ დროს შეერქვა მუხურს *საშარანგიო* უბნის სახელის მიხედვით, სადაც შარანგიების ქართული გვარი მოსახლეობდა. 1952 წელს დაუბრუნდა სახელი *მუხური*. ტოპონიმი გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა, მეგრულად „მხარეს“, „კუთხეს“ ნიშნავს. სოფლის მახლობლად დგას განვითარებული შუა საუკუნეების ციხე და ეკლესია. სოფელში არის უბანი *საშარანგიო* – შარანგიების ქართული გვარის სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა სოფელს დაარქვეს *მახურ* (Махур).

პირველი შეშელეთი – სოფელი მუხურის თემში, მდ. ერისწყლის მარჯვენა მხარეს, სოფ. მეორე შეშელეთის პირდაპირ. ადრე არსებობდა სოფელი შეშელეთი, რომელიც დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Sciascialetti). სახელწოდება ქართულია, მისი ამოსავალია ანთროპონიმი (პირსახელი ან გვარსახელი) შეშელი, რომელსაც დაერთვის ანთროპონიმებისაგან გეოგრაფიული სახელწოდებების მანარმოებელი -ეთ სუფიქსი. 1930 წელს სოფელი შეშელეთი რეფი-შეშელეთის ს/საბჭოში შედიოდა. მოგვიანებით, ის გაიყო პირველ შეშელეთად და მეორე შეშელეთად. 1949 წელს ორივე შედიოდა რეფი-შეშელეთის ს/საბჭოში. 1954 წელს რეფი-შეშელეთის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი *პირველი შეშელეთი* და მიეკუთვნა მუხურის ს/საბჭოს. სოფლის ამჟამინდელი სახელია *აკტი შაშალატ* (Актѣ Шъшалат), რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია აფხაზურად.

საბულისკერიო – სოფელი მუხურის თემში, მდ. ოქუმის მარცხენა მხარეს. როგორც ჩანს, საბულისკერიო იყო უბანი და XX საუკუნის 30-იან წლებში მიიღო სოფლის სტატუსი. 1949 წელს საბულისკერიო შედიოდა მუხურის თემში. საბულისკერიო ქართული გვართ ბულისკერიებით (ბულისკერია) დასახლებული ადგილის სახელია. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს გვარსახელ ბულისკერიას აფხაზური ფორმა *აბლასკირ* (Абласкыр).

ნაბაკევის თემი

ნაბაკევი – სოფელი ნაბაკევის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (NaAlbachia), სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს არსებობდა ნაბაკევის თემი ცენტრით სოფელ ნაბაკევი. სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტებია ნაბაკი(ი) და ნობაკი. ზმნა „ბაკუა“ (რომელსაც მეგრული -ო პრეფიქსი და -ე სუფიქსი დართვია) მეგრულში „ტკეპნას“ ნიშნავს. ხალხური ეტიმოლოგიით „საქონლის ნატკეპნი ადგილი“. ზღვისპირეთი ოდითგან ზამთრის საძოვრებად ჰქონდათ გამოყენებული მთისწინეთში მცხოვრებთ, აქედან მომდინარეობს სახელწოდება. 1930 წელს ნაბაკევის ს/საბჭოში ორი სოფელი შედიოდა – ნაბაკევი და გაბარი. თემის ცენტრი იყო გაბარი, რომელსაც 1952 წელს ნაბაკევი ეწოდა. სოფელში არის უბნები: საქარდო – ქარდავების ქართული გვარის სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზეთმა ნაბაკევს ბათაიგუარა დაარქვეს.

ენერი – სოფელი ნაბაკევის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. ერთხანს ერქვა *კუნთხუ ენერი* (ქართ. „კუთხე ენერი“). სახელწოდება ქართულია. მეგრულად ენერი აღნიშნავს უნაყოფო (ზოგან ჭაობიან) ნიადაგს. 1949 წელს შედიოდა ნაბაკევის ს/საბჭოში. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზეთმა დაარქვეს *ლბაარზა* (Лбаарза/Етერი).

ზენი – სოფელი ნაბაკევის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. „ზენი“ მეგრულად ვაკეს ნიშნავს. პირველად ფიქსირდება 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ლბაა/ზენი* (Лбаа/Зени).

ოტობაის თემი

ოტობაია – სოფელი ოტობაიას თემში. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. ესაა ისტორიული სოფელი. დატანილია 1723 წლის (Cotoboi) და სამეგრელოს 1861 წლის (Отобаио) რუკებზე. სახელწოდების ამოსავალი ფუძეა „ტობა“, რაც მეგრულში „ღრმა წყალს“ ნიშნავს. ამრიგად, ოტობაია ღრმანწყლიან, ჭაობიან ადგილს დარქმევია. შუა საუკუნეებში ოტობაიას ადგილას არსებობდა საკათალიკოსო სოფელი *ნაჟანევი*/*ნაჟანეული*, რომელიც XVI-XVII სს. საბუთებშია იხსენიება. „საკათალიკოზო გამოსავლის ნუსხაში“ (XVI ს. II ნახ.) აღნიშნულია „ნაჟანეუს“, „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ (1621 წ.) „ნაჟანეულის“ ფორმით. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის გრიგოლ ლორთქიფანიძის სიგელიდან (1706 წ.)

ირკვევა, რომ „ნაჟანევს ს(ო)ფ(ე)ლი ს(ა)კ(ათალიკო)ზო ნემსაძე კ(ათალიკო)ზის ხ(ე)ლშიდ აფხაზისგ(ა)ნ აყრილიყო, ყვაპ შარვაშიძეს სხვა დაეყიდა და ექუსი მოსახლე კაცი ყ(ა)ვდა“. გრიგოლ კათალიკოსის „გარიგების წიგნში“ (1712 წ.) ნათქვამია: „ნაჟანევს სოფელი აფხაზს აყარა, სამოცი მოსახლე კაცი ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა“. ამდენად, აფხაზთა გამუდმებული თავდასხმებით დანიოკებული სოფლის მოსახლეობა გრიგოლ კათალიკოსს სხვაგან, უსაფრთხო ადგილას გადაუყვანია. სახელწოდება *ნაჟანეო//ნაჟანეული* ქართულია, მასში გამოიყოფა წინავითარების სახელთა მანარმოებელი ნა- პრეფიქსი და მატოპონიმებული -(ო) ურ სუფიქსი. ტოპონიმის ამოსავალია გვარი ჟანავა. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის დასაწყისში სოფელს ოტობაია დაერქვა. 1930 წელს არსებობდა ოტობაიას ს/საბჭო.

ვეშკუდელი – სოფელი ოტობაიას თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას. სახელწოდება ქართულია. თავდაპირველად „ვე“ ერქვა მდ. ენგურის რკალში მოქცეულ ვაკეს, „კუდელი“ – აღნიშნავს ადგილმდებარეობის დავინროებულ ბოლოს. ამდენად, ვეშკუდელი მეგრულად არის „ველის ბოლო“. 1949 წელს შედიოდა ოტობაიას თემში. სოფელში არის უბნები: *სასოტკილო* – სოტკილავების ქართული გვარის სამკვიდრო, *საფაცურიო* – ფაცურიების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ვეშკუდელი*.

ზარნუფა – სოფელი ოტობაიას თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება ქართულია, მეგრულად ზარნუფას უწოდებენ ხეს, რომელიც წვრილ წითელ ნაყოფს ისხამს (ძახველი). 1949 წელს შედიოდა ოტობაიას თემში. სოფელში არის უბნები: *სათაკალანძო*, *სამესხიო*, *საფარულუო*, *საფაცურიო*, *საქირთბაიო*, *საშენგელიო* – თაკალანძეების, მესხიების, ფარულუების, ფაცურიების, ქირთბაიების, შენგელიების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ზარნუფა* (Зарнуфа).

მეორე ოტობაია – სოფელი ოტობაიას თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს 1930 წელს ოტობაიას თემში უკვე არსებობდა სოფელი *მეორე ოტობაია*. მისი უწინდელი სახელია *კუნთხუ ოტობაია*, რაც მეგრულად „კუნთხე ოტობაიას“ ნიშნავს. სოფელში არის უბნები: *საალფენძო*, ალფენიძეების ქართული გვარის სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ მეორე ოტობაიას აფხაზებმა *ბგოურა* დაარქვეს.

ოკვინორე – სოფელი ოტობაიას თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოკვინორენყარის მარცხენა მხარეს (განახლების თემში შემავალი *ოკვინორეს* გაგრძელებაზე). მეგრულად „საკვერნეს“ ნიშნავს (კვინორი – მეგრ. „კვერნა“, რომელსაც მეგრული -ო პრეფიქსი და -ე სუფიქსი დართვია). 1930 წელს შედიოდა ოტობაიას

თემში. სოფელში არის უბნები: *საბელქანო, საბიგვო, სამინჯორაიო, საღვინჯილიო* – ბელქანიების, ბიგვაების, მინჯორაიების, ღვინჯილების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ოკუპირორეს *აცილტვარა (Ацылтыгара)* დაარქვეს.

პირველი ოტობაია – სოფელი ოტობაიას თემში, ოტობაიას თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. 1930 წელს ოტობაიას თემში უკვე არსებობდა სოფელი *პირველი ოტობაია*. უნინ მოიცავდა ამჟამინდელი *ნაბაკევის, რამისა* და *ზარნუფას* ნაწილს. სოფელში არის უბანი *საროგო* – როგავების ქართული გვარის სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა პირველ ოტობაიას *ხაშთა* დაარქვეს.

რამი – სოფელი ოტობაიას თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. ამ ადგილს ადრე *თხუშინა* ერქვა. XX საუკუნის 30-იან წლებში აქ მოაშენეს რამი და შეიქმნა რამის საბჭოთა მეურნეობა. შემდეგ რამი სოფლის სახელად იქცა. 1953 წელს შედიოდა ოტობაიას თემში. სოფელში არის უბნები: *საალფენძო, სარატიო, სასაჯაიო* – ალფენიძეების, რატიების, საჯაიების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *რამი*.

ქვიშონა – სოფელი ოტობაიას თემში, ქვიშონალალის ორივე ნაპირზე. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ქვიშიანს“ ნიშნავს. თავდაპირველად ასე ერქვა მინდორს ნაენგურალზე. 1930 წელს შედიოდა ოტობაიას თემში. სოფელში არის უბნები: *საბახტადო, საგამახარიო, საღურწკაიო* – ბახტაძეების, გამახარიების, ღურწკაიების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ქვიშონა*.

ოქუმის თემი

ოქუმი – სოფელი ოქუმის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ოქუმის მარჯვენა ნაპირზე. XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე დატანილია მდ. ოქუმი. სოფელი *ოქუმი* დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე, იხსენიებს ფ. დიუბუა დე მონპერე. 1840 წელს ბედიიდან ოქუმში გადაიტანეს სამურზაყანოს საბოქაულოს ცენტრი. 1886 წელს არსებობდა ოქუმის თემი ცენტრით სოფელ ოქუმში. სახელწოდება ქართულია, მისთვის ამოსავალია მეგრული სიტყვა „ქუმუ“ (სელი) და სასელეს ნიშნავს. ის ჯერ სოფლის სახელად იქცა, ხოლო შემდეგ – მდინარის სახელად. აქედან ჩანს, რომ ტოპონიმი აფხაზთა მიერ ამ მხარის ანექსიამდე, XVII საუკუნის მეორე ნახევრამდეა წარმოქმნილი. სოფელ ოქუმში არის უბნები: *სარიგვა, საქვაჩახიო* – რიგავების, ქვაჩახიების ქართული გვარების სამკვიდრო. ოქუმის ცენტრში დგას ემუხვარების საგვარეულო ეკლესია (XIX ს. II ნახევარი). 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს ოქუმ (Окым).

აგვავერა – სოფელი ოქუშის თემში, მდ. მორინჯის ხეობაში. სახელწოდება აფხაზურია. ა-გუაუარა აფხაზურად „ჩავარდნილ ადგილს“ ნიშნავს, აგვავერა//აგუაუარა ამგვარ ადგილთა სიმრავლეს აღნიშნავს. 1949 წელს შედიოდა ოქუშის თემში. სოფელში არის უბნები: საყვანიო, საშადანიო//საშედანიო – ჟვანიების, შადანიების//შედანიების გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია აგუაუარა (Агуауара).

საბულისკერიო – სოფელი ოქუშის თემში, მდ. ოქუშის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება ქართულია და ბულისკერიას გვარის სამკვიდროს ნიშნავს. 1949 წელს შედიოდა ოქუშის თემში. სოფლის ამჟამინდელი სახელია გვარსახელ ბულისკერიას აფხაზური ფორმა აბლასკირ (Абласкыр).

სამელაიო – სოფელი ოქუშის თემში, მდ. ოქუშის ხეობაში. სახელწოდება ქართულია და მელაიას გვარის სამკვიდროს ნიშნავს. 1949 წელს შედიოდა ოქუშის თემში. სოფელ სამელაიოში არის უბნები: საკოზმა, საფარფალიო, საშამათო – კოზმავეების, ფარფალიების, შამათავეების ქართული გვარების სამკვიდრო.

პირველი გალის თემი

პირველი გალი – სოფელი პირველი გალის თემში. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე. პირველი გალი თავდაპირველად ერქვა საბჭოთა მეურნეობას და მერე სოფლის სახელი გახდა. 1923 წელს სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა პირველი გალის თემი 3 სოფლით. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს გალხუჭ (Гал хыч), რაც ქართულად „პატარა გალს“ ნიშნავს.

ზემო გალი – სოფელი პირველი გალის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე. 1949 წლიდან შედის პირველი გალის თემში. სოფელში არის უბნები: საბასარიო, სამიქაო, საროსტობაიო, საქეცბაიო, საშამათო, საჯეჯეიო – ბასარიების, მიქაიების, როსტობაიების, ქეცბაიების, შამათავეების, ჯეჯეიების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ზემო გალს აფხაზებმა გალ აჩაიუა დაარქვეს.

კოხორა – სოფელი პირველი გალის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე. სახელწოდება ქართულია. ხალხური ეტიმოლოგიით „კოჩიმ ოხორალი (ე. ი. კაცის სამოსახლო) კარგი ადგილი ყოფილა და ამიტომ დაურქმევიათ კოხორა“. 1949 წელს შედიოდა პირველი გალის თემში.

ლეკუმხარა – სოფელი პირველი გალის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ნიშონის ხეობაში. ადგილობრივი ვარიანტია ლეკუმჰარა. ტოპონიმი აფხაზურია, თუმცა მომდინარეობს ხე-მცენარის მეგრულ-ჭანური სახელიდან „ლეკუმხა“ (ხეჭრელი). აფხაზურმა ენამ შეითვისა მისთვის დამახასიათებელი ალაკუმჰა ფორმით, რომელსაც ერთვის აფხაზურ ენაში მცენარეთა მრავლობითობისა

და კრებითობის -რა სუფიქსი. 1949 წელს შედიოდა პირველი გალის თემში. სოფელში არის უბნები: *საკაკო*, *სასარუო* – კაკავების, სარუების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ალაკუმჰარა* (Алакымҟара).

სამქვარი – სოფელი პირველი გალის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ერისწყალსა და მდ. ნიშონს შუა. 1949 წელს შედიოდა პირველი გალის თემში. გადმოცემით, სამქვარი თავდაპირველად ერქვა ეკლესიას მდ. ერისწყლის მახლობლად ვაკე-მაღლობზე. ეტიმოლოგია ნათელი არ არის. სოფელ სამქვარში არის უბნები: *სააბაშიო*, *საბასარიო*, *საბიბლაიო*, *სამიქაო*, *საჯეჯეიო* – აბაშიების, ბასარიების, ბიბლაიების, მიქაიების, ჯეჯეიების ქართული გვარების სამკვიდრო.

ფართოლალი – სოფელი პირველი გალის თემში, მდ. ფართოლალის ქვემო წელზე. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ფართო ღელეს“ ნიშნავს. ფართოლალი თავდაპირველად ღელეს ერქვა და შემდეგ დაერქვა სოფელს. 1978 წლიდან სოფლის სტატუსით შედის პირველი გალის თემში. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ფართო-ლალი* (ҟართо-лали).

ცხირი – სოფელი პირველი გალის თემში, მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს, გალის წყალსაცავის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სახელწოდება ქართულია. მეგრულად ცხირი, ცხირუა არის „ლობვა მეჩხრად – წნელის შორი-შორს მოდებით, როცა საჭიროა ვრცელი ტყის ან საძოვრის შემოსაზღვრა“. 1886 წელს შედიოდა გალის თემში, 1930 წელს – პირველი გალის თემში. სოფელში არის უბნები: *საბეჭვაიო*, *საიზორიო* – ბეჭვაიების, იზორიების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს *ცხირ* (Цхьыр).

რეფო-შეშელეთის თემი

რეფო-შეშელეთი – სოფელი რეფო-შეშელეთის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე. შექმნილია ორი სოფლის – რეფისა და შეშელეთის – გაერთიანებით. *რეფი* მეგრულად მშრალ, ქვიან ვაკე ადგილს ნიშნავს. რეფი დატანილია 1861 წლის სამეგრელოს რუკაზე. 1886 წელს იგი გუდავის თემში შედიოდა. *შეშელეთი* მდ. ერისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Sciascialeti) და სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს გუდავის თემში შედიოდა. სახელწოდება ქართულია, მისი ამოსავალია ანთროპონიმი (პირსახელი ან გვარსახელი) შეშელი, რომელსაც დაერთვის ანთროპონიმებისაგან გეოგრაფიული სახელწოდებების მანარმოებელი ქართული -ეთ სუფიქსი. 1923 წელს *რეფო-შეშელეთის* თემი

2 სოფლით სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზეთმა რეფს – რიაფ, ხოლო შემეღეთს – შაშალათ დაარქვეს. თემის სახელია რიაფ-შაშალათ.

რეფო-ენერი – სოფელი რეფო-შემეღეთის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ერისწყლის ნაპირას. 1886 წელს სოფელი რეფი შედიოდა გუდავის თემში, ხოლო 1930 წელს რეფო-შემეღეთის ს/საბჭოში. რეფს შეუერთდა სოფელი ენერი. სახელწოდება ენერი ქართულია. მეგრულში ენერი აღნიშნავს უნაყოფო (ზოგან ჭაობიან) ნიადაგს. რეფისა და ენერის ტერიტორიული შეერთებით წარმოქმნილ სოფელს ორივე სახელი შეუნარჩუნდა. სოფელში არის უბნები: *საორჟონიო*, *საღურწკაიო*, *საფარფალიო*, *საქაშბაიო* – ორჟონიების, ღურწკაიების, ფარფალიების, ქაშბაიების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *რიაფ ენერი* (Риаф Ецери).

აკვარიქვა – სოფელი რეფო-შემეღეთის თემში, მდ. აკვარიქვას ნაპირზე. აფხაზურად „შავ ღელეს“ ნიშნავს. პირველად ფიქსირდება 1953 წელს, აკვარას სახელწოდებით შედიოდა ხუმუშქურის ს/საბჭოში. სოფლის ამჟამინდელი სახელია *აკვარიქვა* (Ақарейкәа).

თხინაშკარი – სოფელი რეფო-შემეღეთის თემში, მდ. ხუმუშქურის მარჯვენა ნაპირას. სახელწოდება მეგრულია. სოფელს თავდაპირველად ერქვა *თხინაშკარე*, რაც კომპოზიტია. თხინა ნიშნავს „თხილნარს“, კარე – „კარავს“. გადმოცემით, აქ, თხილნარში, მწყემსს გამართული ჰქონდა საზამთრო კარე (მწყემსის ბინა, სადგომი). სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. 1953 წელს შედიოდა ხუმუშქურის ს/საბჭოში. სოფელ დამონმებულია მიკროტოპონიმები: *სანთიო*, *საბელქანიო*, *სასოსელიო*, *საშენგელიო*, *საშონიო* – ანთიების, ბელქანიების, სოსელიების, შენგელიების, შონიების ქართული გვარების უბნები, *საბასარიო* – ყოფილი დასახლებული უბანი. სოფლის ამჟამინდელი სახელია *თხინაშკარ* (Тхьинашькар).

მეორე შემეღეთი – სოფელი რეფო-შემეღეთის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ერისწყლის მარცხენა ნაპირზე, სოფელ პირველი შემეღეთის პირდაპირ. ადრე არსებობდა სოფელი შემეღეთი, რომელიც დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Sciasciale-ti). სახელწოდება ქართულია, მისი ამოსავალია ანთროპონიმი (პირსახელი ან გვარსახელი) შემეღი, რომელსაც დაერთვის ანთროპონიმებისაგან გეოგრაფიული სახელწოდებების მანარმოებელი -ეთ სუფიქსი. 1930 წელს სოფელი შემეღეთი რეფი-შემეღეთის ს/საბჭოში შედიოდა. მოგვიანებით, ის გაიყო პირველ შემეღეთად და მეორე შემეღეთად. მეორე შემეღეთი რეფო-შემეღეთის ს/საბჭოს მიეკუთვნა. სოფელში არის უბნები: *სათუნგიო*, *სამარკელიო*, *საქაშბაიო*, *საქარდო*, *საშამათო*, *საშენგელიო* – თუნგიების, მარკელიების, ქაშბაიების, ქარდავების, შამათავების, შენგელიების ქართული გვარების

სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *Аѡбатѡи Шѡшьѡлат*, რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია აფხაზურად.

ხუმენი-ნათოფური – სოფელი რეფო-შეშელეთის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. დიდი ერისწყლის მარცხენა ნაპირას. 1930 წელს *ხუმეფი* და *ნათოფური* ცალკე სოფლებად შედიოდა რეფო-შეშელეთის ს/საბჭოში, შემდეგ გააერთიანეს, დაზუსტდა დანერილობაც და მივიღეთ *ხუმენი-ნათოფური*. სახელწოდება ქართულია. ხუმენი მეგრულად დაბურულ ტყეს, ნათოფური – თოფურის გვარის ნასახლარს ნიშნავს. სოფელში არის უბანი *საოყუჯო* – ოყუჯავების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *Шѡхартѡи/Натѡფური (Шѡхартѡи/Натѡფური)*.

ხუმუშქური – სოფელი რეფო-შეშელეთის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ხუმუშქურის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ხმელი ვაშლის ხეს“ (ხუმ – „ხმელი“, უშქური – „ვაშლის ხე“) ნიშნავს. 1930 წელს შედიოდა გალის მაზრაში. 1949-1953 წწ. არსებობდა ხუმუშქურის ს/საბჭო, რომელიც შემდეგ რეფო-შეშელეთის ს/საბჭოს შეუერთდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *რიშხა* დაარქვეს.

რეჩხის თემი

რეჩხი – სოფელი რეჩხის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ერისწყლის მარჯვენა ნაპირას. დატანილია ხატოვის 1826 წლის და სამეგრელოს 1861 წლის რუკებზე. 1886 წელს შედიოდა გალის თემში. 1923 წელს სამურზაყანოს მაზრაში არსებობდა რეჩხო-ცხირის ს/საბჭო 3 სოფლით. რეჩხის ს/საბჭო 1979 წელს შეიქმნა. სახელწოდება მეგრულია და „მშრალ, ქვიან ფერდობს“ ნიშნავს. სოფლის მახლობლად, მთაზე, შემორჩენილია ადრინდელი შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნაშთი. სოფელში არის უბნები: *საარდიო, საბასარიო, საინალისქუო, სამიქაო, საროდონაიო, საფარსანძო, საყოლბაიო, საშონიო, საჯობა* – არდიების, ბასარიების, ინალიშვილების, მიქაიების, როდონაიების, ფარსანძეების, ყოლბაიების, შონიების, ჯობავეების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ რეჩხს აფხაზებმა *რეჩხუ (Речхы)* დაარქვეს.

ხოლე – სოფელი რეჩხის თემში, მდ. ერისწყლის ნაპირებზე. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. სახელწოდება ქართულია. ქართული ენის რაჭულ დიალექტში „აღმართს“ ნიშნავს. სოფელიც მაღალ ბორცვზეა გაშენებული. გადმოცემით, ხოლე თავდაპირველად ერქვა სამარულო მინდორს მდ. ერისწყლის მარჯვენა ნაპირზე. შემდეგ მან მოიცვა ნკელიკარიც, მაღლობი მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს, და ბოლოს სოფლის სახელად იქცა. 1930 წელს

შედიოდა რეჩხი-ცხირის ს/საბჭოში. ხოლემი, მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს არის მალღობი, რომელსაც *წკელიკარს* უწოდებენ. აქ შემორჩენილია X საუკუნის ეკლესიის ნაშთები XII-XIV სს. მინაშენებით. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილია ქვის ფილებზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული და მხედრული წარწერები (XI ს., XVII ს.). ერთ-ერთ წარწერაში ამ ადგილის სახელი დაფიქსირებულია „მწკელიკარის“ ფორმით: „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მწკელიკარისაო, მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა მონასა შენსა [მე]რკილი[ს] დღესა მას განკითხვისასა“. სახელწოდება „წკელიკარი“ მიღებულია ხატის ან ადგილის სახელზე არსებითი სახელის – კარის დართვით. მეგრულში წკელი არის „მეოხი; ხელის შემწყობი“, *წკელიკარი* „მეოხისკარია“, სადაც *წკელი* წმინდანის ეპითეტია და მიემართებოდა მაცხოვარს, ან წმ. გიორგის. წკელიკარი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ადამიანთა შემწე რომელიმე წმინდანის ხატი იყო დასვენებული. აფხაზები მას აცკარ-ს ეძახიან, რაც ქართული სახელწოდების აფხაზური ფორმაა. სოფელში დამონმებულია მიკროტოპონიმები: *სალაგვილო* – ლაგვილავების უბანი, *საგულიო* – გულიების უბანი, თუმცა ამჟამად გულიები იქ არ ცხოვრობენ.

საბერიოს თემი

საბერიო – სოფელი საბერიოს თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდინარეებს ენგურსა და ერისწყალს შორის. დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. 1886 წელს იყო თემის ცენტრი. 1923 წელს სამურზაყანოს მაზრაში შედიოდა საბერიოს თემი 21 სოფლით. სახელწოდება ქართულია, სა-ო სუფიქს-პრეფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელწოდებაა და ბერიას გვარის სამკვიდროს ნიშნავს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა *პაპინრხუა* (Папынрхуа) დაარქვეს.

ნაჯიხური – სოფელი საბერიოს თემში, აფხაზეთის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. სახელწოდება მეგრულია და ნაციხარს ან ნაჯიხურალს (ჯიხა – „ციხესიმაგრე, კოშკი“, ჯიხური – „ჯიხური“) ნიშნავს. გადმოცემით, აქ მწყემსს ჰქონია დროებითი სადგომი – ჯიხური. დატანილია 1861 წლის სამეგრელოს რუკაზე. 1886 წელს საბერიოს თემში შედიოდა. სოფელში არის უბანი *სასოსელიო* – სოსელიების ქართული გვარის სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ნაჯიხურს აფხაზებმა დაარქვეს *აბაჟუვ*, რაც „ძველ ციხეს“ ნიშნავს.

სამარქვალო – სოფელი საბერიოს თემში, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. 1886 წელს საბერიოს თემში შედიოდა. სახელწოდების ამოსავალი ფუძეა ანთროპონიმი (პირსახელი ან გვარსახელი) მარქვალა, რომელსაც ტოპონიმის მანარმოებელი სა-ო პრეფიქს-სუფი-

ქსი აწარმოებს. სოფელში არის უბანი *საღურწკაიო* – ღურწკაიების ქართული გვარის სამკვიდრო.

ფართონოხორი – სოფელი საბერიოს თემში, აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ერისწყლის მარჯვენა მხარეს, რთომის, ჩელალისა და ლალხუმლას ხეობებში. ეს არის ფართო ვაკე-ზეგანი, სადაც უწინ ყოფილა შარვაშიძეების სასახლე (მეგრ. „შარაშიფიშ დოხორე“), რომელსაც შემდეგ ნადოხორი//ნოხორი (ნასახლარი) დარქმევია. რადგან ფართო ადგილი იყო, სოფლისათვის ფართონოხორი (მეგრ. ფართო, ვრცელი ნასახლარი) უწოდებიათ. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა საბერიოს თემში. სოფელში დამონმებულია მიკროტოპონიმები უბნები: *საშარაშიო*, *საღვინჯილიო*, *სადგებო*, *სატორუო* – შარაშიების, ღვინჯილიების, დგებების, ტორუების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ფართონოხორს აფხაზეთმა აგუარადუ დაარქვეს.

ღვაშიგვერდი – სოფელი საბერიოს თემში, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. სახელწოდება სვანურ-მეგრულია. სვანურად „ღვაშ“ ჯიხვს, მეგრულად „გვერდი“ – ნახევარს და გვერდს ნიშნავს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს შედიოდა საბერიოს თემში. სოფელში არის უბნები: *საბაძალუო*, *სატორუო* – ბაძალუების, ტორუების ქართული გვარების სამკვიდრო.

შქაშისუკი – სოფელი საბერიოს თემში, მდ. ერისწყლის ხეობაში. სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ორ სერს შუა მდებარე სერზეა განლაგებული, ამიტომ დაერქვა მეგრულად შქაში სუკი (ქართ. „შუა სერი“). 1949 წელს საბერიოს თემში შედიოდა. სოფელში არის უბნები: *საგამსონიო*, *სამურლულიო*, *სატაბალუო*, *საქობალიო*, *საშონიო* – გამისონიების, მურლულიების, ტაბალუების, ქობალიების, შონიების ქართული გვარების სამკვიდრო.

სიდის თემი

სიდა – სოფელი სიდის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ქირის მარჯვენა შენაკადის – სიდანყარის ხეობაში. *სიდა* მეგრული სიტყვაა და „სინათლიან, ნათელ, მზით განათებულ ადგილს“ ნიშნავს. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Suddas). 1886 წელს შედიოდა ბარლების, ხოლო 1930 წელს კი – სიდა-ნაბაკევის თემში, რომელიც შემდეგ სიდის, ზემო ბარლებისა და ქვემო ბარლების სასოფლო საბჭოებად დაიშალა. სოფელ სიდაში არის უბნები: *საგამსონიო*, *საგელენა*, *საგერგედა*, *საქარდო*, *საქობალიო*, *საშარიო* – გამისონიების, გელენავეების, გერგედავეების, ქარდავეების, ქობალიების, შარიების ქართული გვარების სამკვიდრო.

ფიჩორის თემი

ფიჩორი – სოფელი ფიჩორის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას. სახელწოდება ქართულია, მეგრულად ნიშნავს „ფართო, გაშლილ ადგილს“; „ადგილს მდინარის შესართავში, სადაც მდინარე ფართოდ იშლება“. 1930 წელს ოტობაიას თემში, ხოლო შემდეგ გაგიდის თემში შედიოდა. 30-იანი წლების დასაწყისში გაგიდის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: ნაჭკადუ, ნაკარლალი და ფიჩორი და შეიქმნა ფიჩორის ს/საბჭო ცენტრით სოფელ ფიჩორში. სოფელში არის უბნები: *საორჟონიო, სასიჭინო, საშამათო* – ორჟონიების, სიჭინავების, შამათავების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ფიჩორს *ფიჩორა* (Фиchora) დაარქვეს.

ნაკარლალი – სოფელი ფიჩორის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე. 1930 წელს შედიოდა გაგიდა-ნაჭკადოუს ს/საბჭოში. სახელწოდება მეგრულია. „ნაკარ“ აღნიშნავს ადგილს, სადაც „კარე“, მწყემსის დროებითი სადგომი იდგა. ნაკარლალი „ნაკარვალის ღელეს“ ნიშნავს. წარმოიქმნა როგორც ღელის სახელი და მოგვიანებით სოფლის სახელად იქცა. ამის შემდეგ ღელეს ნაკარლალში ლალი ეწოდა. სოფლის ამჟამინდელი სახელია *კლაკარძი* (Клакардзи/Накарҭали).

ნაჭკადუ – სოფელი ფიჩორის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას. სოფელი *ნაჭკადოუ* 1930 წელს შედიოდა გაგიდა-ნაჭკადოუს ს/საბჭოში. ნაჭკადუ უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ცხოვრობდა ჭკადუ (მეგრ. მჭედელი) ან გვარი ჭკადუა. სოფელი ნაჭკადუ 1909 წელს უკვე იხსენიება სამურზაყანოს უბნის ნაბაკევის თემში. შემდეგ შექმნილა გაგიდა-ნაჭკადუს თემი, რომელიც მოგვიანებით ორ სოფლად გაიყო. 1949 წელს ის ცალკე სოფელია. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ნაჭკადუ* (Начкаду).

ქვემო ბარლების თემი

ქვემო ბარლები – სოფელი ქვემო ბარლების თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე. ბარლები წყაროებში XVII საუკუნიდან არის დამოწმებული. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (*Barghebs*). მეგრულ დიალექტზე გამოითქმის როგორც „ბარლეფი“. XX საუკუნის დასაწყისში (1909, 1914) სამურზაყანოს უბანში არსებობდა ბარლების თემი, რომელშიც შედიოდა სოფლები: *ბარლები, სიდა, ხიტუშ მუხური*. 1930 წელს არსებობდა ქვედა ბარლების ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფლები: *ქვედა ბარლები, ბოყვათი (ფიცარლალი), ხიტუში მუხური II*. ქვემო ბარლებში არის უბნები: *სამიქაო, საშამუგიო* – მიქაიების, შამუგიების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ერთ-ერთი უბანია

სამორცხულო//მორცხულეფიშ კუნთხუ, სადაც მორცხულავების გვარი ცხოვრობს. XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე დატანილია სოფელი Marzchuli, რომელიც სწორედ სამორცხულო უნდა იყოს. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ქვემო ბარლების სახელი აფხაზურად თარგმნეს – ალადატვი ბარლიაპ (Аладатви Бардыап).

ბოგვეთი – სოფელი ქვემო ბარლების თემში, მდ. ქირის (ქირიწყარი) მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება მეგრულია. „ბოგვი“ მეგრულში ერთგვარი ბალახის სახელია. 1949 წელს ქვემო ბარლების ს/საბჭოში შედიოდა.

საბჭოთა ჩაი – სოფელი ქვემო ბარლების თემში, მდ. ქირის ორივე ნაპირზე. 1886 წელს ბარლების თემში შედიოდა სოფელი ხიტუმ მუხური (მეგრულად „ხიტუს კუთხე“) და მაბირი. 1928 წელს პირველი ხიტუმ მუხური შევიდა ზედა ბარლების ს/საბჭოში, ხოლო მეორე ხიტუმ მუხური – ქვედა ბარლების ს/საბჭოში. XX საუკუნის 30-იან წლებში ხიტუმ მუხურს შეუერთდა მაბირი, აქვე ჩაი გააშენეს და კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაი“ დააარსეს, რომელიც შემდეგ სოფლის სახელად იქცა. სოფელი შედგება ორი ნაწილისაგან: მაბირი – მდ. ქირიწყარის მარცხენა ნაპირას და ხიტუმ მუხური – მდ. ქირიწყარის მარჯვენა ნაპირას. სოფელში არის უბნები: საპაპასქო, სატურაო – პაპასქუების, ტურავების გვარების სამკვიდრო. 1994 წელს საბჭოთა ჩაის აფხაზებმა დაარქვეს ატოურა (Атоура).

ფიცარღალი – სოფელი ქვემო ბარლების თემში, მდ. ფიცარღალის ნაპირებზე. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ფიცრის ღელეს“ ნიშნავს და თავდაპირველად მდინარეს ერქვა. 1930 წელს იხსენიება სოფელი ბოყვათი (ფიცარი გალი). სოფელში არის უბნები: საშამუგიო – შამუგიების ქართული გვარის სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ფიცარღალს აფხაზებმა აბიცარკუარა (Абыцаркәара/Ҟицарҟали) დაარქვეს.

ლუმურიშის თემი

ლუმურიში – სოფელი ლუმურიშის თემში, ზემო ლუმურიშისა და ქვემო ლუმურიშის ძველი სახელწოდება. მდებარეობს მდ. რეჩხის ნაპირზე. სახელწოდება ქართულია. ლუმურიში სვანური სუბსტრატული ტოპონიმია („ლუმირ“ – „ნაძვი“, -იმ – საერთო ზანურ-სვანური სუფიქსი, რომელიც კუთვნილება-დანომწულებას გამოხატავს) და „ნაძვნარს“ ნიშნავს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1925 წელს არსებობდა ლუმურიშის ს/საბჭო. 1930 წელს ლუმურიში ერთი სოფელია, ხოლო 1949 წელს უკვე გაყოფილია ორ ნაწილად – ზემო ლუმურიში და ქვემო ლუმურიში. სოფელ ლუმურიში არის ღელე და ადგილი სახელწოდებით კეიში. ის ცალკე

სოფლადაა დატანილი ა. ლამბერტის რუკაზე (Ceishi). 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ლუმურიშს აფხაზებმა დაარქვეს *ლუმრიშ* (Лумырыш).

ზემო ლუმურიში – სოფელი ლუმურიშის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ოქუმის მარცხენა მხარეს. 1949 წელს უკვე ცალკე სოფელია. სოფელში არის უბანი *სანანო* – ნანავების ქართული გვარის სამკვიდრო.

ფართოლალი – სოფელი ლუმურიშის თემში, მდ. ფართოლალის ზემოთში. 1930 წელს შედიოდა ლუმურიშის თემში. 1987 წელს ორ სოფლად იყო გაყოფილი და შედიოდა, ერთი – ლუმურიშის თემში, ხოლო მეორე – ცხირის თემში. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „ფართო ღელეს“ ნიშნავს. ფართოლალი მდინარის სახელი იყო და შემდეგ სოფლის სახელად იქცა. აქ ხეობაა ფართო და აქედან მოდის ეს სახელი. სოფელში არის უბნები: *საბეჭვაიო*, *საქვარაზიო*, *სანაყოფიო* – ბეჭვაიების, ნაყოფიების, ქვარაზიების ქართული გვარების სამკვიდრო; ადგილი *სარიგვა* – რიგვაების ქართული გვარის ნასახლარი.

ქვემო ლუმურიში – სოფელი ლუმურიშის თემში. მდებარეობს აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. რეჩხის მარჯვენა მხარეს. 1949 წელს უკვე ცალკე სოფელია. სოფელში არის უბნები: *საგამსონიო*, *სადაწელიო*, *საფარულუო* – გამისონიების, დანელიების, ფარულუების ქართული გვარების სამკვიდრო.

ჩხორთოლის თემი

ჩხორთოლი – სოფელი ჩხორთოლის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. წარჩესწყლის ზემო წელზე. ტოპონიმი *ჩხორთოლი* გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა, ორფუძიანი კომპოზიტია და მეგრულად ნიშნავს „ცხრა თვალს“, რაც უზენეულიან, მრავალ წყარო-ნაკადულიან ადგილს აღნიშნავს. XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე წარმოდგენილია თავდაპირველი სწორი ფორმით „ჩხორთოლი“. დატანილია აგრეთვე ხატოვის 1826 წლის და 1861 წლის სამეგრელოს რუკებზე. 1886 წელს შედიოდა ოქუმის თემში. 1930 წელს შექმნილი იყო ჩხორთოლის ს/საბჭო. 30-იანი წლების დასაწყისში ჩხორთოლის ს/საბჭო სოფლებით: *ზემო ჩხორთოლი*, *არადუქვა* და *ქვემო ჩხორთოლი* გალის რაიონიდან გამოყვეს და ოჩამჩირის რაიონს შეუერთეს. 1939 წელს ჩხორთოლის ს/საბჭო ოჩამჩირის რაიონიდან გალის რაიონს გადაეცა. 1952 წელს სოფლები *არადუქვა*, *ზემო ჩხორთოლი* და *ქვემო ჩხორთოლი* გააერთიანეს და *ჩხორთოლი* უწოდეს. ჩხორთოლში დამოწმებულია მიკროტოპონიმები: *საგამისონიო*, *სათარბაიო*, *სასირგინა*, *სამალიშა//სამალიშო*, *სამოროხიო*, *საფარულუო*, *საქვარანძიო* (აქვე არის საქვარანძიო ჯიხა – მეგრ. საქვარანძიოს ციხე, ნაცხარაი) – გამისონიების, თარბაიების, მალიშავების, მოროხიების, სირგინავების,

ფაჩულიების, ქვარანძიების ქართული გვარების უბნები; *ემქითი* – ემბების აფხაზური გვარის უბანი (აფხ. ემბების სოფელი). 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ჩხორთოლს აფხაზებმა დაარქვეს *ჩხუართალ* (Чхартал).

ნარჩის თემი

ნარჩე – სოფელი ნარჩის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ნარჩესწყლის შუა წელზე. სახელწოდება ქართულია, მეგრულად ნყალთეთრს ნიშნავს. როგორც ჩანს, მდინარის სახელწოდება სოფლის სახელად გადაიქცა. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Tarsce, Tarse), 1861 წლის სამეგრელოს რუკაზე. 1886 წელს მუხურის თემში შედიოდა. 1928 წლიდან არსებობდა ნარჩეს ს/საბჭო. სოფელში დგას XIII-XIV სს. საეკლესიო კომპლექსი „მაფამ ოხვამე“ (მეგრ. დედოფლის ეკლესია). კომპლექსში შედის ორი ეკლესია, გალავანი და კარიბჭის ნაშთი. ერთ-ერთ ეკლესიაში ნაწილობრივ შემორჩენილია ფრესკები (XV ს.), აგრეთვე ქართული ლაპიდარული წარწერა. XVII საუკუნეში ეკლესიები განაახლა ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657). სოფელში არის უბნები: *საგერზმო*, *სამიქაო*, *საელია*//*საელიო*, *საჩერქეზიო*, *საჩხორთოლიო* – გერზმავების, მიქაიების, ელიავების, ჩერქეზიების, ჩხორთოლიების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ნარჩეს აფხაზებმა *ნარჩა* (Нарча) დაარქვეს.

ნახინგუ – სოფელი ნარჩეს თემში, მდ. ოქუმის მარჯვენა მხარეს, მდ. მორინჯის ორსავე ნაპირზე. ნა- პრეფიქსი ადასტურებს, რომ სახელწოდება ქართულია. თავდაპირველად ნახინგუ ერქვა ვაკე-ფერდობს მორინჯესა და კაკიმ ლალს (მეგრ. კაკის ლელე) შუა. 1930 წელს ნარჩის ს/საბჭოში შედიოდა *ნახინგოუს* ფორმით. 1949 წელს *ნახინგუს* სახელით იხსენიება ნარჩეს თემში. სოფელში არის უბნები: *საბეკვერიო*, *საკაკუბო*, *საქირიო*, *საფარფალიო* – ბეკვერიების, კაკუბავების, ქირიების, ფარფალიების ქართული გვარების სამკვიდრო.

ფუნყური – სოფელი ნარჩეს თემში, მდ. ოქუმის მარჯვენა ნაპირას. ტოპონიმი ფუნყური მეგრულად იგივეა, რაც ფუქინყური – „დაქცეული (ჩაქცეული), დამენყრილი ადგილი“. სოფელი ამავე სახელწოდებით აზიგვარის თემშიცაა, ოქუმისა და ოხოჯის შესართავთან, და ესაზღვრება ნარჩის თემის სოფელ ფუნყურს. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Pozcuar). 1640 წლის 2 თებერვალს ფუნყურს ეწვივნენ რუსი ელჩები ფ. ელჩინი და პ. ზახარაიევი. მათ მუხლობრივ აღწერილობაში გვხვდება Пудшкур//Путцкур და Пышкурь//Пискурь ფორმები. 1886 წელს შედიოდა მუხურის თემში, ხოლო 1930 წელს – ნარჩეს თემში. სოფელ ფუნყურში არის უბნები: *საბენიო*, *სასარგინა*, *საუბილა* – ბენიების, სირ-

გინავების, უბილაგების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ფუწყურ* (Фуцкыр).

ფშაური – სოფელი წარჩეს თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოხოჯის მარცხენა მხარეს. სახელწოდება ქართულია, მისი ფუძეა „ფშა“ და მეგრულად „ნაკადულს“, „წყაროიან ადგილს“ ნიშნავს. 1886 წელს შედიოდა მუხურის თემში, ხოლო 1930 წელს – წარჩის თემში. შემდეგ ორ სოფლად გაიყო. ერთი შევიდა ბედიის თემში, მეორე – წარჩის თემში. სოფელში არის უბანი: *სამონიო* – შონიების ქართული გვარის სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ფშაურ* (Пшьаур).

ჭუბურხინჯის თემი

ჭუბურხინჯი – სოფელი ჭუბურხინჯის თემში, თემის ცენტრი. მდებარეობს მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს, სათანჯოს მთის კალთაზე. XVII საუკუნეში მას გენათი ეწოდებოდა. ამ სახელით იხსენიება ის XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე. აქ, მდ. ბაბაშიაშზე, გადებული ყოფილა ნაბლის (მეგრ. ჭუბური) ხიდი (მეგრ. ხინჯი), ამიტომაც ეწოდა ეს სახელი – მეგრულად „ნაბლის ხიდი“. ამ სახელით პირველად ფიქსირდება ხატოვის 1826 წლის რუკაზე. დატანილია ასევე სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს ჭუბურხინჯის თემი სამურზაყანოს უბანში შედიოდა. 1923 წელს სამურზაყანოს მაზრაში არსებობდა *ჭუბურის-ხინჯის თემი* 6 სოფლით (ჭუბურის-ხინჯი მეგრული ჭუბურხინჯის ქართული ფორმა). მცირე ხანს, საბჭოთა პერიოდში, სოფელს *წალამუხი* ერქვა. 1952 წელს დაუბრუნდა სახელი *ჭუბურხინჯი*. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ორი ეკლესია. სოფლის მახლობლად 1890 წელს აღმოჩნდა ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. VIII-VII სს.) ძეგლი, რომელიც ჭუბურხინჯის განძის სახელითაა ცნობილი. მისი ერთი ნაწილი დაცულია ერმიტჟში (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია). კოლხური კულტურის ამ ძეგლს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული ოქრომჭედლობის ისტორიის შესწავლისათვის. სოფელში არის უბნები: *საგამსახურდიო*, *საქურსუო*, *საცაცუო* – გამსახურდიების, ქურსუების, ცაცუების ქართული გვარების სამკვიდრო. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზემა ახაიца (Ахьаца) დაარქვეს, რაც „რცხილას“ ნიშნავს.

ზენი – სოფელი ჭუბურხინჯის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება ქართულია. „ზენი“ მეგრულად ვაკეს ნიშნავს (იგივეა, რაც რზენი). დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1930 წელს შედიოდა ჭუბურხინჯის თემში. სოფელში არის უბნები: *საქაჯაიო*, *საქირიო* – ქაჯაიების, ქირიების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ზენი/ლბაა* (Зени/Лбаа).

მეორე აკვალა – სოფელი ჭუბურხინჯის თემში, ხუმუშქურის სათავესთან, სათანჯოს მთის კალთაზე. ადრე არსებობდა სოფელი *აკვალა*, რომელიც დატანილია 1861 წლის სამეგრელოს რუკაზე. მოგვიანებით, სოფელი აკვალა ორ ნაწილად გაიყო. 1930 წელს ორივე შედიოდა ჭუბურხინჯის თემში. სახელწოდება ქართულია. „აკვალა“ მეგრულად მაღლობს ნიშნავს. მეორე აკვალა გორაკიანი ადგილია. სოფელში არის უბანი *საყოლბაიო* – ყოლბაიების ქართული გვარის სამკვიდრო.

პირველი აკვალა – სოფელი ჭუბურხინჯის თემში, სამურზაყანოს დაბლობზე, ხუმუშქურის სათავესთან. ადრე არსებობდა სოფელი *აკვალა*, რომელიც დატანილია 1861 წლის სამეგრელოს რუკაზე. მოგვიანებით, სოფელი აკვალა ორ ნაწილად გაიყო. 1930 წელს ორივე შედიოდა ჭუბურხინჯის თემში. სახელწოდება ქართულია. „აკვალა“ მეგრულად მაღლობს ნიშნავს. სოფელში არის უბანი *საყოლბაიო* – ყოლბაიების უბანი.

ჭყონხუმლა – სოფელი ჭუბურხინჯის თემში, სათანჯოს მთის კალთაზე. სახელწოდება ქართულია, მეგრულად „გამხმარ მუხას“ ნიშნავს. სოფლის სტატუსი XX საუკუნის 20-იან წლებში მიიღო. 1930 წელს ჭუბურხინჯის ს/საბჭოში შედიოდა. სოფელში არის უბნები: *საყოლბაიო*, *საჩხეტიო* – ყოლბაიების, ჩხეტიების ქართული გვარების სამკვიდრო. სოფლის ამჟამინდელი სახელია *ჭყონხუმლა* (Чқонхымыла).

აფხაზეთის მდინარეები

აფხაზეთში მდინარეთა ქსელი ხშირია. აქ 150 დიდი და პატარა მდინარეა. დიდი მდინარეები – ფსოუ, ბზიფი, კოდორი სათავეს იღებენ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე, პატარა მდინარეები მთისწინეთებში, ზოგან დაბლობ ზონაშიც. ისინი დიდი მდინარეების შენაკადებია, ან უშუალოდ უერთდებიან შავ ზღვას. აფხაზეთის მდინარეები მოცემულია ანბანურ რიგზე.

ააფსთა – სათავე ბზიფის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში აქვს, მის სამხრეთ კალთას მიუყვება და გუდაუთასა და ახალ ათონს შორის შავ ზღვაში ჩაედინება. მისი სიგრძე 35 კმ-ია. შუა საუკუნეებში მას ალაცო (ალაცოს წყალი) ეწოდებოდა. ასეთი სახელწოდებით გვხვდება ის დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე. ვახუშტი ბატონიშვილიც მას „ალაცოს წყლის“ სახელით მოიხსენიებს. მდინარის სახელი მომდინარეობს სოფლის სახელიდან „ალაცო“, რომელსაც ის ჩამოუდიოდა. XIX საუკუნეში ამ მდინარეს ააცს ეძახდნენ, რაც ქართული ალაცოსწყლის აფხაზური ფორმაა. ააფსთას სახელწოდებით დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. XIX საუკუნის 30-იან წლებში ბაკლანკა/ბაკლანოვკა ეწოდა. XX საუკუნის 50-იან წლებში დაუმკვიდრდა სახელი ააფსთა. ააფსთა აფხაზურად „ურთხელის ხეობას“ ნიშნავს.

ბალრიფსთა – იგივე *ხოლოდნაია რეჩკა*, განთიადის სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ ზღვას ერთვის. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩანს ბალრიფსთას სახელწოდებით, რაც ჯიქების სანაპირო თემის „ბალ-ის მდინარეს“ ნიშნავს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ის სოხუმის სამხედრო განყოფილებას შავი ზღვის ოკრუგისაგან მიჯნავდა. ბელრიფსთას სახელწოდებით მოიხსენიებს მას ა. ნორდმანი. XX საუკუნის დასაწყისიდან ერქვა *ხოლოდნაია რეჩკა*.

ბესლეთი – კარსტული მდინარე, სათავეს კარსტული წყაროებიდან იღებს და დღევანდელი ქ. სოხუმის ფარგლებში შავ ზღვას ერთვის. მისი სიგრძეა 15 კმ. შუა საუკუნეებში მას ქ. ცხომი//ცხუმის სახელის მიხედვით ცხომის//ცხუმის მდინარე ეწოდებოდა. ამ სახელით იხსენიებს მას ვახუშტი ბატონიშვილი. ბესლეთი 4 კმ-იანი კარსტული გვირაბით დაკავშირებულია მდ. კელასურთან. XIX საუკუნის დასაწყისის ამბების თხრობისას ისტორიკოსი ნიკო დადიანი (1780-1834) იხსენიებს მდ. ბესილას, ხოლო ა. ნორდმანი – ბასლას. XX ს. I ნახევარში მას თურქული სახელითაც მოიხსენიებდნენ – ჩალბაში.

ბზიფი – აფხაზეთის ა/რ ყველაზე გრძელი მდინარე. სათავეს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე, უღელტეხილ ადანგესთან

იღებს და ბიჭვინთის კონცხთან შავ ზღვას ერთვის. მისი სიგრძე 110 კმ-ია. „ბზიფი“ ამ მდინარის შედარებით ახალი სახელწოდებაა. მისი ისტორიული სახელწოდებაა *კაპოეტისწყალი* (კაპოეტის მდინარე). ამ სახელწოდებით ის XVII საუკუნიდან ფიქსირდება წყაროებში. პირველად იხსენიება (*კაპოეტის წყალი*) ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში (1651 წ.). ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758) ცნობით, მის დროს აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი *კაპოეტისწყალი* იყო. ასეთივე სახელწოდებით (*კაპეტის წყალი*) იხსენიებს მას ისტორიკოსი ნიკო დადიანი (1780-1834) 1821 წლის ამბების თხრობისას. სახელწოდება ქართულია და მომდინარეობს თევზის სახელიდან კაპოეტი, რომელიც კალმახ-ორაგულის ჯიშს ეკუთვნის; იგი მოზრდილი სახის კალმახია და სწორედ ამ მდინარეში გვხვდება. XIX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით მას სწორედ ასე ერქვა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდება ბზიფიც ქართულია და ხე-მცენარის ქართული სახელიდან (ბზა) მომდინარეობს; მდინარეს რომელიც ბზების ხეობაზე მოედინება ბზების წყალი ეწოდება. ნიშანდობლივია, რომ XIV-XV სს. საზღვაო რუკებზე, მდ. ბზიფის შესართავში აღნიშნულია „ბზე-ბის ყურე“ (Cavo de Buxo). ზოგიერთი მკვლევარი მის სახელწოდებას უბიხური ენის საფუძველზე ხსნის (უბიხურად ბზი – „წყალი, მდინარე“, ან ბზიფ – „მდინარის შესართავი“).

გაგიდა – წარმოიქმნება მდინარეების – ხუმუშქურისა და ქირის შეერთებით. სიგრძე 6,3 კმ, აუზის ფართობი 270 კმ². ერთვის შავ ზღვას სოფელ გაგიდასთან. მთავარი შენაკადებია ოჯლორე (მარჯვ.) და ოკვინორე (მარცხ.). გაგიდა მეგრულად წაგრძელებულ, გიდელივით გორს ნიშნავს. სოფელი ამ სახელწოდებით დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Gaghida). როგორც ჩანს, სოფლის სახელი მოგვიანებით მდინარეს დაერქვა.

გაგრიფში – სათავე აქვს არაბიკის მასივის სამხრეთ ნაწილში 1725 მ სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას გაგრის ჩრდილო-დასავლეთით. სიგრძე 9,5 კმ. სახელწოდება მიღებულია ტოპონიმიდან გაგრა და „გაგრის წყალს“ ნიშნავს.

გეა – ბზიფის მარჯვენა შენაკადი. სათავე აქვს გაგრის ქედის ჩრდილოეთ ნაწილის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ. დ. 2400 მ სიმაღლეზე. სიგრძე 26 კმ. მთავარი შენაკადებია აგეფსთა და იუფშარა (ორივე მარცხენა).

გვანდრა – მდინარე აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. კოდორის ერთ-ერთი სათავე. სათავე აქვს მთა გვანდრის სამხრეთ კალთაზე. სიგრძე 26 კმ, აუზის ფართობი 204 კმ².

გუმისთა – მდინარეების – *აღმოსავლეთ გუმისთისა* და *დასავლეთ გუმისთის* შეერთებით იქმნება სოფ. შრომასთან და შავ ზღვას სოხუმის დასავლეთით ერთვის. მისი სიგრძეა 12 კმ. 1737

ნლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე დატანილია მდ. გუმისთა („გუმუსტა“). ამ წარწერით ირკვევა, რომ გუმა, როგორც მხარე, 1737 წელს უკვე არსებობდა. პ. ინგოროყვას მიხედვით, „გუმისთა“ აღნაგობით ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის, ფუძე სიტყვა „გუმ“ ქართულია, -თა ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელი სუფიქსია. გუმისთა გუმის//გუმას მდინარეს ნიშნავს. დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე (გუმისთა ანუ ცხომი). ფ. დიუბუა დე მონპერეც შეცდომით ფიქრობდა, რომ ვახუშტი ბატონიშვილისეული „ცხომის წყალი“ მდ. გუმისთას შეესაბამებოდა.

ენგური – სათავეს სვანეთში, შხარას მწვერვალის მყინვარ ენგურზე, ზღვის დონიდან 2614 მ-ზე იღებს და შავ ზღვას სოფ. ანაკლიასთან ერთვის. მისი სიგრძეა 212 კმ. ვახუშტი ბატონიშვილთან ის ეგური-ს სახელით იხსენიება, რაც მდინარის სახელწოდების ძველი ფორმაა. მისი ქვემო დინების ერთი მონაკვეთი აფხაზეთს სამეგრელოსგან გამოყოფს.

ერისწყალი, დიდი ერისწყალი – ოქუმის მარცხენა შენაკადი (მეგრ. ვარიანტი „ერწყარი“), სიგრძე 75 კმ. სათავეს იღებს ოხაჩქუეს მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, ერთი მთიდან. „ერთ“ არის შემოკლებული ფორმა პირსახელისა ერთუმე (ექვთიმე). მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს ერთიშში, *ერთიშწყარი* ეწოდებოდა, რამაც ფონეტიკური გამარტივების შედეგად მოგვცა *ერისწყალი//ერისწყარი//ერწყარი*. პლინიუსი (ახ. წ. I ს.) იხსენიებს მდ. სიგანიას, რომელიც დამკვიდრებული თვალსაზრისით მდ. ერისწყალია. ფლ. არიანე (ახ. წ. II ს.) მას სინგამეს, ხოლო კლ. პტოლემეაიოსი (ახ. წ. II ს.) – სიგანეონს უწოდებს. დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Heti-scari fl., ერთისწყალი, ერისწყალი). ერთისწყალის სახელწოდებით დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. XX საუკუნემდე ერთისწყალი ეწოდებოდა, შემდეგ *ერისწყალი* დაერქვა.

იუფშარა – მდინარე აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, გეგის მარცხენა შენაკადი. გამოდის რინის ტბიდან და კანიონში მიედინება. სიგრძე 11 კმ, აუზის ფართობი 236 კმ². სახელწოდება იუფშარა (**Юшара**) აფხაზურია (**Ю** - ორს ნიშნავს, **шар**- მდინარე, წყალი), ე. ი. ორმდინარეთი, თუმცა ამ კანიონს აფხაზურად ასევე ეძახიან „იუშარა“-ს (**Шара // Ашара**), რაც გაყოფას, საზღვარს ნიშნავს.

კელასური – სათავე აქვს ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე, ხიმსის მყინვარზე, 2582 მ სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას სოხუმის აღმოსავლეთით, სოფ. კელასურთან. სიგრძე 42 კმ, აუზის ფართ. 220 კმ². სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „კლისურა“, რაც „გასასვლელ ადგილს“, „ვინრობს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება ამ მდინარეს VI საუკუნის შუა წლებიდან შეერქვა, როდესაც მის მარცხენა ნაპირზე, ვინრობში ანუ კლისურაში სი-

მაგრეთა სისტემა ააგეს; VI საუკუნეში ეგრისის (ლაზიკის) ასეთი „ვიწროები“ ბიზანტია-სპარსეთის 540-562 წწ. ომის დროს საგანგებოდ გაამაგრეს. ასეთ გამაგრებებს ბიზანტიელების გავლენით დასავლეთ საქართველოში კლისურები ეწოდა. სწორედ მაშინ აუგიათ მდინარის მარცხენა ნაპირზე სიმაგრეთა სისტემა. უძველესი ცნობა მდ. ჰელასურის ნაპირზე სიმაგრეთა სისტემის აგების შესახებ „მოქცევაი ქართლისაი“-ს X საუკუნის ხელნაწერში ჰერაკლე კეისრის საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით გვხვდება. ამ მდინარის პირას სიმაგრეთა სისტემის – „კლისურის“ არსებობის შესახებ ცნობა დაცულია აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთში, სადაც დასავლეთ საქართველოში არაბთა სარდლის მურვან იბნ მუჰამედის (მურვან ყრუს) 730-იან წლებში ლაშქრობაა გადმოცემული. ქართული საისტორიო წყაროებიდან მოხსენიებულია ჯუანშერის თხზულებაში ჯერ V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის, შემდეგ კი VIII საუკუნის დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით, იქვე ნახსენებია „ზღუდე კლისურისა“, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან შავი ზღვისპირეთში მიმავალ გზაზე იდგა. VIII საუკუნის დასასრულიდან, „აფხაზთა“ სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ზღუდე მნიშვნელობა დაკარგა და თანდათან დაინგრა. XVII საუკუნის შუა ხანებში ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა აფხაზთა თავდასხმების შესაჩერებლად ააგო სიმაგრეთა სისტემა (საერთო სიგრძე 60 კმ), რომელიც ცნობილია *კელასურის კედლის* სახელით. კედელი იწყებოდა მდ. *კელასურის* შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე, მიუყვებოდა *კელასურის* ხეობას, შემდეგ უხვევდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. კედლის ერთი ნაწილი აგებულია სწორედ იქ, სადაც ადრეფეოდალურ ხანაში იდგა „ზღუდე კლისურისა“ და იცავდა იმ გზას, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან შავი ზღვის სანაპიროს მოუყვებოდა. XVII საუკუნის II ნახევარში აფხაზთა მიერ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მიტაცების შემდეგ, *კელასურის კედელმა* მნიშვნელობა დაკარგა და თანდათან დაინგრა. არსებობს მოსაზრება, რომ ანტიკურ ხანაში *კელასურს* ეწოდებოდა *კორახი*, რაც დაკავშირებულია კორაქსების ტომის სახელთან, ხოლო საფორტიფიკაციო ნაგებობას, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში ცნობილია სახელწოდებით „ზღუდე კლისურისა“ – *კორაქსის ზღუდე* ერქვა. *კელასურის* სახელწოდებით დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე.

კოდორი – იქმნება მდინარეების –*გვანდრისა* და *საკენის* შეერთებით სოფ. მარცხენა გენწვიშთან, ზ. დ. 740 მ-ზე და სოფ. აძიუბუას სამხრეთით ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 84 კმ (გვანდრის სათავიდან 110 კმ), აუზის ფართ. 2030 კმ². *კოდორის* შენაკადთა უმრავლესობას სათავე აქვს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე. მთავარი შენაკადებია: *ჩხალთა* (აფხაზურად

ანგარა), მრამბა, ჯამპალი ამტყელოთ. ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758) ცნობით, მდ. კოდორის სახელწოდება იმავე სახელწოდების დასახლებული პუნქტის სახელიდან მოდის, რომელიც შუა საუკუნეებში მის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. სახელწოდება „კოდორი“ ქართულია, როგორც ფუძე სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით. ერთი მოსაზრებით, კოდორი იგივეა, რაც მდინარისპირა ველი. მეორე მოსაზრებით, ის კბოდეს, მდინარის კლდოვან ნაპირს, კალაპოტს ნიშნავს. სხვა მოსაზრებით, მისი ფუძეა კად (საერთოქართველური კად ძირი „წყალს“ აღნიშნავდა), რომლის მეგრული შესატყვისია კოდორ. ამდენად, „კოდორი“ წყლის სემანტიკას შეიცავს. სოფ. კოდორი სკოტორის ფორმით ბიზანტიელ ავტორთან, თეოდოსი განგრელთან (VII ს.) იხსენიება. მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს დრანდის ტაძარი, X-XVII სს. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრი. კოდორის სახელწოდებით დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. აფხაზებმა კოდორს უწოდეს კუდრ (Кудры), რაც არც ერთ საისტორიო წყაროში არ ფიქსირდება.

მაჭარა – იქმნება დიდი და პატარა მაჭარის შეერთებით სოფ. მერხეულთან, ერთვის შავ ზღვას სოფ. მაჭარასთან. სიგრძე 21,2 კმ, აუზის ფართობი 110 კმ². დიდ მაჭარას სათავე აქვს სოფ. ნებელდის მახლობლად, ზ. დ. 435 მ-ზე, პატარა მაჭარას – მის დასავლეთით, ზ. დ. 950 მ-ზე. სახელწოდება ქართულია, სწრაფმდინარე და ქაფიან წყალს ნიშნავს (ზემო იმერეთში არის მდ. მაჭარისწყალი). XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან არის დამოწმებული საისტორიო წყაროებში (ნიკო დადიანი), დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე.

მეჰადირი – სათავე გაგრის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, ზ. დ. 965 მ-ზე. სიგრძე 15 კმ, აუზის ფართ. 23,1 კმ². ერთვის შავ ზღვას დაბა განთიადთან. მეჰადირის სახელწოდებით მოიხსენიებს მას ა. ნორდმანი.

მოქვი – სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2560 მ-ზე. ერთვის შავ ზღვას ოჩამჩირის მახლობლად, სოფ. ჯუყმურთან. სიგრძე 47 კმ, აუზის ფართ. 336 კმ². დატანილია XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე (Mouquis-schari fl., მდ. მოქვისწყალი). მოქვის სახელწოდებით დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე. მდინარე სოფელ მოქვს ჩამოუდიოდა და ამიტომ მოქვისწყალი/მოქვი დაერქვა. მდ. მოქვის/მოქვისწყლის და მდ. დვების შესართავში მდებარეობს მოქვის ტაძარი, X-XVII სს. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრი.

მრამბა – კოდორის მარცხენა შენაკადი (ერთვის სოფ. მრამბასთან). სიგრძე 14 კმ, აუზის ფართ. 174 კმ². სათავე აქვს კოდორის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზ. დ. 2610 მ-ზე.

მჭიშთა – ანუ შავწყალა, კარსტული მდინარე, სიგრძე 16 კმ, აუზის ფართობი – 196 კმ². სათავე აქვს ბზიფის ქედის სამხრეთ

კალთაზე, ზ. დ. 200 მ. ერთვის შავ ზღვას გუდაუთის დასავლეთით, ახალსოფელთან. შუა საუკუნეებში მას „მუნის წყალი“ ანუ მინის წყალი ეწოდებოდა, რადგან დიდ მანძილზე მინის ქვეშ მოედინება. ეს სახელწოდება პირველად ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში (1651 წ.) გვხვდება. ვახუშტი ბაგრატიონიც (1696-1758) მას „მუნის წყალს“ უწოდებს. ახალ სახელწოდებას პირველად XIX საუკუნის 30-იან წლებში ფ. დიუბუა დე მონპერე იხსენიებს „მიჭიმ“ ფორმით. მეჭიმის სახელწოდებით მოიხსენიებს მას ა. ნორდმანი. სახელწოდება *მჭიმთა* აფხაზურია და მინის წყლის, იგივე შავწყალას პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. რუსულად მას *ჩორნაია რეჩკა* ჰქვია, რაც ქართული შავწყალას პირდაპირი თარგმანია.

ოქუმი, ოქუმისწყალი – სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე და სოფ. გუდავასთან შავ ზღვას ერთვის. სიგრძე 56 კმ, აუზის ფართობი 559 კმ². უმთავრესი შენაკადებია: *დიდი ერისწყალი* (მარცხენა), *ოხოჯა*, *წარჩე/წარჩესწყალი* (მარჯვენა). სახელწოდება ქართულია, მომდინარეობს სელის მეგრული სახელიდან „ქუმუ“ და „სასელეს“ ნიშნავს. ეს სახელი თავდაპირველად სოფელს ეწოდა, ხოლო შემდეგ მდინარეს. *ოქუმისწყალს* პირველად ისტორიკოსი ნიკო დადიანი იხსენიებს. XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე ორი სახელითაა დატანილი: *Ochumi flolim Tarsura* (ოქუმი, იგივე ტარსურა). ამ მდინარის მეორე სახელი ტარსურა ა. ლამბერტის მიხედვით სოფელ *Tarchen*-ის (წარჩე) სახელიდან მოდის. სინამდვილეში ტარსურა, ანტიკური წყაროების „ტარშენ“, მდ. ოქუმის მარჯვენა შენაკადი *წარჩესწყალია*. მდ. ოქუმის მარჯვენა შენაკადია მდ. *ოხოჯა* (სახელწოდება ქართულია, მეგრულად „სახარეს“ ნიშნავს). ოქუმისწყლის სახელწოდებით დატანილია ხატოვის 1826 წლის რუკაზე.

ოხური – მდინარე კოდორის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, ანარიის მარჯვენა შენაკადი. სათავე აქვს ზ. დ. 215 მ-ზე, სიგრძე 23,7 კმ, აუზის ფართობი 67,4 კმ². ოხური ერქვა ვრცელ ტერიტორიას მდ. ოქუმსა და მდ. ღალიძგას შორის. აქ იყო ჭაობნარი, იცოდა ხურება და ამიტომაც დარქმევია სახელი ოხური (ო- მეგრ. გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი პრეფიქსია). შემდეგ დაერქვა სოფლებს გალისა და ოჩამჩირის რაიონებში და მდინარეს, რომელიც აქ გაედინება.

ჟოეკვარა, ყვავაკვარა – სათავე აქვს არაბიკის მასივზე, ზ. დ. 2690 მ-ზე, სიგრძე 20 კმ, აუზის ფართობი 72 კმ². ერთვის შავ ზღვას ქ. გაგრასთან. XIX საუკუნის 30-იან წლებში ფ. დიუბუა დე მონპერე მას *კინჭულის* სახელით იხსენიებს. *კინჭულის* ეტიმოლოგია გაურკვეველია, თუმცა ერთვის ქართული გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი -ულ სუფიქსი.

საკენი – მდინარე აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. კოდორის ერთ-ერთი მდგენელი. სათავე აქვს ზ. დ. 2620 მ-ზე,

სიგრძე 35 კმ, აუზის ფართობი 233 კმ².

ფსირცხა – ახალი ათონის ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვაში ჩადინება. შუა საუკუნეებში მას ციხე-ქალაქ ანაკოფიის (ამჟ. ახალი ათონი) სახელის მიხედვით *ანაკოფიის მდინარე* ეწოდებოდა. „ანაკოფიის მდინარეს“ იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი (XVI- II ს.). XIX საუკუნიდან მას *ფსირცხა* ჰქვია. როგორც ფიქრობენ, სახელწოდება მომდინარეობს ჩერქეზული სიტყვიდან *ფსირცხა*, რაც „მდინარის სათავეს“ ნიშნავს.

ფსოუ – საქართველოს და, შესაბამისად, აფხაზეთის სასაზღვრო მდინარე. სათავეს აიბლის ქედზე, ზ. დ. 2500 მ-ზე იღებს და შავ ზღვას სოფ. ლესელიძესთან ერთვის. მისი სიგრძეა 53 კმ. ფსუს სახელწოდებით მოიხსენიებს მას ა. ნორდმანი. XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში და ალ. ჯავახიშვილის რუკებზე აფსუს ფორმით იხსენიება. მოგვიანებით, მის სახელად *ფსოუ* დამკვიდრდა, რაც ადილურად „სწრაფ, ჩქარ მდინარეს“ ნიშნავს.

ლალიძგა – სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ხოჯალის მახლობლად, ერთვის შავ ზღვას ოჩამჩირის აღმოსავლეთით. სიგრძე – 53 კმ, აუზის ფართობი — 483 კმ². მდინარის სახელწოდება ქართული წარმოშობისაა (ლალი – „ლელე“, ძგა – „კიდე“, „პირი“, „ნაპირი“) და მეგრულად სიტყვასიტყვით „ლელის კიდეც, მდინარის ნაპირს, ლელისპირს“ ნიშნავს. ლალიძგა, თავდაპირველად წარმოადგენდა ოიკონიმს, ე. ი. დასახლებული პუნქტის სახელს და შემდეგ იქცა მდინარის სახელად, რომელიც მას ჩამოუდიოდა. წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება. გვიანდელ საისტორიო წყაროებში (ვახუშტი ბაგრატიონი, ნ. დადიანი) და ქართულ ისტორიოგრაფიაში გაიგივებულია მდ. ეგრისწყალთან. უკანასკნელ ხანს სამეცნიერო ლიტერატურაში ლალიძგა-ეგრისწყლის იგივეობის საკითხი ეჭვს იწვევს. 1737 წლის რუკაზე დატანილია ლალიცკის, ხოლო ხატოვის 1826 წლის რუკაზე – ლალიძგის ფორმით. ქართული სახელისგანაა მიღებული მისი ამჟამინდელი აფხაზური სახელი *ააღძგა*.

ცხენიშწყარი, ცხენისწყარი, ცხენწყალი – პატარა მდინარე კოდორის აღმოსავლეთით. სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 792 სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 27 კმ, აუზის ფართობი 61 კმ². ამ მდინარის ბერძნულად თარგმნილი სახელწოდება „ჰიპოსი“ ჯერ კიდევ II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსისა და რომის იმპერიის დიდმოხელის ფლავიუს არიანეს თხზულებაში გვხვდება.

წარჩე/წარჩესწყალი – ოხოჯეს მარცხენა შენაკადი. წარჩე ორფუძიანი კომპოზიციისა და მეგრულად სიტყვასიტყვით „თეთრ წყალს“ ნიშნავს. მისი ადგილობრივი, მეგრული, ფორმაა *წარჩესწყარი*.

ხაშუფსე – იქმნება მდინარეების – ჟეოფსისა და ცანდრიფის

შეერთებით. სათავე აქვს გაგარის კირქვეულ მასივზე, 1700 მ. სიმაღლეზე. სიგრძე 30 კმ. ერთვის შავ ზღვას. ხოშუფსეს სახელწოდებით მოიხსენიებს მას ა. ნორდმანი. სახელწოდება ადილურია და ნიშნავს „მხედრის სვლა წყალთან“.

ხიფსთა (თეთრწყალა) – სათავე ბზიფის ქედის სამხრეთ კალთაზე, 2134 მ სიმაღლეზე აქვს. მისი სიგრძეა 33 კმ, აუზის ფართობი 166 კმ². ერთვის შავ ზღვას გუდაუთასთან. შუა საუკუნეებში ამ მდინარეს *ზუფუ* (*ზუფუს მდინარე*) ეწოდებოდა, რადგან მის ნაპირზე სოფ. *ზუფუ* (ლიხნი) მდებარეობდა. ეს სახელწოდება პირველად ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში (1651 წ.) გვხვდება. ვახუშტი ბაგრატიონიც მას „*ზუფუს მდინარეს*“ უწოდებს. XIX საუკუნიდან მას აფხაზური სახელი „*ხიფსთა*“ ეწოდება, რაც ქართული *თეთრწყალას* პირდაპირი თარგმანია. „ხიფს“ სახელწოდებით მოიხსენიებს მას ა. ნორდმანი. ოფიციალურად, მას რუსული სახელი *ბელაია რეჩკა* ჰქვია, რაც ასევე ქართული *თეთრწყალას* პირდაპირი თარგმანია. დურიფშქესთან *მდ. ხიფსთას* მარჯვნიდან პატარა მდინარე *ეგრი* ერთვის (იქვეა დურიფშის ციხე, მათ ხერთვისში). მისი სახელწოდება ამ მხარის უძველეს მკვიდრთა, ეგრების//ეგრისელების სახელიდან მომდინარეობს. ხიფსთა ჰქვია ასევე მთას ბზიფის ქედის სამხეთ ნაწილში, მდინარეების ხიფსთისა და ააფსთის სათავეებში. სახელწოდება ხიფსთა აფხაზურია და ოქროს ხეობას“ („ახი“ – ოქრო, აფსთა – ხეობა) ნიშნავს.

ჯოყობანყარი – სათავეს ტბა *დიდ ბებესირში* იღებს და სოფელ *მეორე გუდავას* ტერიტორიაზე შეერთვის *ცოროკას* – შავი ზღვის ყურეს. XVII საუკუნის იტალიურ რუკებზე, პირდაპირ შავ ზღვაში ჩამავალი მდინარის სახელწოდებად მოცემულია *Giobaschari* და *Goi-baschari* (ჯოყობანყარი). *ჯოყობა//ჯაყობა* ჰქვია ნაჭაობარს სოფელ *მეორე გუდავაში*, სადაც *ჯოყობანყარი* გაედინება, აგრეთვე უბანს და ნაჭაობარს *ფოქვეშის თემის* სოფ. *აყვარაშში*. სახელწოდება ქართულია. მეგრულში *ჯოყობა//ჯაყობა* „ჭაობის“ აღნიშვნელი სიტყვაა, მაგრამ ამ სიტყვას მეგრულში სხვა მნიშვნელობაც აქვს, ჯოყობას ეძახიან ტალახს, დიდ საფლობს; ღრმალექიან, შლამიან მდინარეს.

ჯამპალი – მდინარე ამტყელის მარცხენა შენაკადი. სიგრძე 21, 4 კმ, აუზის ფართობი 163 კმ². სათავე აქვს ჩხალთის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2385 მ სიმაღლეზე.

გეოგრაფიულ სახელწოდებებში ჩანს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ისტორია და კულტურა, მისი წარსულის დამახასიათებელი თავისებურებები. „ენა ერთადერთი ისტორიაა, რომლის გაყალბებაც შეუძლებელია, – წერდა გერმანელი ენათმეცნიერი ავგუსტ შლაიხერი (1821-1868). იმავე აზრისაა არნოლდ ჩიქობავა (1898-1985), ქართველი ენათმეცნიერი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ქართული სკოლის ფუძემდებელი, რომელიც წერდა: „ენა ხალხის ისტორიის ძველი და ალაღმართალი მონმეა“.

გეოგრაფიული სახელწოდებები დროთა განმავლობაში, ფონეტიკური ცვლილების შედეგად, არც თუ იშვიათად შორდება თავდაპირველ ფორმას, რაც მის ეტიმოლოგიას აძნელებს, ტოპონიმების ერთი ნაწილის ეტიმოლოგია კი გამჭვირვალეა.

საისტორიო წყაროების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების დიდი ნაწილი, არა მარტო გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის რაიონების ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო, არამედ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც – გუდაუთის რაიონი, გაგრის საქალაქო თემი, სადაც აფხაზური მოსახლეობა ჭარბობდა, ქართველური ენების – ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური, – საფუძველზე იხსნება, რაც სავსებით ბუნებრივია. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი სიმონ ჯანაშია (1900-1947) აღნიშნავდა, რომ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა ერთი მხრით სვანური შტოთი, მეორე მხრით – მეგრულ-ჭანურით. XVI-XVIII საუკუნეებში აფხაზეთში და აფხაზთა მიერ მიტაცებულ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოსახლეობის რადიკალური ეთნიკური შეცვლა მოხდა. გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების ამჟამინდელ აფხაზურ სოფლებში რადიკალურ ეთნიკურ ცვლილებებამდე მასობრივად ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა და ამ ტერიტორიაზე არსებობდა ქართულ გვართა დასახლებები. საგულისხმოა, რომ ქართულ გვარსახელებთან ტოპონიმებში ხშირად შეწყვილებული აფხაზური სიტყვა ა-ქაფთა – პარტახი, ნამოსახლარი, რაც აშკარად მეტყველებს გვიან შუა საუკუნეებში ამ სოფლების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლასა და ქართველთა ნასახლარებში აფხაზთა დამკვიდრებაზე.

ქართული სუბსტრატული გეოგრაფიული სახელწოდებები შემორჩა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. კოდორის ხეობის ზემო ნელში XIX საუკუნეშიც კი, როცა აქ მასიურად ცხოვრობდა აფხაზური მოსახლეობა, შემორჩენილი იყო და დღემდე არის შემორჩენილი ქარ-

თული (ძირითადად, სვანური) გეოგრაფიული სახელწოდებები.

სამურზაყანოს (ტერიტორია მდ. ლალიძგასა და მდ. ენგურს შორის) ყველა ტოპონიმი, რომელიც საისტორიო წყაროებში გვხვდება და რომელთა ეტიმოლოგიაც შესაძლებელია, მხოლოდ ქართველური (ქართული, მეგრული, სვანური) წარმომავლობისაა. ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის ბევრი ტოპონიმი მომდინარეობს უკვე მივიწყებული ან თითქმის მივიწყებული მეგრული სიტყვიდან, რაც მათი სიძველის ნიშანია. აღსანიშნავია ისიც, რომ ლე-პრეფიქსი მეგრულში გვართავან აწარმოებდა ამ გვარით დასახლებული პუნქტის სახელს ადრინდელ შუა საუკუნეებში. შემდეგ კი, XVII-XVIII სს. იგი ამავე ფუნქციის მქონე ქართულმა სა-თავსართმა შეცვალა. ამიტომ, ლე-პრეფიქსით წარმოებული გეოგრაფიული სახელწოდებები უძველესი ოიკონიმებია, რომლებიც აფხაზეთა მიერ ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთის ანექსიამდე წარმოიქმნა.

მიჩნეულია, რომ ტოპონიმოლოგია მიწის ენაა, ხოლო მიწა წიგნია, სადაც კაცობრიობის ისტორია ჩანერილია გეოგრაფიული ნომენკლატურით. ამდენად, გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა ისტორიული ინფორმაციის დაკარგვას, ხოლო ამგვარ სახელთა მასობრივი გადაკეთება ხალხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მოშლას იწვევს. ისევე, როგორც XIX საუკუნეში, ამჟამადაც ცდილობენ ნაშალონ ქართული კვალი აფხაზეთში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აგათია სქოლასტიკოსი, იუსტინიანეს მეფობისათვის. – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**, ტფ., 1936.

ალექსიძე ზ., როდის, ვინ და რისთვის ააგო კელასურის ზღუდე. – *Dedicatio*, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2001.

ანასტასი აპოკრისიარის წერილიდან, – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**, ტფ., 1941.

ანონიმი მესხეთე საუკუნისა, – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**, თბ., 1965.

ანჩაბაძე გ., ევლია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზური ტომების შესახებ. – *საისტორიო კრებული*, VI, თბ., 1976.

არახამია გ., „ბიჭვინთის იადგარი“ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 2009.

არბოლიშვილი ლ., პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, თბ., 2006.

არიანე ფლავიუს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. ქართული თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა **ნათელა კეჭალაძისა**, თბ., 1961.

აფაქიძე ჯ., კოლხური კულტურის გავრცელების საკითხისათვის, – *სოხუმის უნივერსიტეტის შრომები*. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტ. 1, თბ., 2007.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. *კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე*, თბ., 2004.

აფხაზეთის რუკა, გაზ. „კვალი“, 1893, №11.

ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. I, (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), თბ., 2005.

ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით* **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.

ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2010.

ბერაძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, III, თბ., 1967.

ბერაძე თ., XVII საუკუნის I ნახევრის ოდიშის რუკა, ჟურნ. „ძე-

გლის მეგობარი“, თბ., 1970.

ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, IV, თბ., 1971.

ბერაძე თ., თოფურია კ., ხორავა ბ., თანამედროვე აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, – კრ.: საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები, თბ., 2009.

ბერძინიშვილი მ., საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, – კრებ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966.

ბურჯანაძე შ., ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, – ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1957.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო **ჯემალ გამახარიაძე**, თბ., 2014.

გაზეთ „კავკაზ“-ის მასალები აფხაზეთის ისტორიისათვის (1846-1855 წწ.), ნაწილი I. კრებული შეადგინეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს **ეკატერინე ჟვანიძე** და **რუსუდან გოგინაშვილმა**, თბ., 2012.

გაზეთ „კავკაზ“-ის მასალები აფხაზეთის ისტორიისათვის (1856-1864 წწ.), ნაწილი II. კრებული შეადგინეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს **ეკატერინე ჟვანიძე** და **რუსუდან გოგინაშვილმა**, თბ., 2013.

გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.), თბ., 2005.

გასვიანი გ., აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998.

გვანცელაძე თ., აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბ., 2011.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო **გია გელაშვილმა**, ტ. II, თბ., 1964.

გრიგოლია კ., ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა, – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, თბ., 1942.

დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო **შ. ბურჯანაძემ**, თბ., 1962.

დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე, წგნ.: **ი. ტაბალუა**, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო **გ. ფუთურიძემ**, ნაკვ. I, თბ., 1971.

- ვახუშტი ბაგრატიონი**, საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997.
- ზუხბაია ვ.**, სოხუმი, თბ., 1997.
- ზუხბაია ვ.**, აფხაზეთო ჩემო, თბ., 1998.
- ზუხბაია ვ., ზანთარაია ხ.** გალი. სოხუმი, 1988.
- ზუხბაია ვ.**, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, თბ., 2000.
- ზუხბაია ვ.**, აფხაზეთის მომხიბვლელი ბუნება, თბ., 2001.
- თამარაშვილი მ.**, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.
- თეოდოსი განგრელის მოგონებებიდან.** – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**, ტფ., 1941.
- თოთაძე ა.**, აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.
- ინგოროყვა პ.**, გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954.
- კაკაბაძე ს.**, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914.
- კაკაბაძე ს.**, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. I, ტფ., 1920.
- კაკაბაძე ს.**, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. II, ტფ., 1921.
- კაკაბაძე ს.**, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. 1500-1810 წწ. ტფ., 1922.
- კასტელი კრისტოფორო**, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ბ.გიორგაძემ**, თბ., 1976.
- კეკელია ი.**, ძიებანი ოდიშის ისტორიული ტოპონიმიდან, – აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ. 4, ოდიში, თბ., 2015.
- კვაშილავა კ.**, სამურზაყანოს ისტორიული წარსულიდან, თბ., 2012.
- ლამბერტი არქანჯელო**, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან **ა.ჭყონიასი**. მეორე გამოცემა, **ლ.ასათიანის** წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938.
- ლეთოდიანი დ.**, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს.-ში, თბ., 1991.
- ლომთათიძე ქ.**, ბაგისმიერის მიდრეკილება ანლაუტში მოხვედრისა აფხაზურ ენაში და ტოპონიმი „ამტყ-ალ“, – ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1995.
- ლომოური ნ.**, კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელ-

მძღვანელო“, – მსკი, ნაკვ. 32 თბ., 1955.

ლომოური ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, – მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963.

ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963.

მარგანი ქ., დალ-სვანეთის ტოპონიმია, კრ. „ქართველური ომომასტიკა“, 1, თბ., 1998.

მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.

მიზრუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.

მიქიაშვილი ო., აფხაზეთის ტოპონიმის ისტორიიდან. 1943-1952, 1953-1967 წწ., კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. VI, ქუთაისი, 2000.

ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007.

ოკუჯავა კ., ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული ტოპონიმის საკითხები, თბ., 2012.

პროკოპი კესარიელი, მშენებლობათა შესახებ; ომი გუთებთან; ომი ვანდალებთან. – გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**, თბ., 1965.

რატიანი ზ., წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995.

რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი **თ. დიასამიძე**, თბ., 2005.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, №1, საქმე 2894.

საქართველოს გეოგრაფია, ნან. I. ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 2000.

საქართველოს ისტორიის ატლასი. მთავარი რედაქტორი აკად. **დ. მუსხელიშვილი**. თბ., 2003.

საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნან. I. სათემო ჯამები, ტფ. 1925.

საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფილისი, 1930.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის, თბ., 1949.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისთვის, თბ., 1961.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისთვის, თბ., 1966.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისთვის, თბ., 1977.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბ., 1987.

ფიფია გ., აფხაზეთის ტოპონიმის საკითხისათვის, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 8 მარტი.

ფიფია გ., აფხაზეთის ტოპონიმის საკითხის გამო, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 5 ივლისი.

ქათიზ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო **გიული ალასანიამ**, თბ., 1978.

ქალდანი მ., მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის, – „აფხაზეთის მოამბე“, 1999, №2-3.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის მიერ**, ტ. I, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის მიერ**, ტ. II, თბ., 1959.

ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი. დოლიძემ**, ტ. II, თბ., 1965; ტ. III, თბ., 1970.

ქირია ჭ., **ეზუგბაია ლ.**, **მემიშიში ო.**, **ჩუხუა მ.**, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I მორფოლოგია, თბ., 2015.

ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

ყაუხჩიშვილი ს., ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 6, ქუთაისი, 1946.

ჩანტლაძე ი., ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, I, თბილისი-ბათუმი-ახალციხე, 2012.

ცხადაია პ., სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული გამოკვლევა), თბ., 2004.

ცხადაია პ. ჯოჯუა ვ., სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003.

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი **სოლ. ყუბანეიშვილის მიერ**, თბ., 1946.

წულაძე ზ., სეგრეგაცია ეთნიკური ნიშნით აფხაზეთში, – ქართველური ონომასტიკა, VII, თბ., 2015.

ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996.

ხორავა ბ., აფხაზეთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2014.

ჯანაშია ბ., აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ნიგნ. **ს. ჯანაშია**, შრომები, III, თბ., 1959.

ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, ნიგნ. **ს.**

ჯანაშვილი, შრომები, VI, თბ., 1988.

Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959.

Бгажба Х. С., Бзыбский диалект абхазского языка, Тб., 1957.

Бгажба Х. С., Бнекоторые вопросы абхазской топонимики, Труды, 1, Сухуми, 1987.

Белоцерковская В., Средневековые крепосты в олимпийской осаде, Наука и жизнь, №1, М., 2008.

Воронов Ю. Н., Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, 1979.

Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997.

Гогия Б., Абхазия – историческая провинция Грузии, Париж-Тбилиси, 2005.

Дзидзария Г. А., Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX века, М., 1976.

Дзидзария Г. А., Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, 2-е дополненное издание, Сухуми, 1982.

Дзидзария Г. А., Лыхны, Сухуми, 1986.

Дюбуа де Монпере Ф., Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937.

Ельницкий Л.А., Из исторической географии древней Колхиды. – Вестник древней истории, 1937, № 2 (3).

Зубов П., Картина Кавказского края, ч. II, СПб, 1935.

Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом *В. В. Латищев*, т. 2, вып. 2, Санкт-Петербург, 1904.

Кварчия В. Е., Ойконимы Абхазии в письменных источниках, Сухуми, 1985.

Лавров Л. И., Этнография Кавказа. Л., 1982.

Меретуков К., Адыгейский топонимический словарь, М., 1990.

Мачавариани К., Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии, Сухум 1913.

Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней. Тб., 2009.

Пахомов А., Записка об имениях князя Георгия Шервашидзе, – ი. ანთელავა, გ. ძიძარია, მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, – „საისტორიო მოამბე“, 7, თბ., 1953.

Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Мегрелию (1639-1640), в кн. Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии. Для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил *Дж. Гамахария*, Тб., 2005.

Сагария Б. Е., Из истории восстановления государственных границ Абхазии.– Известия Абхазского института языка, литературы и истории им. Д. Гулиа, XIII, Тб., 1985.

Сборник статистических сведений о Кавказе, т.1, Тифлис, 1869.

Торнау Ф. Ф., Воспоминания кавказского офицера, ч. 1, М., 1864.

Услар П. К., Этнография Кавказа, Языкознание, 1. Абхазский язык, Тифлис, 1887.

Эсадзе С., Историческая записка об управлении Кавказом, т. 1, Тифлис, 1907.

პაატა ცხადაია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროა – ქართველური ონომასტიკა. ამ დარგში გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ. 1985; ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1987; ძიებანი კოლხეთის ტოპონიმებიდან, I, თბ., 1999; გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000; სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003 (თანაავტორი ვ. ჯოჯუა); სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული გამოკვლევა), თბ., 2004; ათასი მეგრული ტოპონიმი, თბ., 2005; ონომასტიკის შესავალი (სახელმძღვანელო), თბ., 2005; სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ტ. I-VIII, თბ. 2004-2013. პ. ცხადაიას ბიოგრაფია შეტანილია ბილიოგრაფიულ ლექსიკონ-ცნობარში „Кто есть кто в кавказоведение?“ (M., 2000). 2004 წელს გამოცემულ „სამურზაყანოს ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმებს“ რამდენიმეგზის გამოეხმაურა „ამერიკის ხმა“, ხოლო გერმანელი მეცნიერი, ვინფრიდ ბოდერი 2004 წელს გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „თქვენი მოღვაწეობა იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ ადამიანების ეს ორიგინალური და თანაც პოეტური „ენობრივი წარმოების ძეგლები“ (ე.ი. ონომასტიკა) დღევანდელი ცხოვრების პირობებში იკარგება...“.

ბეჟან ხორავა – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს. მისი ნაშრომები გამოცემულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, თურქულ ენებზე. 2011 წელს წიგნის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ ქართულ (2007), რუსულ (2009), ინგლისურ (2011) ენებზე მომზადებისა და გამოცემისათვის, ავტორთა კოლექტივთან ერთად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. იმავე წელს, წიგნისათვის „აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე“, გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. დაჯილდოებულია უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მადლობის სიგელით. 2015 წელს აირჩიეს წმინდა ამბროსი მარტირის (ისტორიის, ჰერალდიკის, გენეალოგიის, სამართლის) საერთაშორისო აკადემიის (იტალია) წევრად.

სარჩევი

აფხაზეთი. გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა	3
საისტორიო წყაროები (ანტიკური ხანა - XVIII საუკუნე)	10
აფხაზეთი, XIX საუკუნის ქრონიკა	25
საისტორიო წყაროები (XVIII-XIX სს.)	29
აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1918-1991 წწ.	32
გაგრის საქალაქო თემი.....	39
გუდაუთის რაიონი	51
სოხუმის რაიონი.....	71
გულრიფშის რაიონი	87
ოჩამჩირის რაიონი.....	107
გალის რაიონი	135
აფხაზეთის მდინარეები.....	162
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:	172

P. Tckhadaia, B. Khorava
The Geographical Names of Abkhazia